თურქეთმა ადრინდელზე უფრო აქტიური და ეფექტური პოლიტიკის გატარება. „თურქეთი თვითონ გახდა ლიდერი იქ, სადაც მანამდე მას უმნიშვნელო როლი ჰქონდა“ (გაჩეჩილამე, 2019:121). მისი საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის, კავკასიის და ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკური გავლენის გაძლიერება გახდა,

რაც ხელისუფლებების ცვლილებების მიუხედავად უცვლელ პრიორიტეტად დარჩა.

„ცივი ომის“ შემდგომ თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 1983 წლიდან დაწყებულმა პერიოდმა, როცა ხელისუფლებაში მოვიდა თურგუთ ოზალი და „დედასამშობლოს პარტია“ (ANAP). განხორციელდა ეკონომიკური ლიბერალიზაცია, დასავლური ინტეგრაცია და რეგიონული აქტივობის ზრდა. ოზალი თურქეთს ხედავდა ღერძულ სახელმწიფოდ - ხიდად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ხოლო ეკონომიკური რეფორმები, ცენტრალურ აზიაში დიპლომატია და ოსმანური მემკვიდრეობის კულტურული გამოყენება დაედო საფუძვლად მისი „რბილი ძალის“ სტრატეგიას.

ოზალი ხაზს უსვამდა თურქულ იდენტობას და მუსლიმური კულტურის ელემენტებს, ქმნიდა რეგიონში გავლენის საფუძვლებს და აერთიანებდა ეკონომიკურ, კულტურულ და ისტორიულ მახასიათებლებს. ოზალი ხედავდა თურქეთს არა მხოლოდ დასავლური ან აღმოსავლური ბლოკის წევრად, არამედ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ხიდად, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს თავის გარშემო არსებულ რეგიონებზე. „ოზალი თვლიდა, რომ თურქეთი უნდა გამხდარიყო ისლამური სამყაროს დამაკავშირებელი ხიდი დასავლურ სამყაროსთან, რაც ხელს შეუწყობდა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა მშვიდობის განმტკიცებაში როგორც რეგიონში, ისე მთელს მსოფლიოში“ (მაჩიტაძე, 2024:258). ოზალის დროს თურქეთი ფორმალურად იყო დასავლეთის მოკავშირე, პრაქტიკულად კი იწყებდა გაერთიანებულ რეგიონალურ პრინციპზე დაფუძნებულ აქტიურ შუამავლის პოლიტიკას. ოზალის პოლიტიკა წინასწარმეტყველებდა როგორ განვითარდებოდა XXI საუკუნეში თურქეთის გავლენა ოსმალური მემკვიდრეობის ფარგლებში.

მიუხედავად იმისა, რომ ოზალის მმართველობის პერიოდში ნეოსმანიზმი ოფიციალურ დოქტრინად არ არსებობდა, 2000-იანი წლების შემდეგ თურქეთის ნეოსმანიტური პოლიტიკა მნიშვნელოვნად ეფუძნება მის მიერ შექმნილ სტრუქტურულ საფუძველს. სწორედ ამ მემკვიდრეობაზე ააშენეს ერდოღანმა და AKP-მ ნეოსმანიზმის ოფიციალური კურსი, რომელმაც გააძლიერა ოსმანური და ისლამური მემკვიდრეობის გამოყენება, აქტიური საგარეო პოლიტიკა და თურქეთის როლი დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის შუამავლად (Sengupta, 2014:88).

ამ პროცესში ცხადი გახდა რომ თურქეთს სჭირდებოდა სტრატეგიული ჩარჩო, რომელიც მას წარმოაჩენდა არა მხოლოდ რეგიონის აქტიურ მოთამაშედ, არამედ აძლევდა გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების სიღრმეს. სწორედ ამ საჭიროებაზე პასუხობდა აჰმედ დავუთოღლუს „სტრატეგიული სიღრმის“ კონცეფცია, რომელიც აჩვენებს, როგორ შუძლია თურქეთს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიული გამოცდილებისა და კულტურული კავშირების გამოყენება რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ გავლენის გასაძლიერებლად.

დავუთოღლუს „სტრატეგიული სიღრმე“ ეფუძნება თურქეთის გეოგრაფიულ და ისტორიულ სიღრმეს, რაც ქვეყანას მრავალ გეოპოლიტიკურ სიცრცეს აკავშირებს. მისი აზრით, ეს სიღრმე საშუალებას აძლევს თურქეთს უარი თქვას პერიფერიულ როლზე, იქცეს ცენტრალურ სახელმწიფოდ და ჩამოაყალიბოს საკუთარი საგარეო პოლიტიკის პარადიგმა (Davutoğlu, 2000:91).

დავუთოღლუს მიერ თურქეთის, როგორც გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოკულტურული ცენტრის წარმოჩენამ, შექმნა აღქმა, რომ ის ნეოსმანიტური საგარეო პოლიტიკის ხედვებს ავითარებდა. მისი კონცეფცია ეფუძნებოდა თურქეთის მრავალფეროვან იდენტობას, მუსლიმურ სუბიექტურო-

ბასა და ახლო აღმოსავლეთში აქტიურობის საჭიროებას, რაც გამოიხატებოდა საერთო იდენტობაზე აქცენტში, სეკულარიზმის თავისებურ გაგებასა და დასავლეთისადმი აბივალენტურ დამოკიდებულებაში. ამ ხედვით იგი თურქეთს წარმოაჩენდა „აფრო-ევრაზიული“ სივრცის ცენტრალურ სახელმწიფოს, რომელიც საკუთარ მრავალფეროვან იდენტობასა და ოსმალურ მემკვიდრეობას საგარეო პოლიტიკის რესურსად იყენებს.

ამ გლობალური და რეგიონული ხედვის პრაქტიკული გამოვლენა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა სამხრეთ კავკასიაში - სივრცეში, რომელიც თურქეთისთვის ერთდროულად წარმოადგენს ისტორიულ, გეოპოლიტიკურ და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რეგიონს.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი გეოპოლიტიკური კონტექსტით ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური რეგიონია ევრაზიის ფართო სივრცეში, სადაც ადგილობრივი და გარე ძალების ინტერესები მრავალხმრივად იკვეთება. რეგიონს ისტორიულად ახასიათებდა სხვადასხვა იმპერიების, კულტურების და უსაფრთხოების არქიტექტურების კონკურენცია - ოსმალური და ირანული გავლენებიდან საბჭოთა ბატონობამდე და მისი დაშლის შემდგომი ძალაუფლების ვაკუუმამდე. ეს ისტორიული გარემოქმნის წინაპირობას იმისთვის, რომ, სამხრეთ კავკასიის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები განიხილებოდეს ფართო რეგიონულ და გლობალურ პროცესებთან კავშირში.

1991 წლის შემდეგ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობამ, ასევე ეთნიკური კონფლიქტების, ენერგეტიკული მარშრუტებისა და გეოპოლიტიკური ორიენტაციების მზარდმა მნიშვნელობამ სამხრეთ კავკასია აქცია სტრატეგიულ სივრცედ რუსეთის, თურქეთის, ირანის, ევროკავშირისა და აშშ-ისთვის. ამ მრავალპოლარულ გარემოში თითოეული აქტორი საკუთარ ინტერესებს ეკონომიკური, პოლიტიკური და

სამხედრო ინსტრუმენტების მეშვეობით ახორციელებდა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოკვეთილია თურქეთის როლი.

სამხრეთ კავკასიაში თურქეთი საქართველოსთვის წარმოადგენს სტრატეგიულ ეკონომიკურ პარტნიორს და დასავლური ინტეგრაციის მხარდამჭერს, აზერბაიჯანისთვის - სამხედრო და პოლიტიკურ მოკავშირეს, ხოლო სომხეთისთვის - ისტორიული დაძაბულობით დატვირთულ მეზობელს. ამ კონტექსტში საქართველო-თურქეთის ურთიერთობები რეგიონული გეოპოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად ყალიბდება, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა პერიოდში, როცა თურქეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც თბილისთან დიპლომატიური და სტრატეგიული პარტნიორობა ჩამოაყალიბა. „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში დაიწყო ახალი ეტაპი. კერძოდ, 1992 წლის 30 ივლისს ორმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულებას“, რომლითაც დაიწყო სრულიად ახალი პერიოდი ორი ქვეყნის ცხოვრებაში“ (მაკარაძე, 2019:95). გეოგრაფიული მდებარეობა და ენერგეტიკული ტრანზიტი საქართველო-თურქეთის ურთიერთობას განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოსთვის თურქეთი არის დასავლეთთან ინტეგრაციის და უსაფრთხოების მთავარი პარტნიორი, სოლო თურქეთისთვის - შავი ზღვისა და კასპიის ენერგეტიკული დერეფნის საკვანძო ქვეყანა. ამავე დროს რეგიონული დინამიკა და გარე ძალების ინტერესები ამ ურთიერთობებს ერთდროულად შესაძლებლობად და გამოწვევად აქცევს. თურქეთზე მაღალი სავაჭრო და ინვესტიციური დამოკიდებულება საქართველოსთვის ქმნის სისტემურ რისკებს და ზრდის პოლიტიკური გავლენის შესაძლო ზეწოლას, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც ანკარისა და თბილისის ინტერე-

სები იკვეთება ან განსხვავდება. ეს გარემოება საქართველოს მუდმივად აიძულებს შეინარჩუნოს ინტერესტა ფრთხილი ბალანსი რეგიონული დამაბულობის პირობებში.

ერთ-ერთი ყველაზე რთული და ისტორიულად დატვირთული მიმართულება სამხრეთ კავკასიის რეგიონში არის სომხეთ-თურქეთის ურთიერთობები. მიუხედავად გეოგრაფიული სიახლოვისა არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები: 1993 წელს თურქეთმა სომხეთთან საზღვარი დაკეტა ყარაბაღის პირველი ომის ფონზე აზერბაიჯანის მხარდასაჭერად. ამ ვითარებამ წლების განმავლობაში პრაქტიკულად შეაჩერა პოლიტიკური დიალოგი და მნიშვნელოვნად იმოქმედა რეგიონული სტაბილურობისა და თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების დამაბულობის საფუძველი 1915 წლის მოვლენების ურთიერთგამომრიცხავ ინტერპრეტაციებში მდგომარეობს: სომხეთი მათ გენოციდად აღიარებს, ხოლო თურქეთი უარყოფს ამ შეფასებას და ოსმალეთის იმპერიის და პირველის მსოფლიო ომის სამხედრო-პოლიტიკურ კონტექსტში განიხილავს, რაც ღრმა ნდობის კრიზისს და დიპლომატიური დიალოგის შეფერხებას იწვევს. ამ ისტორიულ წინააღმდეგობას ამდაფრებს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და თურქეთის აქტიური მხარდაჭერა აზერბაიჯანისადმი, განსაკუთრებით 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომის დროს. სომხეთის უსაფრთხოების დამოკიდებულება რუსეთზე და თურქეთის მზარდი როლი რეგიონში ქმნის რთულ გეოპოლიტიკურ კონტექსტს, სადაც უსაფრთხოების ურთიერთობების ნორმალიზაციას ხელს უშლის ისტორიული მეხსიერება, რეგიონული კონკურენცია და პოლიტიკური ნდობის დეფიციტი.

პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის არაერთი მცდელობა განხორციელდა - 1990-იანი წლების ინიც-

იატივებიდან დაწყებული 2008-2009 წლების „ციურიხის პროტოკოლებით“⁵, 2010-იანი წლების ნაწილობრივი დიპლომატიით და 2021 წლიდან დაწყებული განახლებული დიალოგით დასრულებული.

2020 წლის ყარაბაღის მეორე ომმა და რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლილებამ სომხეთი აიძულა გადაეხედა უსაფრთხოების სტრატეგიისთვის, რის შედეგადაც თურქეთთან ურთიერთობის აღდგენა ეკონომიკურ და უსაფრთხოების საჭიროებად იქცა. სომხეთი ცდილობს ტაქტიკურ ნორმალიზაციას - რეგიონული იზოლაციის შემცირებას, სატრანსპორტო და სავაჭრო გზების გახსნას და დიპლომატიური არხების ეტაპობრივად აღდგენას. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი აზერბაიჯანის მხარდაჭერის გამო სომხეთისთვის უსაფრთხოების პრობლემატურ აქტორად რჩება, იგი ამავე დროს გეოსტრატეგიულად, ირიბ პარტნიორად აღიქმება.

თანამედროვე რეგიონულ პოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და სიღრმისეული სტრატეგიული ალიანსი აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობებია. მისი საფუძველია ეთნოლინგვისტური სიახლოვე, უსაფრთხოების ინტერესების თანხვედრა და ენერგეტიკული თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრივი ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა, მათი ისტორიული და კულტურული ფესვები გაცილებით ადრე იღებს სათავეს. 1991 წელს თურქეთმა ერთ-ერთმა პირველმა აღიარა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, რამაც სწრაფად დააფუძნა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პარტნიორობა. „ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებიდან, როცა აშშ-ს მიერ სამხრეთ კავკასიაში ლობირებულმა ენერგო მარშრუტებმა რეალიზება დაიწყო, თი-

⁵ Protocol on the Establishment of Diplomatic relations between the Republic of Turkey and The Republic of Armenia, Zurich, October, 2009.

თქოს განისაზღვრა აზერბაიჯანის როლი, რომელსაც დღემდე ასრულებს.“ (მანჩხაშვილი, 2018:73) სწორედ ენერგეტიკული პროექტები გახდა თურქეთ-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობის მთავარი საყრდენი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის(BTC) ნავთობსადენი 2006 წლიდან აზერბაიჯანს საშუალებას აძლევს ჩრდილოატლანტიკური ბაზარი რუსეთსა და ირანის გვერდის ავლით დააკავშიროს; ბაქო-თბილისი-ერზერუმის (BTE) გაზსადენი - აზერბაიჯანული გაზის მთავარი ექსპორტული მარშრუტი თურქეთში 2007 წლიდან; ტრანს-ნაციონალური მილსადენი (TANAP Trans-Anatolian Natural Gas Pipeline)- სამხრეთ ევროპის ენერგოსისტემებში აზერბაიჯანის გაძლიერებული ჩართულობის საფუძველია. ამ პროექტებმა შექმნა გეოეკონომიკური ინტეგრაცია, რომელმაც რეგიონში ენერგეტიკული უსაფრთხოების ახალი რელობა ჩამოაყალიბა.

1990-იანი წლებიდან თურქეთი სისტემატურად უწყევს აზერბაიჯანს სამხედრო-ტექნიკურ, ტაქტიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას, რაც გამოიხატება ერთობლივ წვრთნებში, ოფიცერთა გადამზადებასა და ტექნოლოგიურ თანამშრომლობაში. თურქეთმა აზერბაიჯანის მხარე დაიკავა როგორც ყარაღალის პირველ ომში, ასე 2020 წლის მეორე ომის დროს, როდესაც Bayraktar TB 2 ტიპის უპილოტო სისტემებმა და სამხედრო კონსულტაციებმა მნიშვნელოვნად გააძლიერა აზერბაიჯანის ოპერაციული შესაძლებლობები. ომის შემდეგ, 2021 წლის 15 ივნისს, შუშაში გაფორმებული „შუშის დეკლარაციით“⁶ გაფართოვდა ორ ქვეყანას შორის სამხედრო, ეკონომიკური და დიპლომატიური თანამშრომლობა. საერთო იდენტობასა და ინტერესბზე დაფუძნებული ეს მტკიცე ალიანსი მათ საშუალებას აძლევს საერთაშორისო ასპარეზზე ხშირად ერთობლივი პოზიციებით იხელმძღვანელონ, ხოლო „აზერბაიჯანის შემადგენლობაში მყოფ მთ-

⁶ Shusha Declaration on Allied Relations, 2021.

იან ყარაბაღთან დაკავშირებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაწყებული უთანხმოება ამ ქვეყნებთან თურქეთის ურთიერთობაში განმსაზღვრელი ფაქტორია“ (ბერიძე, 2019:85).

ომის შემდგომ პერიოდში აზერბაიჯანი და თურქეთი აქტიურად ცდილობენ დასავლეთ აზერბაიჯანისა და ნახიჩევანის დამაკავშირებელი სატრანსპორტო „ზანგეზურის დერეფნის“ გახსნას, რომელიც ანკარის სტრატეგიულ ინტერესში ჯდება სამხრეთ კავკასიაში სატრანსპორტო დომინაციის გაძლიერების თვალსაზრისით.

აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობა წარმოადგენს უნიკალურ პოლიტიკურ ფენომენს, სადაც ისტორიული იდენტობა, ენერგეტიკული სტრატეგია, სამხედრო-უსაფრთხოების ალიანსი და რეგიონული გავლენისკენ მიმართული საერთო მიზნები ერთიანობაში ქმნიან ერთ-ერთ ყველაზე მდგრად და დინამიურ პარტნიორობას მსოფლიოში. ეს ურთიერთობა გრძელდება გაღრმავების ტენდენციით, რის შედეგადაც სახმრეთ კავკასიის ძალთა ბალანსი სულ უფრო მეტად ფორმირდება ბაქო-ანკარის ერთობლივი სტრატეგიული მოქმედებით.

დასკვნა

ამრიგად, სამხრეთ კავკასიაში თურქეთის ურთიერთობები საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან მრავალგანზომილებიან, ასიმეტრიულ და სტრატეგიულად განსხვავებულ სისტემას წარმოადგენს, რომელიც ისტორიულ მემკვიდრეობასა და თანამედროვე გეოპოლიტიკურ რეალობებს აერთიანებს. მიუხედავად განსხვავებული მიზნებისა თითოეულ მიმართულე-ბაში ეს ურთიერთობები ერთიან რეგიონულ სტრატეგიად ყალიბდება, რომელიც მიზნად ისახავს ანკარის პოზიციების განმტკიცებას როგორც სატრანსპორტო ჰაზის, ენერგეტიკული უსაფრთხოების აქტორისა და რეგიონული უსაფრთხოების გავლენიანი ძალის სახით, აქედან გამომდინარე „თავისი ეკონომიკური

შესაძლებლობებით და უკვე მოქმედი თუ განხორციელებული ენერგეტიკული პროექტებით თურქეთმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში გავლენის გაზრდის რეალური შესაძლებლობები მიიღო“ (კოპალიანი, 2025:218). თურქეთის პოლიტიკა განსხვავებულად ეხებასამივე სახელმწიფოს - საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, თუმცა საბოლოო ჯამში ემსახურება ანკარის რეგიონული გავლენის განმტკიცებას.

პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე ღრმა და ინტიტუციურად გამყარებული თანამშრომლობა თურქეთს აქვს აზერბაიჯანთან. „ერთი ერი-ორი სახელმწიფო“ - საერთო ეთნო-კულტურულ ფუნდამენტზე აღმოცენებული პარტნიორობა გადაიქცა სტრატეგიულ-სამხედრო ალიანსად, განსაკუთრებით 2020 წლის ომის შემდეგ, „შუშის დეკლარაციის“ გაფორმებით დასრულდა თანამშრომლობის ფორმალური ხასიათი და გადაიქცა მტკიცე სამხერო-პოლიტიკურ ალიანსად. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ერთობლივი ქსელი - BTC, BTE, TANAP- თურქეთის პოზიციას ამყარებს როგორც ცენტრალურ ენერგეტიკულ დერეფანს კასპიისა და ევროპის შორის, ხოლო აზერბაიჯანს აძლევს შესაძლებლობას განახორციელოს მრავალვექტორული დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. ამ მხრივ ბაქო-ანკარის ურთიერთობა წარმოადგენს რეგიონული არქიტექტურის ყველაზე მყარ საყრდენს. ამავე დროს „აზერბაიჯანისთვის თურქეთის შერჩევა მთავარ პოლიტიკურ პარტნიორად პრაგმატული და კარგად გათვლილი სვლაა... თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა. ამით აზერბაიჯანი ნატოს სივრცეს უახლოვდება და მასთან პარტნიორულ თანამშრომლობაშია“ (ბერიძე, 2018:95).

საქართველო თურქეთის საგერეო პოლიტიკაში წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ სივრცეს, სადაც თანამშრომლობა აგებულია პრაგმა-

ტულ ინტერესებზე, ეკონომიკურ ინტეგრაციაზე და უსაფრთხოების სფეროში ურთიერთდამოკიდებულებაზე. საქართველო თურქეთისთვის არის ენერგეტიკული დერეფნების გეოგრაფიული არტერია, რაც თბილისს ანიჭებს „სტრატეგიული გამტარის“ ფუნქციას და ამავედროულად აძლიერებს მის დასავლურ ინტეგრაციულ კურსს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ წარმოადგენს ეთნოკულტურულად ან პოლიტიკური იდენტობის თვალსაზრისით ისეთ ახლო პარტნიორს როგორც აზერბაიჯანია, ანკარისა და თბილისის ურთიერთობა გამორჩეულია სტაბილურობითა და ურთიერთსასარგებლო რეალისტური პლატფორმებით.

ყველაზე კომპლექსურ და შეზღუდულ მიმართულებად რჩება სომხეთ-თურქეთის ურთიერთობა, სადაც ისტორიული მეხსიერება, 1915 წლის ამბები, სომხეთ-თურქეთის გართულებული პოლიტიკური დიალოგი და აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტისადმი თურქეთის მკაფიო პოზიციონირება აზერბაიჯანის სასარგებლოდ, ქმნის ხანგრძლივ ბარიერს სრული ნორმალიზაციისთვის. მიუხედავად „ციურიხის პროტოკოლებისა“ და 2021 წლის შემდეგ დაწყებული ახალი ნორმალიზაციის მცდელობებისა, პროცესის პროგრესი უკიდურესად ნელი და პირობითია. თურქეთის დამოკიდებულება სომხეთზე დიდწილად განისაზღვრება ბაქოსთან სტრატეგიული პარტნიორობით, რაც ამ ურთიერთობას აყენებს რეგიონულ, სამხრეთი ურთიერთობის კონფიგურაციის ჩარჩოში, სადაც სომხეთი რჩება შეზღუდული გეოპოლიტიკური შესაძლებლობების მქონე აქტორად.

საერთო ჯამში, თურქეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში შეიძლება შეფასდეს, როგორც სტრატეგიული ასიმეტრიის სისტემა, სადაც - აზერბაიჯანი წარმოადგენს ღერძს და სტრატეგიულ „მმას“; საქართველო - ტრანზიტულ პლატფორმას და სტაბილურ პარტნიორს; სომხეთი კი - გართულებულ, მაგრამ პოტენ-

ნციურად გარდამტეხ მიმართულებას, რომლის ნორმალიზაცია დამოკიდებულია რეგიონული ძალთა ბალანსის გარდაქმნაზე.

ამ განსხვავებულ ურთიერთობაზე დაფუძნებული მიდგომა აძლევს თურქეთს შესაძლებლობას ჩამოაყალიბოს რეგიონული გავლენის მრავალმხრივი კონფიგურაცია, რომელიც აერთიანებს ენერგეტიკულ, სამხედრო თანამშრომლობასა და ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას. შედეგად თურქეთი დღითიღე მყარდება როგორც ერთ-ერთი მთავარი გარე ძალა, რომელიც განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიის სტაბილურობისა და სტრატეგიული განვითარების დინამიკას.

თუ თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი გახდება „ნეოსმანისტური“ და ეს იდეოლოგია გაძლიერდება სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე, ის ძალაუფლების აღქმისა და საგარეო პოლიტიკის დამყარების ისეთ ფორმებს წახალისებს, რომლებიც სამხრეთ კავკასიაზე სისტემურ გავლენას მოახდენს და არსებულ ძალთა ბალანსს მნიშვნელოვნად გარდაქმნის.

ნეოსმანიზმის გაძლიერება პირდაპირ აისახება აზერბაიჯანის უსაფრთხოებაზე, რათქმაუნდა გაძლიერდება მისი პოზიცია რეგიონში, თუმცა აზერბაიჯანი გახდება კიდევ უფრო მკვეთრ სტრატეგიულ დამოკიდებულებაში თურქეთზე, რაც მისი სამეზობლო პოლიტიკა და ურთიერთობა ირანთან ან რუსეთთან უფრო მწვავე დაპირისპირებით იქნება გამოხატული, გაიზრდება უსაფრთხოება, მაგრამ შემცირდება სტრატეგიული მანევრის თავისუფლება.

საქართველოსთან მიმართებით ნეოსმანიზმის გაძლიერება შესაძლოა ორმაგი შედეგით განისაზღვროს: დადებითი და უარყოფითი. უსაფრთხოება სტაბილური ტრანზიტული ფასით, ასევე ზეწოლის ზრდა - თურქეთი კიდევ უფრო მეტად დაინტერესდება სააქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით, ვინაიდან საქართველო რჩება ყველა ენერგეტიკ-

ული და სატრანსპორტო პროექტის მთავარ გამტარ სივრცედ. გაძლიერდება ეკონომიკური ჩართულობა, თბილისი კიდეც უფრო მნიშვნელოვან რეგიონულ ჰაბად გადაიქცევა. დადებით გავლენებთან ერთად არსებობს რისკებიც, კერძოდ, საქართველოს მოუწევს უფრო მკვეთრად აირჩიოს დასავლეთსა და თურქეთს შორის ძალთა ბალანსი, რადგან ანკარის მზარდი თვითდამკვიდრება რეგიონში მას მისცემს მეტი ზეწოლის ბერკეტს; ქართული პოლიტიკა გარკვეული დროის განმავლობაში გეოპოლიტიკური კონტექსტის „დამოუკიდებელი ცვლადიდან“ უფრო მეტად „დამოკიდებულ ცვლადად“ გადაიქცევა, რადგან სატრანზიტო სტატუსს მოჰყვება საგარეო-პოლიტიკური არჩევანის შეზღუდვა. ნეოსმანიზმის ზრდამ შეიძლება კულტურულ-იდეოლოგიური გავლენის გაფართოებაც გამოიწვიოს, რაც საქართველოს საზოგადოებრივ დღის წესრიგში ახალი პოლარიზაციის დერძებს შექმნის.

სომხეთი არის ქვეყანა რომლის უსაფრთხოებასაც ნეოსმანიზმი უარყოფითად ყველაზე მეტად შეეხება. თურქეთის პოლიტიკა კიდეც უფრო მკვეთრად იქნება მიბმული აზერბაიჯანთან კოორდინაციაზე, რაც სომხეთის სტრატეგიულ პოზიციას სუსტი წერტილის დონემდე დააქვეითებს. 1915 წლის ისტორიული მეხსიერების ფონზე თურქული იდეოლოგიის გაძლიერება სომხურ საზოგადოებაში უსაფრთხოების ფსიქოლოგიურ კრიზისს გააღრმავებს. სომხეთისთვის არსებობს მხოლოდ ერთი შედარებით მსუბუქი ვარიანტი: თუ თურქეთი ნეოსმანიტურ დისკურსს ჩართავს ნორმალიზაციის პროცესში, როგორც საკუთარი რეგიონული მოწინავე როლის დემონსტრირების საშუალებას, შესაძლოა გარკვეული პრაგმატული გახსნაც გაჩნდეს, თუმცა ეს სცენარი ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ანკარა ერევნის მიმართ პოლიტიკას აზერბაიჯანთან კოორდინაციაში გამართავს.

საერთო რეგიონული თვალსაზრისით თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ნეოსმანური იდეოლოგიის შესაძლო გაძლიერება სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების არქიტექტურას გახდის უფრო პოლარიზებულს, უფრო დამოკიდებულს თურქულ-აზერბაიჯანულ ბლოკზე, იქნება ფოკუსირებული სატრანსპორტო და სამხედრო დერეფნების კონტროლზე, და გაიზრდება დამოკიდებულება ანკარის პოლიტიკური ნარატივის ტემპზე, რაც მოიტანს თურქულ-აზერბაიჯანულ ერთობლივ ძალაუფლების ცენტრს, საქართველო გახდება სტაბილურობის აუცილებელი, მაგრამ მოწყვლადი რგოლი, სომხეთი კიდევ უფრო იზოლირებული უსაფრთხოების მუდმივი სტრესის რეჟიმში.

ამრიგად, ნეოსმანიზმის გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში გამოიწვევს მულტილატერალური უსაფრთხოების მოდელიდან უფრო მკვეთრად ბლოკურ, ასიმეტრიულ და პოლიტიკურ ზეგავლენის პირამიდებზე აგებულ სისტემაზე გადასვლას, სადაც ანკარის როლი იქნება დომინანტური, ხოლო რეგიონის ქვეყნები სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებულებაში. ნეოსმანიზმის შესაძლო დამკვიდრება თურქეთის საგარეო პოლიტიკის კუთხით სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების არქიტექტურაზე მოახდენს როგორც სტაბილიზაციის, ასევე დესტაბილიზაციის პოტენციალის მქონე გავლენას. თურქეთის ეკონომიკური და სამხედრო ძალის ზრდა რეგიონს მისცემს განვითარების შესაძლებლობებს, თუმცა პარალელურად გააჩენს ახალ გეოპოლიტიკურ დამაბულობას. მომავალში რეგიონული უსაფრთხოება დამოკიდებული იქნება ანკარას, მოსკოვსა და ბრიუსელს შორის ძალთა დინამიკის ცვლილებაზე, ასევე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უნარზე მოახდინონ სტრატეგიული ინტერესების დაბალანსება. ჯამში „თურქეთის მოვლენებმა, XXI საუკუნის პირველი ათწლეულის ჩათვლით, გვაჩვენა, რომ ქვეყანა ყალიბდება ძლიერ სახელმწიფოდ, რაც გვადლოებს დასკვნის საშუალებას, რომ შემდგომშიც

ის ხელიდან არ გაუშვებს მოპოვებულ წარმატებას და გააქტიურებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას“ (მაკარაძე, 2019:29).

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერიძე, ზ. (2018). თურქეთ-აზერბაიჯანის სტრატეგიული ურთიერთობები და საქართველო, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტომი I. <https://doi.org/10.61671/hos.1.2018.2809>. <https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/2809>;

ბერიძე, ზ. (2019). მთიანი ყარაბაღის პრობლემა, როგორც თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის განმსაზღვრავი ფაქტორი, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, II, <https://doi.org/10.61671/hos.2.2019.2779>. <https://hos.openjournals.ge/index/hos/article/view/2779>;

გაჩეჩილაძე, რ. (2019). ახლო აღმოსავლეთი, ტ. II, თბილისი;

კოპალიანი, ნ. (2025). თურქეთის როლის გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში პოსტსაბჭოთა პერიოდში, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტომი VIII, ნომერი I, <https://doi.org/10.61671/hos.8.2025.9087>. <https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/9087>;

მაკარაძე, ზ. (2019). თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების თანამედროვე გამოწვევები, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტომი II, <https://doi.org/10.61671/hos.2.2019.2780>. <https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/2780>;

მაკარაძე, ე. (2019). კულტურათაშორის დიალოგისა და ეროვნული იდენტობის საკითხები თანამედროვე თურქეთში, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტომი II, <https://doi.org/10.61671/hos>.

2.2019.2775.<https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/2775>;

მანჩხაშვილი, მ. (2018). რუსეთი და სამხრეთ კავკასია, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტომი I, <https://doi.org/10.61671/hos.1.2018.2808>.<https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/2808>;

მაჩიტაძე, ე. (2024). თურქეთის საგარეო პოლიტიკა თურგუთ ოზალის მმართველობის პერიოდში, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტომი VII, ნომერი 2. <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.8277>. <https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/8277>;

Davutoğlu, A. (2001). Stratejik Derinlik, Ankara;

Landau, J. (1995). Pan-Turkism: From Iredentism to Cooperation, Indiana University press;

Sengupta, A. (2014). Myth and Rhetoric of the Turkish model (Exploring Developmental Alternatives), London:Springer;

Menderes, Ç. (2019). The Politics of Neo-Ottomanism in Turkey, Middle East Review;



HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES
ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა

**The 8th Ottoman Kilise Defter concerning the Georgian
Faithful and Georgian Churches and Monasteries⁷**

Mirian Makharadze

Doctor of History, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
Georgia. 0179. Tbilisi. I. Chavchavadze Avenue N1.
+995599943993. mirian.makharadze@tsu.ge
ORCID: 0000-0003-1931-0570

Abstract

The Ottoman Kilise Defters consist of 10 volumes, of which volumes 8, 9, and 10 concern the administration and governance of the churches and monasteries of Jerusalem, as well as the regulation of relations among different confessions. In addition to the above-mentioned registers, another kilise defters concerning Jerusalem is preserved in the archives of the Topkapı Museum, catalogued as TS.MA. d. 7016, which also contains documents of a similar type.

The eighth kilise defters measures 17.5 × 42.0 × 1.0 cm. The front cover is made of burgundy-colored leather, worn in several

⁷ (This research [grant number He -21-103] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

places. The pages and the text are well preserved, though some pages have come loose. It has no outer cover. On the front cover, the Ottoman inscription “قمامة دفتری” appears, along with two dates: Shawwāl of the year 860 (2–30 September 1456) and Rabī‘ al-Awwal of the year 1071 (4 November–3 December 1660). In Latinized Turkish it is labeled "Kilise Defteri No. 8".

The first page is unnumbered. Numbering begins on the following page, from 1 through 41, making a total of 42 pages, of which pages 3, 4, 15–21, and 36–39 are blank. The collection contains 18 entries, and information about Georgians in the eighth ecclesiastical register appears in documents 2, 3, 4, 5, 6, 7, and 8.

From the documents contained in the Ottoman ecclesiastical registers it becomes clear that the Georgian Church in Jerusalem had lost its independence. It fell completely under the authority of the Greek Orthodox Patriarchate of Jerusalem. Georgians no longer took part in disputes concerning Georgian property, although the Church of St. James and the Monastery of the Holy Cross still retained the designation “Georgian churches and monasteries.”

Keywords: Georgia, Ottoman Empire, ecclesiastical register, Jerusalem.

Introduction

In the city of Istanbul, within the Ottoman Archives of the Directorate of the Presidential State Archives of the Republic of Turkey, nearly 150 million documents of various types are preserved. As in other empires, great importance was attached to chancery work-document production-within the Ottoman Empire. Documents were created for various purposes: to record and describe facts or events, to carry out administrative governance, to grant and regulate conditional

land holdings, to collect taxes, and for many other functions. For centuries, the Ottoman authorities paid exceptional attention to the preservation and protection of documents. This is why the archives and libraries of the Republic of Turkey are so rich in historical sources and records (Makharadze, Shashikadze, Kashia, 2022: 13).

The Ottoman Archive consists of 33 collections, which include hundreds of sub-collections. The ecclesiastical registers of interest to us are held within the Bab-ı Asafi collection, which comprises 90 sub-collections, including the sub-collection of Kilise Defterleri (A.(DV-NS.KLS.d/ Bab-ı Asafi Divan-ı Hümayun Sicilleri Kilise Defterleri).

The Ottoman Kilise Defterleri consist of 10 volumes, of which volumes 8, 9, and 10 deal with the administration and governance of churches and monasteries in Jerusalem, as well as the management of relations between different confessions. In addition to the aforementioned registers, another ecclesiastical register concerning Jerusalem is preserved in the Topkapı Museum archives, catalogued as TS.MA.d. 7016, which also contains documents of a similar nature.

Methods

In the present study, historical research and comparative analysis methods were employed. The historical sources and scholarly literature related to the topic under investigation were critically analyzed, as their examination and comparison are essential for an accurate and objective assessment of the events.

Results

The research revealed that, according to the Ottoman ecclesiastical registers, the Georgian Church lost its independence in Jerusalem. It came entirely under the authority of the Greek Orthodox Patriarchate of Jerusalem. Georgians no longer participated in disputes over Georgian property; however, the Church of St. Jakobs

and the Monastery of the Jvari retained the designation “Georgian churches and monasteries.”

Discussion

Brief Overview of the Registers

The Kilise Defter from the Topkapı Museum Archives measures 17.5 × 41.5 cm. On the inner side of the cover is the tughra of Abdulhamid I: "**Abdulhamid Khan, son of Ahmed Khan, always victorious [year 1187]**" (TS.MA.d.7016). The register consists of 44 pages, of which pages 1–22 are numbered. The text is transmitted across 24 pages. Pages 1a, 1b, 3b, 4a–b, 5a, 9a, and 16a–22b are blank. All pages containing entries are surrounded by a decorative frame. Based on the decree of Hijri 1152 (10 April 1749 – 29 March 1750), it can be assumed that the Greeks submitted 12 documents to the Ottoman imperial court, with a chronological scope from Hijri 15 to 1099 (636–1688 AD). Based on these documents, on 13–18 February 1740, two registry books were created: Kilise Defters 8 and 10. From the Greek inscriptions, it can be inferred that the 8th Kilise Defter was intended for the Greek Patriarchate and remained with them until the period of Mahmud II. Later, a copy was created and preserved in the Topkapı Archives. Subsequently, the 9th Kilise Defter was compiled for the Ottoman imperial chancery, which was periodically updated and corrected with annotations. These updates and corrections were based not only on the above-mentioned ecclesiastical registers but also on the Muhimme registry and other decrees, a process that continued until 1913.

The 9th kilise defter measures 14.3 × 38.7 × 1.9 cm. On the label of the outer cover, the Ottoman inscription “Kumâme Defteri” (Register of the Church of the Holy Sepulchre) appears, with the starting year noted as Hijri 862. It also bears the number 9, indicating that it is

the ninth Kilise Defter. The outer cover is decorated with gold-colored ornaments (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-1). The collection consists of 204 pages, numbered from 1 to 200. Pages 1 and 2 were originally blank and were filled in later. These same pages contain two annotations dated to Hijri 1022 (1613) and 1257 (1842). Both notes were written by the same person, with the first entered in 1851 (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-3). It is noteworthy that the pages numbered 1–95 are thicker than pages 96 and 97, and these in turn are thicker than pages 98–198. This indicates that the register was supplemented, revised, and expanded with additional pages at different periods. On page 3 of the collection appears the date Rabī‘ al-Awwal 1152 (8 June – 7 July 1739). This date is written in different ink, suggesting that it was added later (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-4). This page is copied from the 8th register, where the date 15 Dhū al-Qa‘da 1152 / 13 February 1740 is recorded (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-3). The collection contains 112 entries. Its chronological scope covers Hijri 15–1331 (636–1913 AD). It is written primarily in divan script, although examples of rika and naskh scripts also appear. The volume was compiled by several different scribes. The Mühimme registers were also used, and decrees were copied from them into the collection.

The 10th Kilise Defter measures 19.3 × 43.6 × 1.6 cm. On the burgundy-colored leather cover appears the Ottoman inscription: “Kamâme Defteri, min-evâhiri Rebîülevvel sene-i hicret 15, ilâ-evâili Cumâdelâhir sene 1099” (“Register of the Church of the Holy Sepulchre, from the end of Rabī‘ al-Awwal of Hijri year 15 to the beginning of Jumādā al-Ākhirah of Hijri year 1099” — corresponding to 25 January–13 April 1688). The cover also bears a modern Turkish label: Kilise Defteri No. 10. The volume consists of 94 pages, of which only 20 pages contain text. Pages 1, 3, 4, 15–28, and 38–94 are blank. On page 5, which contains the decree of Caliph ‘Umar, the text is placed

within a gold-colored (shiny) frame (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-5). No other pages exhibit such decoration. The sequence in which the documents were copied from the original registers is preserved, though at one point, after a decree dated Hijri 1068 (1657) (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-9), 14 pages are left blank, and the next document is a decree from Hijri 1047 (1637). At the bottom of the page appears the date of compilation: 15 Dhū al-Qa‘da 1152 (13 February 1740) (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-4). This page differs in form and structure from the ones that follow, allowing us to conclude that it was inserted into the collection later and represents not a copy but an original draft (Ünal, 2019: 35). Variations in ink color and the influence of the rika script indicate that the register was not copied at one time; rather, it was corrected through comparison with the original documents. The 10th Kilise Defter contains 13 documents (entries, decrees). Almost all are written in divan script, with only a few in naskh. The chronological span covers Hijri 15–1099 (636–1688). It may be said that, except for page 2, all documents were copied at the same time. The collection was compiled between 15–20 Dhū al-Qa‘da 1152 (13–18 February 1740).

The Eighth Kilise Defter

The collection measures 17.5 × 42.0 × 1.0 cm. The front cover is made of burgundy-colored leather, worn in several places. The pages and the text are well preserved, though some pages have become detached. The register has no outer cover. On the front cover is the Ottoman inscription “قمامة دفتری”, along with two dates: Shawwal 860 (2–30 September 1456) and Rabi‘ al-Awwal 1071 (4 November–3 December 1660). In Latin-script Turkish it reads “Kilise Defteri No. 8.” The first page is unnumbered; numbering begins on the next page, running from 1 to 41, for a total of 42 pages. Pages 3, 4, 15–21, and 36–39 are blank.

Pages 1, 2, and 5 contain text framed within gold-colored (shiny) borders (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-3; g-4). No other pages contain such decoration. The date appears on the first page, outside the frame, in the lower-left corner: 15 Dhū al-Qa‘da 1152 (13 February 1740) (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-3). On the second page there is an informational note about the collection, with three or four lines intentionally left blank. This space was reserved for the insertion of a “ṣahḥ”, which served to confirm the authenticity of the register. Once the “ṣahḥ” was added, the book—despite being a copy—was regarded as an original. The word “ṣahḥ” attests that the document is correct and carries the authority of an original.

On page 40 a text is affixed (pasted), which states that the qadi of Jerusalem had his mandate renewed, dated 1223 (1808). On this same page appear the seals of various offices confirming the decree (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-17). The final page, page 41, contains five lines intended for the Greek Orthodox Patriarch (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-18). In the decree of Mehmed II found in the register, the year was originally written as 862 (19 November 1457 – 7 November 1458). Based on the ink color, it is evident that this date was written at the same time as the text. However, later the number **2** was altered with a dot, producing the year 860 (Ünal, 2019: 35). As in the 10th ecclesiastical register, here too the decree from Hijri 1068 (1657) (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-8) is followed by a decree from 1047 (1637) (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-9), with seven pages left blank between them.

The collection consists of 18 entries, written predominantly in divan script, with only a few sections in naskh. The chronological range of the documents spans Hijri 15–1223 (636–1808). Variations in ink color and thickness, as well as differences in calligraphy and style, suggest that the register was written by several different scribes. As

noted earlier, based on the decree of Hijri 1152, it is possible that the Greeks presented 12 documents to the Ottoman imperial court, covering the years Hijri 15–1099 (636–1688). On the basis of these documents, two registry books— Kilise Defter 8 and 10—were compiled between 13–18 February 1740. Greek marginal notes indicate that the 8th Kilise Defter was intended for the Greek Patriarchate, where it was kept until the period of Mahmud II.

Information about Georgians in the 8th Ecclesiastical Register is found in Documents 2, 3, 4, 5, 6, 7, and 8. Document 2 concerns the **shawmāla** of Caliph ‘Umar regarding the Christians living in Jerusalem, including the Georgians. The translation of this document, along with commentary and analysis, was published in 2018 by Professor Gocha Djaparidze (Djaparidze, 2018: 151–153). Therefore, we will not dwell on it here, especially since the document does not pertain to the Ottoman period in Jerusalem.

The third document in the register is dated Hijri 862 (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-4), which corresponds to the reign of Sultan Mehmed II in the Ottoman Empire. It is noteworthy that this document is also recorded in the 9th (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-6) and 10th (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-6) Kilise Defters, as well as in the Topkapı Archive register (TS.MA.d. 7016, GB5A1833-2 kopya).

According to the document, following the conquest of Constantinople, the Patriarch of Jerusalem, Athanasius, like other rulers and leaders, presented himself to the Ottoman Sultan, bowed, and declared that the churches and monasteries in Jerusalem, from the time of Caliph ‘Umar onward, belonged to the Greek Patriarchate of Jerusalem. Among the various places of worship mentioned in the document, the Georgian Monastery of St. Jacobs is also listed. It is important to note that at this period Jerusalem was under the Mamluk rule, which makes it somewhat doubtful that the Patriarch of Jeru-

salem would have received the right to govern the churches and monasteries in Jerusalem directly from the Ottomans. However, it should be emphasized that at this time the Patriarch of Jerusalem was in exile in Constantinople, and his meeting with Mehmed II was a political maneuver coordinated with the Patriarch of Constantinople (Makharadze).

In 1512, Selim I ascended the throne of the Ottoman Empire, during which the Mamluk Sultanate in Egypt was abolished. Jerusalem came under Ottoman control, and consequently, the Greek Orthodox Patriarch of Jerusalem addressed the Ottoman Sultan, the ruler of Jerusalem, to confirm the churches and monasteries. This petition is recorded in the 4th document of the 8th Kilise Defter (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-5). Similar documents are preserved in the 9th (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-7), 10th (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-6), and Topkapı archival registers (TS.MA.d. 7016, GB5A1833-2 kopya). It is noteworthy that in Document 4, the list of churches and monasteries is more complete than in Document 3. Alongside other churches and monasteries, Selim I confirmed to the Greek Patriarch the Georgian Monastery of St. Jacobs and the Monastery of the Djvari (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-5). During the final years of Mamluk rule, the leadership of the Orthodox faithful was held by local, non-Greek representatives. Nevertheless, the Georgian community represented a distinct group and was responsible for defending its rights not only against Muslims but also against Armenians, Franks, and even the Greek Orthodox community. A clear example of this is the activity of Beena Cholokashvili in the Holy Land (Djaparidze, 2011: 83–183). It should be noted that after the Ottoman conquest of the Holy Land, the Greek Orthodox Church benefited the most. It demanded from the Ottoman Sultan the confirmation of all churches, including the Georgian churches. According to Ts. Abuladze, the Georgian comm-

unity retained privileges in the Holy Land for some time. In Suleiman the Magnificent's law on the Pilgrimage to the Holy Sepulchre, it is stated that pilgrims visiting the Church of the Resurrection did not pay taxes only if they were Georgians or Ethiopians (Abuladze, 2011: 374). However, the document explicitly states that the leader of all communities is the Orthodox Patriarch, and all their property belongs to him: "...and other churches and monasteries, and the Georgian, Ethiopian, Serbian, and other communities under the Patriarch, and their metropolitans and priests, and the property left by deceased metropolitans, bishops, and priests (belongs to the Patriarch)" (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-5).

The fifth document was issued in 1526 by Sultan Suleiman I, stating that he confirmed to the Greek Patriarch Germanus the properties that had been approved during the reign of his father, Selim I (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-5). This document is also preserved in the 9th (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-8), 10th (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-7), and Topkapı ecclesiastical registers (TS.MA.d. 7016, GB5A1834-2 kopya). According to the document, the Georgian Monastery of St. Jacobs and the Monastery of the Jvari of the Georgians and Mingrelians are under the authority of the Greek Patriarchate. It is noteworthy that the term "Mingrelians" appears only in this part of the ecclesiastical register.

The sixth document concerns the conflict between the Orthodox Patriarch and the Armenians (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-5). Like the previous documents, it is also preserved in the 9th (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-9), 10th (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-7, g-8), and Topkapı ecclesiastical registers (TS.MA.d. 7016, GB5A1834-2 kopya). The document states that the Patriarch of Jerusalem sent a letter to Sultan Murad IV, stating: "Since the conquest, all pilgrims coming to the Church of the Resurrection for worship or to venerate the Holy

Fire—from all directions, whether Armenian, Georgian, Frankish, Ethiopian, non-believers, or other Christian nations—have requested permission from the Orthodox Patriarch to conduct the reading of the Gospel and the litany in the lower and upper sections of the church and in front of the gate.” However, an Armenian named Gorgori, coming from the territory of Iran, obtained the relevant hujjet (official decree) through monetary influence and thereby placed themselves above the Orthodox faithful and the Patriarch. According to the document, in the Church of the Resurrection, they conducted the Divine Fire ceremony and liturgies in various locations without a leader, through oppression and humiliation, and in sin, using money as leverage. A court was convened, during which all parties presented their hujjehs. The court ruled in favor of the Greeks, after which Sultan Murad IV issued a decree: “Based on the above, all privileges for worship and prayer in the Church of the Resurrection—including reading the Gospel at the gate, conducting services in the upper and lower sections, nightly incense burning, and transferring the fire to candles every Friday evening—shall belong to the Orthodox faithful and Patriarch. Armenians, other peoples, Franks, Georgians, Ethiopians, and all other nations shall not interfere with the Orthodox faithful, the Patriarch, or any related rites.” The Georgians consistently sought to negotiate with the Ottomans and secure rights over their churches, a fact clearly demonstrated by the negotiations between the King of Kakheti and Lala Mustafa Pasha (Makharadze, Shashikadze, 2022: 133–146).

The seventh and eighth documents correspond to the reign of Sultan Mehmed IV and are dated 1657. They also concern the conflict between the Greek Patriarch and the Armenians (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-7, g-8). These documents are preserved in the 9th (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-10, g-11), 10th (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-8, g-

9), and Topkapı ecclesiastical registers (TS.MA.d. 7016, GB5A1834-2 kopya, GB5A1836-2 kopya). In the seventh document, the Patriarch requests the Sultan to confirm the churches and monasteries, among which the Georgian Monastery of St. Jacobs is mentioned. It is stated that: “The worship places and waqfs (ecclesiastical properties) of the Georgians, Ethiopians, Syrians, and Copts under the authority of the Patriarch have belonged to the Orthodox faithful and their Patriarch since the conquest of the holy city by Umar—may Allah be pleased. To confirm this, the Kufic decree and Ahid-names (books of privileges) were issued by the predecessors of the Sultan, by the will of God, by Sultan Selim Khan and Sultan Suleiman Khan. The Church of the Resurrection and its subordinate worship places, as well as the Orthodox faithful including Georgians, Ethiopians, Syrians, and Copts, are under the authority of the Orthodox Patriarch. Armenians, Franks, and other nations have no right to interfere or obstruct their activities.” However, the eighth document shows that the Armenians did not comply. With the help of Hussein, governor of the Gaza sanjak, the Armenians seized the Holy Georgian Monastery of St. Jacobs with its vineyards and storerooms, the iron doors of Bethlehem and their keys, as well as the Ethiopians’ waqf rooms and vineyards. These places were taken by the Armenians, who committed injustice and violence. As a result, the Greek Patriarch requested: “By the supreme decree signed with my happiness and based on the Sharia law, these monasteries, gardens, and properties shall be returned to the Greek community according to their old regulations; the wall erected by the Armenians in the middle of the garden shall be demolished; the keys shall be taken; and in the future, Armenians and other nations shall have no right to interfere, violate, or claim these properties.” Thus, the Sultan issued the following decree: “When this decree reaches you, act according to the regulations listed therein. The afore-

NSKLS.d, d-9, g-8, A{DVNSKLS.d, d-9, g-9, A{DVNSKLS.d, d-9, g-10, A{DVNSKLS.d, d-9, g-11}}. İstanbul, Türkiye.

T.C. Cumhurbaşkanlığı Devlet Arşivleri Başkanlığı. (n.d.). Osmanlı Arşivi, Divan-ı Hümayun Kilise Defterleri, Kilise Defteri 10 [Ottoman Archives, Imperial Council Church Registers, Church Register No. 10]. (A{DVNSKLS.d, d-10, g-4, A{DVNSKLS.d, d-10, g-5, A{DVNSKLS.d, d-10, g-6, A{DVNSKLS.d, d-10, g-7, A{DVNSKLS.d, d-10, g-8, A{DVNSKLS.d, d-10, g-9}}). İstanbul, Türkiye.

Topkapı Sarayı Müzesi Arşivi. (n.d.). Defter fonu, [Register collection]. TS.MA.d. 7016 (GB5A1833-2 kopya; GB5A1834-2 kopya; GB5A1836-2 kopya). İstanbul, Türkiye.

Abuladze, Ts. (2011). The Ottoman law of the survey of the Holy Land. Mravaltavi: Philological-Historical Studies, 19. Tbilisi.

Djafaridze, G. (2011). Beena Cholokashvili in Egypt and the Holy Land in 1512–1514 (The struggle for the holy places). Saistorio Krebuli, 1. Tbilisi.

Djafaridze, G. (2018). Georgian monasteries and monastic community in the Holy Land in the 11th–18th centuries (According to Arabic narrative and documentary sources). Tbilisi.

Makharadze, M. (In preparation). On a church register document dated to the Hijri year 862.

Makharadze, M., & Shashikadze, Z. (2022). King Alexander of Kakheti and the issue of Georgian pilgrimage to Jerusalem. Agmosavletmcodneoba (Oriental Studies), 11. Tbilisi.

Makharadze, M., Shashikadze, Z., & Kashia, A. (2022). Documents preserved in the archives of Turkey concerning Georgia (Vol. 1, Book 1). Tbilisi.

Ünal, U. (Project Director). (2019). Kudüs'te Hristiyan mezhep ve milletlerin idaresi. [The administration of Christian sects and millets in Jerusalem]. İstanbul, Türkiye.



ოსმალური მერვე საეკლესიო დავთარი ქართული
მრევლისა და ქართული ეკლესია-მონასტრების შესახებ⁸

მირიან მახარაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
ქ. თბილისი. ი. ჭავჭავაძის გამზირი N1, 0179, საქართველო.
+995599943993. mirian.makhrade@tsu.ge
ORCID. 0000-0003-1931-0570

ანოტაცია

ოსმალური საეკლესიო დავთრები 10 ტომისაგან შედგება, საიდანაც მე-8, მე-9 და მე-10 ტომები შეეხება იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების მართვა-გამგეობას და სხვადასხვა კონფესიებს შორის მართვა ურთიერთობის მოგვარებას. გარდა ზემოაღნიშნული დავთრებისა იერუსალიმის შესახებ საეკლესიო დავთარი იწინააღმდეგება თოფქაფის მუზეუმის არქივში, რომლის შიფრია TS.MA.d. 7016 და მასშიც მსგავსი ტიპის დოკუმენტებია გაერთიანებული.

მერვე საეკლესიო დავთრის ზომებია 17,5X42,00X1,00 სანტიმეტრია. თავფურცელი ბორდოსფერი ტყავია, რომელიც ადგ-

⁸ კვლევა (გრანტის ნომერი HE-21-103) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ილ-ადგილ გაცვეთილია. ფურცლები და ტექსტი კარგადაა შენახული. ზოგიერთი ფურცელი ამოვარდნილია. გარე ყდა არ აქვს. თავფურცელზე ოსმალურად "فصامة دفترى" და ორი თარიღი აქვს მიწერილი - 860 წლის შევალი (2-30 სექტემბერი 1456) და 1071 წლის რეზულეველი (4/XI-3XII 1660). ლათინური თურქულით აწერია "Kilise Defteri (საეკლესიო დავთარი) No.8". პირველი გვერდი უნომროა. ნუმერაცია იწყება შემდეგი გვერდიდან - 1-დან 41-ის ჩათვლით. სულ 42 გვერდია, აქედან 3, 4, 15-21, 36-39 გვერდები ცარიელია. კრებულში მოთავსებულია 18 ჩანაწერი, საიდანაც ქართველების შესახებ მე-8 საეკლესიო დავთარში ცნობებია გადმოცემული მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 დოკუმენტებში.

ოსმალური საეკლესიო დავთრების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ქართულმა ეკლესიამ იერუსალიმში დამოუკიდებლობა დაკარგა. იგი მთლიანად დაექვემდებარა იერუსალიმის ბერძნულ-მართლმადიდებლურ საპატრიარქოს. ქართველების ქონებაზე დავაში უკვე ქართველები აღარ მონაწილეობენ, თუმცა იაკობის ეკლესიას და ჯვრის მონასტრებს, შერჩათ სახელი „ქართული ეკლესია-მონასტრები“.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ოსმალეთი, საეკლესიო დავთარი, იერუსალიმი.

შესავალი

ქალაქ სტამბოლში, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის საარქივო სამმართველოს ოსმალურ არქივში სხვადასხვა ტიპის 150 მილიონამდე დოკუმენტი ინახება. სხვა იმპერიების მსგავსად, ოსმალეთის იმპერიაშიც უდიდესი ყურადღება ექცეოდა საკანცელარიო საქმეს - დოკუმენტების წარმოებას. ისინი

იქმნებოდა სხვადასხვა მიზნით, იქნებოდა ეს ფაქტების თუ მოვლენების აღწერა-დაფიქსირება, ადმინისტრაციული მმართველობის განხორციელება, სხვადასხვა პირობით მიწის ნაკვეთების გაცემა და მათი კონტროლი, გადასახადების აკრეფა და მრავალი სხვა. ოსმალეთის ხელისუფლება საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დოკუმენტების შენახვასა და გაფრთხილებას. ამიტომაც არის, რომ თურქეთის რესპუბლიკის არქივები და წიგნთსაცავები ასე მდიდარია ისტორიული წყაროებითა და დოკუმენტებით (მახარაძე, შაშიკაძე, კაშია, 2022: 13).

ოსმალური არქივი შედგება 33 ფონდისაგან, რომელშიც გაერთიანებულია ასობით ქვეფონდი. ჩვენთვის საინტერესო საეკლესიო დავთრები მოთავსებულია ბაზი ასაფის ფონდში, რომელშიც გაერთიანებულია 90 ქვეფონდი და მათ შორის საეკლესიო დავთრების ქვეფონდი (A.(DVNS.KLS.d/ Bab-1 Asafi Divan-1 Hümayun Sicilleri Kilise Defterleri).

ოსმალური საეკლესიო დავთრები 10 ტომისაგან შედგება, საიდანაც მე-8, მე-9 და მე-10 ტომები შეეხება იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების მართვა-გამგეობას და სხვადასხვა კონფესიებს შორის მართვა ურთიერთობის მოგვარებას. გარდა ზემოაღნიშნული დავთრებისა იერუსალიმის შესახებ საეკლესიო დავთარი ინახება თოფქაფის მუზეუმის არქივში, რომლის შიფრია TS.MA.d. 7016 და მასშიც მსგავსი ტიპის დოკუმენტებია გაერთიანებული.

მეთოდები

წინამდებარე ნაშრომში მოცემული საკითხის კვლევის დროს გამოყენებული იქნა ისტორიული შემეცნების და შედარებითი ანალიზის მეთოდები; კრიტიკულად არის გაანალიზებული საკვლევ თემასთან დაკავშირებული საისტორიო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, რომელთა გათვალისწინება და

შედარება მნიშვნელოვანია მოვლენათა ზუსტი და ობიექტური შეფასებისათვის.

შედეგები

The Gülhane Hatt-ı Şerif. For a long time, the autonomy of non-Muslim religious communities within the Ottoman Empire was not formally reinforced through legislative measures. The first norma-

⁹ For example, see the treaty of Caliph Umar (634-644) with the Holy City of Jerusalem (Japaridze, 2018: 150-153). According to some authors, Georgians are also mentioned in this treaty (Stefanadze, 2002: 335-382).

tive consolidation of the rights of non-Muslims occurred during the Tanzimat period in the nineteenth century. This period marked the beginning of significant legal reforms and the initial reception of Western European legal principles within the Ottoman legal system. In 1839, a supreme imperial decree issued by the Sultan, known historically as the *Gülhane Hatt-ı Şerif* (the Noble Edict of *Gülhane*), proclaimed the principle of the protection of life, honor, and property for all subjects of the empire, regardless of religious affiliation. The decree also formally declared the principle of equality before the law for all subjects of the Ottoman state (Morgun).

However, the *Gülhane Hatt-ı Şerif* of 1839 did not immediately lead to substantial legal or institutional changes within the empire. Consequently, in 1856 a new reform document, the *Hatt-ı Hümayun*, was adopted in order to further advance and formalize the principles proclaimed in the earlier decree.

Hatt-ı Hümayun. The imperial decree of 1856, known as the *Hatt-ı Hümayun*, expanded and further specified the provisions introduced by the reforms of 1839. This document proclaimed the principle of religious freedom and strengthened the autonomy of non-Muslim religious communities in matters of internal administration. According to the decree, all religious communities were granted the right to establish and operate educational institutions, provided that these institutions functioned under the supervision of the imperial authorities. In regions where only representatives of a single religious denomination resided, members of that community were allowed to practice their religion freely and publicly, without restrictions (Hattı, 2013: Art. 7).

In cities, towns, and villages where the population adhered to the same religion, previously existing restrictions on the restoration of non-Muslim religious buildings, schools, and cemeteries were abo-

lished. These institutions could be restored to their original state. However, the construction of new religious buildings required the approval of the Sultan (Hattı, 2013: Art. 6).

The decree also prohibited the use of discriminatory or offensive language directed at individuals on the basis of religion, language, or ethnic origin. It declared that any assertion that representatives of a particular religion, language, or race were inferior to others should be legally prohibited, both in the actions of private individuals and in the conduct of government authorities (Hattı, 2013: Art. 8).

Mixed courts were established to adjudicate disputes between Muslims and non-Muslims (Hatt-ı Hümayun, 2013: Art. 12). The decree also proclaimed the principle of tax equality between Muslim and non-Muslim subjects (Hattı, 2013: Art. 16). In this regard, the **Hatt-ı Hümayun** sought to formalize the equal legal status of all subjects of the Ottoman Empire, regardless of religious affiliation. Non-Muslims were also granted the right to hold positions in state administration according to their abilities and qualifications (Hattı, 2013: Art. 10).

Furthermore, non-Muslim subjects, like Muslims, were subject to military conscription; however, they were permitted to pay a special tax in lieu of military service (Svanidze, 2007: 312). Some scholars argue that the attempt to equalize the legal rights of Muslim and non-Muslim subjects through this decree constituted a departure from the traditional principles of Ottoman law (Kireev, 2007: 51).

As noted above, the **Hatt-ı Hümayun** of 1856 represented a continuation and further development of the reforms initiated by the **Gülhane Hatt-ı Şerif** of 1839 and formed an integral part of the Tanzimat reform process. However, for a variety of political and social reasons, the provisions of the 1856 decree were not fully implemented in practice and largely remained a formal declaration of imperial intent rather than a fully realized legal reform.

The Constitution of the Ottoman Empire of 1876. The culmination of the reform process aimed at the Europeanization of the Ottoman Empire was the adoption of the Constitution of 1876. Several provisions of this constitution strengthened the legal position of religious minorities within the empire. The constitution declared that all subjects of the state, without distinction, were to be referred to as Ottomans, and that their personal freedom was inviolable and protected by law (Osmaletis, 2022: Art. 3), provided that the exercise of such freedom did not infringe upon the freedom of others (Constitution, 1876: Art. 9). While Islam was proclaimed the state religion, the constitution also guaranteed the protection and free practice of other religions and maintained the existing privileges of religious communities (Osmaletis, 2022: Art. 4). In addition, the constitution proclaimed freedom of the press, the right to establish mutual aid associations, and the equality of all subjects before the law. It also defined certain rights and duties toward the state, including equal access to public offices regardless of religion, the equal distribution of taxes, the protection of property rights, and the inviolability of residence. Furthermore, it established the principle that individuals should be tried before the competent judicial authority determined by law (Osmaletis, 2022: Art. 6).

The constitution also declared Turkish to be the official language of the state (Constitution, 1876: Art. 18). Knowledge of the Turkish language, as well as personal merit, competence, and readiness to serve the state, were established as prerequisites for election to the Ottoman Parliament and for appointment to public office (Konstitucia, 2012: Art. 68(3) and for admission to other public positions (Osmaletis, 2022: Art. 19).

In accordance with the Constitution of 1876, a bicameral National Assembly was established (Constitution, 1876: Art. 42). The up-

per chamber, the Senate, consisted of members and a chairman directly appointed by the Sultan (Constitution, 1876: Art. 60), while the lower chamber – the Chamber of Deputies – was formed through elections. This bicameral parliament began its work in 1877. Of the 32 members of the Senate, 7 were non-Muslims, while in the Chamber of Deputies 46 out of 115 members represented non-Muslim communities, including Greek, Armenian, Jewish, Bulgarian, Serbian, and Arab deputies (Skvoznikov, 2015: 11)¹⁰. The constitutional monarchy established on the basis of the 1876 Constitution proved to be short-lived. In 1878, the parliament was dissolved and the constitution was suspended. Only in 1908, thirty-three years after the suspension of the constitution and the dissolution of parliament, was it possible to restore constitutional governance in the Ottoman Empire and reconvene the parliament. Although amendments were introduced to the constitution following its restoration, these changes did not substantially affect the legal status of the non-Muslim population.

Statute of the Province of Rumelia. Despite the suspension of the constitution, the Ottoman government formally undertook to ensure equality for the religious minorities living within the empire. According to the Treaty of Berlin of 1878, the Ottoman Empire assumed obligations to grant religious minorities a certain degree of self-government and to introduce quotas for their representation in local administrative bodies, as well as in the judiciary, the police, and the gendarmerie (Treaty, 1970). In practice, however, the Ottoman authorities were reluctant to implement the provisions of the Treaty of Berlin. In 1880, European powers decided to assess the extent to which the promised reforms had been implemented. In response, the

¹⁰ According to some researchers, there were 21 Muslim and 5 non-Muslim deputies in the Senate, while in the lower house there were 71 Muslims, 44 Christians and 4 Jews (Kalandarishvili, 2024: 57).

Ottoman government drafted a reform program known as the Statute of the Province of Rumelia. This project envisaged administrative reforms and measures intended to regulate the position of religious minorities in the region. However, the statute was ultimately not approved by the Sultan and therefore never entered into force (Skvoznikov, 2015: 12).

Taxes and Dress as Instruments of Regulation of Non-Muslim Communities. Taxes imposed on non-Muslim populations, as well as regulations concerning their dress, constituted important mechanisms through which the Ottoman authorities regulated relations with non-Muslim subjects. These measures are often interpreted in the historiography as indicators of the subordinate legal and social status of non-Muslims within the empire. Despite the fact that many non-Muslim communities were indigenous inhabitants of territories incorporated into the Ottoman Empire, they were frequently subjected to specific fiscal obligations and social restrictions that distinguished them from the Muslim population. As a result, they were not always regarded as fully equal members of the political community, and their religious difference often entailed additional legal and social burdens (Rudi & Yaman, 2020: 217). Let us touch on some of these taxes and dress codes.

Jizya. Jizya was a compulsory poll tax imposed on non-Muslim subjects within Islamic states. The concept is referenced in the Quran, where it is stated: “Fight those among the People of the Book who do not believe in Allah and the Last Day and who do not forbid what Allah and His Messenger have forbidden, and who do not embrace the religion of truth, until they pay the jizya with their own hands, while they are subdued” (Qurani, 9:29). The payment of jizya defined the legal status of non-Muslims within the Islamic political order and was associated with the guarantee of protection for their life and

property. The tax was generally imposed on male non-Muslims of working age, typically between 14 and 75 years old – although certain categories, such as the elderly, the disabled, the poor, and slaves, were exempt from payment (Ori osmaluri, 2024: 19). From the early period of the formation of the Muslim state, jizya acquired legal significance as a tax connected with the protection and preservation of the lives and property of non-Muslim subjects (Lobzhanidze, 2006: 560; Islami, 1999: 225). In return for paying this tax, non-Muslims were granted the status of protected subjects within the Islamic state. In the event that a non-Muslim converted to Islam, the obligation to pay jizya was abolished. In this respect, some scholars interpret the tax not only as a fiscal obligation but also as a legal mechanism that reinforced the distinction between Muslim and non-Muslim populations within the Islamic legal system.

Jizya. Jizya is a compulsory poll tax imposed on non-Muslims. It is also mentioned in the Quran, where we read: “Fight those among those who have been given the Book who do not believe in Allah and the Last Day, and do not forbid what Allah and His Messenger have forbidden, and do not accept the religion in truth, until they pay the Jizya with their own hands, while they are being humiliated” (Qurani, 2006: Surah 9, verse 29). Jizya establishes the legal status of a non-Muslim, protects and ensures the inviolability of the life and property of the non-Muslim who pays this tax. Jizya is imposed on males between the ages of 14 and 75 (Ori osmaluri, 2024: 19), except for the very elderly, the disabled, the needy, and slaves. “Jizya” acquired legal significance since the formation of the Muslim state and was considered as a tax paid for the redemption, protection, preservation (Lobzhanidze, 2006: 560) and protection (Islami, 1999: 225) of the lives of non-Muslims. In the case of accepting Islam, a non-Muslim was exempted from Jizya, which means that it was a fine imposed for not

recognizing Islam and a kind of coercion to reject one's own religion and recognize Islam.

According to the last sentence of the 29th verse of the 9th chapter of the Quran mentioned above, this tax was to be paid by the non-Muslim in a submissive/humiliating manner. Indeed, the process of collecting the *jizya* was an expression of the humiliation of non-Muslims, their inferiority, and their contemptuous attitude towards them: A non-Muslim paying the *jizya* would hand the tax with an outstretched hand to the tax collector, who was sitting on a raised throne, so that his hand would not be below the payer's hand. After collecting the tax, the payer would be hit in the head with a fist and driven away with a *mujlugun* (Adjaris, 2011: 26). There were cases when the *zimi* were given a *birka* (a signet ring) around their necks, confirming the payment of the tax, and a ring would be placed on their hand (Gelovani, 2024: 643).

Isfenci. *Isfenci* (often rendered as *İспенçe* in Ottoman sources) was a land tax imposed on plots cultivated by non-Muslim subjects in the Ottoman Empire (Ori osmaluri, 2024: 20). This tax was primarily levied on the non-Muslim rural population engaged in agricultural activities. A comparable tax, known as *benak*, was imposed on Muslim landholders. However, the Ottoman taxation system applied different criteria when assessing taxes on Muslim and non-Muslim landowners. In the case of Christian landholders, the assessment of the *isfenci* tax did not generally take into account the size of the landholding or the fertility of the soil. By contrast, when taxes were levied on Muslim landowners, both the size and the productivity of the land were considered. Furthermore, in the taxation of Muslim landholders, factors such as family status could influence the tax assessment, whereas similar considerations were not applied to Christian landowners (Shengelia, 1962: 127). As a result, the amount of tax differed: Muslim lan-

dholders paid between 18 and 22 akçe, while Christian landholders were required to pay approximately 25 akçe (Adjaris, 2011: 35).

Devshirme. Devshirme was a system of recruitment used in the Ottoman Empire, under which boys from Christian communities were periodically conscripted for service to the state. According to this system, approximately every fourth or fifth year, Christian families were required to provide a proportion of male children, typically one out of every five boys between the ages of 8 and 18, to the Ottoman authorities (Islami, 1999: 52). These boys were subsequently placed in the service of the Ottoman state and received training for civil or military roles, particularly within the administrative and military institutions connected to the Sultan's court (Skvoznikov, 2015: 6).

Bastina. Following the Ottoman conquest of Rumelia, local Christian populations were granted a form of land tenure known as bastina. A bastina consisted of plots of land, gardens, and houses that could be inherited within a family. However, unlike Muslim landholders, the holders of bastina did not possess the right to sell, alienate, or exchange this property, since the land itself remained the property of the state. This form of land tenure also existed in the Georgian provinces of the Ottoman Empire. In particular, bastina lands were present in the territory of Chaneti. The local population in this region belonged to the flock of the Greek Orthodox Church, and therefore the same legal regulations that applied to other Greek-inhabited territories of the Ottoman Empire were also implemented there (Ori osmaluri, 2024: 17, 547).

Clothing Regulations. Another aspect of relations between the Ottoman authorities and non-Muslim populations concerned regulations governing clothing. The dress of non-Muslims was regulated through special firmans (imperial decrees) issued by the Sultan and thus fell within the sphere of both administrative and religious regu-

lation. These decrees specified the types of clothing that Christians, Jews, and members of other non-Muslim communities were permitted or required to wear. At different historical periods, various restrictions were imposed on the dress of non-Muslims, often intended to distinguish them visually from the Muslim population.

According to the conditions established for **dhimmis**, they were required to distinguish themselves from Muslims in their clothing, head coverings, footwear, and even in the manner of grooming their hair. They were expected to wear distinctive garments and, in many cases, a special belt or girdle that marked their status (The Status, 2025). Regulations often prescribed specific colors and types of clothing for different non-Muslim communities. In many instances, their clothing was required to be predominantly dark. Christians were required to wear colorful head coverings and red or yellow shoes, while Jewish communities were required to wear garments in black or purple and black shoes. Non-Muslims were also prohibited from wearing expensive fabrics such as silk or fur and from displaying other forms of luxury (Polovinka, 2019). Head coverings also served as visible markers of religious affiliation. Non-Muslims were required to wear a hat (**chachi**) of a designated color rather than a turban, which was traditionally associated with Muslim dress (Svanidze, 1999: 184). Historical sources also indicate that earlier regulations, including those attributed to the ninth century, required **dhimmis** to wear specific identifying garments, such as a yellow hooded cloak and a special leather belt or girdle. Additional restrictions included riding on saddles with wooden stirrups, and in some cases women from **dhimmi** communities were required to wear yellow cloaks when appearing in public (Gelovani, 2024: 270-271) and so on.

Conclusions

The Ottoman Empire, throughout its existence, paid great attention to relations with the non-Muslim population, using a number of legal levers for this purpose: adopting new legal acts based on classical sources of Islamic law ("The Treaty of Medina", "The Quran", etc.), ("The Hati-Sherif of Gulhane", "Hati Humayun", "The Constitution of the Ottoman Empire of 1876", "The Statute of the Province of Rumelia", etc.); creating tribal institutions ("Dhimmi", "Millet system"); imposing special taxes and beggars for non-Muslims ("Jizya", "Isfenji", "Devshirme", etc.); establishing a special style of dress for non-Muslims, etc.

Although the declared purpose of many of these legal acts and institutions was grounded in principles reflected in the hadith attributed to Caliph Ali, according to which non-Muslims accepted Muslim authority in return for the protection of their lives and property (Khapchaev, 2010) the practical implementation of these measures did not always result in the full realization of equal civil rights for all subjects of the empire regardless of religious affiliation. While the legal, political, and theological discourse often acknowledged certain moral and legal obligations toward non-Muslims and formally sought to mitigate discrimination, these measures in practice frequently contributed to strengthening the authority of the Ottoman state while maintaining the unequal position of non-Muslims in comparison with Muslims. This inequality was reflected in both political and socio-economic spheres, including limitations related to land ownership, the regulation of social relations under both Sharia and secular law, and the imposition of heavier fiscal obligations on non-Muslim communities (Shashikadze & Karalidze, 2020: 103), among other factors.

Religious and ethnic minorities were at times subjected to persecution that involved significant violations of the norms formally

prescribed by Islamic law. A notable example is provided by the experience of the Georgian population within the Ottoman Empire. The case of Georgian Christians demonstrates that, despite the formally declared tolerance toward “infidels,” the rights of certain religious minorities were not always effectively protected in practice. In particular, the Orthodox Church, to which most Georgians belonged, was administratively classified within the Ottoman system as part of the Greek (Orthodox) Church. Due to a number of historical and political factors, the Ottoman authorities often adopted a stricter policy toward this ecclesiastical structure (Shashikadze & Karalidze, 2020: 103). Moreover, the Georgian population of the conquered provinces of southern Georgia was subordinated to the Armenian-Gregorian Patriarchate established in Constantinople (Lomsadze, 1979: 25). Evidence of the complex religious situation of Georgian Christians under Ottoman rule can also be seen in the phenomenon of so-called “hidden Christianity.” This institution emerged among Georgian Christians living under Ottoman domination as a means of preserving their religious identity and practicing Orthodox Christianity in circumstances characterized by the predominance of Islamic political authority (Chokharadze, 2020: 245–255; Kazbegi, 1995: 146–147).

The Ottoman tax system, grounded in the principles of Sharia as well as in the discretionary authority of the Sultan, often produced a dual structure of fiscal obligations. Special taxes imposed on non-Muslims, particularly **jizya**, together with the disproportionate burden of certain general taxes, reinforced the subordinate legal and social position of non-Muslim communities. In addition, practices such as unilateral violations of the **dhimmi** agreements, episodes of forced Islamization, and the destruction of churches and monasteries or their conversion into mosques created a social and political environment in which non-Muslims frequently found it difficult to perceive the-

mselves as fully equal members of the imperial community. Within this context, the role of Islam became increasingly significant in the formation of Ottoman, later Turkish, political and cultural identity (Bakuradze, 2020: 4).

Although the Tanzimat reforms and the Constitution of 1876 partially expanded the legal rights of non-Muslims, they did not eliminate the fundamental inequality that persisted between Muslim and non-Muslim subjects. Ultimately, the legal policy of the Ottoman Empire, despite certain measures reflecting a degree of tolerance, exhibited an assimilationist tendency. The gradual weakening of the ethnocultural distinctiveness of non-Muslim populations, apart from some relatively privileged communities such as Greeks, Jews, and Armenians, as well as of non-Turkish Muslim groups, formed part of a broader policy aimed at integrating diverse populations into a unified Ottoman, and later Turkish, political identity. Consequently, many legal sources and institutions that formally sought to regulate and protect the status of non-Muslims simultaneously served the broader interests of the empire and contributed to the gradual assimilation of non-Turkish peoples.

References:

Adjara. (2011). Extensive and Short Notebooks of the Adjara Livy. (Ottoman text, translation, research, comments and photocopies prepared for publication by Zaza Shashikadze and Mirian Makharadze). Tbilisi. (In Georgian).

Bakuradze, S. (2020). From the Ottoman Milletus System to Modern Turkish Identity. <https://regional-dialogue.com/wpcontent/uploads/2020/04/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%>

- 83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97%E1% A 3%E1%83%A0%E1%8 3%A 5%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A 2%E1%83 %9D%E1%83%91%E1%83%90.pdf. Tbilisi. (In Georgian).
- Bardavelidze, N.** (2020). Islamic Military Law. *Methods of Law*, (4). Tbilisi. (In Georgian).
- Gachechiladze, R.** (2018). *The Middle East* (Vol. 1). Tbilisi. (In Georgian).
- Gelovani, N.** (2024). *Sharia: History, Dogmatics, Law*. Tbilisi. (In Georgian).
- Gorgoshadze, M.** (2006). Christ, Christianity and Christians in the Quran. *Religion*, (10–12). Tbilisi. (In Georgian).
- Islam.** (1999). *Islam: Encyclopedic Reference*. Tbilisi. (In Georgian).
- Kalandarishvili, S.** (2024). The reign of Abdulhamid II in 1876–1878. *Herald of Oriental Studies*, 7(2). <https://hos.openjournals.ge/index.php/hos/issue/view/933/456> (In Georgian).
- Kukava, T.** (2000). Some Issues of the Relationship of Islam to Christianity. *Philosophical Explorations*, (4). Tbilisi. (In Georgian).
- Lings, M.** (2016). *The Life of Muhammad*. Istanbul: Erkam Yayınları.
- Lobzhanidze, G.** (2004). The Quran and Christianity. *Sjani*, (5). Tbilisi. (In Georgian).
- Lobzhanidze, G.** (2006). Explanations of the Quran. See, *Quran* (translated from Arabic, with an introductory letter and explanations by Giorgi Lobzhanidze). Tbilisi. (In Georgian).
- Lomsadze, Sh.** (1979). *From the History of Late Medieval Georgia* (Akhaltsikhe Chronicles). Tbilisi. (In Georgian).
- Mahmadi.** (1996). *Mahmadi's Exhortations*. Tbilisi. (In Georgian).

- Two Ottomans.** (2024). Two Ottoman books about Batumi. (Translated from Turkish, introduction, research and comments added by Zaza Shashikadze). Tbilisi. (In Georgian).
- Ottoman.** (2022). Ottoman Constitution of 1876. Justice, (1). Tbilisi. (In Georgian).
- Svanidze, M.** (2007). History of Turkey (1299-2000), Tbilisi. (In Georgian).
- Svanidze, M.** (1999). History of the Ottoman Empire XIV- XVI centuries., Tbilisi. (In Georgian).
- Stepanadze, M.** (2002). The Status of Georgians in the Holy Land According to the Actinames of the 7th Century. Georgian Diplomacy, (9). Tbilisi. (In Georgian).
- Kazbegi, G.** (1995). Three Months in Turkish Georgia. Batumi: Adjara. (In Georgian).
- Quran.** (2006). Quran (translated from Arabic, with an introductory letter and explanations by Giorgi Lobzhanidze). Tbilisi. (In Georgian).
- Shashikadze, Z., & Karalidze, J.** (2020). From the history of Tao. See, Tao. Batumi. (In Georgian).
- Shengelia, N.** (1962). Taxes and Tax System in the 16th Century Ottoman Empire. Proceedings of the Iv. Javakhishvili Institute of History, 6(2). Tbilisi. (In Georgian).
- Chokharadze, M.** (2020). Oral Histories of Crypto-Christianity in the Chorokhi Basin. Yearbook, 12. Kutaisi. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/371091/5/Weliwdeuli_2020_N12.pdf (In Georgian).
- Chanturishvili, P.** (2022). The Status of Christians in Early Islam (Arabic Deeds of Protection). Dissertation submitted for the academic degree of Doctor of History (Ph.D. in History), Tbilisi. (In Georgian).
- Japaridze, G.** (2018). Georgian settlements and monastic communities in the Holy Land in the 11th–18th centuries. Tbilisi. (In Georgian).
- Bayir, D.** (2012). Minorities and nationalism in Turkish law. London.

- Constitution**, (2021). Constitution of Medina. <https://f.hubspotusercontent10.net/hubfs/4713562/Website-Paper-PDFs/Medina%20Paper-Final.pdf>
- Constitution**, (1876). The Ottoman Constitution. <https://www.pfsa.unsa.ba/pf/wp-content/uploads/2019/04/The-Ottoman-Constitution-1876.pdf>
- Gorgoshadze, M., & Putkaradze, N.** (2025). “Dhimmi” and “Millet System” as institutions of legal regulation of non-Muslims in the Ottoman Empire. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 19(3). <http://science.org.ge/bnas/vol-19-3.html>
- Hatti**, (2013). Hatti-humayoun de 1856 (1856). <https://mjp.univ-perp.fr/constit/tr1856.htm>
- Rudi, R., & Yaman, S.** (2020). The rights of non-Muslims in an Islamic state. <https://riset-iaid.net/index.php/istinbath/article/view/28>
- The Status**. (2025). The Status of Non-Muslims Under Muslim Rule <https://sourcebooks.fordham.edu/source/pact-umar.asp>
- Treaty**, (1970). Treaty of Berlin between Great Britain, Austria-Hungary, France, Germany, Italy, Russia and Turkey (1878, July 13). https://ecf.org.il/media_items/1489
- Galiullina, S., & Nureyev, B.** (2015). The Medina Agreement (622) as one of the most important normative documents of Muslim law. *Bulletin of KSU named after N. A. Nekrasov*, (6). Kostr oma. <https://cyberleninka.ru/article/n/medinskoe-soglashenie-622-g-kak-odin-iz-vazhneyshih-normativnyh-dokumentov-musulmanskogo-prava> (In Russian).
- Islam**. (1991). *Islam: Encyclopedic Dictionary*. Moscow: Nauka. (In Russian).
- Kartashyan, A. Z.** (2013). Some aspects of the formation of the millet system in the Ottoman Empire. *Bulletin of Saint - Petersburg University*, (4). Saint - Petersburg. <https://cyberleninka.ru/article/n/neko>

- torye-aspekty-formirovaniya-sistemy-milletov-v-osmanskoy-imperii (In Russian).
- Kireev, N.** (2007). History of Turkey. XX century. Moscow. <https://book.ivran.ru/f/kireev-ng-istoriya-turcii-xx-vek-2007.pdf> (In Russian).
- Konstitucia.** (2012). Konstitucia Ottomanskoi imperii 1876 g. <https://worldconstitutions.ru/?p=565>
- Kuliev, I. O., & Alieva, M. G.** (2012). Tolerance in Islam. Law and matrimony, (1). <https://www.pravoisuspilstvo.org.ua/archive/201212012/06.pdf> (In Russian).
- Morgun, O.** (n.d.). The First Period of Tanzimat: Traditional Society and Reforms. <https://core.ac.uk/reader/46586430> (In Russian).
- Polovinka, L.** (2019). How They Dressed in the Ottoman Empire, <https://dzen.ru/a/XFXqwgmxhwCtEtAd> (In Russian).
- Skvoznikov, A. N.** (2015). Legal status of non-Muslim subjects in the Ottoman Empire in the 16th–19th centuries. Bulletin of the Samara Humanitarian Academy. Law Series, 1–2(17). Samara. <https://cyberleninka.ru/article/n/pravovoe-polozhenie-nemusulmanskikh-poddannyh-v-osmanskoy-imperii-v-xvi-xix-vv/viewer> (In Russian).
- Khapchaev, S. T.** (2010). Legal status of non-Muslims in the Islamic state. Law and education. (2). Moscow. (In Russian).
- Erdogan, O.** (2010). Formation of a Culture of Interreligious Dialogue in the History of Islam (the Medina Agreement). Power, (4). Moscow. (In Russian).



არამუსლიმთა ურთიერთობების სამართლებრივი
რეგულირების ზოგიერთი წყარო ოსმალეთის იმპერიაში

მურმან გორგოშაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველო, ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35

+995551205556. murman.gorgoshadze@bsu.edu.ge

ORCID: 0000-0001-7794-3179

აბსტრაქტი

ოსმალეთის იმპერიაში არამუსლიმებთან ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდებოდა, როგორც კონკრეტული სამართლებრივი აქტების, ისე სამართლებრივი ინსტიტუტების, სპეციალური გადასახადებისა და სხვა მექანიზმების მეშვეობით. ნაშრომში შესწავლილია არამუსლიმებთან და არამუსლიმთა შორის ურთიერთობების მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტები. გაანალიზებულია „მედინის ხელშეკრულების“ როლი ეთნიკურად და რელიგიურად პლურალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძვლების მომზადებაში. აღნიშნულია მუსლიმური სამართლის კლასიკურ წყაროებში არამუსლიმი ქვეშევრდომების მიმართ მეტნაკლებად ლოიალური დამოკიდებულების არსებობა. გაშუქებულია „გუ-

ლჰანეს ჰატი-შერიფი“ და „ჰატი ჰუმაიუნები“, როგორც დოკუმენტები, რომლებმაც კანონმდებლობით განამტკიცეს არამუსლიმთა სარწმუნოებრივი გაერთიანებების ავტონომიურობა და სარწმუნოების მიუხედავად, ოსმალეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომის სიცოცხლის, ღირსებისა და ქონების დაცვის, ასევე კანონის წინაშე გათანაბრების ვალდებულება. განხილულია „1876 წლის ოსმალეთის იმპერიის კონსტიტუცია“ არამუსლიმებთან დამოკიდებულებისა და სამართლებრივ-პოლიტიკური კომპრომისის კონტექსტში. მიმოხილულია „ჯიზიე“, „ისფენჯი“ და „დევირმე“, როგორც არამუსლიმთა მიმართ დადგენილი საგადასახადო სისტემის ელემენტები, აგრეთვე მათი ჩაცმულობისა და ყოფის თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ მიუხედავად აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში დეკლარირებული მიზნებისა, ისინი უპირველესად ოსმალეთის იმპერიის მმართველობის განმტკიცებას ემსახურებოდნენ და არამუსლიმებს მუსლიმებთან შედარებით არათანაბარ პირობებში აყენებდნენ, რაც აისახებოდა კიდევ რელიგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ სფეროებში.

საკვანძო სიტყვები: „მედინის ხელშეკრულება“, „გულჰანეს ჰატი-შერიფი“, „ჰატი ჰუმაიუნები“, „1876 წლის ოსმალეთის იმპერიის კონსტიტუცია“, „რუმელიის ვილაეთის წესდება“, „ჯიზიე“, „ისფენჯი“, „დევირმე“.

შესავალი

ოსმალეთის იმპერია გამოირჩეოდა რთული მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური სოციუმის მართვის უნიკალური მოდელით. იმპერიის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არამუსლიმები შეადგენდნენ, რომელთა ინტეგრაცია სახელმწიფო

სისტემაში, მათი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა წარმოადგენდა იმპერიის სტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას.

ამ ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდებოდა სხვადასხვა წყაროების მეშვეობით. ნაშრომში შესწავლილია არამუსლიმთა ურთიერთობების მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტები. გაანალიზებულია „მედინის ხელშეკრულების“, როგორც ეთნიკურად და რელიგიურად პლურალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძვლის როლი, ასევე მუსლიმური სამართლის კლასიკურ წყაროებში არამუსლიმი ქვეშევრდომების მიმართ დამოკიდებულების საკითხი.

კარდინალური ცვლილებები დაიწყო XIX საუკუნეში, თანზიმათის რეფორმებით. „გულჰანეს ჰატი-შერიფმა“ (1839) და „ჰატი ჰუმაიუნებმა“ (1856) ახალ ეტაპს ჩაუყარეს საფუძველი არამუსლიმებთან ურთიერთობებს, მათ კანონმდებლობით განამტკიცეს არამუსლიმთა სარწმუნოებრივი გაერთიანებების ავტონომიურობა და, დეკლარაციულ დონეზე მაინც, გამოაცხადეს ყველა ქვეშევრდომის გათანაბრება კანონის წინაშე. „1876 წლის ოსმალეთის იმპერიის კონსტიტუცია“ ცდილობდა ამ პრინციპის საყოველთაოდ გამოცხადებას. ნაშრომში სამართლებრივ აქტებთან ერთად, ასევე მიმოხილულია არამუსლიმთა მიმართ დადგენილი საგადასახადო სისტემები – „ჯიზიე“, „ისფენჯი“ და „დევირმე“, აგრეთვე მათი ჩაცმულობისა და ყოფის მარეგულირებელი ნორმები.

იმპერიის მხრიდან არამუსლიმთა მიმართ სამართლებრივ აქტებში დეკლარირებული ლოიალური დამოკიდებულების მიუხედავად, რაც გარკვეული მორალურ-სამართლებრივი ვალდებულებების აღიარება იყო, ოსმალეთის იმპერიის სამართლებრივი პოლიტიკა ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა. რის შედეგადაც, არამუს-

ლიმები მუსლიმებთან შედარებით არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ.

მეთოდები

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-სამართლებრივ, შედარებით-სამართლებრივ, ფორმალურ-დოგმატურ და პოლიტიკურ-სამართლებრივ მეთოდებს. ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდი გამოყენებულია არამუსლიმთა სამართლებრივი სტატუსის ჩამოყალიბებისა და განვითარების დინამიკის გასაანალიზებლად; შედარებით-სამართლებრივი მეთოდით განხორციელდა ოსმალეთის არამუსლიმთა სამართლებრივი სტატუსის შედარება ისლამის კლასიკურ დოქტრინასთან, ასევე, თანზიმთამდე და თანზიმთის შემდგომი ეტაპების შედარებითი ანალიზი; ფორმალურ-დოგმატური მეთოდით გამოკვლეულია სამართლებრივი აქტების ნორმატიული შინაარსი, არამუსლიმთა უფლებებისა და მოვალეობების სამართლებრივი კონსტრუქციები, საგადასახადო და ადმინისტრაციული ნორმების სამართლებრივი ბუნება; პოლიტიკურ-სამართლებრივი მეთოდით შეფასებულია ოსმალეთის იმპერიის სამართლებრივი პოლიტიკა არამუსლიმებთან მიმართებაში როგორც ნორმატიულ, ისე სოციალურ და ღირებულებით ჭრილში.

შედეგები

კვლევამ აჩვენა, რომ ოსმალეთის იმპერიის სამართლებრივი პოლიტიკა არამუსლიმთა მიმართ ეფუძნებოდა მრავალფენოვან და დინამიკურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებდა ისლამური სამართლის კლასიკურ წყაროებს, სულთნის კანონმდებლობასა და რეფორმის პერიოდის ნორმატიულ აქტებს, საგადასახადო და სოციალურ რეგულაციებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტები დეკლარირებულ დონეზე მიმართული იყო რელიგიური პლურალიზმის მართვისა და არამუსლიმთა დაცვის მორალურ-

სამართლებრივი ვალდებულებების ფორმალიზაციისკენ, თუმცა ეს მექანიზმები უმეტესად ემსახურებოდა იმპერიის ადმინისტრაციულ ცენტრალიზაციას. მართალია, თანზიმათის რეფორმებმა და კონსტიტუციონალიზმის საწყისმა ეტაპმა ნაწილობრივ გააფართოვა არამუსლიმთა სამართლებრივი უფლებები, მაგრამ ვერ შეცვალა მათ მიმართ სამართლებრივი სისტემის დისკრიმინაციული ბუნება, რომელიც მიმართული იყო არამუსლიმი და არათურქი მოსახლეობის ეთნოკულტურული თავისებურებების თანდათანობითი ასიმილიციისაკენ.

მსჯელობა

მედინის ხელშეკრულება. ოსმალეთის იმპერიაში არამუსლიმებთან ურთიერთობის პირველ სამართლებრივ წყაროს „მედინის ხელშეკრულება“ წარმოადგენს. 622 წელს მუჰამადი, ორასამდე მიმდევართან ერთად მექადან მედინაში გადასახლდა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას ებრაელები, არაბი მრავალდემერთიანები და მექიდან უფრო ადრე გადმოსახლებული არაბი მუსლიმები შეადგენდნენ. იყვნენ აგრეთვე მცირერიცხოვანი ქრისტიანი არაბებიც. თითოეული გაერთიანება ერთმანეთისაგან განცალკევებულად ცხოვრობდა და ერთმანეთთან მუდმივი ანგარიშსწორება და შინაური ომები ჰქონდათ (Галиулина, Нуриев, 2015:187). მედინაში გადასვლის შემდეგ მუჰამადი მხოლოდ რწმენის მქადაგებელი აღარ იყო, მას უნდა უზრუნველყო ახალი ერთობის და ფაქტობრივად, მომავალი ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის საფუძვლების მომზადება, რისთვისაც, ამგვარ, დამაბულ ურთიერთობაში მყოფ პოლიკონფესიურ და პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, საჭირო გახდა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ერთმანეთთან თანამშრომლობის და მშვიდობიანი თანაცხოვრების ოპტიმალური ფორმულის გამოიხედა. ბუნებრივია, ამ მრავალფეროვანი ახალი სახელმწიფოს მოქალაქეთა სამართავად, ყველასათვის მისაღები

საერთო წესების შემოღება იყო საჭირო, ისე, რომ ამ ახალი წესრიგის ქვეშ გაერთიანებულებს შეენარჩუნებინათ თავიანთი წინაპრების რელიგია და წეს-ჩვეულებანი. ასეთ წესებზე შეთანხმება მოხერხდა, ყურანის საბოლოო შემუშავებამდე, ჰიჯრის პირველსავე წლის – 622 წლის, მედინის ხელშეკრულებით, რომელსაც ზოგჯერ კაცობრიობის პირველ კონსტიტუციასაც უწოდებენ (Кулиев, Алиева, 2012: 28). ხელშეკრულება დაიდო მუსლიმებსა და მედინაში მცხოვრებ ებრაელებს შორის. დოკუმენტი ადგენს 9 ტომისა და ორი რელიგიის ურთიერთობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხებს. ხელშეკრულებაში დასახელებული 9 ტომიდან 8 ებრაული ტომია, ერთი მუსლიმური (Constitution, 2021).

ეს ხელშეკრულება 47 მუხლისაგან შედგება, მათგან პირველი 23 მუხლი არეგულირებს მუსლიმთა შორის ურთიერთობებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს. დანარჩენი 24 მუხლი ეხება მუსლიმებისა და არამუსლიმების ურთიერთობების რეგულირების საკითხებს.

ამ დოკუმენტის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი სოციალური ხელშეკრულების საფუძველზე ქმნის ეთნიკურად და რელიგიურად პლურალისტულ „მორწმუნეთა საერთო საზოგადოებას“ (ლინგსი, 2016: 199), რომელშიც მუსლიმები, ადგილობრივების რელიგიას, მათ წეს-ჩვეულებებს არ ცვლიან. ხელშეკრულება წარმოადგენს რელიგიურად და ტომობრივად განსხვავებული ხალხის თანაცხოვრების ნორმატიულ რეგულატორს. ნებისმიერი გადახრა ამ ხელშეკრულებიდან ითვლებოდა ვერაგობად და ღალატად. ამ ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი მედინის მოსახლეობა, მათი სარწმუნოების მიუხედავად, მედინის სხვა ადამიანებისაგან განსხვავებულ „ერთიან ერთობად“ ითვლებოდნენ (Constitution, 2021: მუხლი 2).

თავდაცვის, საკანონმდებლო, სასამართლო, აღმასრულებელი ფუნქციები ცენტრალური გზით იმართებოდა და იგი არ იყო დამოკიდებული ინდივიდის ინიციატივაზე (Constitution, 2021: მუხლი 13). ხოლო კულტურული, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის და სხვა სახის სამოქალაქო მათ შორის რელიგიური და ინდივიდის ცხოვრების თვით ცალკეული ერთობების მიერ წყდებოდა (Эрдоган, 2010: 156).

ამ ხელშეკრულებამ იურიდიულად განამტკიცა სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიერ, ერთმანეთის, როგორც განსხვავებულების აუცილებელი აღქმა და მოუწოდა თითოეულ ჯგუფს სხვისი შეხედულებებისა და პრინციპების პატივისცემისაკენ. „იუდეველები აღიარებენ თავიანთ სარწმუნოებას, მუსლიმები თავიანთს“, ნათქვამია 25-ე მუხლში.

ამ დოკუმენტით მუსლიმებს და არამუსლიმებს ჰქონდათ თანაბარი აღმსარებლობის თავისუფლება და ავტონომია; არამუსლიმებს მუსლიმებთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, იარაღით ხელში უნდა დაეცვათ ქალაქი და გაეყოს ომის ხარჯები; არამუსლიმებს არ ჰქონდათ ვალდებულება მუსლიმებთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა მუსლიმთა მიერ წარმოებულ რელიგიურ ომებში (Constitution, 2021: მუხლი 45).

მუჰამადი წარმოდგენილია ტომებს შორის შუამავლად და კრძალავს ომის წარმოებას მისი ნებართვის გარეშე (Constitution, 2021: მუხლი 36).

ხელშეკრულება სარწმუნოებრივ კავშირს მუსლიმთა შორის, სისხლით ნათესაობის კავშირზე მაღლა აყენებს. ტომობრივი იდენტობა ამ ხელშეკრულებით კვლავაც მნიშვნელოვანია, ოღონდ რელიგიის შიგნით სხვადასხვა ჯგუფების აღსანიშნავად და მასში ჩამოთვლილია კიდევ, როგორც ებრაული ისე მუსლიმური ტომები, მაგრამ ახალი ერთობის (უმმას) ჩამოყალიბებისთვის არცერთ ენასა და ეთნოსს არ ეძლევა უპირატესობა და

გამაერთიანებლად რწმენა სახელდება – ებრაელთათვის თავიანთი, მუსლიმთათვის თავიანთი. უმმა გახდა მუსლიმური საზოგადოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მოწყობის ახალი მოდელი, რომლის ფარგლებში აქტუალობა დაკარგეს ისეთმა ფენომენებმა, როგორცაა ეთნიკურობა, კასტურობა, სოციალური უთანასწორობა (გელოვანი, 2024: 374).

მედინის ხელშეკრულება, მედინაში არსებულ ყველა ტომობრივ და რელიგიურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობისა და მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას ემსახურება, რითაც ეთნიკურად და რელიგიურად პლურალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძვლებს ქმნის და რეალობის ამსახველ სამართლებრივ-პოლიტიკური კომპრომისის ისტორიულ დოკუმენტად გვევლინება.

არამუსლიმები ყურანში. მუსლიმური სამართლის კლასიკური წყაროები, მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ამართლებენ არამუსლიმების მუდმივ ცხოვრებას ისლამურ სახელმწიფოში. ყურანის მე-2 სურის, 59-ე აია ამბობს „ხოლო ისინი, რომელთაც ირწმუნეს და იყვნენ იუდეველნი, ნაზარეველნი და საბიელნი, ვისაც სწამდა ალაჰი, დღე უკანასკნელი და იქმდა სიკეთეს – მათი საზღაური მათ უფალთანაა, შიში არ ექნეთ, არ ინადვლონ“, ხოლო ამავე სურის 257-ე აია მოუწოდებს „არანაირი იძულება სარწმუნოებაში“ (ყურანი, 2006: მე-2 სურა, 257-ე აია). ოსმალური სამხედრო სამართალი დაუშვებლად მიიჩნევს ადამიანთა ურწმუნოების საბაზით ომის გამართლებას და ზოგადად ომის დაწყებას საკუთარი რელიგიის სხვებისთვის ძალადობრივად თავს მოხვევის გამო (ზარდაველიძე, 2020: 9). „ალაჰი არ გიშლით, რომ მათ, ვინც არ შეგბრძოლებიათ სჯულისათვის და ვისაც არ გამოურეკიხართ თქვენი სახლ-კარიდან, ღვთისნიერად მოეპყარით და სამართლიანად მოექცით. ჭეშმარიტად, ალაჰს უყვარს სამართლიანად მომპყრობნი“ (ყურანი, 2006: მე-60 სურა,

მე-8 აია); „თქვენი ღმერთი და ჩვენი ღმერთი ერთი ღმერთია და ჩვენ მისდამი მუსლიმნი (მორჩილნი) ვართ“ (ყურანი, 2006: 29-ე სურა, 45-ე აია) მიმართავს მუჰამადი საღვთო წიგნის მქონეთ. ყურანი ზოგადად ხალხებს მოუწოდებს ურთიერთშეცნობისაკენ – „ხალხო, ჭეშმარიტად, ჩვენ შეგქმენით თქვენ მამრისა და მდედრისაგან და გაქციეთ ერებად და ტომებად, რათა შეიცნოთ ერთმანეთი“ (ყურანი, 2006: 49-ე სურა, მე-13 აია).

მუჰამადი ქრისტიანების პატივისცემას მოითხოვს მუსლიმებისაგან, იგი მათ მოუწოდებს ფეხზე წამოუდგნენ ქრისტიანის კუბოს (მაჰმადის 1996: 29) და უკრძალავს ქრისტიანთა სახლში, სახლის მფლობელთა ნებართვის გარეშე, შესვლას: „ღმერთი ნებას არ გრთავთ, რომ წიგნიანთა სახლში დაუკითხავად შეხვიდეთ, ისინი და მათი მეუღლენი შეაწუხოთ; ანდა მათ უნებართოდ მათ ხეებზე გამოსხმული ნაყოფი მოწყვიტოთ“ (მაჰმადის 1996: 92) და სხვა (დაწვრილებით იხ., ლობჟანიძე, 2004; გორგოშაძე, 2006 და სხვა). თუმცა, ყურანის სხვადასხვა აიაში, ისლამის მოციქულის ცხოვრების სხვადასხვა ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, ქრისტიანებისა და იუდეველების შესახებ, საწინააღმდეგო აიებსაც ვხვდებით (ყურანი, 2006: სურა მე-5, 85-ე აია. სურა მე-9, 31-ე აია, სურა 57-ე, 27-ე აია და სხვა).

ყურანი იცნობს „ზიმმის“ ინსტიტუტსაც (ყურანი, 2006: მე-9 სურა, მე-10 აია). „ზიმმი“ ისლამური სამართლებრივი ტერმინია, იგი აღნიშნავდა შუა საუკუნეების მუსლიმურ ქვეყნებში უცხო სარწმუნოების აღმსარებელი „საღვთო წერილის“ მქონე მოსახლეობის (ქრიატიანები, იუდეველები, საბაელები, ზოროასტრელები) ჯგუფებს, რომლებიც დაემორჩილნენ მუსლიმებს, აღიარებდნენ მათ ხელისუფლებას, იხდიდნენ უცხო სარწმუნოების აღმსარებლებზე დაკისრებულ გადასახადებს. ამ ხელშეკრულებით ზიმმიები ინარჩუნებდნენ საკუთარ სარწმუნოებას, გარკვეული შეზღუდვებით ასრულებდნენ თავიანთ რელიგიურ

წესებს, ჰქონდათ სიცოცხლისა და ქონების ხელშეუვალობის გარანტია, სარგებლობდნენ გარკვეული თვითმმართველობით. ამ ტერმინით განისაზღვრებოდა ისლამურ ქვეყანაში მცხოვრებ არამუსლიმთა სამართლებრივი სტატუსი ოსმალეთის იმპერიაში („ზიმმისა“ და „მილეთის სისტემის“ შესახებ დაწვრილებით იხილეთ Gorgoshadze, M., & Putkaradze, N. 2025: 223-228). სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად ზიმმიების სტატუსი ცვალებადი იყო. ამ ხელშეკრულებას ისლამური კანონი იცავდა. ვისთანაც ეს ხელშეკრულება ფორმდებოდა, ანუ ვინც მშვიდობიანი მოლაპარაკებებით დაემორჩილებოდა მათ, ზიმმი ხდებოდა, ხოლო ზოგადად, მშვიდობიანი მოლაპარაკებებით დამორჩილებული არამუსლიმი ქვეშევრდომები კი ზიმმიები – „მფარველობის ქვეშე მყოფი ხალხი“. ზიმმის გარკვეული დასაბუთება ყურანიდან მოდის, რომელშიც ვკითხულობთ: „და თუ მშვიდობას მოისურვებენ, შენც მშვიდობა იწეე და ალაჰი მოიმიმედე, რადგან იგია ყოვლისგამგონე, ყოვლისმეცნიერი“ (ყურანი, 2006: მე-8 სურა, 63-ე აია).

მე-11 საუკუნეში ჩამოყალიბდა ზიმმას ხელშეკრულების დადების ექვსი აუცილებელი და ექვსი სასურველი მოთხოვნა. ექვსი აუცილებელი მოთხოვნა იყო: 1. არ გაკიცხო (გაკრიტიკო) ყურანი; 2. არ დაძრახო მუჰამადი; 3. არ აძაგო მუსლიმური რელიგია; 4. არ იმრუშო და არ იქორწინო მუსლიმ ქალთან; 5. არ დაიყოლიო მუსლიმი სხვა რელიგიაზე გადასასვლელად; 6. არ მიეხმარო (მიემხრო) მუსლიმების წინააღმდეგ მებრძოლებს. ამ ექვსი პირობიდან ერთ-ერთის შეუსრულებლობაც კი იწვევდა ზიმმის ხელშეკრულების მოშლას.

ექვს სასურველ პირობას წარმოადგენდა: 1. ტანსაცმელზე მუსლიმებისაგან განმასხვავებელი ნიშნის ტარება; 2. მუსლიმთა სახლებზე მაღალი სახლების აშენებაზე უარის თქმა; 3. მუსლიმთა წინაშე სამრეკლოებში ზარის რეკვასა და წმინდა წიგნების

ხმამაღალ კითხვაზე უარის თქმა; 4. მუსლიმთა თვალწინ ღვინის სმაზე, ჯვრისა და ღორის გამოჩენაზე უარის თქმა; 5. არამუსლიმი მიცვალებულის წყნარი და შეუმჩნეველი დამარხვა; 6. ჯიშინი ცხენებითა და აქლემებით მგზავრობაზე უარის თქმა. ამ ექვსი პირობის შესრულება აუცილებელი ხდებოდა იმათთვის, ვისთანაც ხელშეკრულებით იქნებოდა გათვალისწინებული. თანდათანობით ეს „სასურველი პირობები“, კანონიკურ მოთხოვნებად იქცა (Ислам, 1991: 28) და მიემატა სხვებიც (დაწვრილებით იხ., The Status, 2025).

ზიმიმბიტან გაფორმებულ ხელშეკრულება მიიჩნეოდა მუდმივად და მხოლოდ სამ შემთხვევაში ანულირდებოდა: 1. თუ ზიმიმბიტი მიიღებდნენ ისლამს; 2. თუ მუსლიმები დაკარგავდნენ დამორჩილებულ ტერიტორიაზე კონტროლს და ის არამუსლიმთა ხელში აღმოჩნდებოდა; 3. სამხედრო გადატრიალების შემთხვევაში, თუ ძალაუფლებას ხელში ზიმიმბიტი აიღებდნენ (ჭანტურიშვილი, 2022: 66).

მიუხედავად იმისა, რომ ყურანში და მუსლიმური სამართლის სხვა წყაროებსა, დოქტრინებსა და ხელშეკრულებებში¹¹ ლაპარაკია მეტნაკლებად ლოიალური დამოკიდებულების შესახებ არამუსლიმი ქვეშევრდომების მიმართ და ზოგადად „ყურანში მოცემულია მცდელობა, შეარიგოს, გააერთიანოს ყველა მორწმუნე, მოსპოს მათ შორის შური და მტრობა“ (კუკავა, 2000: 376). რეალობაში, მუსლიმ და არამუსლიმ ქვეშევრდომებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობდა. ოსმალეთის იმპერიაში გაბატონებული ადგილი ისლამს ეკავა და შესაბამისად, სამართლებრივ იერარქიაში იგი პირველ ადგილზე იყო, სხვა რელიგიები, მასთან შედარებით, მეორეხარისხოვან რელიგიებს

¹¹ მაგალითისთვის იხილეთ ხალიფა უმარის (634-644) ხელშეკრულება წმინდა ქალაქ იერუსალიმთან (ჯაფარიძე, 2018: 150-153). ამ ხელშეკრულებაში ზოგიერთი ავტორის აზრით ქართველებიცაა მოხსენიებული (სტევანაძე, 2002: 335-382)

წარმოადგენდნენ. ოსმალები არამუსლიმ ხალხებს თვლიდნენ უცხოელებად. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ისლამის ნორმები უშვებდა შემწყნარებლობას „ურჯულოების მიმართ, მაგრამ არ თვლიდა მათ მუსლიმების თანასწორად“ (სვანიძე, 2007: 139).

„გულჰანეს ჰატი-შერიფი“. დიდი ხნის განმავლობაში არამუსლიმთა სარწმუნოებრივი გაერთიანებების ავტონომიურობა კანონმდებლობით არ იყო განმტკიცებული. არამუსლიმთა უფლებების პირველი ნორმატიული დაფიქსირება თანზიმათის პერიოდში მოხდა, მე-19 საუკუნეში. ამ დროს გადაიდგა პირველი ნაბიჯები ოსმალური სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში დასავლეთ ევროპული სამართლის რეცეფციისაკენ. 1839 წელს, სულთნის უმაღლესი ბრძანებულებით, რომელიც ისტორიაში შევიდა „გულჰანეს ჰატი-შერიფის“ სახელწოდებით, დეკლარირებული იქნა სარწმუნოების მიუხედავად, ყველა ქვეშევრდომის სიცოცხლის, ღირსების, ქონებისა და კანონის წინაშე გათანაბრების ვალდებულება (Моргун).

1839 წლის „გულჰანეს ჰატი-შერიფს“ არ მოჰყოლია არანაირი სამართლებრივი ოფიციალური ცვლილებები იმპერიაში. რის გამოც 1856 წელს მიღებული იქნა ახალი დოკუმენტი ჰატი ჰუმაიუნის სახელწოდებით.

ჰატი ჰუმაიუნი. 1856 წლის სულთნის განკარგულებამ გაართოვა 1839 წლის რეფორმებით გათვალისწინებული დებულებების სფერო და დააკონკრეტა ისინი. მოცემული დოკუმენტით გაცხადდა სარწმუნოებრივი თავისუფლება, განმტკიცდა არამუსლიმ ქვეშევრდომთა ერთობების ავტონომია საშინაო საქმეებში. ყველა რელიგიურ ერთობას მიეცა თავიანთი სასწავლო დაწესებულებების გახსნის შესაძლებლობა, იმ პირობით, რომ ისინი იმუშავებდნენ უმაღლესი ხელისუფლების მფარველობის ქვეშ. ყველა რელიგიის წარმომადგენელს, იმ ადგილებში, სადაც სხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები არ ცხოვრო-

ბდნენ, შეეძლოთ თავისუფლად, საჯაროდ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე განეხორციელებინათ თავიანთი რელიგიური აღმსარებლობა (Hatti, 2013: მუხლი 7).

იმ ქალაქებში, დასახლებებსა და სოფლებში, სადაც ყველა ერთსა და იმავე რელიგიას აღიარებდა, მოიხსნა არამუსლიმთა საკულტო ნაგებობების, სკოლების, სასაფლაოების, პირვანდელი იერსახის დაბრუნების მიზნით შეკეთებასთან დაკავშირებული შეზღუდვები. რაც შეეხება ახლის მშენებლობას, მისი პროექტი იმპერატორის ბრძანებით უნდა დამტკიცებულიყო (Hatti, 2013: მუხლი 6).

რომელიმე რელიგიის, ენის, რასის წარმომადგენლის სხვაზე უფრო დაბალი კლასის წარმომადგენლად გამოცხადება, მათ მიმართ შეურაცხმყოფელი ტერმინის გამოყენება, როგორც კერძო პირების, ისე ხელისუფლების მხრიდან, კანონით უნდა აკრძალულიყო (Hatti, 2013: მუხლი 8).

დამკვიდრდა შერეული სასამართლოები მუსლიმთა და არამუსლიმთა შორის წარმოშობილი დავების გადასაწყვეტად (Hatti, 2013: მუხლი 12). სულთნის ეს ბრძანებულება აცხადებდა მუსლიმთა და არამუსლიმთა გადასახადების თანასწორობას (Hatti, 2013: მუხლი16), ჰატი ჰუმაიუნი ყველა მუსლიმ და არამუსლიმ ქვეშევდომებს უფლებებში ათანასწორებდა. არამუსლიმებს მიეცათ უფლება თავიანთი უნარებისა შესაძლებლობების მიხედვით დაეკავებინათ სახელმწიფო თანამდებობები (Hatti, 2013: მუხლი 10).

არამუსლიმი ქვეშევრდომნი, მუსლიმების მსგავსად ჩარიცხული იქნებოდნენ სამხედრო სამსახურში, მაგრამ მათ შეეძლოთ სამხედრო სამსახურის ნაცვლად გადაეხადათ სპეციალური გადასახადი (სვანიძე, 2007: 312). ამ დოკუმენტით, ოსმალეთის იმპერიის მუსლიმ და არამუსლიმ ქვეშევრდომთა უფლ-

ებების გათანაბრების იდეას, ზოგი მკვლევარი, ოსმალური სამართლის გარკვეულ დარღვევად მიიჩნევს (Киреев, 2007: 51).

1856 წლის ჰატი ჰუმაიუნი, როგორც აღვნიშნეთ, 1839 წლის გულჰანეს ჰატი-შერიფის გაგრძელება და თანზიმათის რეფორმების შემადგენელი ნაწილია. მიზეზთა გამო, 1856 წლის ჰატი ჰუმაიუნის მოთხოვნების სრულყოფილი რეალიზება ვერ მოხერხდა და იგი დარჩა ქვეშევრდომთა მიმართ მორიგ სამეფო დაპირებად.

1876 წლის ოსმალეთის იმპერიის კონსტიტუცია. ოსმალეთის იმპერიის ევროპეიზაციის გზაზე რეფორმების კულმინაცია იყო 1876 წლის კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის არაერთი მუხლი განამტკიცებს რელიგიური უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობას. კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად, ოტომანებად იწოდებიან და მათი პირადი თავისუფლება ხელუხლებელი და კანონით დაცულია (ოსმალეთის, 2022: მუხლი 3), იმ პირობით, რომ ამით არ მიადგება ზიანი სხვის თავისუფლებას (Constitution, 1876: მუხლი 9). კონსტიტუციამ ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ამავე დროს განამტკიცა სხვა სარწმუნოების წესის აღსრულების დაცვა და ნებადართულობა, ასევე, სასულიერო საზოგადოების სარწმუნოებითი პრივილეგიებიც ძალაში დატოვა (ოსმალეთის, 2022: მუხლი 4); კონსტიტუციამ გამოაცხადა ბეჭდვის თავისუფლება; ურთიერთდამხმარებელი საზოგადოების შედგენის უფლება; ყველა ქვეშევრდომების თანასწორობა კანონის წინაშე; ერთგვარი უფლებები და ვალდებულებანი სამშობლოს წინაშე; სარწმუნოების მიუხედავად, ყველას მიღება სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულებებში; გადასახადის ერთნაირი განაწილება; საკუთრების ხელშეუხებლობა; სადგომის შეუცილებლობა; არავის არ ეკრძალება გასამართლ-

ებული იქნეს იმ მსაჯულისაგან, რომლის სამსჯავროსაც ის ეკუთვნის (ოსმალეთის, 2022: მუხლი 6).

კონსტიტუციამ ოსმალეთის ეროვნული კრების დეპუტატის არჩევისა (Конституция, 2012, მუხლი 68, პუნქტი 3) და სხვა საზოგადოებრივ თანამდებობებზე მიღების პირობად თურქული ენის, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური ენის ცოდნა (Constitution, 1876: მუხლი 18), მომზადებულობა, დამსახურება და უნარები გამოაცხადა (ოსმალეთის, 2022: მუხლი 19).

ამ კონსტიტუციის შესაბამისად შეიქმნა ორპალატიანი ეროვნული კრება (Constitution, 1876: მუხლი 42), რომლის ზედა პალატას სენატი წარმოადგენდა, მის თავმჯდომარეს და წევრებს უშუალოდ სულთანი ნიშნავდა (Constitution, 1876: მუხლი 60), ხოლო ქვედა, დეპუტატთა პალატა, არჩევნების საფუძველზე იქმნებოდა. 1877 წელს დაიწყო მუშაობა ამ ორპალატიანმა პარლამენტმა, რომლის სენატის 32 წევრიდან 7 არამუსლიმი იყო, ქვედა პალატის 115 წევრიდან კი 46-ს არამუსლიმი ბერძენი, სომეხი, ებრაელი, ბულგარელი, სერბი და არაბი დეპუტატი წარმოადგენდა (Сквозников, 2015: 11)¹². ამ კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილმა ოსმალეთის კონსტიტუციურმა მონარქიამ დიდხანს ვერ იარსება. 1878 წელს პარლამენტი დათხოვნილ იქნა და შეჩერდა 1876 წლის კონსტიტუციის მოქმედება. 1908 წელს, კონსტიტუციის გაუქმებიდან და პარლამენტის დათხოვნიდან 33 წლის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიაში შესაძლებელი გახდა კონსტიტუციის აღდგენა და დათხოვნილი პარლამენტის მოწვევა. კონსტიტუციაში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც არამუსლიმურ მოსახლეობას არ შეხებია.

¹² ზოგი მკვლევრის აზრით, სენატში 21 მუსლიმი და 5 არამუსლიმი დეპუტატი იყო, ხოლო ქვედა პალატაში 71 მუსლიმი, 44 ქრისტიანი და 4 ებრაელი (კალანდარიშვილი, 2024: 57).

რუმელიის ვილაეთის წესდება. კონსტიტუციის შეჩერების მიუხედავად ოსმალეთის იმპერიის მთავრობამ, ევროპული სახელმწიფოების წინაშე აიღო ვალდებულება უზრუნველყო თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რელიგიური უმცირესობების ერთობებისთვის თანასწორობა. 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულების (Treaty, 1970) შესაბამისად ოსმალეთი ვალდებულებას დებულობდა რელიგიური უმცირესობებისთვის მიეცა გარკვეული თვითმმართველობის შესაძლებლობა და დაეწესებინა კვოტები ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში, სასამართლოში, პოლიციასა და ჟანდარმერიაში. თუმცა, ოსმალეთის ხელისუფლება არ ჩქარობდა ბერლინის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დათქმების შესრულებას. 1880 წელს ევროპის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს შეემოწმებინათ, თუ როგორ მიმდინარეობდა შეპირებული გარდაქმნები. ოსმალეთის მთავრობამ შეიმუშავა რეფორმების პროგრამა „რუმელიას ვილაეთის წესდების“ სახელწოდებით, რომელიც შემდგომში არ იქნა დამტკიცებული სულთნის მიერ (Сквозников, 2015: 12).

გადასახადები და ჩაცმულობა, როგორც არამუსლიმებთან ურთიერთობის საშუალებანი. არამუსლიმი მოსახლეობისთვის დაწესებული გადასახადები, ასევე მათი ჩაცმულობის შესახებ რეგულაციები, წარმოადგენდა მნიშვნელოვან მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ოსმალეთის ხელისუფლება არეგულირებდა ურთიერთობებს არამუსლიმ ქვეშევრდომებთან. ეს ზომები ოსმალეთის იმპერიაში არამუსლიმების დაქვემდებარებული სამართლებრივი და სოციალური სტატუსის მაჩვენებელია. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი არამუსლიმური თემი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემაჯავლი ტერიტორიების მკვიდრი მაცხოვრებელი იყო, ისინი ხშირად ექვემდებარებოდნენ სპეციფიკურ ფისკალურ ვალდებულებებსა და სოციალურ შეზღუდვებს, რომლებიც მათ მუსლიმი მოსახლეობისგან განასხვავებდა.

შედეგად, ისინი ყოველთვის არ ითვლებოდნენ საზოგადოების სრულად თანასწორ წევრებად და მათი რელიგიური განსხვავებულობა ხშირად დამატებით სამართლებრივ და სოციალურ ტვირთს იწვევდა და ხელს უშლიდა მათ სახელმწიფოს სრულფასოვან მოქალაქეებად აღქმას (Rudi, R., & Yaman, S., 2020: 217). შვეეხოთ რამდენიმე ასეთ გადასახადს და ჩაცმულობის თავისებურებებს.

ჯიზიე. ჯიზიე, არამუსლიმთათვის სავალდებულო სულადობრივი გადასახადია. მას იცნობს ყურანიც, რომელშიც ვკითხულობთ: „მათგან, რომელთაც ებოძათ წიგნი, ებრძოლეთ იმათ, ვისაც არ სწამს ალაჰი და დღე უკანასკნელი, არ იკრძალავენ იმას, რაც აკრძალა ალაჰმა და მისმა მოციქულმა, და არ აღიარებენ სჯულს ჭეშმარიტებისას, ვიდრე თავისი ხელით გაიღებდნენ ჯიზიეს, იმ დროს, როცა იქნებიან დაკნინებულნი“ (ყურანი, 2006: მე-9 სურა, 29-ე აია). ჯიზიე ამტკიცებს არამუსლიმის კანონიერ სტატუსს, იცავს და უზრუნველყოფს ამ გადასახადის გადამხდელი არამუსლიმის სიცოცხლისა და საკუთრების ხელშეუხებლობას. ჯიზიე ეკისრება 14-დან 75 წლამდე მამაკაცს (ორი ოსმალური, 2024: 19), ღრმა მოხუცთა, ინვალიდთა, უპოვართა, მონათა გარდა. „ჯიზიემ“ მუსლიმური სახელმწიფოს ფორმირების პერიოდიდან მოყოლებული, იურიდიული მნიშვნელობა შეიძინა და იგი განიხილებოდა, როგორც არამუსლიმთა სიცოცხლის გამოსყიდვის, დაცვის, შენარჩუნებისა (ლობჟანიძე, 2006: 560) და მფარველობისათვის (ისლამი, 1999: 225) გაღებული გადასახადი. ისლამის მიღების შემთხვევაში, არამუსლიმი თავისუფლდებოდა ჯიზიესაგან, ეს ნიშნავს, რომ იგი ისლამის არ აღიარებისთვის დაწესებულ ჯარიმა და ერთგვარი იძულება იყო საკუთარი რელიგიის უარყოფისა და ისლამის აღიარებისთვის.

ყურანის ზემოთ ნახსენები მე-9 სურის 29-ე აიას ბოლო ფრაზის მიხედვით ეს გადასახადი არამუსლიმს მორჩილად/

დამცირებით (დაკნინებით) უნდა გადაეხადა. მართლაც, ჯიზიეს აკრეფის პროცესი არამუსლიმთა დამცირების, არასრულფასოვან პიროვნებად წარმოჩენისა და მათდამი აგდებული დამოკიდებულების გამომხატველი იყო: ჯიზიეს გადამხდელი არამუსლიმი გაშლილი ხელით მიაართმევდა გადასახადს გადასახადების ამკრეფს, რომელიც შემალლებულ ტახტზე იჯდა, ისე, რომ მისი ხელი გადამხდელის ხელის დაბლა არ უნდა მოქცეულიყო. გადასახადის აღების შემდეგ გადამხდელს თავში მუშტს ურტყამდნენ და მუჯღუგუნით აშორებდნენ იქაურობას (აჭარის, 2011: 26). იყო შემთხვევები, როცა ზიმიებს კისერზე კიდებდნენ გადასახადის გადახდის დამადასტურებელ ბირკას, ხელზე კი არტყამდნენ ბეჭედს (გელოვანი, 2024: 643).

ისფენჯია. ისფენჯია დასამუშავებელ მიწის ნაკვეთზე დაწესებული გადასახადი იყო. ისფენჯს ოსმალეთის იმპერიის არამუსლიმი მოსახლეობა იხდიდა (ორი ოსმალური 2024: 20). ანალოგიურ გადასახადს (ბენაქს) მუსლიმიც იხდიდა, ოღონდ, ოსმალური საგადასახადო სისტემა, როცა საქმე ჰქონდა ქრისტიან მიწისმფლობელთან, მხედველობაში არ იღებდა არც მიწის ნაკვეთის სიდიდეს და არც მიწის ნაყოფიერებას, მაშინ როცა მუსლიმ მიწათმფლობელზე დაწესებული გადასახადი ითვალისწინებდა, როგორც ერთს, ისე მეორეს. ამასთანავე, მუსლიმზე მიწის გადასახადის შეწერისას მხედველობაში ეღებულობდნენ მის ოჯახურ მდგომარეობას, ამგვარი დიფერენციაცია არ ვრცელდებოდა ქრისტიან მიწისმფლობელზე (შენგელია, 1962: 127). მსგავსი გადასახადი მუსლიმებისთვის 18-დან 22 ახჩამდე მერყეობდა, ქრისტიანისთვის კი 25 ახჩას შეადგენდა (აჭარის, 2011: 35).

დევეშირმე. დევეშირმე წარმოადგენდა სამხედრო ბეგარის ნაირსახეობას, რომლის მიხედვითაც ქრისტიანი მოსახლეობა ვალდებული იყო ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ სახელმწიფოსთვის გადაეცათ ყოველი მეხუთე მამრობითი სქესის 8-დან

18 წლამდე ასაკის შვილი (ისლამი, 1999: 52), სულთანის სასახლეში შემდგომი სამოქალაქო და სამხედრო სამსახურისთვის (Сквозников, 2015: 6).

ბაშთინა. რუმელიის დაპყრობის შემდეგ, ადგილობრივ ქრისტიანებზე გაიცემოდა ბაშთინა. ბაშთინა იყო მიწის ნაკვეთი, ბალები, სახლები, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა, თუმცა მფლობელს, განსხვავებით მუსლიმი მფლობელისაგან, მისი გაყიდვა-გასხვისებისა და გაცვლის უფლება არ ჰქონდა, რადგან მიწა სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა. ბაშთინას პირობით გაცემული მიწები ოსმალეთის იმპერიის ქართულ პროვინციებშიც, კერძოდ, ჭანეთის ტერიტორიაზეც გვხვდებოდა, რადგან აქაური მოსახლეობა ბერძნული ეკლესიის სამწყოს წარმოადგენდა და აქაც იგივე კანონმდებლობა მოქმედებდა, რაც ოსმალეთის იმპერიაში შემავალ საბერძნეთის სხვა ტერიტორიაზე (ორი ოსმალური, 2024: 17; 547).

ჩაცმულობა. არამუსლიმებთან ურთიერთობის ერთ-ერთი მიმართულება მათი ჩაცმის საკითხი იყო, რაც სულთანის სპეციალური ფირმანებით წესრიგდებოდა და ამდენად სამართლებრივი რეგულირების სფეროში ექცეოდა. ამ ფირმანებში აღწერილი იყო, თუ როგორი სამოსი უნდა ეტარებინათ ქრისტიანებს, ებრაელებს თუ სხვა არამუსლიმური თემის წარმომადგენლებს. სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახის აკრძალვები დგინდებოდა არამუსლიმთა ჩაცმულობაზე.

ზიმიების მიერ დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ ისინი არ დაემსგავსებოდნენ მუსლიმებს ტანსაცმლით, თავსაბურავით, ფეხსაცმლით, თმის ვარცხნილობის მანერით. შეიმოსებოდნენ ყველგან ერთნაირად, გაიკეთებდნენ წელის გასამართ სპეციალურ სარტყელს და სხვა (The Status, 2025). მათი ტანსაცმელი, ძირითადად მუქი ფერის უნდა ყოფილიყო. ქრისტიანებს ფერადი თავსაბურავებისა და წითელი ან ყვით-

ელი ფეხსაცმლის ტარებას ავალდებულებდნენ. ებრაელების ტანსაცმელი შავი ან იისფერი უნდა ყოფილიყო, ფეხსაცმელი მხოლოდ შავი. ძვირფასი ტანსაცმელის, აბრეშუმის, ბეწვის და სხვა ძვირფასეულობის ტარება არამუსლიმებს არ შეეძლოთ (Половинка, 2019). არამუსლიმების თავსაბურავი განსაზღვრული ფერის ქუდი (ჩაჩი) უნდა ყოფილიყო და არა დოლბანდი (ჩალმა), რომელსაც მხოლოდ მუსლიმები ატარებდნენ (სვანიძე, 1999: 184). მე-9 საუკუნეში ზიმიებთან მიმართებაში შემოღებული აკრძალვების მიხედვით არამუსლიმებს უნდა ეტარებინათ: ყვითელი კაპიშონიანი სამოსელი და სპეციალური ტყავის ქამარი/სარტყელი; ევლოთ უნაგირებზე ხის უზანგით; ქალი ზიმები, რომლებიც გამოდიოდნენ გარეთ უნდა ეტარებინათ ყვითელი მოსასხამი (გელოვანი, 2024: 270-271) და სხვა.

დასკვნები

ოსმალეთის იმპერია, თავისი არსებობის მანძილზე, დიდ ყურადღებას აქცევდა არამუსლიმ მოსახლეობასთან ურთიერთობას, საამისოდ არაერთ სამართლებრივ ბერკეტს იყენებდა: ისლამური სამართლის კლასიკური წყაროების („მედინის ხელშეკრულება“, „ყურანი“ და სხვა), გვერდით ღებულობდა ახალ სამართლებრივ აქტებს („გულჰანეს ჰატი-შერიფი“, „ჰატი ჰუმაიუნი“, „1876 წლის ოსმალეთის იმპერიის კონსტიტუცია“, „რუმელის ვილაეთის წესდება“ და სხვა); ქმნიდა სამართლებრივ ინსტიტუტებს („ზიმმი“, „მილეთის სისტემა“); აწესებდა არამუსლიმთათვის სპეციალურ გადასახადებს და ბეგარას („ჯიზიე“, „ისფენჯი“, „დევირმე“ და სხვა); ადგენდა არამუსლიმთათვის ჩაცმულობის სპეციალურ სტილს და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამართლებრივი აქტებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების ხილული მიზანი ხალიფა ალის ჰადისის, რომელიც ამბობს „მათ (არამუსლიმებმა – მ. გ.) ჩვენი ქვეშევრდომობა აღიარეს მხოლოდ იმიტომ, რომ

მათი სიცოცხლე და საკუთრება ყოფილიყო ჩვენი სიცოცხლის და საკუთრების მსგავსი“ (Ханчаев, 2010). სტანდარტად ქცევა და ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის, რელიგიური განსხვავების მიუხედავად, თანასწორი სამოქალაქო უფლებების მიკუთვნება, სამართლებრივ, პოლიტიკურ თუ თეოლოგიურ დონეზე, არამუსლიმთა მიმართ გარკვეული მორალურ-სამართლებრივი ვალდებულებების აღიარება, მათი დისკრიმინაციის დაძლევა იყო, ისინი, ფაქტობრივად, ოსმალური იმპერიის მმართველობის განმტკიცებას უფრო ემსახურებოდნენ და არათანაბარ პირობებში აგდებდნენ არამუსლიმებს მუსლიმებთან შედარებით. ეს გამოიხატებოდა როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, - მიწის ფლობის უფლება, სოციალური ურთიერთობების რეგულაციები (შარიათის და საერო კანონების მიხედვით, გაზრდილი გადასახადები) (შაშიკაძე & კარალიძე, 2020: 103) და სხვა.

ხშირად თვით მუსლიმური სამართლით გათვალისწინებული ნორმების უხეში დარღვევების გზით ხდებოდა რელიგიური თუ ეთნიკურ-ეროვნული უმცირესობების შევიწროება. ამის თვალსაჩინო მაგალითი ოსმალეთის იმპერიის ქართველებია. ქართველი ქრისტიანების მაგალითზე ჩანს, რომ „ურჯულთების“ მიმართ სამართლებრივად გაცხადებული შემწყნარებლობის მიუხედავად, რელიგიური უმცირესობების უფლებები ოსმალეთის იმპერიაში დაუცველი იყო. ჯერ ერთი, ორთოდოქსალური მართლმადიდებლობა, რომლის მიმდევრები ქართველები იყვნენ, ოსმალეთის ბერძნულ ეკლესიად განიხილებოდა და მასთან მიმართებაში, გარკვეული ისტორიული ფაქტორების გამო, სულთანის ხელისუფლება უფრო რადიკალურ პოზიციას იჭერდა (შაშიკაძე & კარალიძე, 2020: 103). ასევე, სამხრეთ საქართველოს დაპყრობილი პროვინციების ქართველები, კონსტანტინეპოლში შექმნილ სომხურ-გრიგორიანულ საპატრ-

იარქოს დაუქვემდებარეს (ლომსაძე, 1979: 25). ამასვე მოწმობს ფარული ქრისტიანობის ინსტიტუტის არსებობა ოსმალთა მიერ დაპყრობილ ქართველ ქრისტიანებს შორის (ჩოხარაძე, 2020: 245-255). ამ ინსტიტუტის შექმნა დასჭირდათ ქართველ ქრისტიანებს, რომ „საყოველთაო მაჰმადიანობის პირობებში“ (ყაზბეგი, 1995: 146-147) განეხორციელებიათ მართლმადიდებლური აღმსარებლობა.

საგადასახადო სისტემა, რომელიც შარიათის პრინციპებსა და სულთნის დისკრეციულ ძალაუფლებას ეყრდნობოდა, ქმნიდა ორმაგ სტანდარტს: არამუსლიმებისთვის განკუთვნილი სპეციალური გადასახადები (ჯიზიე), ისევე როგორც საერთო გადასახადების არაპროპორციული ოდენობა, აფიქსირებდა მათ დაქვემდებარებულ მდგომარეობას. ყოველივე ამან – ზიმმის ხელშეკრულების ცალმხრივმა დარღვევებმა, ძალადობრივმა ისლამიზაციის მცდელობებმა, ეკლესია-მონასტრების განადგურებამ ან მიჭეთებად გადაკეთებამ – შექმნა ისეთი გარემო, სადაც არამუსლიმებისთვის რთული იყო საკუთარი თავის იმპერიის სრულფასოვან მოქალაქეებად შეგრძნება. იქმნებოდა ისლამური ნაციონალიზმის საფუძვლები. ისლამის მნიშვნელობა გადამწყვეტი ხდებოდა ოსმალური/თურქული იდენტობის ფორმირებაში (ბაკურაძე, 2020: 4).

მართალია, თანზიმათის რეფორმებმა და კონსტიტუციამ გარკვეულწილად გააფართოვა არამუსლიმთა უფლებები, მაგრამ ვერ აღმოფხვრა ფუნდამენტური უთანასწორობა მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის. საბოლოო ჯამში, ოსმალეთის იმპერიის სამართლებრივ პოლიტიკაში, მიუხედავად ცალკეული ლოიალური ნაბიჯებისა, მკაფიოდ გამოიკვეთა ასიმილაციური ხასიათი. არამუსლიმი ქვემეგრდომების (გარდა პრივილეგირებული ბერძნების, ებრაელებისა და სომხებისა) და არათურქი მუსლიმი მოსახლეობის ეთნოკულტურული თავისებუ-

რებების თანდათანობითი ნიველირება იმპერიის ერთიან თურქულ ნაციაში შერწყმის პოლიტიკის ნაწილი იყო. ამრიგად, სამართლებრივი წყაროები და ინსტიტუტები, რომლებიც ფორმალურად არამუსლიმთა უფლებების დაცვას ისახავდნენ მიზნად, რეალურად იმპერიის ინტერესთა სამსახურში იყვნენ და ხელს უწყობდნენ არათურქი ხალხების თანდათანობით ასიმილაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

აჭარის. (2011). *აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები*. (ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ). თბილისი.

ბაკურაძე, ს. (2020). *ოსმალური მილეტის სისტემიდან თანამედროვე თურქულ იდენტობამდე*. <https://regional-dialogue.com/wpcontent/uploads/2020/04/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf>, თბილისი.

ბარდაველიძე, ნ. (2020). *ოსმალური სამხედრო სამართალი*. სამართლის მეთოდები, (4). თბილისი.

გაჩეჩილაძე, რ. (2018). *ახლო აღმოსავლეთი* (ტ. 1). თბილისი.

- გელოვანი, ნ.** (2024). *შარიათი: ისტორია, დოგმატიკა, სამართალი*. თბილისი.
- გორგოშაძე, მ.** (2006). *ქრისტე, ქრისტიანობა და ქრისტიანები ყურანში*. რელიგია, (10–12). თბილისი.
- ისლამი.** (1999). *ისლამი: ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი.
- კალანდარიშვილი, ს.** (2024). *აბდულჰამიდ II-ის მმართველობა 1876–1878 წლებში*. აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, 7(2). <https://hos.openjournals.ge/index.php/hos/issue/view/933/456>
- კუკავა, თ.** (2000). *ქრისტიანობასთან მაჰმადიანობის მიმართების ზოგიერთი საკითხი*. ფილოსოფიური ძიებანი, (4). თბილისი.
- ლინგსი, მ.** (2016). *ცხოვრება მუჰამედისა*. სტამბოლი: Erkam Yayınları.
- ლობჯანიძე, გ.** (2004). *ყურანი და ქრისტიანობა*. სჯანი, (5). თბილისი.
- ლობჯანიძე, გ.** (2006). *ყურანის განმარტებანი*. იხილეთ, ყურანი (არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჯანიძემ). თბილისი.
- ლომსაძე, შ.** (1979). *გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალციხური ქრონიკები)*. თბილისი.
- მაჰმადის.** (1996). *მაჰმადის შეგონებანი*. თბილისი.
- ორი ოსმალური.** (2024). *ორი ოსმალური დავთარი ბათუმის შესახებ*. (თურქულიდან თარგმნა, შესავალი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა შაშიკაძემ). თბილისი.
- ოსმალეთის.** (2022). *ოსმალეთის 1876 წლის კონსტიტუცია*. იუსტიცია, (1). თბილისი.

- სვანიძე, მ. (2007). *თურქეთის ისტორია (1299-2000)*, თბილისი.
- სვანიძე, მ. (1999). *ოსმალეთის ისტორია XIV- XVI სს.*, თბილისი.
- სტეფანაძე, მ. (2002). *ქართველთა სტატუსი წმინდა მიწაზე VII საუკუნის აქტინამეს მიხედვით*. ქართული დიპლომატია, (9). თბილისი.
- ყაზბეგი, გ. (1995). *სამი თვე თურქეთის საქართველოში*. ბათუმი: აჭარა.
- ყურანი. (2006). *ყურანი* (არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლომაჯანიძემ). თბილისი.
- შაშიკაძე, ზ., & კარალიძე, ჯ. (2020). *ტაოს ისტორიიდან*. იხილეთ, ტაო. ბათუმი.
- შენგელია, ნ. (1962). *გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI საუკუნის ოსმალეთში*. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 6(2). თბილისი.
- ჩოხარაძე, მ. (2020). *კრიპტოქრისტიანობის ზეპირი ისტორიები ჭოროხის აუზში*. წელიწდეული, 12. ქუთაისი. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/371091/5/Weliwdeuli_2020_N12.pdf
- ჭანტურიშვილი, პ. (2022). *ქრისტიანების სტატუსი ადრეულ ისლამში (არაბული დაცვის სიგელები)*. ისტორიის დოქტორის (Ph.D. in History) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი.
- ჯაფარიძე, გ. (2018). *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI–XVIII საუკუნეებში*. თბილისი.
- Bayir, D. (2012). *Minorities and nationalism in Turkish law*. London.

- Constitution**, (2021). *Constitution of Medina*. <https://f.hubspotusercontent10.net/hubfs/4713562/Website-Paper-PDFs/Medina%20Paper-Final.pdf>
- Constitution**, (1876). *The Ottoman Constitution*. <https://www.pfsa.unsa.ba/pf/wp-content/uploads/2019/04/The-Ottoman-Constitution-1876.pdf>
- Gorgoshadze, M., & Putkaradze, N.** (2025). “*Dhimmi*” and “*Millet System*” as institutions of legal regulation of non-Muslims in the Ottoman Empire. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 19(3). <http://science.org.ge/bnas/vol-19-3.html>
- Hatti**, (2013). *Hatti-humayoun de 1856* (1856). <https://mjp.univ-perp.fr/constit/tr1856.htm>
- Rudi, R., & Yaman, S.** (2020). *The rights of non-Muslims in an Islamic state*. <https://riset-iaid.net/index.php/istinbath/article/view/28>
- The Status**, (2025). *The Status of Non-Muslims Under Muslim Rule* <https://sourcebooks.fordham.edu/source/pact-umar.asp>
- Treaty**, (1970). *Treaty of Berlin between Great Britain, Austria-Hungary, France, Germany, Italy, Russia and Turkey (1878, July 13)*. https://ecf.org.il/media_items/1489
- Галиуллина, С., & Нуриев, Б.** (2015). *Мединское соглашение (622 г.) как один из важнейших нормативных документов мусульманского права*. Вестник КГУ им. Н. А. Некрасова, (6). Кострома. <https://cyberleninka.ru/article/n/medinskoe-soglashenie-622-g-kak-odin-iz-vazhneyshih-normativnyh-dokumentov-musulmanskogo-prava/viewer>
- Ислам**. (1991). *Ислам: Энциклопедический словарь*. Москва: Наука.

Карташян, А. З. (2013). *Некоторые аспекты формирования системы миллетов в Османской империи*. Вестник Санкт-Петербургского университета, (4). Санкт-Петербург. <https://cyberleninka.ru/article/n/nekotorye-aspekty-formirovaniya-sistemy-milletov-v-osmanskoj-imperii/viewer>

Киреев, Н. (2007). *История Турции. XX век*. Москва.

<https://book.ivran.ru/f/kireev-ng-istoriya-turcii-xx-vek-2007.pdf>

Конституция. (2012). *Конституция Оттоманской империи 1876 г.* <https://worldconstitutions.ru/?p=565>

Кулиев, И. О., & Алиева, М. Г. (2012). *Толерантность в исламе*. Право і суспільство, (1). https://www.pravoisuspilstvo.org.ua/archive/2012/1_2012/06.pdf

Моргун, О. (n.d.). *Первый период Танзимата: традиционное общество и реформы*. <https://core.ac.uk/reader/46586430>

Половинка, Л. (2019). *Как одевались в Османской Империи*, <https://dzen.ru/a/XFXqwgmxHwCtEtAd>

Сквозников, А. Н. (2015). *Правовое положение немусульманских подданных в Османской империи в XVI–XIX вв.* Вестник Самарской гуманитарной академии. Серия «Право», 1–2(17). Самара. <https://cyberleninka.ru/article/n/pravovoe-polozhenie-nemusulmanskih-poddannyh-v-osmanskoj-imperii-v-xvi-xix-vv/viewer>

Хапчаев, С. Т. (2010). *Правовой статус немусульман в Исламском государстве*. Право и образование. (2). Москва.

Эрдоган, О. (2010). *Формирование культуры межрелигиозного диалога в истории ислама (Мединское соглашение)*. Власть, (4). Москва.



New Evidence on Two Female Members of the Georgian Royal Family at the Safavid Court of Iran According to the Work of Fazli Beg Khuzani Isfahani (First Quarter of the 17 th Century)¹³

Tamar Lekveishvili

Ph.D. (History)

Researcher at Ilia State University, G.

Tsereteli Institute of Oriental Studies

Georgia, 0162, Tbilisi, G. Tsereteli St.#3;

+9955593301313. tamar.lekveishvili@iliauni.edu.ge

<https://orcid.org/0009-0006-6931-7008>

Abstract

The newly discovered third volume of **Afzal al-Tawarikh**, a work by the 17th-century Iranian historian Fazli Beg Khuzani Isfahani, covers the reign of Shah ‘Abbas I (1587–1629).

As a highly significant source, it is valuable not only for the study of Safavid Iran (1501–1722), but also substantially enriches the broader understanding of the history of Georgia and the Caucasus region. The author, who lived and worked in Georgia for an extended

¹³ The research is supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) “The Perception of Georgia and Armenia in Western and Eastern Sources (Middle Ages and the Early Modern Period)” (FR-23-10274).

period, provides valuable and previously unknown information about Georgia and the Georgians.

Based on Fazli Beg Khuzani's chronicle, the article discusses the role of two Georgian royal women of this period—Lela-Elene, sister of Luarsab II (1606–1615), and Elene, sister of Teimuraz I (1606–1648)—whose influence is clearly visible in political life both in Georgia and at the Safavid court.

Keywords: Fazli Beg Khuzani Isfahani; Shah 'Abbas I; Georgian women; Elene; Lela-Elene.

Introduction

The notable role of Georgian women at the Safavid court has repeatedly become a subject of scholarly research. Georgian, Iranian, and Western scholars note that Georgian women held a special place in the harem of the shahs of the Safavid and other dynasties.

“Shah 'Abbas I did not limit himself to territorial conquests and the resettlement of his population in newly acquired lands; he strengthened Safavid positions in the Caucasus and more closely tied the local elite to the Safavid state through dynastic marriages. Even before Shah 'Abbas's accession to the throne, a tradition of marriage between Safavid shahs and Georgian kings had already been established, which Shah 'Abbas continued” (Maeda 2012: 477); “Georgian women played an important role in the Shah's dynastic marriage policy, and by the end of Safavid rule, an entire network of such relationships had already been formed” (Matthee 2001: 493–496); “The rivalry between Georgian and Circassian women in the shah's harem led to dynastic confrontations and conflicts based on ethnic motives — a phenomenon previously unknown to the Safavid state” (Savory 1986: 363).

Pietro della Valle notes that the number of Georgians enslaved in Persia was so great that “there was not a single household in all of Persia that was not filled with such Georgians, both men and women. There is no nobleman there who would not wish all his women to be Georgian, for they are beautiful” (della Valle 1879: 49).

There are quite many similar accounts emphasizing the beauty of Georgian women and their importance at the royal court of the shahs; however, historical sources that document their involvement in political vicissitudes, as well as evidence of their strength and influence, are indeed rare. It is precisely such a historical source containing unique information that is represented by the third volume of **Afzal al-Tawarikh**¹⁴ by the Iranian historian Fazli Beg Khuzani Isfahani¹⁵.

Afzal al-Tawarikh is an important source not only for the study of the Safavid period Iran (1501–1722), but also researching the history of Georgia and the Caucasus region, more broadly. The above-mentioned work presents certain vicissitudes in the history of Georgia during the 16th–17th centuries in an entirely new light. It contains

¹⁴ Fazli Beg Khuzani Isfahani served as the vizier of the ruler of Kakheti, Peykar Khan, during the period of Qizilbash domination, and appears as an eyewitness to many of the contemporary events in Safavid Iran and Georgia.

¹⁵ The historical work of the 17th-century Iranian historian Fazli Beg Khuzani Isfahani, "Afzal al-Tawarikh" (The Beautiful History), focuses on the reign of Shah Abbas I. This text represents the third part of Fazli's long-lost chronicle, which was later published in an academic edition in 2015 (A chronicle of the reign of Shah Abbas"; Fazli Beg Khuzani Isfahani, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. Gibb Memorial Trust, 2015). The information concerning Georgia was published in 2025 - 'Pazli Khuzani Espahanis tsnobebi sakartvelos shesakheb' (Informatin of Fazli Khuzani Isfahani about Georgia). Translated from Persian, with study and commentary by Tamar Lekveishvili. Ilia State University, 2025.

numerous facts previously unknown to Georgian historiography (Lekveishvili, 2022: 103).

Based on Fazli Beg Khuzani's work, the article examines the role of two Georgian royal women of this period—Lela-Elene, sister of Luarsab II (r. 1606–1615), and Elene, sister of Teimuraz I (r. 1606–1648)-whose influence is clearly visible in politics at both - Georgian and Safavid court.

Method

In the course of preparing this article, comparative method of the historical research was employed, which involves identifying cause-and-effect relationships, highlighting the main characteristics of processes, and analyzing them. It also includes the comparison and reconciliation of data from primary and secondary sources in order to draw overall conclusions.

Discussion

Lela-Elene was the daughter of Giorgi X, the King of Kartli (1600–1606), and the sister of Luarsab II (King of Kartli 1606–1615). In Georgian sources, she is often called Tinatin.¹⁶ The chronicler Beri Egnatashvili writes: 'And when little Luarsab became king, then Shah 'Abbas requested Tinatin as a wife. And he gave Tinatin as a wife to Shah 'Abbas' (Beri Egnatashvili 1954: 383).

According to the account of Vakhushti Bagrationi, Shah 'Abbas asked King Luarsab for his sister Tinatin as a wife, and then brought this girl with great honor¹⁷ (Vakhushti Bagrationi 1973: 420). It should also be noted that in 1605, Russian ambassadors requested Lela-

¹⁶ See: K. Kekelidze (1957). *Kartveli Kalebi Shah-Abaz Pirvelis Karze. Etiudebi Dzveli Kartuli Literaturis Istoriidan 4*. Tbilisi: Tbilisis sakhelmtsipo Universiteti.

¹⁷ Korneli Kekelidze notes that this is a case of error: Luarsab's sister was not named Tinatin, and the reference here is in fact to Lela. The name Tinatin belonged to the sister of Teimuraz I of Kakheti, who was married to Safi I of (1611–1642) and whom Teimuraz himself had sent to him (Kekelidze 1957: 220).

Elene's hand for the son of Boris Godunov, King of Russia. They asked King Giorgi: 'Will you give your daughter to the Russian prince? How old is your daughter? What does she look like?' (Белокуров 1889: 470). From the history of Georgia, it is known that this marriage did not take place.

According to Parsadan Gorgijanidze (he correctly indicates this woman's name), "King Giorgi had two daughters, the older – Lela, whom the Shah named Sultan Begum and married (Kakabadze 1926/25: 20). It is known for the history of Georgia that in 1622, Lela-Elene was given to Paykar Khan by Shah 'Abbas (Alasania 1980: 85; Jamburia 1973: 277).

Another Georgian royal princess is Elene, the daughter of Davit I (King of Kakheti, 1601-1602) and the sister of Teimuraz I (1606-1648).

In August 1604, Russian envoys also arrived in Kakheti. They demanded Prince Giorgi to swear allegiance to the Tsar of Russia and, at the same time, were tasked with selecting a bride for the son of Boris Godunov, as well as a suitable groom for his daughter. For this purpose, they intended to take Prince Teimuraz to Russia. However, Giorgi refused to comply with the envoys' demands.

At that time, the shah's envoy, Mohamad Beg, had already been in Kakheti for several months and was attempting to take Teimuraz I of Kakheti and his sister Elene to Iran. A large part of the Kakhetian nobility also opposed alignment with Russia. Aleksandre, too, recognized the complexity of the situation and sought a solution. With his consent, Giorgi sent Teimuraz and Elene to Iran; according to the Russian envoys' account, Elene was married to Shah 'Abbas (Belokurov 1889:492). However, the same source also states that in 1604 the Shah raped the granddaughter of King Aleksandre (Belokurov 1889:

500). The fact that Elene was at Shah ‘Abbas’s court in 1604 is also supported by Fazli’s chronicle, which we will discuss below.

According to Vakhushti Batonishvili, because of the death of his wife in 1610, “Teimuraz experienced great sorrow and mourning”, after which still-grieving Teimuraz appeared before the Shah at the request of the latter and “handed over his brother, captives and his sister” (Batonishvili Vakhushti 1973:584). It was during this visit, which can be dated as 1611 (as K. Kekelidze suggests (Kekelidze 1957: 218)), that Elene appeared at a Shah’s court for the second time.

Fazli Khuzani describes the events of 1604 and 1611 and recounts how the women of Teimuraz’s family were taken to the Shah.

As mentioned above, according to the Russian envoys, Shah ‘Abbas “violated” Elene. K. Kekelidze notes: “She is undoubtedly the daughter of Davit, King of Kakheti, and without doubt Teimuraz’s sister. There is also no doubt that the Russian envoys meant this very sister, Elene, since Teimuraz apparently had no other sister. Most likely, this unfortunate woman was first sent to the Shah in 1604, and he demanded her again in 1611” (Kekelidze 1957:218).

Iskander Beg Monshi writes that in the year 1013 AH (1604/1605), Teimuraz and his brother Keshish, together with some women of their family, came to the royal camp in service of the Shah (Puturidze 1969:44). He also notes that in the same year, Aleksandre’s “other children and the women of this family who were in the royal camp received permission to depart and traveled together with the father and son to their homeland” (Puturidze 1969:46).

According to Fazli Beg Khuzani, the events of the year 1013 AH (1604/1605) are described as follows: ‘In accordance with the royal command, Konstantine Khan and Zulfiqar Khan, having been honored with the Shah’s gracious favor, went from Tabriz to Ardabil. The

son of Giorgi, ¹⁸Teimuraz Khan (*Tahmuras Khan*), the elder brother of Konstantine Khan, appeared before His Majesty together with the girl (his sister) who had been brought as a bride for His Majesty.’ (Fazli 2015:372).

Fazli Beg Khuzani also recounts the events of the year 1019 AH (1610/1611). He describes how, by the order of Shah ‘Abbas I, Allah-verdi Khan Undiladze hosted the Georgian nobles, where “His Majesty — the exalted one of the world, the sphere of the heavens and the shadow of Allah — would arrive at the place of their feast upon returning from the hunt,” and where Teimuraz’s sister, the Queen’s daughter, appeared once again (Fazli 2015:545).

The banquet is described at considerable length and in great detail: “These people were received splendidly and incomparably in the royal tent, and together with them, along with her daughters and other accompanying women, entered the mother of Teimuraz Khan (Queen Ketevan).

At this gathering, alongside with precious Georgian wine, there was also pure Shirazi wine. There were musicians, Georgian singers, and jesters. This paradise-like feast was a sight to behold for everyone ...

And after beholding the mother of Teimuraz Khan, the Queen, as well as the Georgian women and girls accompanying her — some of whom were already in the service of His Majesty — it was decided that all Georgians, whether long present or newly arrived, were to sit in the Khan’s banquet and, according to Georgian custom, sing, dance, and conduct the festivities” (Fazli 2015:545).

¹⁸ The author is mistaken: Teimuraz I of Kakheti was the son of Davit I of Kakheti, while Giorgi was his uncle.

As already noted:

a) According to Iskander Beg Monshi, in 1604 “the women of King Aleksandre’s family” appeared before the Shah. Based on this passage, it may be assumed that Elene herself may have been among the “women of King Aleksandre’s family.”

b) According to Fazli Beg Khuzani, in 1604/1605 Teimuraz Khan appeared before His Majesty and gave his sister in marriage. According to Fazli’s work, Elene was still the Shah’s wife in 1614:

“Teimuraz Khan, the Vali of Georgia, is a vassal of this exalted dynasty. And since his sister is the wife of His Majesty, he (His Majesty) came to hunt in his (Teimuraz’s) Velayat” (Fazli 2015:635).

c) According to the work of Kamal ben Jalal Monajjem Yazdi as well, in 1604/1605 Teimuraz gave his sister in marriage to Shah ‘Abbas I (Yazdi 1397:236).

A noteworthy and highly important account is found in the work of Jalal al-Din Monajjem Yazdi regarding the year 1013 AH (1604/1605): “The son of Davud Khan, Teimuraz Khan — who was also called Bedve Mirza — arrived together with his cleric brother Abash Parva, his mother, and his sister. On the second night, the girl was given to His Majesty in a **sigheh** (temporary marriage). Sheikh Baha al-Din Mohammad performed the **sigheh** ceremony” (Yazdi 1366:268).

If we take the **sigheh** marriage into account, it may be assumed that the “violation” reported by the Russian envoys refers precisely to this event. In this particular case, the differing attitudes toward the

same fact may be explained by the authors' differing worldview perspectives in interpreting the event. The issue is that the Russian author evaluated this instance of "temporary marriage" (**sigheh**) according to the standards of an Orthodox Christian. From the perspective of Christian ethics, such a practice was unacceptable to the Russian deacon and was regarded as equivalent to an act of violence ("having dishonored her, he sent her away" (*опозорив, отослал от себя*)). For the Persian Shi'i author, however, **sigheh** was a lawful form of marriage consistent with the norms of Sharia, essentially no different from the principal form of marriage.

As can be seen from the work of Fazli Beg Khuzani Isfahani, Elene was in Iran from 1604/1605 onward and, as already noted, is mentioned several times up until 1620 as the Shah's wife.

In the year 1029 AH (1620), Fazli Beg Khuzani writes: "The honor of becoming a son-in-law was also granted to the Beglar-begi of Karabakh, Mohammad Quli Khan, and he took as his wife the sister of Teimuraz Khan" (Fazli 2015:790).

In his chronicle, Fazli Beg Khuzani Isfahani also writes about Lela-Elene and Elene in a different context. Here, the author emphasizes the strength and influence of these two women. Similar information is not found neither in Georgian, nor other foreign sources: "The sister of Tahmuraz Khan, who belonged to the ranks of the noble ladies of the Shah's harem, became strongly determined to rescue her brother and the Georgians of Kakheti from Paykar Khan, to incite rebellion, and to direct affairs toward the capture of Van" (Fazli 2015: 889).

As for Luarsab Khan's sister, Lela-Elene, Fazli Beg Khuzani emphasizes the significant role of hers and recounts the great respect she commanded from the Shah: "Because Luarsab Khan had a long-standing enmity with the Qazakhlar Sultans, who were the rulers of

the velayats of Lur and Panbak, despite the order that the seeds of hostility and discord should be removed and love and goodwill established between them, Luarsab nevertheless invited Mohammad Qazakhlar to a banquet in Tbilisi and killed him. And although the death of Khan Mohammad provoked His Majesty's displeasure, this incident did not create significant tension because Luarsab Khan's sister held an honorable position in the Shah's harem," (Fazli 2015: 610). This occurred in the year 1021 AH (1612/1613).

"...It is possible that Teimuraz Khan, who has been removed from power for twelve years and is waiting in the Ottoman lands for an opportune moment, may gather an army, summon the sultans, and return to his own territory. When the Georgians see that Teimuraz Khan has arrived, it is not unlikely that, together with the sultans of the valley of the Qipchaq, with whom he has long-standing friendship, love, and kinship, they may initiate a rebellion. In that case, Paykar Khan can no longer remain in that region. And if Luarsab Khan's sister, who belonged to the glorious harem, becomes angry with Paykar Khan and the Qizilbash, she will surely provoke Georgians and Around 20,000 families from the Igrimi Durt or other tribes who are in the service of Paykar Khan may be attacked, captured, and possibly even displaced, which would cause turmoil and chaos" (Fazli 2015: 889).

In Fazli's chronicle, we also encounter the following account: "He (Giorgi Saakadze) declared that before the Khans and sultans returned from the campaign in Kakheti, he would kill the commander-in-chief, seize the fortress, and the sons of Muslim leaders—Simon Khan himself, a Muslim, and the Mazandaranian tofangchis—would not be able to harm them in the least. He would bring him (Simon Khan) out of the fortress together with other tofangchis, and send them into Ganja disarmed and naked. Then he would take control of

these lands, kill the commander-in-chief, bring Luarsab Khan's sister _Paykar Khan's wife, and place her on the throne of Simon Khan _ her grandfather" (Fazli 2015: 901).

It should also be noted that, according to Fazli Beg Khuzani Isfahani's work, the date of Lela-Elene's marriage to Paykar Khan is the year 1029 AH _1620, and not 1622 as commonly recorded in Georgian history, as was mentioned above. It is also noteworthy that in that same year, he gives Elene (Teimuraz Khan's sister) to the Beglar-begi of Karabakh: thus, both of the royal family's Georgian wives are simultaneously "removed" from the scene (Fazli 2015: 790).

Another passage from the same chronicle reflecting the strength and significant role of Luarsab Khan's sister reads as follows: "Mourav Beg apparently thinks that the noble Queen, the sister of the King of Kartli, Luarsab Khan, whom His Majesty gave in marriage to Paykar Khan, might be in Kartli. When Paykar Khan learned this, he thought: God forbid that this queen should be the instigator of a rebellion! She may have sent the man to that treacherous Mourav and Georgians of her region to stir up disorder and revolt and they might destroy me!" (Fazli 2015: 890). It is noteworthy that when Paykar Khan asked Luarsab Khan's sister whether she knew anything about such a plan, "the Queen, who was the wisest woman of her time, upon hearing this, ordered, 'Saddle horses for me and my maidservants—we are leaving from here! After that, do whatever you wish!' She took a sword and a dagger, wrapped a headdress around her head, donned an embroidered silk cloak and enraged *ran out of the house like a tigress* as Sheikh Nezami had said" (Fazli 2015: 906).

She said:

'Although I am a woman, I am not powerless;

I understand the intricacies of this world as well.
And if I am a lioness and you are a lion, we both strike alike when
the time comes'.¹⁹

According to Fazli's work, in the year 1034 AH (1624/25), Lela-Elene leaves her husband. The author emphasizes the courage and pride of the Bagrationi princess, who, because of her noble lineage, granted herself the right to take such an action. It should also not be forgotten that at this time her brother King Luarsab was already murdered, and Lela-Elene's rage is clearly reflected in this account.

This particular passage is also interesting in a sense that Fazli, in his work, employs an aphorism from Nezami Ganjavi, which is equivalent to the famous aphorism in **The Knight in the Panther's Skin (Vepkhistqaosani)**: "the lion's whelps equal (alike lions), be they male or female" (Rustaveli 2025:12). Originally referring to Tamar in Rustaveli's poem, whereas Nezami Ganjavi applies it to the heroic Queen and the commander of Barda Nushabe in Ganja. In Fazli, all of this is focused on the figure of Luarsab's sister, who is regarded as a queen, and, as we have already noted, according to the source, it anticipates her future role as a ruling queen.

In general, the name of Queen Tamar appears not only in Persian sources but also in the literary and folkloric traditions of other countries.²⁰ Tamar is also connected to the passage mentioned above: "I will bring Luarsab Khan's sister, who is Paykar Khan's wife, and

¹⁹ Koliat khomse-i Nezami, Vol.2, Eskander-Name, Entesharate Rad, Tehran, 1374,1047; Низами Гянджеви, Шараф-Намэ, Издательство академии наук Азербайджанской сср, Баку 1947, 261-262; Kobidze, D. (1978). Kartul-Sparsuli Literaturuli Urtiertobani III, Rustavelis da Nizamis Shemokmedebis Sakitkhebi. Tbilisi: Tbilisis Universitetis Gamomtsemloba.

²⁰ See: Г. Берадзе, Легенды о царице Тамар в Персидском историческом сочинении "Ихйа Ал-Мулук". Источниковедение и текстология средневекового и Среднего Востока. Издательство "Наука", Москва 1984.

place her on the throne of Simon Khan, her grandfather.”²¹ It should also be noted that Fazli Beg Khuzani Isfahani, an official residing in Georgia, frequently emphasizes his knowledge of Georgian historical events. In this particular case, Queen Tamar, her deeds.

“This woman several years earlier had embraced Islam and was honored for her reading of the Quran. Distinguished by her conscientiousness, intelligence, honesty, determination, and charitable deeds, she annually gave 3,000 tomans from her own funds for clothing and other necessities for the poor”— Fazli Khuzani characterizes Lela-Elene (Lekveishvili 2025: 26).

Conclusion

In conclusion, it can be said that one of the notable features of Fazli Khuzani’s work is the inclusion of Georgian women—specifically, in this case, members of the royal family, Lela-Elene and Elene—within the existing political vicissitudes. Fazli’s accounts further reinforce the fact that Georgian women held significant roles at the royal court of Iran. The episodes we have examined demonstrate how prestigious the presence of a Georgian woman was considered at the royal court of Safavid Iran, and it can be said that, from a pragmatic perspective, it likely served as a highly facilitating factor in resolving certain issues for the Georgian royal court.

Fazli’s work provides invaluable information about the distinguished Georgian women of this period, indeed. The Iranian author presents the role of Georgian women quite clearly within the highly

²¹ Fazli Beg Khuzani Isfahani also writes about Elene Atabagi, daughter of Simon I of Kartli and wife of Manuchar II, Atabagi of Samtskhe: “Since the Atabeg Khan was still a child, the Queen placed jeweled crown upon her own head in accordance with the old Georgian custom. Crown—the symbol of the strength of the state and the governance of the country” (Lekveishvili 2025: 26).

complex and often contentious relations between Iran and Georgia during this time.

References:

Alasania, G. (1980). Tskhovreba Sakartveloisa (Parizis Kronika). Tbilisi: Metsniereba

Beri Egnatashvili. (1954). Kartlis Tskhovreba II. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.

Batonishvili, V. (1973). Aghtsera samefosa Sakartvelosa, Kartlis Tskhovreba IV. Ybilisi: Sabchota Sakartvelo.

Dela Vale, P. (1879). Mogzauris Pietro De La Vales Mokhseneba Sakartvelozed Pap Urbanus Mervesadmi 1627 Ts. Iveria 3.

Jamburia, G. (1973). Iran-Osmaletis Omi da Kartl-Kakhetis Samefoebi, Sakartvelos Istoriis Narkvevebi, Tomi IV, Tbilisi: Gamomts-emloba „Sabchota Sakartvelo“

Kekelidze, K. (1957). Kartveli Kalebi Shah-Abaz Pirvelis Karze. Etiudebi Dzveli Kartuli Literaturis Istoriidan 4. Tbilisi: Tbilisis sakhelmtsipo Universiteti.

Kobidze, D. (1978). Kartul-Sparsuli Literaturuli Urtiertobani III, Rustvelisa da Nizamis Shemokmedebis Sakitkhebi. Tbilisi: Tbilisis Universitetis Gamomtsemloba.

Kakabadze, S.(1926). Farsadan Gorgijanidzis Istoria, Tbilisi.

Lekveishvili, T. (2022). Fazli Beg Khuzani Esfahanis Tsnobebin Aghmosavlet Sakartvelosa da Iranis Urtiertobebis Shesakheb (me-17 saukunis dasatsqisi), Akhali Masalebi Sakartvelos Shesakheb Iranis Arkivebsa da Bibliotekebshi. Tbilisi: Gamomtsemloba „Ilias Sakhelmtsifo Universiteti“

Lekveishvili, T. (2024). Akhali Tsnobebi Iran-Sakartvelos Urtiertobebis shesakheb me-17 s-is dasatsqisshi. Iraneli Avtoris, Pazli Beg Khuzani Espahanis Tkhzulebis Afzal Al Tavarikhis Mikhedvit: Isa-

Khan Mirza da Shah 'Abas I. Aghmosavletmtsodneobis Matsne 7, №2. Batumi: Batumis Shota Rustavelis sakhelmtsipo Universiteti. <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.8270>.<https://hos.openjournals.ge/index.php/hos/issue/view/933>.

Puturidze, V. (1969). Iskander Munshis Tsnobebi Sakartvelos Shesakheb. Tbilisi: Gamomtsemloba „Metsniereba“.

Ahmadi, N and Fesharaki M. (2021). *A Versified History of Shah 'Abbas the Great [Futuhāt-I Gītisūtān]. [Conquests of the Conqueror of the World] 12th/18th century.* Uppsala: “Uppsala Universitet”.

Fazli Beg Khuzani Isfahani. (2015) *A chronicle of the reign of Shah 'Abbas*, Edited by Kioumars Ghereghlou. Great Britain: “Gibb Memorial Trust”.

Ganjavi, N. (1374). *Koliāt khomse-i Nezami, Eskander-Name.* Vol.2, Tehran: ‘Entesharate Rad’.

Maeda, H. (2012). *Exploitation of the Frontier: The Caucasus Policy of Shah 'Abbas I.* Iran and the world in the Safavid age. London, New York: “I.B. Tauris”.

Matthee, R. (2025). *Georgians in the Safavid administration.* Encyclopaedia Iranica. 10. Accessed October 9.

Savory, R. (1986). *The Safavid administrative system.* Cambridge history of Iran, volume 6. ‘Cambridge University Press’.

Rustaveli, Sh. (2025). *The man in the panther skin.* Translated from Georgian into English by Marjory Wardrop. Tbilisi, Foliant Publishing.

Yazdi, Kamal Ben Jalal Monajem (1397). *Zubdat al-Tawarikh.* Qom: ‘Pajuheshgahe houze va Daneshgah’.

Yazdi, Jalal al-din (1366). *Tarikh-e Abbasi,* ‘Sobh Emruz’.

Beradze, G. (1984). *Legendy o tsaritse Tamar v persidskom istoricheskom sochinenii “Ikhyā al-Muluk”.* [Легенды о царице Тамар в

Персидском историческом сочинении "Ихйа Ал-Мулук."] In *Istochnikovedenie i tekstologiya srednevekovogo i Srednego Vostoka*.

Belokurov, S. (1889). *Snosheniya Rossii s Kavkazom (1578–1613) [Сношения России с Кавказом (1578-1613)]*. Moscow: Universitetskaya tipografiya.

Gyanjavi, N. (1947). *Sharaf-name. [Шараф-Намэ]* Baku: Izdatel'stvo Akademii nauk Azerbajjanskoy SSR.



ახალი ცნობები ქართული სამეფო ოჯახის წარმომადგენელი
ორი ქალბატონის შესახებ სეფიანთა ირანის სამეფო კარზე
ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის თხოვრების მიხედვით (XVII ს-
ის პირველი მეოთხედი)²²

თამარ ლეკვეიშვილი

ისტორიის დოქტორი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის

ასოცირებული მკვლევარი.

საქართველო, ქ. თბილისი, აკად. გ. წერეთლის ქუჩა #3. 0162;

+9955593301313. tamar.lekveishvili@iliauni.edu.ge

<https://orcid.org/0009-0006-6931-7008>

აბსტრაქტი

მე-17 საუკუნის ირანელი ისტორიკოსის, ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის ნაშრომი „აფხალ ალ-თავარიხის“ ახლად აღმოჩენილი მე-3 ტომი შაჰ აბას I-ის (1587-1629) მმართველობის პერიოდს ეხება.

²² კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში „საქართველოსა და სომხეთის პერცეფცია დასავლურ და აღმოსავლურ წყაროებში (შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში)“ (FR-23-10274).

როგორც უმნიშვნელოვანესი წყარო, იგი არა მხოლოდ სეფიანთა ირანის (1501–1722) ეპოქის შესწავლისათვისაა ღირებული, არამედ მნიშვნელოვნად ამდიდრებს საქართველოსა და კავკასიის რეგიონის ისტორიის ზოგად ხედვას. ავტორი, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, ფასეულ და დღემდე უცნობ ცნობებს იძლევა საქართველოსა და ქართველების შესახებ.

სტატიაში, ფაზლი ბეგ ხუზანის თხზულების მიხედვით, განხილულია ამ პერიოდის ქართული სამეფო კარის ორი ქართველი ქალის (ლელა-ელენე, ლუარსაბ II-ის (1606-1615) და ელენე-თეიმურაზ I-ის (1606-1648) და), როლი რომელიც ნათლად ჩანს პოლიტიკაში როგორც საქართველოს, ასევე სეფიანთა კარზე.

საკვანძო სიტყვები: ფაზლი ბეგ ხუზანი, შაჰ აბასი, ქართველი ქალები, ელენე, ლელა-ელენე.

შესავალი

ქართველი ქალების საგულისხმო როლის არსებობა სეფიანთა კარზე, არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა კვლევის საგანი. ქართველი, ირანელი თუ დასავლელი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ქართველ ქალებს განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ სეფიანთა თუ სხვა დინასტიების შაჰების ჰარემში.

„შაჰ აბას I მხოლოდ ტერიტორიული დაპყრობებითა და ახალ მიწებზე თავისი ხალხის დასახლებით არ შემოფარგლულა; მან გაამდიერა სეფიანთა პოზიციები კავკასიაში და ადგილობრივი ელიტა, სეფიანთა სახელმწიფოსთან დინასტიური

ქორწინებების საშუალებით, უფრო მჭიდროდ დააკავშირა. შაჰ აბასის ტახტზე ასვლამდე უკვე დამკვიდრებული იყო სეფიან შაჰებსა და ქართველ მეფეებს შორის ქორწინების ტრადიცია, რომელიც შაჰ აბასმა განაგრძო“ (Maeda 2012: 477). „ქართველი ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ შაჰის კარის ქორწინებით პოლიტიკაში, და სეფიანთა მეფობის დასრულების დროისთვის ამგვარ ურთიერთობათა მთელი ქსელი უკვე ჩამოყალიბებული იყო“ (Matthee 2001: 493–496). „ქართველ და ჩერქეზ ქალთა მეტოქეობა შაჰის ჰარემში დინასტიურ დაპირისპირებებსა და ეთნიკურ მოტივებზე დაფუძნებულ კონფლიქტებს იწვევდა — მოვლენას, რომელიც მანამდე სეფიანთა სახელმწიფოსთვის უცნობი იყო“ (Savory 1986: 363).

პიეტრო დელა ვალე აღნიშნავს, რომ იმდენად დიდი იყო რიცხვი სპარსეთში მცხოვრები მონად ჩავარდნილი ქართველებისა, რომ „არ იყო არც ერთი სახლი მთელს სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთანა ქართველებით, მამა-კაცებით და დედა-კაცებითაც. იქ არ არის იმისთანა დიდკაცი, რომელსაც არ სურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ ესენი მშვენიერები არიან“ (დელა ვალე 1879:49).

მსგავსი მაგალითები, რომლებიც ქართველი ქალების სილამაზესა თუ მათ მნიშვნელოვნებას აღნიშნავს შაჰების სამეფო კარზე, საკმაოდ ბევრია, თუმცა. პოლიტიკურ პერიპეტებში მათი ჩართულობა და, ასევე, მათი სიმდიერისა და, ძალაუფლების მაჩვენებელი ისტორიული წყარო ნამდვილად იშვიათია.

სწორედ ასეთ უნიკალური ცნობების შემცველ საისტორიო წყაროს წარმოადგენს ირანელი ისტორიკოსის, ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის²³ „აფზალ ალ თავარიხის“ მესამე ტომი.²⁴

²³ ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანი ყიზილბაშების ბატონობის პერიოდში (1616-1625) კახეთის მმართველის, ფეიქარ ხანის ვეზირი იყო და სეფიანთა ირანისა და საქარ-

„აფხალ ალ თავარიხი“ არის მნიშვნელოვანი წყარო არა მხოლოდ სეფიანთა ირანის პერიოდისა (1501-1722), არამედ საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის ისტორიის შესასწავლად. ზემოთ დასახელებული თხზულება სრულიად ახლებურად გვიხატავს XVI-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის გარკვეულ პერიპეტიებს. თხზულებაში წარმოდგენილია საქართველოს ისტორიისთვის დღემდე უცნობი არაერთი ფაქტი (ლეკვეიშილი, 2022:103).

სტატიაში, ფაზლი ბეგ ხუზანის თხზულების მიხედვით, განხილულია ამ პერიოდის ქართული სამეფო კარის ორი ქართველი ქალის (ლელა-ელენე, ლუარსაბ II-ის (1606-1615) და და ელენე-თეიმურაზ I-ის (1606-1648) და), როლი რომელიც ნათლად ჩანს პოლიტიკაში როგორც საქართველოს, ასევე სეფიანთა კარზე.

მეთოდი

სტატიაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია ისტორიული კვლევის კომ-პარატიული მეთოდი, რაც გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიებას, პროცესების მთავარი მახასიათებლების წარმოჩენასა და მათ ანალიზს. ასევე,

თველოს იმდროინდელი მოვლენების დიდი ნაწილის თვითმხილველად გვევლინება.

²⁴ ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის XVII საუკუნის სპარსულ ენაზე დაწერილი თხზულება შაჰ-აბას I-ის (1587-1629) მმართველობის პერიოდს მოიცავს და წარმოადგენს ფაზლის დაკარგულად მიჩნეული ქრონიკის, „აფხალ ალ- თავარიხის“ (მშენიერი ისტორია) მესამე ნაწილს. თხზულების აკადემიური ტექსტი 2015 წელს გამოიცა (A chronicle of the reign of Shah 'Abbas, Fazli Beg Khuzani Isfahani, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. Gibb Memorial Trust, 2015), ხოლო საქართველოსთან დაკავშირებული ცნობების თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარებით გამოიცა 2025 წელს („ფაზლი ხუზანი ესფაჰანის ცნობები საქართველოს შესახებ“, სპარსულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო თამარ ლეკვეიშვილმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2025).

პირველადი და მეორეული წყაროების მონაცემთა შედარებასა და შეჯერებას საერთო დასკვნის გამოტანის მიზნით.

მსჯელობა

ლელა-ელენე ქართლის მეფის, გიორგი X-ის (1600-1606) ქალიშვილი და ლუარსაბ II-ის (ქართლის მეფე 1606-1615) და იყო. ქართულ წყაროებში მას ხშირად თინათინს უწოდებენ.²⁵ ბერი ეგნატაშვილი წერს: „და რაჟამს გამეფდა პატარა ლუარსაბ, მაშინ სთხოვა ყაენმან შააბაზ დაჲ თჳსი ცოლად. და მისცა დაჲ თჳსი თინათინ და ესუა ცოლად შააბაზს“(ეგნატაშვილი 1954: 383).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის მიხედვითაც, შაჰ-აბასმა ლუარსაბ მეფეს სთხოვა ცოლად მისი და თინათინი და შემდეგ დიდი პატივით წაიყვანა ეს გოგონა (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 420).²⁶ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1605 წელს ლელა-ელენეს ხელი რუსმა ელჩებმა რუსეთის მეფის ბორის გოდუნოვის ვაჟისთვის ითხოვეს. მათ გიორგი მეფეს ჰკითხეს: „შენს ასულს თუ მოგვცემ რუსეთის უფლისწულისათვის? რამდენი წლისაა შენი ქალიშვილი? როგორ გამოიყურება იგი?“ (Белокрыпов 1889: 470). საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ეს ქორწინება არ შემდგარა.

ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით (იგი სწორად უთითებს ამ ქალის სახელს), გიორგი მეფეს „ორი ქალი ჰყვანდა, უფროსი ბატონის შვილი ლელა, რომე ყაენმან სულთან ბეგუმ დაარქვა და თვითან შეირთო“ (კაკაბაძე 1926/25: 20), საქართველოს

²⁵ ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ.: კ.კეკელიძე. ქართველი ქალები შაჰ-აბაზ პირველის კარზე. On this matter, see: K. Kekelidze, *Georgian Women at the Court of Shah Abbas I*.

²⁶ კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, რომ აქ საქმე შეცდომასთან გვაქვს. ლუარსაბის დას არ ერქვა თინათინი და აქ სწორედ ლელაზეა ლაპარაკი. თინათინი ერქვა თეიმურაზ I-ის დას, რომელიც შაჰ -სეფის (1611-1642) ცოლი იყო და რომელიც თეიმურაზმა თავად გაუგზავნა მას (კეკელიძე 1957: 220).

ისტორიაში ცნობილია, რომ ლელა-ელენე 1622 წელს შაჰ-აბასმა ფეიქარ ხანს მისცა (ალასანია 1980:85; ჯამბურია 1973:277).

კიდევ ერთი ქართველი მეფის ასული არის კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის (1606-1648) და ელენე. დავით I-ის (კახეთის მეფე, 1601-1602) ქალიშვილი.

1604 წლის აგვისტოში კახეთშიც ჩავიდნენ რუსი ელჩები, რომლებიც გიორგი ბატონიშვილისგან რუსეთის მეფის ერთგულების ფიცის მიღებას ითხოვდნენ და, ამავდროულად, მათ ჰქონდათ დავალება, შეერჩიათ საცოლე ბორის გოდუნოვის ვაჟისთვის, ხოლო ქალიშვილისთვის – საქმრო. ამ მიზნით სურდათ მათ თეიმურაზ ბატონიშვილის რუსეთში წაყვანა. გიორგი არ ასრულებდა ელჩების მოთხოვნებს. ამ დროს შაჰის ელჩი მოჰამად ბეგი უკვე რამდენიმე თვე კახეთში იმყოფებოდა და თეიმურაზისა და მისი დის, ელენეს ირანში წაყვანას ცდილობდა. კახეთის მაღალჩინოსანთა დიდი ნაწილიც წინააღმდეგი იყო რუსეთის. ალექსანდრეც ხედავდა საქმის ვითარების სირთულეს და გამოსავალს ეძებდა. მისი დასტურით, გიორგიმ ირანში გაგზავნა უფლისწულები - თეიმურაზი და ელენე; რუსი ელჩების მონათხრობის მიხედვით, ელენე შაჰ-აბასმა შეირთო ცოლად (Белокуров 1889:492). თუმცა, იმავე ტექსტში ვკითხულობთ, რომ 1604 წელს ალექსანდრე მეფის შვილიშვილი შაჰმა გააუპატიურა და გაუშვა (Белокуров 1889: 500). შაჰ-აბასთან რომ ელენე 1604 წელსაც იყო, ამას მოწმობს ფაზლის ქრონიკაც და ამას ქვემოთ შევხებით.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მეუღლის გარდაცვალების (1610 წ.) გამო „ჰყო თეიმურაზ მწუხარება და გლოვა დიდი“, რომლის შემდეგ ჯერ კიდევ მგლოვიარე თეიმურაზი შაჰ-აბასის მოთხოვნით ეახლა მას და „ შესძლუნა ძმა და ტყუენი ... და აწ მისრულმან დაჲ თვისი...“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 584). სწორედ ამ ვიზიტის დროს, რომელიც, შესაძლოა, 1611 წლ-

ით დათარიღდეს (როგორც ამას კ.კეკელიძე მიიჩნევს (კეკელიძე 1957:218)), ელენე შაჰის კარზე მეორედ აღმოჩნდა.

1604 და 1611 წლების ამბებს აღწერს ფაზლი ხუზანი და იგი თეიმურაზის გვარის მანდილოსნების შაჰთან ხლებაზე მოგვითხრობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსი ელჩების მიხედვით, შაჰ-აბასს ელენე „გაუუპატიურებია“. კ.კეკელიძე აღნიშნავს, „ვახთა მეფის დავითის ასული უთუოდ არის, ეჭვი არაა, თეიმურაზის და. ეჭვი არაა აგრეთვე, რომ რუსი ელჩები სწორედ ამ დას გულისხმობენ, ელენეს, რადგანაც მეორე და თეიმურაზს თითქოს არც ჰყოლია. ალბათ ეს ბედშავი ქალი ჯერ 1604 წელს იყო გაგზავნილი შაჰთან, რომელმაც 1611 წელს მეორედ მოითხოვა ის“ (კეკელიძე 1957:218).

ისქანდერ ბეგ მუნში წერს, რომ ჰიჯრის 1013 წელს (1604/1605) თეიმურაზი და მისი ძმა ქეშიში იმ გვარის ზოგიერთ მანდილოსანთან ერთად მაღალ ბანაკში მოვიდნენ შაჰის სამსახურად (ფუთურიძე 1969:44) და ასევე აღნიშნავს, რომ იმავე წელს, ალექსანდრეს „დანარჩენმა შვილებმა და მანდილოსნებმა ამ ოჯახისამ, რომელნიც მაღალ ბანაკში იყვნენ, წასვლის ნებართვა მიიღეს და მამა-შვილთან ერთად გაემგზავრნენ თავის ქვეყანაში“ (ფუთურიძე 1969:46).

ფაზლი ბეგ ხუზანის მიხედვით, ჰიჯრის 1013 წლის (1604/1605) ამბებში მოთხრობილია: „ბრძანების თანახმად, კონსტანტინე ხანი და ზულფაყარ ხანი, ერგოთ რა მათ პატივი შაჰური გულისხმიერებისა, თავრიზიდან არდებილში წავიდნენ. გიორგის შვილი,²⁷ კონსტანტინე ხანის უფროსი ძმა, თეიმურაზ (თაჰმურას) ხანი, იმ გოგონასთან ერთად (იგულისხმება მისი და),

²⁷ ავტორს ეშლება. თეიმურაზ I დავით I-ის შვილია. გიორგი არის მისი ბიძა.

რომელიც ცოლად ჩამოეყვანა მისი უდიდებულესობისთვის, მის უდიდებულესობას ეახლა და შემდეგ წავიდა, ერგო რა პატივი, მოენახულებინა სეფიანთა დინასტიის წმინდა აკლდამა“ (Fazli 2015: 372).

ფაზლი ბეგ ხუზანი მოგვითხრობს ასევე ჰიჯრის 1019 წლის (1610/1611), ამბავს. თუ როგორ უმასპინძლა შაჰ აბასის ბრძანებით ალავერდი ხან უნდილაძემ ქართველ დიდებულებს, სადაც „ნადირობიდან დაბრუნებული სამყაროს დიდებული, ცის სფეროსა და ალაჰის ჩრდილი მისი უდიდებულესობა, მათი ღვინის ადგილას მობრძანდებოდა“, და, სადაც კვლავ ჩანს თეიმურაზის და, დედოფლის ქალიშვილი (Fazli 2015: 545).

წვეულება საკმაოდ ვრცლად და დეტალურადაა აღწერილი: „დიდებულად და შეუდარებლად მიიღეს რა ეს ხალხი ამ მეფურ კარავში, მათთან ერთად, თავის ქალიშვილებთან და დანარჩენ თანხმლებ ქალებთან ერთად, შემოვიდა თეიმურაზ ხანის დედა (ქეთევან დედოფალი) ... „ამ შეკრებაზე ქართულ ძვირფას ღვინოსთან ერთად ჰქონდათ შირაზული სუფთა ღვინო. ჰყავდათ საზოგადოებრივი დამკვრელები და მომღერალი ქართველები, მასხარები. თითოთი საჩვენებელი იყო ეს სამოთხის მსგავსი წვეულება ყველასთვის... და თეიმურაზ ხანის დედის, დედოფლის ხილვისა და მისი თანმხლები ქართველი ქალებისა და გოგონების, რომელთაგანაც ზოგი უკვე მისი უდიდებულესობის სამსახურში იყო, თვალის შევლების შემდეგ, გადაწყდა, რომ ყველა ადრე თუ ახლად მოსული ქართველი, ხანის მაჯღლესში დამსხდარიყვნენ და ქართველთა ადათ-წესისამებრ ემღერათ ეცეკვათ და ღვინი წარემართათ“ (Fazli 2015: 545).

როგორც უკვე აღვნიშნეთ:

ა) ისქანდერ მუნშის თანახმად, 1604 წელს „ალექსანდრე მეფის გვარის მანდილოსნები“ ეახლებიან შაჰს; თხზულების ამ მონაკვე-

ეთის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ალექსანდრე მეფის გვარის მანდილოსნების“ რიგში, შესაძლოა, სწორედ რომ ელენეც ყოფილიყო.

ბ) ფაზლი ბეგ ხუზანის ცნობის მიხედვით კი, 1604/1605 წელს თეიმურაზ ხანი მის უდიდებულესობას ეახლება და თავის დას ცოლად აძლევს. ფაზლის თხზულების მიხედვით, 1614 წელსაც ელენე შაჰის ცოლია: „საქართველოს ვალი თეიმურაზ ხანი, ამ დიდებული დინასტიის ვასალია. და რადგანაც (თეიმურაზის) და მისი უდიდებულესობის ცოლია, მის (თეიმურაზის) ველა-იათში სანადიროდ ჩამოვიდა“ (Fazli 2015: 635).

გ) ქამალ ბენ ჯალალ მონაჯემ იაზდის თხზულების მიხედვითაც, 1604/1605 წელს თეიმურაზი თავის დას ცოლად ატანს შაჰ აბასს (Yazdi 1397:236).

ყურადსაღები და უაღრესად მნიშვნელოვანია ჯალალ ად დინ მონაჯემ იაზდის თხზულებაში ჰიჯრის 1013 წლის (1604/1605) მოტანილი ცნობა: „დავუდ ხანის შვილი, თეიმურაზ ხანი, რომელსაც ასევე ბედვე მირზას უწოდებდნენ, თავის მღვდელ მმა აბაშ ფარვასთან, თავის დედასთან და დასთან ერთად ჩამოვიდა. მეორე ღამეს გოგონა სილეთი (დროებითი ქორწინება) ცოლად გააყოლა მის უდიდებულესობას. შეიხ ბაჰა ად დინ მოჰამადმა კი შეასრულა სიღეს რიტუალი (Yazdi 1366:268).

თუკი გავითვალისწინებთ სილეთი ქორწინებას, მაშინ, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ რუსი ელჩების მიერ ნათქვამი „გაუპატიურება“, სწორედ ამ ფაქტს ეხმიანება. ამ კერძო შემთხვევაში ერთი და იმავე ფაქტისადმი დამოკიდებულებაში არსებული განსხვავებები იმით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ მათი ავტორები სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი პოზიციებიდან განიხილავენ მოვლენას. საქმე ისაა, რომ რუსი ავტორი მართლმადიდებელი ქრისტიანის კრიტერიუმებით აფასებდა „დროებითი ქორწინების“ (სიღე) ამ ფაქტს, რომელიც რუსი დიაკვნისა-

თვის ქრისტიანული ეთიკის თვალსაზრისით მიუღებელი იყო და ძალადობას უდრიდა (“опозорив, отослал от себя“). ხოლო სპარსელი შიიტი ავტორისათვის სიღე იყო შარიათის ნორმების შესატყვისი, ქორწინების კანონიერი ფორმა, რომელიც არსებითად არაფრით განსხვავდებოდა ქორწინების ძირითადი ფორმისაგან.

როგორც ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის თხზულებიდან იკვეთება, ელენე ირანში ჩადის 1604/1605 წლიდან და 1620 წლამდე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენჯერმე მოიხსენიება, როგორც შაჰის ცოლი.

ჰიჯრის 1029 წელს (1620) კი ფაზლი ხუზანი წერს: „სიძედ გახდომის პატივი ერგო, ასევე, ყარაბაღის ბეგლარბეგს, მოჰამად ყული ხანს და მან ცოლად მოიყვანა თეიმურაზ ხანის და“ (Fazli 2015:790).

თავის ქრონიკაში ფაზლი ბეგ ხუზანი ლელა-ელენესა და ელენეს შესახებ განსხვავებულ კონტექსტშიც წერს. აქ ავტორი ამ ორი ქალის სიძლიერეზე მიუთითებს. მსგავს ინფორმაციას არ ვაწყდებით არც ქართულ და არც სხვა უცხოურ წყაროებში.

„თაჰმურას ხანის დას, რომელიც შაჰის ჰარემში დიდებულ მანდილოსანთა რიგებს მიეკუთვნებოდა, მიეცა გული მეტად, რომ თავისი ძმა და კახეთის ქართველები დაეხსნა ფეიქარ ხანისგან, გამოეწვია ჯანყი და საქმე ვანის აღებისკენ წასულიყო“ (Fazli, 2015: 889).

რაც შეეხება ლუარსაბ ხანის დას, ლელა-ელენეს, ფაზლი ბეგ ხუზანი ხაზს უსვამს მისი პიროვნების მნიშვნელობას და მოგვითხრობს, თუ რამხელა პატივისცემას იმსახურებს იგი შაჰისგან:

„ლუარსაბ ხანმა, იმის გამო, რომ მას დიდი ხნის მტრობა ჰქონდა ყაზაყლარის სულთნებთან, რომლებიც ლურისა და

ფანბაქის ველაიათების მმართველები იყვნენ, მიუხედავად ბრძანებისა, რომლის მიხედვითაც მტრობისა და უთანხმოების ბინდი უნდა მოეშორებინათ და ერთმანეთს შორის სიყვარული და სიკეთე ჩამოეგდოთ, (მიუხედავად ამისა), მიიწვია (ლუარსაბმა) მოჰამად ყაზაყლარი ნადიმზე თბილისში და მოკლა იგი. და მიუხედავად იმისა, რომ მოჰამად ხანის სიკვდილმა მისი უდიდებულესობის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც ლუარსაბ ხანის და საპატიო ადგილს იკავებდა შაჰის ჰარემში, ამ ამბავს მნიშვნელოვანი დამაბულობა აღარ გამოუწვევია“ (Fazli 2015: 610). ეს ხდება ჰიჯრის 1021 წელს (1612/1613).

.... „შესაძლოა, თეიმურაზ ხანი, რომელიც აგერ უკვე თორმეტი წელია, რაც მმართველობას ჩამოშორებულია და ოსმალეთში შესაფერის დროს ელოდება, შეკრიბოს ლაშქარი, სულთნები, თავის მხარეში დაბრუნდეს. როდესაც ქართველები დაინახავენ, რომ თეიმურაზ ხანი მოვიდა, მაშინ არაა გამორიცხული, ყივჩაღების დაბლობის ველის სულთნებთან ერთად, თეიმურაზ ხანთან რომ დიდი ხნის მეგობრობა, სიყვარული და ნათესაობა აკავშირებთ, ჯანყი წამოიწყონ. მერე კი ფეიქარ ხანს მაგ მხარეში აღარ დაედგომებაო: და თუკი ლუარსაბ ხანის და, რომელიც მიეკუთვნებოდა დიდებულის ჰარემს, გაუბრაზდება ფეიქარ ხანს, და ყიზილბაშებს, მაშინ აუცილებლად დაიჭერს ქართველების წაქეზების თადარიგს და ფეიქარ ხანის სამსახურში ჩამდგარ, დაახლოებით 20 000 ოჯახს იგრიმი დორთიდან თუ სხვა ტომებიდან, თავს დაესხმიან, შეიპყრობენ და შესაძლოა, კიდევ გაასახლონ, რაც გამოიწვევს აურზაურს და ქაოსს“ (Fazli 2015:889).

ფაზლის ქრონიკაში ამგვარ ცნობასაც ვაწყდებით: „მან (გიორგი სააკაძემ) განაცხადა, რომ ხანების და სულთნების კახეთის ლაშქრობიდან დაბრუნებამდე, მთავარსარდალს მოკლავდა, ციხე-სიმაგრეს ხელში ჩაიგდებდა, ხოლო მუსლიმი მამების შვილები, თავად მუსლიმი სიმონ ხანი და მახანდარანელი

თოფანგჩიები საერთოდ ვერაფერს დაგვაკლებენო. გამოვიყვან მას (სიმონ ხანს) ციხე-სიმაგრიდან დანარჩენ თოფანგჩიებთან ერთად და იარაღაყრილსა და შიშველ-ტიტველს განჯაში გავუშვებ. შემდეგ კი ამ მიწებს ხელში ჩავიგდებ, მთავარსარდალს მოკლავ და ლუარსაბ ხანის დას, რომელიც ფეიქარ ხანის ცოლია, წამოვიყვან და სიმონ ხანის, მისი ბაბუის ტახტზე დავსვამო“ (Fazli 2015: 901).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის თხზულების მიხედვით, ლელა-ელენეს ფეიქარ ხანზე მითხოვების თარიღი ჰიჯრის 1029 (1620) წელია და არა 1622 წელი, როგორც ეს საქართველოს ისტორიიდანაა ცნობილი და როგორც ეს უკვე ზემოთ ითქვა. ყურადსაღებია ასევე ის ფაქტიც, რომ ელენესაც (თეიმურაზ ხანის დას) ზუსტად ამავე წელს აძლევს ყარაბაღის ბეგლარბეგს : თავის ორივე სამეფო გვარის ქართველ ცოლს ერთდროულად „იშორებს“ თავიდან (Fazli 2015:790).

ლუარსაბ ხანის დის სიძლიერისა და მნიშვნელოვანი როლის გამომხატველი კიდევ ერთი მონაკვეთი ფაზლი ბეგ ხუზანისთან ასეთია: „ხოლო მოურავ ბეგი ფიქრობს თურმე, რომ დიდებული დედოფალი, ქართლის მეფის, ლუარსაბ ხანის და, რომელიც მისმა უდიდებულესობამ ცოლად ფეიქარ ხანს გააყოლა, შესაძლოა, ქართლში იმყოფებოდეს. ფეიქარ ხანმა რომ ეს გაიგო, იფიქრა, ღმერთმა ნუ ქნას და ამ აჯანყების სულის ჩამდგმელი დედოფალი გამოდგესო! იქნებ და იმ მოღალატე მოურავს და თავისი მხარის ქართველებს კაცი გაუგზავნა, არეულობისა და ამბოხის ატეხვა დაავალა და მე კი გამანადგურონ!“ (Fazli 2015:890)

ყურადსაღებია, რომ როდესაც ლუარსაბ ხანის დას ფეიქარ ხანმა ჰკითხა, იცის თუ არა მან ამგვარი გეგმის შესახებ რამე, „დედოფალმა, რომელიც იმ დროის ყველაზე ბრძენი ქალი იყო,

ეს რომ გაიგო, ბრძანა, მე და ჩემს მსახურ ქალებს ცხენები შეგვიკაზმეთ, აქედან მივდივარო! მერე კი, რაც გინდათ, ის გიქნიათო! აისხა ხმალი და კაპარჭი, მოიხვია თავსაბურავი, მოისხა აბრეშუმის მოოჭვილი მოსასხამი და განრისხებული, როგორც ეს შეიხ ნიზამის უთქვამს, ძუ ვეფხვივით სახლიდან გავარდა“ (Fazli 2015: 906).

„თუმცაქალი ვარ, არ ვარ უძლური,
ამ ქვეყნის ავან-ჩავანი მეც გამეგება
და მე თუ ძუ ლომი ვარ და შენ – ხვადი,

ორივე ერთნაირად ესხმის თავს, როცა ამის დრო დგება.“²⁸

ფაზლის თხზულების მიხედვით, ჰიჯრის 1034 წელს (1624 /25), ლელა-ელენე (ასე გამოდის) ქმარს ტოვებს. აქ ავტორი ხაზს უსვამს ბაგრატიონი მეფის ასულის გამბედაობასა და თავმოყვარეობას, რომელმაც თავისი წარმომავლობის გამო მარტივად მისცა საკუთარ თავს ამის გაკეთების უფლება. არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე, რომ ამ დროს, მისი ძმა, ლუარსაბ მეფე, უკვე მოკლულია და ლელა-ელენეს გამბედიანობაზეც საკმაოდ კარგად იკვეთება ამ ცნობის მიხედვით.

ეს კონკრეტული მონაკვეთი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ფაზლიმ თავის თხზულებაში გამოიყენა ნიზამი განჯელის აფორიზმი, რომელიც ეკვივალენტურია „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი აფორიზმისა „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ და რომელიც რუსთაველთან თამარს ეხება, ხოლო ნიზამი განჯელთან - გმირ დედოფალს, ბარდის მბრძანე-

²⁸ იხ.:Koliat khomse-i Nezami, Vol.2, Eskander-Name, Entesharate Rad, Tehran, 1374,1047; Низами Гянджеви, Шараф-Намэ, Издательство академии наук Азербайджанской сср,Баку 1947, 261-262; დავით კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი III, რუსთველისა და ნიზამის შემოქმედების საკითხები, თბილისი, 1978, 8-18.

ბელ ნუშაბეს. ფაზლისთან ეს ყოველივე არის ფოკუსირებული ლუარსაბის დის სახეზე, რომელიც დედოფლად მოიაზრება და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წყაროს მიხედვით, მომავალში მის მეფე ქალობას გულისხმობს.

ზოგადად, თამარ მეფის სახელს ვხვდებით არა მხოლოდ სპარსულ წყაროებში, არამედ სხვა ქვეყნების მხატვრულ ლიტერატურასა თუ ფოლკლორში²⁹. თამარ მეფესთანაა დაკავშირებული ასევე ის მონაკვეთიც, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ : „ლუარსაბ ხანის დას, რომელიც ფეიქარ ხანის ცოლია, წამოვიყვან და სიმონ ხანის და მისი ბაბუის ტახტზე დავსვამ“³⁰.

უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანი, საქართველოში მცხოვრები მოხელე, ხშირად უსვამს ხაზს თავის ცოდნას საქართველოს ისტორიული მოვლენების, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი თამარ მეფის პერსონისა და მისი მოღვაწეობის შესახებ.

„ამ ქალს რამდენიმე წლის წინ მიეღო ისლამი და ყურანის კითხვის პატივით იყო განდიდებული. გამოირჩეოდა რა კეთილსინდისიერებით, გონიერებით, პატიოსნებით, მიზანდასახულობითა და ქველმოქმედებით, ყოველწლიურად საკუთარი ხარჯებიდან 3 000 თუმანს გასცემდა უპოვართა ტანსაცმლისა

²⁹ ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ. Г. Берадзе, Легенды о царице Тамар в Персидском историческом сочинении "Ихйа Ал-Мулук". Источниковедение и текстология средневекового и Среднего Востока. Издательство "Наука", Москва 1984.

³⁰ ფაზლი ასევე სიმონ I-ის ქალიშვილზე, სამცხის ათაბაგის მანუჩარის ცოლ ელენე ათაბაგზე წერს: „რადგანაც ათაბაგ ხანი ჯერ ბავშვი იყო, დედოფალმა, ძველი ქართული წესის მიხედვით, სახელმწიფოს სიძლიერისა და ქვეყნის მართვის სიმბოლო, მოოჭვილი (*მორასა*) გვირგვინი თავად დაიდგა თავზე“ (ლეკვეიშვილი 2025:26).

თუ სხვა საჭიროებისთვის“ – ამგვარად ახასიათებს ფაზლი ხუზანის ლელა-ელენეს. (ლექვეიშვილი 2025: 26).

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფაზლი ხუზანის თხზულების ერთ-ერთ გამოკვეთილ შტრიხად უნდა განვიხილოთ არსებულ პოლიტიკურ პერიპეტიებში ქართველი ქალის – ამ კერძო შემთხვევაში კი, სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი ქალების, ლელა ელენესა და ელენეს ჩართვა. ირანის სამეფო კარზე რომ ქართველ ქალებს საგულისხმო როლი ჰქონდათ დაკისრებული, ამას მეტად ამყარებს ფაზლის ცნობები. ჩვენ მიერ განხილული ეპიზოდები მოწმობს, თუ რამდენად პრესტიჟულად მიიჩნეოდა ქართველი ქალის არსებობა სეფიანთა ირანის სამეფო კარზე და, შეიძლება ითქვას, რომ პრაგმატული თვალსაზრისით მეტად ხელშემწყობი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ქართული სამეფო კარის ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად.

ფაზლის თხზულება მართლაც ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა ამ პერიოდის წარჩინებულ ქართველ ქალთა შესახებ. ირანელი ავტორი საკმაოდ მკაფიოდ წარმოაჩენს ქართველი ქალების როლს ამ პერიოდის ირან-საქართველოს მეტად წინააღმდეგობრივ და რთულ ურთიერთობებში.

დამოწმებული ლიტერატურა:

კეკელიძე, ვ. (1957). *ქართველი ქალები შაჰ-აბაზ პირველის კარზე*. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან 4. თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

- კობიძე, დ.** (1978). ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი III, *რუსთველისა და ნიჰამის შემოქმედების საკითხები*, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ლევკვიშივილი, თ.** (2022). *ვაზლი-ბეგ ხუზანი ესფაჰანის ცნობები აღმოსავლეთ საქართველოსა და ირანის ურთიერთობების შესახებ (მე-17 საუკუნის დასაწყისი)*, ახალი მასალები საქართველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში. თბილისი: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ლევკვიშივილი, თ.** (2024). *ახალი ცნობები ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ მე 17 ს-ის დასაწყისში. ირანელი ავტორის, ვაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის თხზულების „აფზალ ალ თავარიხის“ მიხედვით: ისა - ხან მირზა და შაჰ-აბას I. აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე 7, №2. ბათუმი: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“*.<https://doi.org/10.61671/hos.7.2024.8270>.<https://hos.openjournals.ge/index.php/hos/issue/view/933>.
- ბერი ეგნატაშვილი.** (1954). *ქართლის ცხოვრება II*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ბატონიშვილი, ვ.** (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- დელა ვალე, პ.** (1879). *მოგზაურის პოეტრო დე ლა ვალეს მოხსენება საქართველოზედ პაპ ურბანუს მერვესადმი 1627 წ.* ივერია 3.
- კაკაბაძე, ს.** (1926). *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია*. ტფილისი.
- ალასანია, გ.** (1980). *ცხოვრება საქართველოისა (პარიზის ქრონიკა)*. თბილისი: „მეცნიერება“.
- ფუთურიძე, ვ.** (1969). *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*. თბილისი: „მეცნიერება“.
- ჯამბურია, გ.** *ირან-ოსმალეთის ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები*. საქართველოს ისტორიის ნარკვევები IV. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

- Fazli Beg Khuzani Isfahani.** (2015) *A chronicle of the reign of Shah 'Abbas*, Edited by Kioumars Ghereghlou. Great Britain: "Gibb Memorial Trust".
- Svanidze, M.** (1971). *From the History of Georgian–Ottoman Relations in the 16th–17th Centuries*. Tbilisi: "Metsniereba".
- Ahmadi, N and Fesharaki M.** (2021). *A Versified History of Shah Abbas the Great [Futuh-at-I Gitisutan]. [Conquests of the Conqueror of the World] 12th/18th century*. Uppsala: "Uppsala Universitet".
- Maeda, H.** (2012). *Exploitation of the Frontier: The Caucasus Policy of Shah 'Abbas I. Iran and the world in the Safavid age*. London, New York: "I.B. Tauris".
- Matthee, R.** (2025). *Georgians in the Safavid administration*. Encyclopaedia Iranica. 10. Accessed October 9.
- Ganjavi, N.** (1374). *Koliyat khomse-i Nezami, Eskander-Name*. Vol.2, Tehran: 'Entesharate Rad'.
- Yazdi, Kamal Ben Jalal Monajem** (1397). *Zubdat al-Tawarikh*. Qom: 'Pajuheshgahe houze va Daneshgah'.
- Yazdi, Jalal al-din** (1366). *Tarikh-e Abbasi*, 'Sobh Emruz'.
- Savory, R.** (1986). *The Safavid administrative system*. Cambridge history of Iran, volume 6. 'Cambridge University Press'.
- Берадзе, Г.** (1984) *Легенды о царице Тамар в Персидском историческом сочинении "Ихйа Ал-Мулук."* Источниковедение и текстология средневекового и Среднего Востока.
- Гянджеви, Низами.** (1947). *Шараф-Намэ*, Баку: 'Издательство академии наук Азербайджанской сср'.
- Белокуров, С.** (1889). *Сношения России с Кавказом (1578-1613)*. Москва: Университетская типография, Страстной бульвар'.



HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა

ISLAM AND CHRISTIANITY IN GEORGIA DURING THE SAFAVID PERIOD*

George Sanikidze

PhD (history)

Professor at Ilia State University,

Director of the G. Tsereteli Institute of

Oriental Studies at the same University

Georgia, Tbilisi 0179, 3 Acad. G. Tsereteli Str.

+995 599901423. giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge

Orchid: 0000-0002-0043-1981

Abstract

The primary focus of the article is to examine the religious landscape in 17th-century Georgia. It addresses two independent yet interconnected issues: the challenges faced in the expansion of Islam among the Georgian populace and the factors that impeded the effectiveness of Catholic missionaries in their efforts to promote Catholicism in Georgia. In the first instance, the objective factors are emphasized, explaining why Islamic nations—specifically, Safavid Iran—chose to compel the feudal elite to convert to Islam, often resulting in only superficial adherence to the faith. They were, however, unable to mandate that the entire population adopt Islamic beliefs. The text explores various facets of the interactions between Muslims and Chr-

* The article is prepared in the frame of the project 'Perceptions of Armenians and Georgians in Western and Eastern Primary Sources (Medieval and Early Modern Period)', supported by the Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (FR-23-10274).

istians, though it pays limited attention to the role of converted Georgians in Safavid Iran. In the second case, it is highlighted that a significant barrier to the spread of Catholicism was the disregard for local specifics, coupled with the often arrogant attitude of Catholic missionaries. This attitude was characteristic of European Catholicism towards Eastern Christianity during this period, particularly in dealings of Catholic missionaries with local Orthodox clergy and populations. The reasons behind the failure of Catholicism's expansion are examined through the lens of Edward Said's concept of 'Orientalism.'

Keywords: Georgia, Safavid Iran, Islam, Christianity, Catholic Missionaries, Orientalism.

Introduction

The paper has two sections. The first deals with Islam in Georgia and relations between Muslims and Georgian Christians during the Safavid period. The second analyzes the vision of Europeans, Catholic missionaries, and travelers on Christianity and Christians in Georgia.

Orthodox Christianity played a special role in the history of Georgia. The majority of the population of the country, practically surrounded by the Islamic world, remained Christian.

Towards the end of the 15th century, Georgia was fragmented into small kingdoms and principalities. In eastern Georgia, there were the kingdoms of Kartli and Kakheti; to the south, the principality of Samtskhe-Saatabago (Meskheta); in western Georgia, the kingdom of Imereti and the principalities of Odishi (Samegrelo) and Guria.

In the early 16th century, Georgia became a conflict zone between the Ottoman Empire and Safavid Iran. The Treaty of Amasya

(962/1555) temporarily ended the struggle between the Ottomans and the Iranians for control of the Caucasus. According to Iskandar Munshi, by this peace treaty, Iran and the Ottoman Empire divided Georgia as follows: Kartli and Kakheti (Eastern Georgia) and part of Samtskhe (South Georgia) went to Iran, while a larger part of Samtskhe and western Georgia went to the Ottomans. (Iskandar Munshi, 1969: 20). Thus, Iran recognizes the right of the Ottoman Empire to western Georgia, while the latter recognizes Iranian control over the eastern part of the country.

This division, with small changes, despite several Ottoman-Perisian wars lasted until the 1720s.

Muslim empires had different approaches in Georgia. The Ottomans aimed at total Islamization in the southwest and non-interference in the west. The Iranians, for their part, sought to convert the elites in the east without affecting the Christian majority.

The second part of the article examines the perception of Christianity and Christians in Georgia by Europeans (primarily Catholic missionaries) during the research period.

After the fall of Constantinople in 1453, the nations of Western Europe set out to explore new ways of access to the East, both by sea and by land. The Roman Catholic Church has been particularly committed to this approach. The spread of the Catholic faith among Eastern Christians was of considerable political importance. Catholic missionaries thus deployed their efforts within the Ottoman and Safavid empires, as well as in the South Caucasus under their rule, targeting local Christian communities. It should be noted that even before the fall of Constantinople in 1329, the center of propagation of Catholicism had been transferred from Smyrna (present-day Izmir) to Tbilisi, capital of Georgia. The Catholic missions were very active in Geo-

rgia during the 14th and 15th centuries, before being interrupted in the 16th century and resuming at the beginning of the 17th century.

Catholic missionaries were sent from Rome by a special organization called Propaganda Fide. From time to time, they write letters to Rome describing the state of the country.

Attempts to Islamize Georgians: Causes and effects

As a result of his four military campaigns of Shah Tahmasp I in Eastern Georgia in 1540-1554, the Safavid Dynasty's control strengthened gradually. The military campaigns were targeted at appointing the loyal people as Governors of eastern Georgia and Islamizing them. Thus, 'Georgian districts were brought under control with local governors being appointed from, and taxes being paid to the centre.' (Roemer, 1986: 246-47). Despite certain autonomy and regardless of the fact that the majority of the population remained Christians, the transition from vassalage to integration was underway. It is within the context that we should consider the resettlement of Georgians into Iran for the purpose of revitalization of its agriculture and appointing the Islamized Georgian nobility at high positions at the Safavid Court. Unlike the rural population, it did not take long for the Georgian nobility to turn to Islam for purely career reasons.

R. Savory points out that "the Caucasian elements' (or the 'third force' distinct from the Turcoman and Persian elements) appeared around the Royal Court already in the reign of Shāh Tahmāsb I after his successive campaigns into the Caucasus, especially in the Georgian kingdoms." (Savory, 1961: 84-85). Although during the reign of Shāh Tahmāsb, the Georgians did not play a particularly significant part in the Iranian politics and military affairs, even before Shāh 'Abbās I came to power, the Caucasian element had a strong presence in Iran. Therefore, we agree with H. Maeda that "the prototype of the ghulām corps of Shāh 'Abbās had already been prepared". (Maeda, 2011: 165).

Following the four military campaigns conducted by Shah Abbas I in the 1610s, the region of Kakheti suffered considerable and irremediable damage, both in terms of human losses and massive displacement of populations towards the Iranian provinces of Fereyduh (near Isfahan), Khorasan, and Mazandaran.

The vast majority of Georgians who emigrated to Iran, whether by force or by choice, converted to Islam. Beyond their presence in rural areas, the Georgians held influential positions in the political and military spheres of the Safavid Empire. The exiled nobles converted to Islam almost immediately to advance their careers. As for the rural population, the process seems to have been quite lengthy.³¹ Naturally, this led to the loss of part of their identity (Christian-Georgian). The exiled Armenians found themselves in a different situation - Shah Abbas practically granted them a monopoly on foreign trade. Christian Armenians, according to the Shah, would have easier relations with co-religionist Europeans. Accordingly, the Islamization of Armenians (except for the same administration and military sphere) was not implemented.

Shah Abbas relocated the merchants of Kartli, notably those of Tbilisi, to the outskirts of Isfahan, following the example of their Armenian counterparts settled in Jolfa. (Arakel Davrizhetsi, 1974: 36). According to the account of the German traveler Adam Olearius, the Georgian merchants and craftsmen were accommodated in Hasana-bad, a district of Isfahan. (Cit. Zhordania, 1962: 177). E. Kaempfer reports that in 1680 the Georgian population of Isfahan was 20,000. (Kaempfer, 1984: 204).

³¹ By Nader Shah's 1739 firman, Georgians living in Iran, along with other non-Muslims, were exempted from the poll tax (*jizya*), which confirms that in addition to Muslim Georgians, Christian Georgians also lived in Iran during this period. (See Kutsia, 2002: 127).

Gradually, the Georgian Muslims became the central element of the armed forces of Shah Abbas. The latter had understood that the economic and political development of Iran, as well as the strengthening of its eastern and western borders, and ultimately, the preservation of the territorial integrity of the country, could only be assured if the central power enjoyed a certain autonomy vis-à-vis the Qezelbash troops, and if the military forces were directly subordinated and loyal to the sovereign.

Georgians were regarded as distinguished warriors. Concerning Shah 'Abbas's army, Pietro Della Valle, the Italian traveller, wrote: 'today, the Georgians are crucial to the Persian army, the best part thereof'. (Pietro Della Valle, 1745: 69). Thomas Herbert, an Englishman who visited Shiraz in 1627, points out that: 'owing to their good looks, willpower and loyalty, the Georgian warriors are held at high esteem by the Persians, so much so to be appointed the commanders, especially so in the battles against the Persians' archenemy, the Ottomans'. (Herbert, 1677: 155).

As part of his policy of assimilating indigenous populations and restructuring ethnically homogeneous regions, Shah Abbas orchestrated the movement of Turkmens to Kakheti province. This maneuver aimed to establish a strategic base in the Caucasus, while transforming the Kakhetians deported to Iran into an agricultural workforce and a loyal military force. The sovereign seems to have sought solutions to facilitate coexistence between the local inhabitants and the Muslim Turcoman tribes newly settled in this Christian province.

The Safavid Empire did not have a homogeneous policy towards non-Muslim populations. Shah Abbas adapted his strategies according to the circumstances and political stakes of the moment.

The viewpoint of the eminent theologian and jurist Sheykh Baha'i on coexistence between Muslims and Christians deserves spec-

ial attention. He considered that Muslims were not required to prohibit Christians from consuming pork or alcohol. Furthermore, to preserve their faith, Muslims living in a Christian environment could, under certain circumstances, pretend to consume these prohibited foods. This concealment was considered acceptable in specific situations, in order not to compromise their mission in the service of Islam. Baha'i also details the conditions under which certain products offered by a Georgian, such as grape juice, honey or vinegar, could be considered lawful from a religious point of view. (Bahā al-Din, cit. Abisaab, 2004: 65).

Although undated, Baha'i's views on food and products made by Georgian Christians appear to have been influenced by the context created in Kakheti following Shah Abbas' military campaigns. The establishment of these rules by Shah Abbas aimed to promote social integration in depopulated areas or those with a Christian majority.

Now I want to return to the situation in Georgia.

King Rostom implemented in Kartli (1631-1658) the 'compromise policy' developed towards the end of the reign of Shah Abbas I. Rostom, a Georgian prince converted to Islam and raised in Iran, held a prestigious position at the court of the Shah before being designated sovereign of Georgia. The Georgian aristocracy recognised the benefits of an alliance with Persia. This diplomatic approach allowed the preservation of the internal organization of Kartli and the perpetuation of the Bagrationi dynasty, provided that they embraced the Muslim faith and accepted the title of vali, representing the Shah at the provincial level.

This policy of compromise, which lasted almost until the end of the Safavid dynasty, implied that the Georgian sovereigns, as vassals, enjoyed considerable autonomy in managing the internal affairs of their kingdom. Iran's interest in this conciliatory approach and the

maintenance of close relations with Georgia was motivated by the need to ensure the security of the empire's north-western border.

Jean-Baptiste Tavernier describes the situation prevailing in Georgia as follows: It was only a kingdom where all the people mingled with Mohammedans who took a foot there, and the king of Persia, having sown divisions in the country, has led things so well to his advantage that he makes two kingdoms out of it. He only calls them provinces and has placed governors there for twenty-five or thirty years. They are princes of the country and, to be clothed with this dignity, they must turn into Mohammedans. As soon as they are raised there, they take the title of king and, as long as the race lasts, the king of Persia cannot dispossess their children... The law that the kings of Persia imposed on these princes, he could not have succeeded his father if he had not embraced Mohammedanism... At the same time, the administration of justice is carried out exclusively by the Christians of the kingdom, without any intervention by Muslims, not even that of the sovereign. (Tavernier, 1981: 48-49).

The famous traveler John Chardin, who stayed in Georgia for almost a year at the beginning of the 1670s writes: The viceroy of Georgia is named Chahnavaz-khan (the nephew and heir of Rostom). He is of the royal blood of the last sovereigns of that country, but he made himself Mahometan so as to be able to be viceroy under the Persian.

According to another French traveler and botanist, Tournefort, who visited Tbilisi at the beginning of the 18th century, the king of Persia is obliged to spend much more in Georgia than he gains from it. To maintain in his interests the Georgian lords, who are the masters of the country and who could give themselves to the Turks, he grants them large pensions (Tournefort: 1988: 67; 1982: 191).

On the one hand, King Rostom undertook the restoration of Christian religious buildings, granted them subsidies, and ensured the protection of high-ranking clerics; on the other hand, he remained committed to his Muslim faith and initiated the construction of mosques.

About the mosque in Tbilisi, Chardin writes: There is no mosque in Tiflis, although this city belongs to a Mohammedan Empire, and that it is governed with the whole province by a Prince who is also so. Persians did what they could to build it; but they were unable to overcome it. The people immediately rose up and, at gunpoint, knocked down the work and mistreated the workers. The princes of Georgia were, in substance, satisfied with the seditions of the people, whatever they testified quite to the contrary, because having abjured the Christian religion only by mouth, and in order to have a vice-royship, they could only reluctantly give their hands to the establishment of Mohammedanism.

They have been building a small mosque in the fortress for some years, joining the wall that separates it from the main square of Tiflis. They built it in this place to accustom the people to the sight of mosques and priests, who from the top of the building call to prayer. The Georgians could not prevent the construction of the mosque, because they did not dare to enter the fortress with arms in hand, where good guard was made; but as soon as the priest went up to make the confession of faith and the customary convocation, the people gathered in the square and threw so many stones on the mosque, that the priest was forced to descend very quickly and since this mutiny there are no more brought up (Chardin, 2018:315,316; 1811: 135).

Here, it must be stressed that, according to other sources, there was at least one mosque in Tbilisi (the so-called blue mosque, or Shah Ismail mosque, built in the first quarter of the 16th century, according

to other sources, at the beginning of the 17th century). So, in this case, the information of Chardin is wrong. Perhaps he is referring to the attempt to build a minaret.

30 years after Chardin, Tournefort writes that in Tbilisi, there are two mosques in the citadel and a third, which is abandoned. (Tournefort, 1988: 70; 1982: 194).

Chardin also demonstrates the absence of Islamic influence in the daily life of Tbilisi: Every day, pig meat is sold in public and uncovered, like other meats and wine, on street corners. The Persians must have sorrowed at seeing all this. But for now, they remain powerless to remedy it. (Chardin, 2018: 316)

I want to conclude this part of the paper with another observation by Tournefort, which, in my opinion, also arouses interest: The Mohammedans have recourse to the Georgian saints, the Georgians to the Armenian saints, and sometimes the Armenians to the Mohammedan prophets. This passage allows us to infer mutual influence among the various religious and ethnic communities that coexisted in Tbilisi. (Tournefort, 1988: 69).

Catholic ‘Orientalism’? Activities of Catholic missionaries in Georgia

Now, I wish to address the European perception, in particular that of Catholic missionaries, regarding Christianity in Georgia. In this regard, the study can be conducted in the frame of Edward Said’s concept of ‘Orientalism’.

The concept of Edward Said primarily concerns the Islamic East and the era of colonialism and imperialism. Among other ideas, it is stressed that the geopolitical entity called “the West” was constructed in its consciously crafted representations, in which it mirrored itself in the rest of the world. (Aluska, 2008: 140). One of the meanings of orientalism is a worldview, representation, and “style of thought based upon an ontological and epistemological distinction made between

‘the Orient’ and (most of the time) ‘the Occident’.” (Said, 1978: 2-3) The principal characteristic of Orientalism is a “subtle and persistent Eurocentric prejudice against Arab-Islamic peoples and their culture”, which derives from Western images of what is Oriental (cultural representations) that reduce the Orient to the fictional essences of ‘Oriental peoples’ and ‘the places of the Orient’; From Said’s point of view, such cultural representations dominate the communications (discourse) of Western peoples with and about non-Western peoples.

Although I am not a fervent supporter of the theory of ‘Orientalism’ by Edward Said, I consider that its conception proves relevant in two specific contexts: firstly, to understand Europe’s attitude towards the Eastern Christian world at the beginning of the modern era, and secondly, to analyze the activities not only of England and France, but also of the Catholic Church, notably through the papal missions. Said’s perspective offers significant insight into the negative attitudes adopted by European Christian authors towards their Eastern counterparts, including Georgians.

The beginning of missionary activities was a remarkable success. The established relations with the Georgian population, aristocracy, and clergy proved to be close, and the Georgians generally showed a benevolent attitude towards the missionaries. In 1616, the missionary Paolo Maria da Faenza reported: “The Georgian ecclesiastics bear witness to a deep respect for the Roman Pontiff.” (Cit. Tamara, 1910: 495).

The Dominican father Gregorio Orsino presented on December 9, 1626, to the Propaganda Fide a report on Georgia. He writes: I believe that the propagation of the Catholic faith among the Georgians will be very easy: 1) because they are considered as a gentle, docile, simple, and excellent people; 2) because they have addressed to the

Holy Apostolic See, on several occasions, letters full of obedience, of piety, and devotion to him. (Cit. Tamarati, 1910: 496).

King of the Georgian Kingdom of Kakheti, Teimuraz, wrote to Pope Urban VIII in 1626: It's you that we are submitting to. We will do whatever you command. You're the father of all the faithful. (Cit. Tamarati, 1910: 503).

The Catholicos (Head of the Georgian Orthodox Church) gave them all the means to educate his people and to reform their religious rites. The Fathers founded a school, where children began to be taught in the Catholic faith and in belles-lettres. The people began to frequent them. Their charity, zeal, selflessness, and medical knowledge made them famous. They had soon won universal esteem and confidence.

There came a time when they began to think that it was possible the universal accession of the entire nation to the Catholic Church, but this project was not implemented because the eminence Piqué, the head of affairs in Persia, could not come to Georgia. (Cit. Tamarati, 1910: 503).

But gradually, Catholic missionaries lost their popularity, and the alienation of the local population became increasingly visible. Reasons for these changes can be considered in the frame of Said's conception. Orientalism served as a system of representations that served to consolidate the West's authority and supremacy over the East, and not just to reflect or describe it. (See Sanikidze, 2011: 107-108). The big mistake of missionaries was the Eurocentric (in this case based on Western Christianity) approach towards the Orient. Said states that the Western image of the Orient—i.e. 'Orientalism' — had little to do with the 'real' Orient. What is more important, Orientalism is not simply the work of European imagination—it is all about power, domination, hegemony, and authority. The Orient existed to

be studied, and that studying was done by Westerners who believed themselves to be superior to the "others", which is how they described the East. They were basically the opposite of the East and considered to be active, while the Orient was considered to be passive. The Orient existed to be ruled and dominated. The case of Oriental Christianity doesn't differ from the Muslim world in this sense.

For European travelers and missionaries, all Caucasian, as Middle Eastern peoples are 'others'. In general, Eastern peoples – Georgians, Turks, Abkhazs, North Caucasian tribes and others were considered as 'aliens', 'others', – therefore "barbarians" and savage. The failure of the propagation of Catholicism in large part resulted from the arrogant attitudes towards the local population. Famous Italian traveler Pietro della Valle whose knowledge about Georgia (and not only Georgia but in general of the Middle East and the Caucasus) is quite complete, prevented missionaries of the Theatin Catholic order who worked in Georgia that "each spiritual victory that you can achieve in this country significantly depends on the impression that you can create on Georgians, in particular about our religion." (Cit: Tabaghua, 1987: 133).

Don Pietro Avitabile's (who was the head of the Catholic mission in Georgia in 1626-1635) words can be considered as a vivid example of the arrogant attitude towards orthodox clerics: "I considered it a dishonor to have a benevolent attitude towards non-catholic clerics." (Avitabile, 1977: 33).

By the words of the Missionary Archangelo Lamberti "It is difficult for Patters to receive the positive results from their activities which are usual in other unbeliever countries." (Lamberti, 1936: 33). (Unbeliever country – typical assessment for catholic missionaries about eastern Christians).

For showing the real nature of the Catholic missions, it is worth examining the letters of the Head of the Catholic Mission in Western Georgia, Giuseppe Zampi. His letters are included in the Famous “Travels to Persia and other places of the Orient” of Jean Chardin. Zampi wrote about the religious practices of the Mengrelians (a Georgian sub-ethnic group) and harshly condemns these practices as “non-Christian”.

It is evident from the work of Zampi that he worked hard for the propagation of Catholicism, and he succeeded in promoting some catholic religious rites but not in the conversion of the local population. At the beginning, he stresses that “we must take care of these poor people and overcome all the obstacles that prevent these people from becoming worthy participants in the Lord’s grace” and “We are in Georgia to pray for these poor people to God.” (Chardin, 2018: 212). But in reality, these ‘poor people’ are alien to the catholic missionary and his failure in propagation of the “true” faith is explained by the savagery of Georgians.

Zampi’s work stands out with certain tendentiousness. The author sees all things from the clerical point of view. Anything that's not part of the Catholic faith is dangerous for the spiritual life of people. By defending such a point of view, he justifies his mission in Georgia, and on the other hand, he pledges to the Propaganda Fide on the necessity of the propagation of Catholicism in Georgia. From my point of view, Zampi’s work can be considered an illustrative example of the ‘Catholic Orientalism’. It can be said that anything which doesn’t correspond to catholic dogmas is wrong and vicious, consequently non-Christian.

His goal isn’t the impartial, unprejudiced description of the religiosity of Western Georgians but the condemnation of their reli-

gious practices from catholic positions – so he writes again and again in accordance with the pre-determined scheme.

Catholic missionaries perceived and evaluated Christianity in Georgia from their religious positions and concluded that the general principles of the religion are perverted and misrepresented. Zampi is especially overzealous in this sense which is logical because he tries to justify his mission and to demonstrate his achievement in the ‘purification’ of the Christianity in Georgia. He stresses that sacred ceremonies, prayer, religious feasts, Holy orders, Baptism, Communion, and other religious rites are executed in the wrong way, and it’s the violations of Christian (i.e., Catholic) dogmas.

Zampi adds: It’s a futile attempt to search for righteousness in Christianity among these people. There is only its aspersions and remaining covered by superstition.

Zampi speaks about the widespread practice of Simony (the act of selling church offices and roles). He writes that the Head of the Georgian Church Catholicos receives 500 ecu for appointment from bishops and 100 ecu and more for mass and funeral service. But he didn’t mention that this practice was also widespread in the European catholic world. Prelates also didn’t fulfill their religious duty if they hadn’t received money. (Chardin, 2018: 213).

If they commit something infamous and consider it a sin, they try to atone by offerings to the icons or paying money to the church. They asked their prelates to give them an official written document of the absolution. The absolution is quite expensive, so only rich people can afford it. Here again, Zampi didn’t mention the widespread practice of selling indulgences in Catholic Europe. By his words, Eastern Christians, because of their false religious beliefs, included the unction in the sacred rites. Their patriarchs sold the holy oil to the priests and received great benefit.

For Zampi, this deviation of Georgians from the true faith is a result of the influence of Greek 'false Christianity', of Judaism, and even Paganism. He writes: Their veneration of icons is such that you can consider that they are the most devoted Christians in the world, but it is clear that their religiosity is closer to Judaism and Paganism than to Christianity. They prayed without devotion and respect. Zampi adds: Mengrelians maintained the true faith for many years when were alive who propagated the religion among them. But after they mixed their rites with Jewish and other traditions, and like the Greeks, abandoned the Holy Roman-Catholic church. No one knows what the faith is, the religion, and most of them think that the afterlife is a fable, fabricated by men.

- Akyıldız, A.** (1998). *Sarayın annesi: Bezmiâlem valide sultan*. Timaş Yayınları.
- Berkes, N.** (2002). *Türkiye'de çağdaşlaşma*. Yapı Kredi Yayınları.
- Çadırcı, M.** (1991). *Tanzimat döneminde Anadolu kentlerinin sosyal ve ekonomik yapısı*. Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Kütükoğlu, M. S.** (1994). *Osmanlı belgelerinin dili (Diplomatik)*. Tarih Vakfı Yurt Yayınları.
- Tekeli, İ., & İlkin, S.** (1993). *Osmanlı İmparatorluğu'nda eğitim ve bilgi üretim sisteminin oluşumu ve dönüşümü*. Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Mardin, Ş.** (1996). *Yeni Osmanlı düşüncesinin doğuşu*. İletişim Yayınları.

- Sakaoğlu, N.** (2008). *Bu mülkün kadın sultanları: Vâlide sultanlar, hâtu-
nlar, hasekiler, kadınefendiler, sultanevendiler*. Oğlak Yayıncılık.
- Gülsoy, U.** (2000). *Osmanlı gayrimüslimlerinin askerlik serüveni*.
Simurg Yayınları.
- Uluçay, M. Ç.** (2011). *Padişahların kadınları ve kızları*. Türk Tarih
Kurumu Yayınları.
- Ortaylı, İ.** (1985). *Tanzimat'tan Cumhuriyet'e yerel yönetim geleneği*.
Hil Yayın.
- Kuran, E.** (1994). *Türkiye'nin batılılaşması ve milliyetçilik*. Mümtaz
Yayınevi.
- Cezar, M.** (2002). *Osmanlı başkenti İstanbul*. Erol Olçok Kitaplığı.
- Findley, C. V.** (2011). *Modern Türkiye tarihi: İslam, milliyetçilik ve
modernlik (1789–2007)*. Timaş Yayınları.
- Kodaman, B.** (n.d.). *Abdülhamid devri eğitim sistemi*. Türk Tarih Kur-
umu Yayınları.
- Karpat, K. H.** (2002). *Osmanlı modernleşmesi: Toplum, kurumsal
değişim ve nüfus*. İmge Kitabevi.
- Somel, S. A.** (2010). *Osmanlı'da eğitimin modernleşmesi (1839–1908)*.
İletişim Yayınları.
- Akyıldız, A.** (2004). *Osmanlı bürokrasisi ve modernleşme*. İletişim
Yayınları.
- Ortaylı, İ.** (1980). *Hukuk ve idare adamı olarak Cevdet Paşa*. Türk
Tarih Kurumu Yayınları.
- Shaw, S. J., & Shaw, E. K.** (2010). *Osmanlı İmparatorluğu ve modern
Türkiye (Cilt 2: Reform, devrim ve Cumhuriyet)*. E Yayınları.
- Lewis, B.** (1970). *Modern Türkiye'nin doğuşu*. Türk Tarih Kurumu
Yayınları.
- Uluçay, M. Ç.** (1971). *Harem II*. Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Koloğlu, O.** (2005). *Abdülhamit gerçeği*. Pozitif Yayınları.

- Zürcher, E. J.** (2003). *Modernleşen Türkiye'nin tarihi*. İletişim Yayınları.
- Behar, C.** (1996). *Osmanlı İmparatorluğu'nun ve Türkiye'nin nüfus tarihi (1500–1927)*. T.C. Başbakanlık Devlet İstatistik Enstitüsü.
- Engin, V.** (1993). *Rumeli demiryolları*. Eren Yayıncılık.
- Yerasimos, S.** (1977). *Az gelişmişlik sürecinde Türkiye: Tanzimat'tan Birinci Dünya Savaşı'na*. Gözlem Yayınları.
- Bakar, B.** (2009). *Osmanlı İmparatorluğu'nda Ermeni nüfus*. Tarih Vakfı Yurt Yayınları.
- Genç, M.** (2000). *Osmanlı İmparatorluğu'nda devlet ve ekonomi*. Ötüken Neşriyat.
- Ahmad, F.** (1995). *Modern Türkiye'nin oluşumu*. Kaynak Yayınları.
- Yıldız, G.** (2009). *Neferin adı yok: Zorunlu askerliğe geçiş sürecinde Osmanlı ordusu (1826–1864)*. Kitap Yayınevi.
- Kocatürk, U.** (1982). *Osmanlı tarihi kronolojisi (1299–1922)*. Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Pala, İ.** (2010). *Kronolojik Osmanlı tarihi*. Kapı Yayınları.
- Afyoncu, E.** (2005). *Osmanlı'nın hayaleti*. Yeditepe Yayınevi.
- Öztuna, Y.** (1986). *Osmanlı Devleti tarihi*. Ötüken Neşriyat.
- Kunt, M.** (1988). *Türkiye tarihi 3: Osmanlı Devleti (1600–1908)*. Cem Yayınevi.
- Beldiceanu, N.** (1985). *Osmanlı İmparatorluğu'nda XIV. ve XV. Yüzyıllarda eyalet yönetimi*. Eren Yayıncılık.
- Georgon, F.** (2006). *Sultan Abdülhamid*. İletişim Yayınları.
- Hanioğlu, M. Ş.** (2006). *Osmanlı'dan Cumhuriyet'e zihniyet, siyaset ve tarih*. Bağlam Yayınları.
- Gül, M.** (2013). *İstanbul'un modernleşmesi*. İmge Kitabevi.
- Quataert, D.** (2005). *Osmanlı İmparatorluğu (1700–1922)*. İletişim Yayınları.

- Önsoy, R.** (1988). *Tanzimat dönemi Osmanlı sanayii ve sanayileşme politikası*. İş Bankası Kültür Yayınları.
- Batur, A.** (1999). *Osmanlı mimarlığında batılılaşma dönemi*. Tarih Vakfı Yurt Yayınları.
- Turan, Ş.** (1990). *Türk kültür tarihi: Türk kültüründen Türkiye kültürüne ve evrenselliğe*. Bilgi Yayınevi.
- Sunay, S.** (2007). *Sarayın son hanımları: Tanzimat'tan Cumhuriyet'e padişah eşleri*. Selis Kitaplar.
- Brummett, P.** (2013). *Osmanlı dünyasında iletişim, bilgi ve güç*. Türkiye İş Bankası Kültür Yayınları.
- Pamuk, Ş.** (2005). *Osmanlı-Türkiye iktisadi tarihi (1500-1914)*. İletişim Yayınları.
- Güran, T.** (1998). *Tanzimat döneminde tarım politikası (1839-1876)*. Der Yayınları.
- Umar, B.** (1984). *Tanzimat*. Akdeniz Yayıncılık.
- Cezar, Y.** (1986). *Osmanlı maliyesinde bunalım ve değişim dönemi*. Alan Yayıncılık.
- Deringil, S.** (2002). *Simgeden siyasete: Osmanlı İmparatorluğu'nda güç yönetimi ve ideoloji (1876-1909)*. Doğan Kitap.
- Koloğlu, O.** (1998). *Avrupa'nın kışkacında Abdülhamit*. İletişim Yayınları.
- Akarlı, E. D.** (1978). *Belgelerle Tanzimat*. Boğaziçi Üniversitesi Yayınları.
- Çelik, Z.** (1996). *19. yüzyılda Osmanlı başkenti: Değişen İstanbul*. Tarih Vakfı Yurt Yayınları.
- Şeni, N.** (1999). *Sultanın parası: Osmanlı İmparatorluğu'nun son döneminde sermaye ve iktidar*. Metis Yayınları.
- Kunt, M., & Akşin, S.** (1989). *Türkiye tarihi 4: Çağdaş Türkiye (1908-1980)*. Cem Yayınevi.

Kayalı, H. (1998). *Jön Türkler ve Araplar: Osmanlılık, erken Arap milliyetçiliği ve İttihad ve Terakki (1908–1918)*. Tarih Vakfı Yurt Yayınları.



**„ვარდების სასახლის ედიქტი: ოსმალეთის იმპერიის
მოდერნიზაციის პირველი ნაბიჯები“**

დავით ჯიჯიეშვილი
ბაკჩემეჰპირის უნივერსიტეტის
(სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი)
ოსმალეთის იმპერიის კვლევითი ცენტრი.
+995 579 222 934. david.digitalpro@gmail.com
ORCID: 0009-0005-5717-5981

აბსტრაქტი

ოსმალეთის იმპერიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აღზევებისა და დაცემის არაერთ ეტაპს იცნობს. მუდმივად ცვლადი, დინამიკური რეალობა, პოლიტიკური კონტექსტი და ამბიციურ მეტოქეებთან დაპირისპირება ქვეყნის მმართველებს ურთულესი გამოწვევების წინაშე აყენებდა. საჭირო იყო განახლებაზე ზრუნვა, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, კარგად მოფიქრებული და შედეგზე გათვლილი რეფორმების გატარება, რათა იმპერიის გავლენა მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებზე არ შესუსტებულიყო და ოსმალეთი კვლავ ძლიერ პოლიტიკურ სუბიექტად დარჩენილიყო. ეს გარემოება განსაკუთრებით აქტუალური ხდება XIX საუკუნეში, როცა მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ

ევროპის მოწინავე ქვეყნებმა ადვილად აუღეს ალღო ახალ საზოგადოებრივ ფორმაციას, კაპიტალიზმს, რომელმაც მანუფაქტურული მრეწველობა ფაბრიკა-ქარხნებით ჩაანაცვლა და ბევრად უფრო მოქნილი და ხარისხიანი გახადა. იმისათვის, რომ ოსმალეთის იმპერია მსოფლიო პოლიტიკის საერთო პროცესებს არ ჩამორჩენოდა, რეფორმატორულ იდეებზე ფიქრი ჯერ კიდევ სულთან მაჰმუდ II (1808-1839წწ.)-ის მმართველობისას დაიწყო, მაგრამ უზარმაზარ იმპერიაში ფართომასშტაბიანი მოდერნიზაციის ეპოქა მაჰმუდის მემკვიდრის, სულთან აბდულ-მეჯიდ I (1823-1861წწ.)-ის სახელს დაუკავშირდა. ცვლილებები შეეხო კანონმდებლობას, განათლებას, სამხედრო სფეროს, მრეწველობას, ფინანსურ სექტორს, სარკინიგზო მიმოსვლას, საბანკო საქმეს, საგადასახადო სისტემას, მიწის საკუთრებას, ჰარემის სტატუსს, ფადიშაჰის ახალ რეზიდენციას. რეფორმების მიზანი იყო, გაეთვალისწინებინათ განვითარებული ევროპული ქვეყნების მდიდარი გამოცდილება და არსებული რესურსები ოსმალეთის იმპერიის საჭიროებებისა და თავისებურებებისათვის მოერგოთ.

საკვანძო სიტყვები: ოსმალეთის იმპერიის ისტორია, სულთან მაჰმუდ II, სულთან აბდულ-მეჯიდ I, ოსმალეთის იმპერიის მოდერნიზაცია, რეფორმები, ვალიდე ბეჰმიალემ სულთანი.

შესავალი

წინამდებარე სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს XIX საუკუნეში ოსმალეთის იმპერიაში განხორციელებული რეფორმების გამომწვევი მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები. ამასთან, ნარკვევი დაინტერესებულ მკითხველსა და სამეცნიერო საზოგადოებას სიღრმისეულად გააცნობს ამ პერიოდში ოსმალეთში მიღებულ მრავალ პრინციპულად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას,

რომელთა მიზანიც ქვეყნის გათანამედროვეება, თვისებრივად ახალ რელსებზე გადაყვანა და ევროპის მოწინავე სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარება იყო. წარმოდგენილი მასალა გაცნობითი და ინფორმაციული ხასიათისაა. იგი აჯამებს და ერთმანეთთან ლოგიკურად აკავშირებს აღნიშნული თემის შესახებ სამეცნიერო წრეებში არსებულ მოვლენებსა და მოსაზრებებს.

მეთოდები

სტატიაში გამოყენებულია კვლევის მეთოდები, რომლებიც აპრობირებულია სამეცნიერო წრეებში, კერძოდ, თურქოლოგიასა და ოსმანოლოგიაში. ნაშრომი ეფუძნება მრავალფეროვან კვლევით მეთოდებს, კონკრეტულად კი საკითხის ღრმა და ყოველმხრივი შესწავლისთვის აუცილებელ ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: მასალათა შედარებითი ანალიზი, სამეცნიერო ლიტერატურის ცირკულარული შესწავლა, მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი მიმართების შეჯერება, დასკვნების გამოტანა და განზოგადება. სტატიაზე მუშაობის პროცესმა მოითხოვა საბიბლიოთეკო კვლევა-ძიების ჩატარება, თურქულენოვანი ავტორიტეტული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა და ქართულად თარგმნა. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა, რომ მკაფიოდ დაგვეჩვენა საკვლევი თემის ყველა ასპექტი და იგი დაგვეკავშირებინა ევროპელი მეცნიერების ნაშრომებთან. ამგვარად გამოიკვეთა და დაკონკრეტდა რეფორმების განხორციელების ობიექტური დინამიკა, მიმდინარეობა და მნიშვნელობა ოსმალეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

მსჯელობა

ყოველი საუკუნე დღის წესრიგში ახალ, ეპოქისა და ვითარების შესაბამის, პრობლემას აყენებდა. გამონაკლისად არც XVIII-XIX საუკუნეები იქცა. მეცნიერების აზრით, ოსმალეთის იმპერიაში სტაგნაციის პერიოდი თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. იგი დაუკავშირდა ისეთ ძლიერ და

ამბიციურ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, როგორც რუსეთის იმპერია იყო. ამ ხნის განმავლობაში ორ იმპერიას შორის არაერთხელ იფეთქა ომმა, რომლებიც მოლაპარაკებითა და დროებითი ზავით დასრულდა, მაგრამ მოვლენების ლოგიკურმა განვითარებამ აშკარა გახადა ის გარემოება, რომ დასუსტებული ოსმალეთის იმპერია ნელ-ნელა თმობდა თავის პოზიციებს. (İnalçık H, 2020: 35-38) ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა კავკასიის რეგიონში, რომელსაც ოსმალეთი თავის საკუთრებად თვლიდა, მაგრამ რუსეთმა პოლიტიკური მოწინააღმდეგის გავლენა მკვეთრად შეასუსტა და იგი აიძულა, გადაეხედა თავისი ამბიციური გეგმებისათვის. (Ortaylı İ, 2005: 50-53) ეს გეოპოლიტიკური ტენდენცია მტკივნეულად აისახა ქართული სამეფო-სამთავროების ბედზე, რომლებიც რუსეთის მიზანმიმართული, ვერაგული პოლიტიკის შედეგად გაუქმდა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა (ქართლ-კახეთის სამეფო - 1801 წელი, იმერეთის სამეფო 1810 წელი). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ახალციხის საფაშო (იგივე ჩილდირის ვილაიეთი, როგორც მოიხსენიება თურქულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში), რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ოფიციალურად ჩამოყალიბებული ოსმალური პროვინცია იყო. (Karal E, 2011: 25-28) რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შედეგად ოსმალეთმა დაკარგა ჩილდირის საფაშოც, რომელსაც სტრატეგიულად და ფინანსურად მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა. ეს იყო პოლიტიკური ერთეული, რომელიც ოსმალეთს საშუალებას აძლევდა, ეკონტროლებინა მთელი კავკასიის რეგიონი. (Seyitdanlıoğlu M, 1999:45-46) ამასთან, ვასალური სამეფო-სამთავროები ფინანსური თვალსაზრისითაც მომგებიან მოკავშირეებად მოიაზრებოდნენ. მიუხედავად საფაშოს გაუქმებისა(1829წ.), ჯაყელთა ქართული წარჩინებული გვარი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ვილაიეთის მმართველად ითვლებოდა, რუსეთის აკრძალვებს არ ცნობდა და

კვლავინდებურად აგრძელებდა დიპლომატიურ ურთიერთობას ოსმალეთთან. (Akyıldız A, 1998: 25-28) თუმცა ეს ურთიერთობა ფორმალური ხასიათისა იყო. ოსმალეთის იმპერიის დასუსტების მიზეზებზე საუბრისას ცალკე უნდა გამოიყოს ყირიმის ომიც (1853-1856წწ.), რომელსაც ისტორიკოსები აღმოსავლეთის ომადაც მოიხსენიებენ. ეს იყო გლობალური სამხარი კონფლიქტი, რომელშიც, რუსეთისა და ოსმალეთის გარდა, მსოფლიოს არაერთი ქვეყანაც მონაწილეობდა, მათ შორის: აშშ, სპარსეთი, კოალიცია ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ოსმალეთის შემადგენლობით და ა.შ. ამ პერიოდისთვის ოსმალეთის იმპერია პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. ყირიმის ომის მიმდინარეობამ და მისმა დასასრულმა (1856წ.) ბევრი რამ გამოააშკარავა. (Berkes N, 2002:135-137) უპირველეს ყოვლისა, ოსმალეთის მხარისთვის ნათელი გახდა, რომ აუცილებელი იყო ქვეყნის უფრო სწრაფი და ნაყოფიერი რეფორმირება, იმპერიის სხვა რელსებზე გადაყვანა, საზოგადოების ყველა სფეროში მკვეთრი ცვლილებების შეტანა და გათანამედროვეება.(Çadırcı M, 1991:48-49) აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უზარმაზარი იმპერიის მოდერნიზების აუცილებლობის საკითხი დღის წესრიგში ბევრად უფრო ადრე, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, დადგა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა იმპერიის 30-ე ფადიშაჰი, სულთან მაჰმუდ II (1808-1839წწ.). სწორედ იგი იქცა თანზიმათის ფუძემდებლად ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში.(Kütükoglu M, 1994: 25-28) ეს ცნება მოიცავს იმ რეფორმებს, რომლებიც ოსმალეთში 1839 წლიდან 1876 წლამდე განხორციელდა. უპირველეს ყოვლისა, გარდამტეხ მოვლენად იქცა ისეთი საკანონმდებლო დოკუმენტის შექმნა, როგორცაა პირველი ოსმალური კონსტიტუცია, ანუ „გული-ი ჰანე ჰათთ-ი შერიფ-ი“. (Tekeli İ & İlkin S, 1993: 58-60) სწორედ მასში იყო გაწერილი ძირითადი პრინციპები, რომლებიც მოგვიანებით გატარებული ცვლილებების საფუძე-

ლად იქცა. რეფორმების დაწყების ოფიციალურ თარიღად თურქოლოგები 1839 წლის 3 ნოემბერს ასახელებენ. ეს ის დღეა, როდესაც ოსმალეთის იმპერიის ტახტზე მაჰმუდ II-ისა და ვალიდე ბეზმიალემ სულთნის (1807-1853წწ.) შვილი, სულთან აბდულმეჯიდ I (1839-1861წწ.), ავიდა. მან მიზნად დაისახა, რეფორმები გაეტარებინა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში. (Mardin Ş, 1996: 189-191) ისტორიკოსების აზრით, მის გადაწყვეტილებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა სწორედ დედამ, ქართული წარმომავლობის ქალბატონმა, რომელიც ჯაყელთა წარჩინებულ საგვარეულოს მიეკუთვნებოდა. ვალიდე ბეზმიალემ განსაკუთრებულ ინტერესს ავლენდა განათლების, კულტურის, მწვავე სოციალური პრობლემების მიმართ. მან შეძლო, დაერწმუნებინა შვილი, რომ ქვეყნის სიღრმისეული გარდაქმნის პროცესი მრავალმხრივი და პრინციპულად განსხვავებული უნდა ყოფილიყო, რადგან ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში მანამდე ჩატარებული ყველა რეფორმა ძირითადად სამხედრო სფეროთი შემოიფარგლებოდა. (Sakaoglu N, 2008:91-103) ამიტომაც აუცილებელი იყო, რეფორმებს მთელი ოსმალეთის იმპერიის ყველა სტრუქტურული რგოლი მოეცვა, მით უფრო, რომ უკვე XIX საუკუნის დასაწყისში თვალსაჩინო გახდა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებული მწვავე დაპირისპირებები, არამედ ევროპული სახელმწიფოების სულ უფრო მზარდი ინტერესი ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთისადმი. (Gülsoy U, 2000: 86-91) ოსმალეთის იმპერიის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ეკონომიკური და პოლიტიკური დასუსტება, სხვადასხვა ომში განცდილი მარცხი, სახალხო მღელვარება, სეპარატიზმი, მართვის მოძველებული სისტემა, რომელიც ევროპულ სახელმწიფოებთან შედარებით ოსმალეთის იმპერიას წინსვლასა და განვითარებაში სერიოზულ წინააღმდეგობას უქმნიდა. ეს გარემოება თვალშისაცემი ჯერ კიდევ სულთან სელიმ

III-ის (1789-1807წწ.) მმართველობის დროს გახდა.(Uluçay M, 2011:136-138) ცნობილია, რომ რეფორმების დაუყოვნებლად გატარების მომხრე იყო სულთნის რეგენტი, ანუ „ვალიდე-ი ნაიბე-ი სალთანათი“ მისი დედა, ვალიდე მიჰრიშაჰ (დადიანი) სულთანიც (1745-1805წწ.), თუმცა ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელებას ხელი შეუშალა იანიჩართა დაუმორჩილებლობამ, რომელიც აჯანყებაში გადაიზარდა და ფადიშაჰის მკვლელობით დასრულდა. (Ortaylı İ, 1985: 187-188) წარუმატებელი აღმოჩნდა მაჰმუდ II-ის ინიციატივაც, რადგან იგი ნაკლებად შეესატყვისებოდა ფართო საზოგადოების ინტერესსა და საჭიროებებს (Kuran E, 1994: 45-48). XIX საუკუნის პირველ ნახევარში ევროპა ე.წ. სამრეწველო რევოლუციის შედეგად განვითარების სულ სხვა საფეხურზე აღმოჩნდა. მოწინავე ქვეყნები ხელით მუშაობას მასობრივად ცვლიან მექანიზებულ პროცესზე, რაც განაპირობებს მანუფაქტურების რაოდენობის შემცირებასა და უამრავი ფაბრიკა-ქარხნის წარმოშობას (Cezar M, 2002:36-38). ამ კონტექსტში კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოჩინდა ოსმალეთის იმპერიის სტაგნაცია, რადგან იგი მსოფლიო ბაზარზე ვეღარ უწევდა კონკურენციას ბევრად უფრო იაფსა და ხარისხიან ევროპულ პროდუქციას (Findley C, 2011:201-204). ოსმალეთის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით გატარებულ რეფორმებს მეცნიერები ორ ეტაპად ყოფენ : პირველი პერიოდი მოიცავს 1839-1853 წლებს, ხოლო მეორე იწყება ყირიმის ომის შემდეგ (1856წ.) და მთავრდება 1876 წელს. როგორც უკვე ითქვა, სულთან აბდულ-მეჯიდ I-მა 1839 წლის ბოლოს „გულ-ი ჰანე ჰათთ-ი შერიფ-ი“ გამოაქვეყნა, რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ვარდების სასახლის ედიქტი“(Karpat K, 2002: 154-157). იგი იქცა ქვეყანაში განხორციელებული მრავალმხრივი და პრინციპულად მნიშვნელოვანი ცვლილებების გარდამტეხ მოვლენად. რეფორმები სამ ძირითად მიზანს ისახავდა: მას უნდა უზრუნველყო იმპერიის

ქვეშევრდომთა სიცოცხლე, ღირსება და პირადი საკუთრება, მიუხედავად მათი რელიგიური მიკუთვნებულობისა (Somel S, 2010: 75-78). ყურადღების ცენტრში უნდა მოქცეულიყო გადასახადების სწორად განაწილება, შემცირებელიყო სახელმწიფო სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობა. რეფორმების იდეას იმთავითვე სკეპტიკურად მოეკიდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით ეს ითქმის სახელმწიფო ჩინოვნიკებზე, რომლებიც თავიანთ მაღალ პოზიციას ბოროტად იყენებდნენ და მექრთამეობით დიდძალი ქონება დააგროვეს (Akyıldız A, 2004: 98-103). ამ თემასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, გაცდა მმართველ წრეებს და ჰარემშიც კი მოიკიდა ფეხი. მეცნიერთა აზრით, ამ პროცესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად იქცა სულთან აბდულ-მეჯიდის პირველი ცოლი, ჰასეკი შევქეზა სულთანის (1820-1889წწ.), რომელიც წარმოშობით აფხაზეთიდან იყო და ანჩაბაძეთა წარჩინებულ გვარს მიეკუთვნებოდა (Ortaylı İ, 1980: 127-129). რეაქციული ფრთის აქტიურობამ დააბრკოლა რეფორმის განხორციელების პროცესი. დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა ცალკეული ცვლილების განხორციელებას, რამაც ფადიშაჰს ხელი შეუშალა, თანმიმდევრულად და ნაყოფიერად ემოქმედა. რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელი პირობა იყო ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობა (Shaw S & Shaw E, 2010: 38-40). ეს კი დღის წესრიგში აყენებდა იმპერიის ახალ იდეოლოგიას, რომელიც უზარმაზარი ქვეყნის ხალხებისთვის მისაღები აღმოჩნდებოდა. ასეთ იდეურ საფუძველად გამოცხადდა ოსმანიზმი, რომლისთვისაც დეკლარატიული ინტერნაციონალიზმი არსებითი დამახასიათებელი ასპექტი იყო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში სწორედ ოსმანიზმმა წარმოშვა ე.წ. „ახალი თურქები“, რომლებიც მსოფლიოზე ბატონობის იდეას ამკვიდრებდნენ (Le-

wis B, 1970: 98-103). კიდევ ერთხელ უნდა შევხვით ყირიმის ომს, რომელმაც რეფორმების მიმდინარეობის პროცესზე გარკვეული გავლენა იქონია. უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვკვეთოთ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის როლი პარიზის მშვიდობიანი შეთანხმების (1856წ.) პირობების შემუშავების თვალსაზრისით. ხაზი უნდა გაესვას ამ ორი სახელმწიფოს აშკარა მისწრაფებას, დაესუსტებინათ რუსეთის იმპერია და გაემლიერებინათ პრივილეგიები ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე. სწორედ მათი ზეგავლენის შედეგად იქცა 1856 წლის დოკუმენტი, „ჰათოი ჰუმამიონი“ (Uluçay M, 1971: 110-115). ამ საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების გზად ევროპული გამოცდილებისა და კაპიტალის გამოყენებას აცხადებდა. რეალურად გამოდიოდა, რომ ოსმალეთის იმპერია უცხოურ კაპიტალს პრივილეგიებულ პირობებს უქმნიდა. ასე მაგალითად, უცხოელი კომერსანტები უფლებამოსილნი ხდებოდნენ, შეეძინათ უძრავი ქონება ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე და ესარგებლათ იმავე პირობებით, რომლებითაც სახელმწიფოს მოქალაქეები სარგებლობდნენ (Koloğlu O, 2005: 23-25). საფრანგეთის მხარემ იზრუნა იმაზეც, რომ ეს პუნქტი პარიზის სამშვიდობო შეთანხმებაშიც (1856წ.) ჩაერთო და ოსმალეთისთვის საერთაშორისო მნიშვნელობის ვალდებულებად ექცია. თუ ობიექტურად შევაფასებთ, აშკარა ხდება, რომ მოდერნიზაციისკენ მიმავალ გზაზე სასულთნოს კარს არცთუ მომგებიანი გადაწყვეტილებების მიღებაც უხდებოდა, რაც თანზიმათის მოწინააღმდეგეთათვის გაუგებარი რჩებოდა და მწვავე დაპირისპირებების მიზეზად იქცეოდა (Zürcher E, 2003: 76-78). ამასთან, ასეთი წამგებიანი სვლები ეწინააღმდეგებოდა რეფორმათა მიზანდასახულობასაც და ქვეყანას განვითარების ნაცვლად კიდევ უფრო დასუსტებულ, ევროპელ მოკავშირეებზე დამოკიდებულ სახელმწიფოდ აქცევდა. მიუხედავად არათანამიმდევრული ნაბ-

იჯებისა, სულთან აბდულ-მეჯიდი ცვლილებების გზას არ და-
ლატობდა. ამის დასტურია უაღრესად მნიშვნელოვანი კანონი,
რომელიც 1858 წლით თარიღდება და მიწის მესაკუთრეობას
ეხება (Behar C, 1996:80-82).

მანამდე სახელმწიფოში არსებული მიწის უდიდესი ნაწ-
ილი იმპერიის კუთვნილებად ითვლებოდა. რაც გულისხმობდა
იმას, რომ შესაძლებელი იყო არენდით გაცემა და მოგების მი-
ღება, მაგრამ იკრძალებოდა გაყიდვა ან გაჩუქება. ისტორიულ
კონტექსტს თუ გავითვალისწინებთ, ოსმალეთის იმპერიის ტერ-
იტორიაზე ამ კუთხით რამდენიმე ტიპის მიწები გამოირჩეოდა :
მირი - ეს იყო სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორია. მიულქი -
ფეოდალთა მამულები, ვაქიფი - მიწები, რომელთა შემოსავალიც
რელიგიური და საზოგადოებრივი ქველმოქმედების საქირობე-
ებს ხმარდებოდა (Engin V, 1993: 135-138). 1858 წლის მიწის კან-
ონი კონსერვატიული ხასიათით გამოირჩეოდა, რადგან იგი უკ-
რძალავდა მფლობელს, კუთვნილი მიწა ნებისმიერი მიზნით გა-
მოეყენებინა. სპეციალური ნებართვის გარეშე იზღუდებოდა ბა-
ღის გაშენებაც, სამაგიეროდ, შესაძლებელი ხდებოდა მიწის უფ-
ასოდ გადაცემა ან გაყიდვა სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხ-
მების შედეგად (Yerasimos S, 1977:145-147).

ფადიშაჰის მნიშვნელოვან ნაბიჯად იქცა 1864 წელს მიღ-
ებული კანონი ვილაიეთების შესახებ, რომლითაც გადაიხედა
იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად და-
ყოფის პრინციპები (Bakar B, 2009: 124-126). ქვეყნის მოდერნიზა-
ციის მიზნით აუცილებელი ხდებოდა ტექნოლოგიური პროცეს-
ების დანერგვაც, რაც უპირველესად გულისხმობდა სარკინიგზო
ქსელის შექმნასა და უზარმაზარ ტერიტორიაზე სალიანდაგო
გზების გაყვანას (Genç M, 2000: 51-53). უნდა აღინიშნოს, რომ ოს-
მალეთის იმპერიის ჩამორჩენილობა ამ კუთხითაც თვალსაჩინო
იყო, რადგან ევროპაში ლიანდაგი ჯერ კიდევ XV საუკუნეში

არსებობდა, თუმცა ტრანსპორტირებისთვის ცხენებსაც იყენებდნენ. XIXს. 20-იანი წლებიდან ევროპის წამყვან სახელმწიფოებში სარკინიგზო მიმოსვლა ფართოდ გავრცელდა, რამაც ეკონომიკის განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი (Ahmad F, 1995: 78-80). ოსმალეთის იმპერიაში რკინიგზის აუცილებლობის პრობლემა მხოლოდ 60-იან წლებში გამოიკვეთა და მის გადასაჭრელად სახელმწიფო კომისია შეიქმნა (1866წ.), რომელიც სარკინიგზო მშენებლობის სხვადასხვა პროექტს განიხილავდა. საბოლოოდ, ოსმალეთის იმპერიაში ათასობით კილომეტრის სიგრძის გზები დაიგო და ასეულობით ხიდი აშენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გრანდიოზული პროექტების განხორციელებაში დიდი როლი ითამაშა ევროპულმა კაპიტალმა და გამოცდილებამ. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული საფრანგეთის რამდენიმე კომპანია, რომლებმაც უზრუნველყვეს ურთულესი პროექტების სწრაფად და ხარისხიანად განხორციელება (Yıldız G, 2009: 148-150). პრინციპულად მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა ქვეყნის ბიუჯეტსა და საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებულმა საკითხებმა. რეფორმატორული იდეების ავტორთათვის საკვანძოდ მნიშვნელოვანი გახდა გადასახადების აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზმის სრულყოფის პროცესი, რომელსაც განსაკუთრებით ართულებდა ზოგიერთი პროვინციის არასერიოზული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გადასახადებისადმი. ისინი უარს აცხადებდნენ სალირიზე, რაც მკვეთრად ასუსტებდა საბიუჯეტო რესურსების მობილიზების პროცესს (Kocatürk U, 1982: 30-33). გადამხდელები ყველანაირად ცდილობდნენ, აერიდებინათ ფინანსური ვალდებულები, რის გამოც რეფორმატორთა ჩანაფიქრი, გაეუმჯობესებინათ სამემოსავლო სისტემა, მარცხით დასრულდა. მიუხედავად ამისა, ისტორიული კანონზომიერების განვითარება ვერაფერმა შეაჩერა, რის დასტურადაც იქცა 60-იან წლებში მიღებული გადა-

წყვეტილება სამეპრობის რეგლამენტაციასთან დაკავშირებით, რაც აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ ოსმალეთის იმპერია ფეოდალური სახელმწიფოდან კაპიტალიზმის რელსებზე გადადიოდა (Pala İ, 2010: 43-46).

როგორც უკვე აღინიშნა, XIX საუკუნეში განხორციელებული რეფორმები თავიანთი მასშტაბურობითა და კომპლექსური ხასიათით გამოირჩეოდა. სულთან აბდულ-მეჯიდამდე ყველა ხელისუფალი ცდილობდა, რომ ძირითადად სამხედრო სისტემის ტრანსფორმაციაზე ფოკუსირებულიყო (Afyoncu E, 2005: 89-92). ისტორიულმა სინამდვილემ აჩვენა, რომ ასეთი მიდგომა არასწორი იყო, რადგან იმპერია მეორე უკიდურესობამდე მიიყვანა და სამხედრო მოსამსახურეებს უმნიშვნელოვანესი მისია და უფლებები მიანიჭა. ამ გარემოებამ გარკვეულწილად გაართულა სიფაჰების მართვა და მათი სახელმწიფო სტრუქტურებისადმი დამორჩილება. ამაზე მეტყველებს სულთან სელიმ III-ის ტრაგიკული აღსასრულიც (1807წ.)-იგი სწორედ აჯანყებულ იანიჩართა თავდასხმამ შეიწირა (Öztuna Y, 1986: 40-43). რაც შეეხება აბდულ-მეჯიდის მიერ განხორციელებულ სამხედრო რეფორმას, იგი მიზნად ისახავდა რეგულარული და თანამედროვე არმიის შექმნას. ასე მაგალითად, სამხედრო გაწვევა სავალდებულო გახდა არა მხოლოდ მუსლიმანებისათვის, არამედ იმპერიაში მცხოვრები სხვა რელიგიის მიმდევრებისთვისაც (Kunt M, 1988: 96-98). ჯარში სავალდებულო სამსახური 15 წლიდან 5-7 წლამდე შემცირდა. ფადიშაჰმა იზრუნა არმიის ვიზუალურ მხარეზეც, რათა სამხედრო ფორმა უფრო თანამედროვე, პრაქტიკული და დახვეწილი გაეხადა. რეფორმა საშუალებას აძლევდა არამუსლიმანურ მოსახლეობას, არა მხოლოდ ემსახურა, არამედ ებრძოლა კარიერული წინსვლისთვის და მიეღო მაღალი ჩინიც, რასაც დაუკავშირდა ახალი იერარქიული საფეხურები, რომლებიც ორგანიზებული იყო ევროპული სამხედრო სისტემის ანალოგიუ-

რად (1869წ.) (Beldiceanu N, 1985: 75-78). მაგრამ ძლიერი არმიის არსებობა აუცილებლად ითხოვდა შესაბამის საფუძველს მდგრადი, განვითარებული ეკონომიკის სახით. ქვეყანაში მიმოქცევაში იყო მონეტები, რაც ვაჭრობის პროცესს ბევრ სირთულესა და უხერხულობას უქმნიდა. (Georgion F, 2006:35-36) იმისათვის, რომ კომერციული საქმიანობა უფრო მოქნილი, მოსახერხებელი და ნაყოფიერი გაეხადა, სულთან აბდულ-მეჯიდმა პირველი ქალაქის ფულის დაბეჭდვა ბრძანა, რასაც 1840 წელს ოსმალური ბანკნოტების გამოჩენა და საერთაშორისო მიმოქცევაში ჩართვა მოჰყვა. ამავე პერიოდში დაიწყო მნიშვნელოვანი ფინანსური რეფორმების გატარება, რასაც ფინანსთა სამინისტრო ხელმძღვანელობდა (Hanioğlu M, 2006: 235-237). იგი იყენებდა საფრანგეთის მდიდარ გამოცდილებას და სიახლეებს ნერგავდა. ასე მაგალითად, შეიქმნა სააქციონერო საზოგადოება, საფონდო ბირჟა; განისაზღვრა რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი, გამოქვეყნდა იმპერიის ბიუჯეტი. უარი ეთქვა და გაუქმდა ეკონომიკის შუასაუკუნებრივი მოდული. მანუფაქტურა და ხელოსანთა ამქრები ფაბრიკა-ქარხნებით შეიცვალა. იმისათვის, რომ კორუფციის დონე შეემცირებინა და ეს პროცესი მართვადი გაეხადა, ჩინოვნიკები და საჯარო მოხელეები ოფიციალურად გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან (Gül M, 2013:189-191). ოსმალეთის იმპერია პროფესიულ საბანკო ოპერაციებსა და საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაზეც ზრუნავდა, რასაც ადასტურებს მისი საქმიანი ურთიერთობა ევროპულ ფინანსურ ორგანიზაციებთან. ცნობილია, რომ 1855 წელს ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ სულთან აბდულ-მეჯიდის მეთაურობით დიდი ბრიტანეთისაგან მნიშვნელოვანი კრედიტი აიღო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ევროპული ფინანსური ორგანიზაციებისთვის ოსმალეთი სანდო პარტნიორი და საერთაშორისო კომერციულ სტრუქტურებში მიღებული სუბიექტი იყო (Batur A,

1999: 63-65). ფინანსური რეფორმა ლოგიკურად ითხოვდა საბანკო სისტემის დახვეწასა და რეორგანიზებას, რადგან აუცილებელი გახდა, ოსმალეთის იმპერია ევროპულ სტრუქტურებს ფინანსურადაც დაკავშირებოდა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა სახელმწიფო ბანკები, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ბანქ-ი დერსა-ადეთ-ი“, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო მნიშვნელობის საბანკო ოპერაციებს. ამგვარად ფადიშაჰი ცდილობდა, აღმოეფხვრა იმპერიაში გაბატონებული კორუფცია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას აჩანაგებდა (Turan §, 1990: 198-201).

მოდერნიზაციის პროცესი წარმოდგენელი იყო განათლებისა და კულტურის სიღრმისეული ტრანსფორმაციის გარეშე, რადგან საუკუნეების განმავლობაში იმპერია რჩებოდა სახელმწიფოდ, სადაც განსაკუთრებული ყურადღება რელიგიური ცოდნის გავრცელებასა და სწავლებას ეთმობოდა. XIX საუკუნე დიდი სამეცნიერო აღმოჩენებისა და მიღწევების პერიოდად იქცა, რაც მკაფიოდ მიაჩნებდა იმაზე, რომ იმპერია დროს არ უნდა ჩამორჩენოდა და სხვადასხვა მეცნიერების განვითარებაზე ეზრუნა (Sunay S, 2007: 21-23). როგორც აღინიშნა, განათლების რეფორმამდე ოსმალეთის იმპერიაში უპირატესობა რელიგიური შინაარსის განათლებას ენიჭებოდა. ამ მიზანს ემსახურებოდა მედრესე და მეჩეთი. ამასთან, არსებობდა სასახლის სკოლაც, რომელშიც ქვეყნის ელიტური ნაწილის წარმომადგენლები სწავლობდნენ. მათ ძირითადად ისლამური ტრადიციების მიხედვით ზრდიდნენ და სახელმწიფო ჩინოვნიკებისთვის (ე.ი. ფაშებისა და აღებისთვის) აუცილებელ უნარ-ჩვევებს უყალიბებდნენ. მედრესე მხოლოდ მუსლიმან მოსახლეობაზე იყო გათვლილი. ქრისტიანებისთვის გაითვალისწინეს დახურული ტიპის პანსიონი, რომლისთვისაც მთელი იმპერიის მასშტაბით ყოველწლიურად სპეციალურად არჩევდნენ 3000-მდე ვაჟს, რომელთა ასაკი

8-20 წლამდე განისაზღვრებოდა (Brummett P, 2013: 201-205). 1861 წლისთვის ოსმალეთის იმპერიაში უკვე ირიცხებოდა 571 დაწყებითი და 94 საშუალო სკოლა ქრისტიანებისთვის. 60-იანი წლებიდან ყოველწლიურად იქმნებოდა ახალი სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლებისთვის იყო განკუთვნილი. ფართომასშტაბიანი რეფორმის ფარგლებში აუცილებელი გახდა განათლების სამინისტროს შექმნა, რომელიც სასწავლო პროცესის მართვასა და კონტროლს ახორციელებდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ განათლების სფერო მხოლოდ სასულიერო პირების პრეროგატივად არ რჩებოდა და მასში სახელმწიფოს უმაღლესი სტრუქტურებიც მონაწილეობდნენ (Pamuk Ş, 2005: 146-148). მნიშვნელოვან ნაბიჯად იქცა 1869 წელს მიღებული კანონი, რომელიც ოსმალურ სკოლებში 4-წლიან საყოველთაო სავალდებულო განათლებას ნერგავდა. განათლების სფეროს განვითარებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ფადიშაჰის ქართველ დედას, ვალიდე ბეზმიალემ (ჯაყელი) სულთანს, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვებულ უზარმაზარ ფინანსურ რესურსს ახალი სკოლებისა და საავადმყოფოების აშენებას ახმარდა (Güran T, 1998: 235-237). იგი ზრუნავდა ბიბლიოთეკების დაარსებაზეც, იძენდა საჭირო წიგნებს, უნიკალურ ხელნაწერებს, რათა უფრო გაემდიდრებინა წიგნადი ფონდი. ახალ სკოლებში ყურადღება ექცეოდა სწავლების ხარისხს, გამართულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რის გამოც ამ სკოლებს პირველ თურქულ კოლეჯებადაც მოიხსენიებდნენ. ბეზმიალემ სულთნის სახელს უკავშირდება 1845 წელს დაარსებული სამედიცინო უნივერსიტეტიც, რომელიც დღესაც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოში (Umar B, 1984:336-338). განათლების რეფორმამ დღის წესრიგში დააყენა სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს სიღრმისეული სწავლებაც, რასაც მოჰყვა ეკონომიკური და პოლი-

ტიკური პროფილით გამორჩეული სკოლების დაარსება, საერო სასწავლებლების რიცხვის ზრდა, სამეცნიერო აკადემიის შექმნა (1851წ.). პირველად ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში სტუდენტთა ჯგუფი სპეციალურად შეირჩა და გაიგზავნა საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში კვალიფიციური განათლების მისაღებად (Cezar Y, 1986: 58-60).

სულთან აბდულ-მეჯიდი გამუდმებით ცდილობდა, პროგრესული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები მიეღო და ჰუმანიზმის პრინციპებისადმი დამოკიდებულება გამოეხატა. ამაზე მეტყველებს 1856 წლის რელიგიური ედიქტი, რომელიც მუსულმანი და არამუსულმანი მოსახლეობის თანასწორობას აღიარებდა. ჰუმანიზმის უდიდეს გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანთა წამებისა და სასტიკი მოპყრობის ოფიციალურად აკრძალვაც (Derinçil S. 2002:35-38). რეფორმა ნაწილობრივ შეეხო ქალთა უფლებების გაზრდასაც, რაც უპირველესად ითვალისწინებდა ქორწინების ასაკს, რომელიც 14 წლის ნაცვლად 17 წლით განისაზღვრა. ჰუმანიზმისკენ გადადგმულ ნაბიჯებზე საუბრისას პრინციპულ დატვირთვას იძენს მონებით ვაჭრობის ნაწილობრივი შეზღუდვაც, რომელიც კატეგორიულად კრძალავდა ფერადკანიანების ტრეფიკინგს (Koloğlu O, 1998: 156-158). ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ საუკუნეების განმავლობაში სტამბოლის მონათა ბაზარი აღმოსავლეთ სამყაროს ყველაზე ცნობილ პუნქტად ითვლებოდა, რომელშიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ სხვადასხვა ეროვნების, რასის, რელიგიის, სქესისა და ასაკის ადამიანები. ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ოსმალეთის იმპერიის სწრაფვას მოდერნიზაციისაკენ, რაც ბუნებრივად ითხოვდა საერთაშორისო იმიჯზე ზრუნვას. ამაში გვარწმუნებს იმპერიის მიერ ირლანდიელი ხალხისადმი გამოვლენილი თანადგომაც 1845-1849 წწ. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში ირლანდია მოიცვა

ეკონომიკურმა კრიზისმა, რომლის გადაჭრაც ხელისუფლებამ ვერ შეძლო, რამაც საყოველთაო შიმშილობა გამოიწვია, რომელსაც მილიონამდე ადამიანის დაღუპვა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ემიგრირება მოჰყვა. ირლანდიისთვის ამ უმძიმეს პერიოდში ოსმალეთის იმპერიამ გამოიჩინა კეთილი ნება, რაც მისი მოსახლეობისთვის პურისა და ფინანსური რესურსის გამოყოფით გამოიხატა (Akarlı E, 1978: 189-191).

იმპერიის მოდერნიზაციისაკენ ლტოლვა კიდევ ერთხელ გამოვლინდა აბდულ-მეჯიდ I-ის სურვილში, ოსმალეთის სულთანთა მთავარი რეზიდენცია სტამბოლის ევროპულ ნაწილში გადაეტანა. ამ მიზნით დაიწყო ახალი სასახლის მშენებლობა, რომელმაც 1842 წლიდან 1853 წლამდე გასტანა. სასახლეს პოეტური სახელი, „დოლმაბაჰჩე“, ეწოდა, რომელიც „ვარდების ბაღად“ ითარგმნება და მკაფიოდ მიანიშნებს აბდულ-მეჯიდის ჩანაფიქრზე, თოფქავის სასახლისგან განსხვავებით, რომელიც სატახტო ქალაქის ისტორიულ ცენტრში მდებარეობდა და ქვეყნის წარსულს განასახიერებდა, აეგო თანამედროვე, დახვეწილი, ბაროკოს სტილზე მორგებული, მდიდრული შენობა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ევროპული ქვეყნების ცნობილ სამეფო რეზიდენციებს (Çelik Z, 1996:148-150). ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად ფადიშაჰს არაფერი დაუშურებია, რაც გამოიხატა მშენებლობისთვის გაღებულ შთამბეჭდავ ხარჯებშიც. ცნობილია, რომ სასახლე გამოირჩევა ფუფუნებითა და პომპეზურობით, რასაც 5 მილიონზე მეტი ოქროს ფუნტი დასჭირდა (Şeni N, 1999: 256-258). საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ სასახლეს ამშვენებს ინგლისის დედოფლის, ვიქტორიას (1819-1901წწ.), საჩუქარი - ბოჰემიური მინისგან დამზადებული უძვირფასესი ჭადი, რომელიც 5 ტონას იწონის. დოლმაბაჰჩე უნიკალურია იმიტაც, რომ მასში თავმოყრილია დიდი მხატვრების ფერწერული შედეგები, რომელთა შესაძენადაც ფადიშაჰმა სოლიდური

თანხა გაიღო (Quataert D, 2005: 56-58). არქიტექტურული ხელოვნების ეს იშვიათი ნიმუში სულთნის კარის ხუროთმოძღვრებმა, ვალიანთა ოჯახის წარმომადგენლებმა, შექმნეს, რომლებიც ოსმალეთის ტერიტორიაზე უამრავი რეზიდენციისა და მეჩეთის ავტორებად გვევლინებიან. დოღმაბაჰჩეს სასახლეში, ფადიშაჰის გარდა, ცხოვრების უფლება ჰქონდათ მის შვილებს, პირველ და მეორე ცოლებს, სულთნის დაუოჯახებელ დას (Önsoy R, 1988: 256-257). ცვლილებები შეეხო ჰარემსაც, რომელშიც საუკუნეების განმავლობაში ტრადიციულად ფადიშაჰის კანონიერი ცოლები და ხარჭები ცხოვრობდნენ. უპირველეს ყოვლისა, გაუქმდა ჰასეჰის სტატუსი, რომელიც ჩაანაცვლა ახალმა ტიტულირებამ, „მთავარმა ქალბატონმა“ (ოსმ. ბაშ ქადინ-ეფენდი). ცვლილება არ შეხებია ვალიდე სულთნის ინსტიტუტს. ფადიშაჰის დედა კვლავ უამრავი პრივილეგიით გამორჩეულ პერსონად რჩებოდა, მაგრამ ჰარემის (ოსმ. ჰარემ-ი ჰუმამიონი) ნაცვლად რეზიდენციის მახლობლად, მისთვის განკუთვნილ სასახლეში, გადაინაცვლა (Kunt M & Akşin S, 1989: 198-201). ჰარემის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით სულთანს გრძელვადიანი მიზნები ჰქონდა, რადგანაც ოსმალეთის იმპერიის ისტორიას კარგად ახსოვს ჰარემში აღმოცენებული უამრავი ინტრიგა, რომლებიც მოგვიანებით სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდა და ტრაგედიებით დასრულდა. ასე მაგალითად, საკმარისია, გავიხსენოთ XVII საუკუნის მოვლენები, როცა ერთმანეთს დაუპირსპირდა ორი გავლენიანი დედა სულთანი: ვალიდე თურჰან ჰატ-იჯე (1627-1683წწ.) და ვალიდე მაჰფეიქერ ქიოსემი (1590-1651 წწ.). თვით ის ფაქტი, რომ ერთ პერიოდში ერთ სასახლეში ორი ასეთი ამბიციური პიროვნება ცხოვრობდა, აჩენდა პოლიტიკური ინტრიგებისა და კონფლიქტების უდიდეს საფრთხეს. ამ აზრს ამყარებს მოვლენების განვითარების ტრაგიკული ფინალიც - თავდასხმა ქიოსემ სულთანზე, რომელიც მკვლელობით დას-

რულდა (1651წლის 1-ლი სექტემბრის დამე) სულთან აბდულ-მეჯიდ I-მა ჰარემის ბინადართა გადანაწილებით აირიდა ტახტის პოტენციური მემკვიდრეების დედათა სახელმწიფოსთვის დამაზიანებელი ურთიერთდაპირისპირებები, როცა საიმპერატორო კართან დაახლოებულ მანდილოსნებს, ანუ „ბამ ქადინებს“ (ქართ. „მთავარ ქალბატონებს“), მკაცრად განუსაზღვრა არა მხოლოდ თავიანთი უფლება-მოვალეობები, არამედ საცხოვრებელი ადგილიც.

როცა XIX საუკუნის ოსმალეთის იმპერიასა და მისი მოდერნიზაციის პროცესზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გამოვკვეთოთ სულთან აბდულ-მეჯიდ I-ის განსაკუთრებული ძალისხმევა, თუმცა ამ ეპოქის მკვლევარნი აღნიშნავენ, რომ ტუბერკულოზით დაავადებულმა ფადიშაჰმა, რომელსაც, მძიმე სენის მიუხედავად, თავის მაგნე ჩვევებზე უარი არ უთქვამს და ცხოვრების რეჟიმი არ შეუცვლია, სიცოცხლის ბოლო წლებში სახელმწიფოს მართვისადმი ინტერესი დაკარგა და ძირითადად სასახლეში განმარტოებას ცდილობდა. ფადიშაჰი იმ დროისათვის უკუჩვენებელი დაავადებით 1861 წლის 26 ივნისს გარდაიცვალა და სელიმ მეჩეთშია დაკრძალული (Kayalı H, 1998: 60-63).

შედეგები

წარმოდგენილი ნარკვევის საგულისხმო შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მასში სიღრმისეულადაა წარმოჩენილი ოსმალეთის იმპერიის განვითარების თანამედროვე რელსებზე გადასაყვანად გამიზნული ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი ტრანსფორმირების პროცესი; ფაქტების შეჯერებისა და ანალიზის მეშვეობით არგუმენტირებულად დასაბუთებულია, რამ განაპირობა რეფორმების ჩატარების აუცილებლობა XIX საუკუნის ოსმალეთის იმპერიაში; როგორ წარიმართა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ცვლილებების პროცესი; ხაზგასმულია რეფორმატორული იდეების განხ-

ორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეები ქვეყნის როგორც სამინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- İnalçık, H.** (2020). *Tanzimat: Değişim sürecinde Osmanlı İmparatorluğu*. Kronik Kitap.
- Ortaylı, İ.** (2005). *İmparatorluğun en uzun yüzyılı*. Timaş Yayınları.
- Karal, E. Z.** (2011). *Osmanlı tarihi: Anayasal monarşi ve Tanzimat devri (1789–1856)*. Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Seyitdanlıoğlu, M.** (1999). *Tanzimat devrinde Meclis-i Vala-yı Ahkam-ı Adliye*. Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Akyıldız, A.** (1998). *Sarayın annesi: Bezmiâlem valide sultan*. Timaş Yayınları.
- Berkes, N.** (2002). *Türkiye'de çağdaşlaşma*. Yapı Kredi Yayınları.
- Çadırcı, M.** (1991). *Tanzimat döneminde Anadolu kentlerinin sosyal ve ekonomik yapısı*. Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Kütükoğlu, M. S.** (1994). *Osmanlı belgelerinin dili (Diplomatik)*. Tarih Vakfı Yurt Yayınları.
- Tekeli, İ., & İlkin, S.** (1993). *Osmanlı İmparatorluğu'nda eğitim ve bilgi üretim sisteminin oluşumu ve dönüşümü*. Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Mardin, Ş.** (1996). *Yeni Osmanlı düşüncesinin doğuşu*. İletişim Yayınları.
- Sakaoğlu, N.** (2008). *Bu mülkün kadın sultanları: Vâlide sultanlar, hâtuñlar, hasekiler, kadıñefendiler, sultanefendiler*. Oğlak Yayıncılık.
- Gülsoy, U.** (2000). *Osmanlı gayrimüslimlerinin askerlik serüveni*. Simurg Yayınları.

- Uluçay, M. Ç. (2011).** *Padişahların kadınları ve kızları.* Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Ortaylı, İ. (1985).** *Tanzimat'tan Cumhuriyet'e yerel yönetim geleneği.* Hil Yayın.
- Kuran, E. (1994).** *Türkiye'nin batılılaşması ve milliyetçilik.* Mümtaz Yayınevi.
- Cezar, M. (2002).** *Osmanlı başkenti İstanbul.* Erol Olçok Kitaplığı.
- Findley, C. V. (2011).** *Modern Türkiye tarihi: İslam, milliyetçilik ve modernlik (1789–2007).* Timaş Yayınları.
- Kodaman, B. (n.d.).** *Abdülhamid devri eğitim sistemi.* Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Karpat, K. H. (2002).** *Osmanlı modernleşmesi: Toplum, kurumsal değişim ve nüfus.* İmge Kitabevi.
- Somel, S. A. (2010).** *Osmanlı'da eğitimin modernleşmesi (1839–1908).* İletişim Yayınları.
- Akyıldız, A. (2004).** *Osmanlı bürokrasisi ve modernleşme.* İletişim Yayınları.
- Ortaylı, İ. (1980).** *Hukuk ve idare adamı olarak Cevdet Paşa.* Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Shaw, S. J., & Shaw, E. K. (2010).** *Osmanlı İmparatorluğu ve modern Türkiye (Cilt 2: Reform, devrim ve Cumhuriyet).* E Yayınları.
- Lewis, B. (1970).** *Modern Türkiye'nin doğuşu.* Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Uluçay, M. Ç. (1971).** *Harem II.* Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Koloğlu, O. (2005).** *Abdülhamit gerçeği.* Pozitif Yayınları.
- Zürcher, E. J. (2003).** *Modernleşen Türkiye'nin tarihi.* İletişim Yayınları.
- Behar, C. (1996).** *Osmanlı İmparatorluğu'nun ve Türkiye'nin nüfus tarihi (1500–1927).* T.C. Başbakanlık Devlet İstatistik Enstitüsü.
- Engin, V. (1993).** *Rumeli demiryolları.* Eren Yayıncılık.

- Yerasimos, S.** (1977). *Az gelişmişlik sürecinde Türkiye: Tanzimat'tan Birinci Dünya Savaşı'na*. Gözlem Yayınları.
- Bakar, B.** (2009). *Osmanlı İmparatorluğu'nda Ermeni nüfus*. Tarih Vakfı Yurt Yayınları.
- Genç, M.** (2000). *Osmanlı İmparatorluğu'nda devlet ve ekonomi*. Ötüken Neşriyat.
- Ahmad, F.** (1995). *Modern Türkiye'nin oluşumu*. Kaynak Yayınları.
- Yıldız, G.** (2009). *Neferin adı yok: Zorunlu askerliğe geçiş sürecinde Osmanlı ordusu (1826–1864)*. Kitap Yayınevi.
- Kocatürk, U.** (1982). *Osmanlı tarihi kronolojisi (1299–1922)*. Türk Tarih Kurumu Yayınları.
- Pala, İ.** (2010). *Kronolojik Osmanlı tarihi*. Kapı Yayınları.
- Afyoncu, E.** (2005). *Osmanlı'nın hayaleti*. Yeditepe Yayınevi.
- Öztuna, Y.** (1986). *Osmanlı Devleti tarihi*. Ötüken Neşriyat.
- Kunt, M.** (1988). *Türkiye tarihi 3: Osmanlı Devleti (1600–1908)*. Cem Yayınevi.
- Beldiceanu, N.** (1985). *Osmanlı İmparatorluğu'nda XIV. ve XV. Yüzyıllarda eyalet yönetimi*. Eren Yayıncılık.
- Georgeon, F.** (2006). *Sultan Abdülhamid*. İletişim Yayınları.
- Hanioğlu, M. Ş.** (2006). *Osmanlı'dan Cumhuriyet'e zihniyet, siyaset ve tarih*. Bağlam Yayınları.
- Gül, M.** (2013). *İstanbul'un modernleşmesi*. İmge Kitabevi.
- Quataert, D.** (2005). *Osmanlı İmparatorluğu (1700–1922)*. İletişim Yayınları.
- Önsoy, R.** (1988). *Tanzimat dönemi Osmanlı sanayii ve sanayileşme politikası*. İş Bankası Kültür Yayınları.
- Batur, A.** (1999). *Osmanlı mimarlığında batılılaşma dönemi*. Tarih Vakfı Yurt Yayınları.
- Turan, Ş.** (1990). *Türk kültür tarihi: Türk kültüründen Türkiye kültürüne ve evrenselliğe*. Bilgi Yayınevi.

- Sunay, S.** (2007). *Sarayın son hanımları: Tanzimat'tan Cumhuriyet'e padişah eşleri*. Selis Kitaplar.
- Brummett, P.** (2013). *Osmanlı dünyasında iletişim, bilgi ve güç*. Türkiye İş Bankası Kültür Yayınları.
- Pamuk, Ş.** (2005). *Osmanlı-Türkiye iktisadi tarihi (1500-1914)*. İletişim Yayınları.
- Güran, T.** (1998). *Tanzimat döneminde tarım politikası (1839-1876)*. Der Yayınları.
- Umar, B.** (1984). *Tanzimat*. Akdeniz Yayıncılık.
- Cezar, Y.** (1986). *Osmanlı maliyesinde bunalım ve değişim dönemi*. Alan Yayıncılık.
- Deringil, S.** (2002). *Simgeden siyasete: Osmanlı İmparatorluğu'nda güç yönetimi ve ideoloji (1876-1909)*. Doğan Kitap.
- Koloğlu, O.** (1998). *Avrupa'nın kışkacında Abdülhamit*. İletişim Yayınları.
- Akarlı, E. D.** (1978). *Belgelerle Tanzimat*. Boğaziçi Üniversitesi Yayınları.
- Çelik, Z.** (1996). *19. yüzyılda Osmanlı başkenti: Değişen İstanbul*. Tarih Vakfı Yurt Yayınları.
- Şeni, N.** (1999). *Sultanın parası: Osmanlı İmparatorluğu'nun son döneminde sermaye ve iktidar*. Metis Yayınları.
- Kunt, M., & Akşin, S.** (1989). *Türkiye tarihi 4: Çağdaş Türkiye (1908-1980)*. Cem Yayınevi.
- Kayalı, H.** (1998). *Jön Türkler ve Araplar: Osmanlılık, erken Arap milliyetçiliği ve İttihad ve Terakki (1908-1918)*. Tarih Vakfı Yurt Yayınları.



HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES
ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა

THE COLLYRIDIAN IN EARLY CHRISTIAN AND
QURANIC TRADITION

Rati Ramishvili

MA Student of Arabic Studies

at Ivane Javakhishvili's Tbilisi State University

1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179, Georgia

+995599030925. ramishvilirati8@gmail.com

<https://orcid.org/0009-0005-7733-8645>

Nani Gelovani

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179, Georgia

+995599537785. nani.gelovani@tsu.ge

<https://orcid.org/0000-0002-7046-1254>

Abstract

The article explores the existence of the Collyridians (Philomarianites/Marianites) and the potential reflection of their teachings in Quran 5:116 (Surah Al-Ma'idah). The objective of the research is to determine whether the aforementioned Ayah represents merely a polemical, hyperbolic formulation or if it responds to a specific historical-religious group that attributed divine status to Mary and performed sacrifices in her name.

The analysis is based on Greek and Arabic sources spanning the 4th to 14th centuries. Primary importance is assigned to the Panarion of Epiphanius of Salamis (d. 403 AD), in which Collyridian doctrine is described as a practice expressed through the offering of small cakes (bread) to Mary. Additionally, the study examines accounts by John of Damascus (d. 749 AD), Eutychius of Alexandria (d. 940 AD), Ibn Taymiyyah (d. 1328 AD), and other authors, alongside the positions of contemporary scholars who either deny the historicity of the Collyridians or view Quran 5:116 as a result of "creative rhetoric."

The research analyzes core problems such as the scarcity of primary sources, the late nature of the accounts, the silence of early church historians, and the incomplete reconstruction of the religious environment of the Arabian Peninsula. Based on deductive research method, it is demonstrated that the data regarding the Collyridians are mutually reinforcing and reflect a real dogmatic phenomenon.

The study concludes that Quran 5:116 responds to a specific dogmatic passage, and its content may be linked to Collyridian doctrine. The theoretical significance of the research lies in the clarification of the history of Christian-Muslim polemics, while its practical value lies in the development of a more precise historical model for interpreting the Quranic verse within its Christian context.

Keywords: Collyridians, Quran, Epiphanius of Salamis, Panarion, Comparative Religion.

Introduction

In a 4th-century Greek source, one of the most obscure and hitherto understudied sects of Christianity appears, known as the Collyridians. Alongside the hypostases of the Holy Trinity—God the Father and the Son, Jesus Christ—they designated the Virgin Mary as a

deity, offered her sacrifices (in the form of small cakes), and worshipped her. This denomination is observed on the Arabian Peninsula (Lobzhanidze, 2004: 37), where in the 7th century, a new monotheistic religion—Islam—emerged. We posit that its founder, the Prophet Muhammad (570–632 AD), would have had oral reports and direct interaction with representatives of this teaching. The result and response to his acquaintance with their doctrine is likely reflected in Quran 5:116 in which we read: “And ‘on Judgment Day’ Allah will say, “O Jesus, son of Mary! Did you ever ask the people to worship you and your mother as gods besides Allah?” He will answer, “Glory be to You! How could I ever say what I had no right to say? If I had said such a thing, you would have certainly known it. You know what is ‘hidden’ within me, but I do not know what is within You. Indeed, You ‘alone’ are the Knower of all unseen”. Consequently, it can be argued that Collyridian teaching is reflected in the holy book of Muslims.

However, numerous obstacles stand in the way of proving and comprehending this proposed historical picture. We categorize these hindering circumstances into six main parts: 1) The absence of primary sources, the general scarcity of sources, the late origin of the majority of them, and the ambiguity of the information they provide; 2) The pessimism of certain scholars and researchers who altogether deny the existence of such a sect; 3) The introduction of the so-called "creative rhetoric" of the Quran into scientific literature, and the subsequent denial of Collyridian influence on the Quranic warnings based on this concept; 4) Claims asserting that the accusation against Christians regarding the "election of Mary as God" refers to her general veneration rather than literal deification, which also precludes the identification of the sect's doctrines we are interested in; 5) The ambiguity of the religious landscape of the Near East, particularly that

of the Arabian Peninsula; 6) The lack of direct evidence to determine the exact creed of those figures whom the Prophet of Islam, Muhammad, might have encountered.

The discussion in our article will proceed along the following path: 1) Identifying the main sources and accounts that mention the Collyridians; 2) A relatively extensive review of 4th-century account; 3) The issue of the persecution of heretics in the Byzantine Empire; 4) The Islamic definition of the accusation regarding the establishment of Mary as a deity; 5) The unanimity of later Christian and Muslim authors who resolve the issue in favor of the Collyridians' existence and their identification as a subject of the Quran.

Methods

The discussion in the presented article is based on Christian anti-heretical, theological, scientific-critical, Islamic historical, polemical, and exegetical literature. We employ a deductive research method. In the Georgian version of the article, we use Giorgi Lobzhanidze's translation of the Quran. As for English, we utilize Mustafa Khattab's translation.

Discussion

The sources regarding the existence of the Collyridians are quite modest. We obtain relatively extensive and detailed information from the monumental anti-heretical work of the 4th-century figure, Saint Bishop Epiphanius—the Panarion. John of Damascus, the author of the first anti-Islamic treatises, repeats the data of the previous author and offers nothing new. After John of Damascus (750 AD), Greek sources remain silent, and the turn falls to Arabic sources: this sect is mentioned by the Dyophysite Patriarch of Alexandria, Euty-chius, based on whom the Monophysite Ibn Kabar (1324 AD) includes them in his list of heresies. These two authors refer to the followers of the heresy as "Maryamyun" (Benko, 2004: 193). Relying on the work

of the aforementioned Eastern Patriarch, the well-known Muslim polemicist Taqi al-Din Ibn Taymiyyah al-Harrani (13th-14th c.) also mentions the Collyridians by the name "Maryamyun," as do his disciple Ibn Qayyim al-Jawziyya, the famous historian of the same era al-Maqrizi, and the 11th-century Muslim scholar Ibn Hazm al-Andalusi.

Sources are available in two languages—Greek and Arabic—which circulated between the 4th and 14th centuries. Among these, the Christian author Epiphanius of Cyprus is the only one who provides primary information; all other Christian authors, including John of Damascus, rely on the Bishop of Cyprus and repeat the same accounts. Similarly, we note the later report of Patriarch Eutychius and the sources provided by Muslim polemicists and commentators based on it. In this article, we will incorporate these reports and define their appropriate place regarding both their quality for historical research and their theological significance.

The accounts of Epiphanius of Cyprus are found in his colossal polemical work, the *Panarion*, through which "the author, as a true physician, wished to provide a cure and protection for those bitten by the serpent—that is, those weary of heretical teachings; therefore, he titled the work *Panarion* or "Medicine Chest" (in scientific literature, this monument is often referred to as the "Medicine Chest" or "Box of Remedies") (Makharashvili, 2012: 371). In the treatise, the author describes 80 heresies in detail. He mentions the Collyridians in two places within the work. First, he briefly reviews the sects, placing the Collyridians separately at the 79th position; second, he describes their origin and doctrine much more extensively towards the end of the work, according to their predetermined place. We will attempt to focus on the passages that reveal information about the origin of the Collyridians and their form of worship.

Medea's sacrifice of her own children in Euripides' tragedy is the most radical point. While from a Western, psychological perspective, this is perceived as a collapse of maternal instinct and revenge against Jason, from a religious-anthropological viewpoint, it carries a different weight. In the magico-religious systems of the Ancient Near East (for instance, in Phoenician or early Semitic cults), the sacrifice of one's firstborn was an act of supreme religious devotion aimed at restoring cosmic balance. Medea, a descendant of the sun god Helios, severs her last biological and social ties with the Hellenic world by killing her children. This is her "return" to archaic, chthonic origins. In Mircea Eliade's terminology, this is an "exit from historical time" and a return to mythological eternity (Eliade, 1963:145). Medea does not kill her children only to punish Jason; she kills them to prevent their "domestication" and assimilation into a culture that is spiritually dead to her. The finale, where Medea ascends to the heavens in the chariot of the Sun, confirms her metaphysical victory: she is no longer subject to human justice; she returns to the divine-magical hierarchy of which she was a member while in Colchis.

Such cultural duality and the sorrow of alienation that follows Medea are not foreign to Georgian academic discourse. Medea's status as the "Other" in the polis finds a parallel in Konstantine Gamsakhurdia's vision, where the West demands a complete transformation of identity from the "Other": "You Europeans are egoists; you demand that we transform... that is, become like you" (Gamsakhurdia, 1973:

143). In Medea's case as well, Hellenic society demanded that she renounce her "barbaric" magic and conform to Greek norms, which ultimately caused her internal collapse and radical protest.

Thus, the phenomenon of Medea reminds us that the difference between cultures never disappears; it only intensifies when Western rationalism and Eastern mysticism meet. Being a "talentless copy of the Other" is unacceptable to Medea; therefore, her image remains a constant warning about the cultural crises that accompany the dialogue of civilizations. Medea of Colchis remains the most tragic figure standing at the crossroads of Europe and Asia, through whom we can perceive the difficult path of reception and subsequent transformation of the magico-religious paradigms of the Ancient Near East.

Conclusion

Based on the research conducted, which relied on the methods of comparative analysis and hermeneutics, several fundamental conclusions can be formulated regarding the interrelationship between the phenomenon of Medea of Colchis and the magico-religious paradigms of the Ancient Near East:

Cultural Dichotomy and the Archetype of "The Other": It has been confirmed that the figure of Medea in Ancient discourse is not merely a literary character; she is a quintessential representation of the "Oriental Other." Hellenic rationalism perceived Medea not as an authentic bearer of Colchian culture, but as a threat to the social and ethical order of the polis.

Reception of Magico-Religious Paradigms: The pharmaka possessed by Medea and her connection to Hecate represent the transformation of Ancient Near Eastern (Hittite, Mesopotamian) esoteric knowledge within the Greek sphere. What was a sacred, ritual science in the East became demonized as "sorcery" in the West - a direct consequence of the Orientalist gaze.

The research has revealed an intriguing parallel between Medea's name and her functional significance. The name "Medea" (Medeia), which in Greek is linked to "care," "plan," or "contrivance" (medomai), acquires the meanings of "healer" and "knower" within an Eastern context (from which the modern term "medicine" also originates). This fact further confirms that Medea was not merely a mythological persona but embodied a Colchian intellectual-magical tradition. Her phenomenon demonstrates that in the Ancient Near East, knowledge (whether magical or medical) was a source of power, which the Western world sought to "steal" (in the form of the Fleece) and subsequently "domesticate." Medea's tragedy is precisely the process of the alienation of this "knowledge" - when science and magic, which coexisted harmoniously in the East, became polarized within Greek rationalism.

Identity Crisis and Duality: Medea's tragedy is the result of a collision between two distinct epistemological systems. The study has shown that Medea's internal duality was caused by the aggressive demand for assimilation from the Western world. Medea's refusal to be a "talentless copy of the Other" and her return to archaic, magical roots constitute a radical act of preserving cultural identity.

The analysis has demonstrated that Medea represents a so-called Liminal figure—a being who constantly exists on the threshold: between East and West, between the chthonic (subterranean) and the Olympian (celestial), and between the barbaric and civilized worlds. This "mediation" grants her unique power but simultaneously makes her vulnerable within both systems. To Colchis, she is a "traitor"; to Greece, she is a "foreigner." Thus, Medea's pronounced loneliness in Corinth is not merely social isolation; it is the metaphysical fate of an individual who attempted a synthesis of two radically different relig-

ious paradigms, which proved impossible at that stage of civilizational development.

Particular attention must be paid to the transcendental nature of Medea's figure, which surpasses ordinary human ethics and links directly to the sacred-ritual logic of the Ancient Near East. The research process highlighted that Medea's actions, which constitute criminal acts under the rational law of the Greek polis, are perceived within the framework of the Eastern magical paradigm as a terrifying yet necessary ritual for restoring cosmic balance. Medea is not merely a woman consumed by vengeance; she is the guardian of Oriental "sacred knowledge," for whom archaic oaths and divine laws stand higher than Western social constructs. Her metamorphosis at the end of the tragedy - ascending to the heavens in the chariot of the Sun - symbolically personifies the ultimate victory of the Eastern spirit over Western earthly pragmatism and her refusal to return to a world that could not tolerate her.

In conclusion, it should be noted that the study of Medea's persona helps us re-evaluate the very concept of "civilization." While the Western tradition finds civilization in rationalism and adherence to law, the Medean Eastern paradigm reminds us of another, deeper layer of civilization - the ritual connection with nature and metaphysical responsibility. Medea's flight in the sun chariot is not an escape but transcendence - a testament to the fact that Eastern spiritual energy cannot be imprisoned within narrow political or social frameworks.

Thus, the reinterpretation of the Medea phenomenon through the prism of modern Oriental Studies and Culturology acquires particular relevance. Medea remains a symbol that cultural identity and the magico-religious paradigms of the Ancient Near East are not static givens, but a living, dynamic process that continues to pose relevant questions about the dialogue of civilizations today. Our research sho-

ws that encoded within the figure of Medea is the historical memory of Colchis as a potent cultural bridge between East and West. This figure reminds us that understanding and accepting the "Other" requires not their transformation into a copy of oneself, but the recognition of their authentic, albeit "foreign" and mystical nature - a realization that gains decisive importance in today's multicultural world.

References:

- Apollonios Rodoseli.** (1970). *Argonavtika* [Argonautica]. Tbilisi: Nakaduli Publishing.
- Bregadze, L.** (2012). *Mitologiuri arkhetipebi kartul mtsherlobashi* [Mythological archetypes in Georgian literature]. Tbilisi.
- Burkert, W.** (1992). *The Orientalizing Revolution: Near Eastern Influence on Greek Culture in the Early Archaic Age*. Harvard University Press.
- Eliade, M.** (1958). *Rites and Symbols of Initiation: The Mysteries of Birth and Rebirth*. Harper & Row.
- Eliade, M.** (1963). *Myth and Reality*. Harper & Row.
- Euripide.** (2000). *Medea* [Medea]. Tbilisi: Logos Publishing.
- Gamsakhurdia, K.** (1973). *Rcheuli tkhzulebebi* [Selected works]. Tbilisi: Nakaduli Publishing.
- Gordeziani, R.** (1999). *Berdznuli tsivilizatsia* [Greek civilization]. Tbilisi State University Press.
- Huntington, S.** (2003). *Stolknovenie tsivilizatsiy i pereustroystvo mirovogo poryadka* [The clash of civilizations and the remaking of world order]. Moscow: AST Publishing.
- Kerényi, K.** (1974). *The Gods of the Greeks*. Thames & Hudson.

Said, E. (2003). Orientalizmi [Orientalism]. Tbilisi: Diogene Publishing.

Urushadze, A. (1964). Dzveli Kolkheti argonavtebis tkmulebashi [Ancient Colchis in the legend of the Argonauts]. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.



ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

კოლხი მედეა და ძველი აღმოსავლეთის
მაგიურ - რელიგიური პარადიგმები

თათია დავითაძე
ფილოლოგიის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, 6010. ბათუმი,
აღ. კუმეჩინის ქ. N125/127, ბ. N 23.
+995571091310. davitadzetatia@gmail.com
<https://orcid.org/0009-0007-7888-719X>

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს კოლხი მედეას ფენომენის კომპლექსურ კვლევას აღმოსავლეთმცოდნეობისა და შედარებითი მითოლოგიის ჭრილში. სტატიაში მედეას სახე განხილულია არა მხოლოდ როგორც ანტიკური დრამატურგიის პერსონაჟი, არამედ როგორც ძველი აღმოსავლეთის (მესოპოტამიური, ხეთური და ეგვიპტური) მაგიურ-რელიგიური პარადიგმების მატარებელი არქეტიპი. კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მედეას ფიგურა წარმოადგენს კულტურულ „ზღვარს“ დასავლურ (ელინურ) რაციონალიზმსა და აღმოსავლურ ეგზოტიკურ მისტიციზმს შორის. ნაშრომში გამოყენებ-

ულია ინტერდისციპლინური მიდგომა, რაც საშუალებას იძლევა მითოლოგიური სიუჟეტის მიღმა დავინახოთ რეალური ისტორიულ-კულტურული პროცესები.

ნაშრომის პირველ ნაწილში დეტალურად არის გაანალიზებული მედეას მჭიდრო კავშირი ქალღმერთ ჰეკატეს კულტთან და მახლობელი აღმოსავლეთის მთვარის ღვთაებებთან, მათ ფუნქციურ მახასიათებლებთან და მათთან დაკავშირებულ რიტუალურ პრაქტიკებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „წამლებს“ (pharmaka) ფენომენს, რომელიც სტატიაში ინტერპრეტირებულია, როგორც ძველი აღმოსავლური მედიცინის, ბალახეულის ცოდნისა და ადრეული ალქიმიის გამოძახილი ბერძნულ ეპოსში. სტატია განიხილავს, რომ მედეას მაგიური ძალა არ არის მხოლოდ ზღაპრული ან ლიტერატურული ელემენტი, არამედ ის ასახავს იმ რეალურ ემპირიულ ცოდნასა და ტრადიციებს, რომლებიც კოლხეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონებისთვის იყო დამახასიათებელი და რაც ბერძნული პოლისის მოქალაქისთვის ხშირად გაუგებარ და სახიფათო ძალასთან ასოცირდებოდა.

კვლევის მეორე ნაწილი ეთმობა „სხვის“ (The Other) კონცეფციას ორიენტალისტურ დისკურსში. ნაშრომში განხილულია, თუ როგორ ხდებოდა ელინურ სამყაროში აღმოსავლური ეზოთერული ცოდნის მიზანმიმართული დემონიზაცია და რატომ იქცა მედეას „ბარბაროსობა“ მისი ტრაგიკული იდენტობის განმსაზღვრელ ძირითად ნიშნად. სტატიაში დასაბუთებულია მოსაზრება, რომ მედეას ტრაგედია არის არა მხოლოდ ოჯახური დრამა, არამედ ორი განსხვავებული კულტურული, რელიგიური და ეთიკური სისტემის გარდაუვალი შეჯახების შედეგი. ამ კონტექსტში კოლხეთი გვევლინება, როგორც მძლავრი კულტურული ცენტრი და რეცეფციის სივრცე, სადაც ხდებოდა აღმოს-

ავლური მისტიკური ცოდნის ტრანსფორმაცია დასავლურ ინტელექტუალურ სივრცეში გადასატანად.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები, რომლებიც ადასტურებს, რომ მედეას სახის რეინტერპრეტაცია აღმოსავლური პარადიგმების გათვალისწინებით, ფუნდამენტურად ახალ პერსპექტივას სძენს ანტიკური მითოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ურთიერთმიმართების საკითხს. ნაშრომი ხაზს უსვამს იმას, რომ მედეას ფენომენი არის გასაღები ძველი სამყაროს გლობალური კულტურული ურთიერთობების უკეთ გასაგებად.

საკვანძო სიტყვები: მედეა, კოლხეთი, აღმოსავლეთმცოდნეობა, მაგიურ-რელიგიური პარადიგმები, ორიენტალიზმი, ჰეკატე, კულტურული იდენტობა, ძველი აღმოსავლეთი, ფარმაკოლოგია, ინტერკულტურული დიალოგი.

შესავალი

ანტიკური მითოლოგია და კლასიკური ლიტერატურა საუკუნეების განმავლობაში დასავლური ცივილიზაციის თვითრეფლექსიისა და კულტურული იდენტობის ფორმირების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა. ამ ვრცელ და მრავალფეროვან ნარატიულ სივრცეში, კოლხი მედეას ფიგურა გვევლინება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე რთული, წინააღმდეგობრივი და მრავალშრიანი არქეტიპი, რომელიც დღემდე იწვევს აკადემიურ პოლემიკას. ტრადიციული ლიტერატურათმცოდნეობითი ხედვით, მედეას სახე ელინურ დრამატურგიასა და ეპოსში ხშირად ვიწროდ განიხილებოდა — როგორც ეჭვიანობის, შური-სძიებისა და უკიდურესი დედაშვილური ტრაგედიის პერსონიფიკაცია. თუმცა, თუკი მედეას ფენომენს აღმოსავლეთმცოდ-

ნეობის, შედარებითი რელიგიათმცოდნეობისა და კულტურათა შორის დიალოგის პერსპექტივიდან შევხედავთ, ნათელი ხდება, რომ მისი პერსონაჟი ბევრად უფრო ღრმა და სისტემურ კულტურულ დაპირისპირებას განასახიერებს, ვიდრე უბრალო საოჯახო დრამაა.

წინამდებარე ნაშრომის აქტუალობასა და მეცნიერულ ღირებულებას განაპირობებს ის გარემოება, რომ მედეა ბერძნული სამყაროსთვის არ იყო მხოლოდ „უცხო“ ქალი ან რიგითი მიგრანტი კოლხეთიდან; იგი წარმოადგენდა ძველი აღმოსავლეთის (მესოპოტამიური, ხეთური და ეგვიპტური) მაგიურ-რელიგიური, ასტრონომიული და სამედიცინო ცოდნის ცოცხალ მატარებელს. კოლხეთი, რომელიც მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს განაპირა, მისტიკურ მხარედ აღიქმებოდა, ანტიკურ ცნობიერებაში ფიგურირებდა, როგორც სივრცე, სადაც ადამიანური ყოფიერება და ღვთაებრივი (თუ ქთონური) ძალები ერთმანეთს ორგანულად ერწყმოდა. მედეას პერსონაჟის დემონიზაცია ელინურ სამყაროში პირდაპირ კავშირშია იმ კულტურულ შიშთან, რომელსაც დასავლეთი აღმოსავლური ეზოთერული ცოდნის მიმართ განიცდიდა. აღნიშნული პროცესი შეიძლება ავხსნათ ედუარდ საიდის ფუნდამენტური „ორიენტალისტური“ თეორიით, რომლის მიხედვითაც: „აღმოსავლეთი დასავლეთისთვის ყოველთვის იყო მისტიკური, ირაციონალური და საშიში 'სხვა', რომელიც ცივილიზებულ ჩარჩოებში არ ჯდება“ (საიდი, 2003: 12). ამ თვალსაზრისით, მედეას მიერ განსახიერებული „მაგია“ არ უნდა იქნას აღქმული მხოლოდ როგორც ზღაპრული ელემენტი. ეს არის აღმოსავლური ემპირიული ცოდნის, ფარმაკოლოგიისა და რელიგიური მისტიციზმის უნიკალური ნაზავი, რომელიც ელინური რაციონალიზმისთვის, მისი მკაცრი ლოგიკური სტრუქტურით, სრულიად მიუღებელი და ტრანსცენდენტური აღმოჩნდა. ევრიპიდეს ტრაგედიაში ნათლად იკვეთება მედეას

გაცნობიერებული თვითიდენტიფიკაცია ამ „უცხო“ და ძლევამოსილ ეზოთერულ ცოდნასთან, როდესაც იგი ხაზგასმით აცხადებს: „...ჩემი ბუნებით მე ვიცი წამალთ (pharmaka) ძალა და ვერავინ შემედრება მათ დამზადებაში...“ (ევრიპიდე, მედეა 395-397). აქ ტერმინი pharmaka თავისთავად ორაზროვანია — ის ერთდროულად ნიშნავს წამალსაც და საწამლავსაც, კურნებასაც და დამღუპველ მაგიასაც, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მედეას ბუნების დუალიზმს.

ნაშრომის ძირითადი მიზანია, მედეას სახის კომპლექსური რეინტერპრეტაციის გზით, წარმოაჩინოს ის მყარი მაგიურ-რელიგიური პარადიგმები, რომლებიც მას მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ არეალთან აკავშირებს. ჩვენი კვლევის ცენტრალური ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ მედეას ტრაგედია არის არა მხოლოდ პიროვნული ეგზისტენციალური მარცხი, არამედ ორი ფუნდამენტურად განსხვავებული ეპისტემოლოგიური სისტემის — დასავლური ანთროპოცენტრული ეთიკისა და აღმოსავლური თეოცენტრული ეზოთერიზმის — გარდაუვალი შეჯახება.

სტატიის შემდგომ თავებში ჩვენ დეტალურად განვიხილავთ მედეას გენეალოგიურ და ფუნქციურ კავშირს ქალღმერთ ჰეკატეს კულტთან, რომელიც თავის მხრივ მჭიდროდ უკავშირდება მცირე აზიისა და შუამდინარეთის ღვთაებებს. ასევე, გავანალიზებთ მაგიური პრაქტიკების სოციო-კულტურულ ასპექტებს და შევეცდებით დავინახოთ, თუ როგორ მოახდინა ბერძნულმა ლიტერატურამ აღმოსავლური „სხვის“ დემონიზაცია ორიენტალისტური დისკურსის ჩარჩოებში, რათა დაეცვა საკუთარი კულტურული საზღვრები უცხოური გავლენებისგან.

მეთოდი

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდი, საკვლევი ობიექტების სპეციფიკიდან და მათი მრავალშრიანი

ბუნებიდან გამომდინარე, ეფუძნება შედარებითი ანალიზისა და ჰერმენევტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს. ჩვენი ამოსავალი წერტილია იმის აღიარება, რომ ანტიკური ნარატივები მედეას შესახებ არ წარმოადგენს სტატიკურ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ დოგმატურ მოცემულობას. პირიქით, ეს ტექსტები თავისი ბუნებით მუდმივად ღიაა მკითხველისთვის, რაც ქმნის დინამიკურ სივრცეს სხვადასხვაგვარი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციებისათვის.

ჰერმენევტიკული მიდგომა საშუალებას გვძლევს, ცალკეული ლიტერატურული თუ მითოლოგიური ფრაგმენტების სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე, აღვადგინოთ და წარმოვაჩინოთ პრობლემის ერთიანი, მთლიანობითი სურათი. აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით საჭიროა მედეას ფენომენის კვლევისას, რადგან ის გვეხმარება, ტექსტის ზედაპირული შრის მიღმა ამოვიცნოთ ის დაფარული კულტურული კოდები და აღმოსავლური პარადიგმები, რომლებიც მედეას მახლობელი აღმოსავლეთის მაგიურ-რელიგიურ ტრადიციებთან აკავშირებს.

ჩვენი კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტექსტსა და მის ისტორიულ-კულტურულ კონტექსტს შორის მიმართებას. ჩვენ შევეცადეთ, კონკრეტული ნაწილებისა და ეპიზოდების ანალიზის გზით, გაგვეანალიზებინა ისეთი კომპლექსური საკითხები, როგორცაა აღმოსავლური ეპოთერული ცოდნის რეცეფცია ბერძნულ პოლისურ გარემოში. ამგვარი ინტერპრეტაციული სინთეზის საფუძველზე, ნაშრომი ისახავს მიზნად ჩამოაყალიბოს შესაბამისი, მეცნიერულად არგუმენტირებული დასკვნები მედეას, როგორც აღმოსავლური „სხვის“, როლისა და მნიშვნელობის შესახებ ანტიკურ დისკურსში.

დისკუსია

აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა დაყოფა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, არ წარმოადგენს უა-

ხლესი საუკუნეების პროდუქტს; იგი კაცობრიობის ისტორიას უძველესი დროიდან მოჰყვება და ამას განაპირობებს არა იმდენად გეოგრაფიული მდებარეობა, რამდენადაც სამყაროს შემეცნების განსხვავებული მეთოდები, ტრადიციულ ღირებულებათა სისტემა, ძირითადი მსოფლმხედველობითი შეხედულებები და, რა თქმა უნდა, რელიგია. ჩვენი ინტერესისა და, შესაბამისად, განხილვის ობიექტის — კოლხი მედეასა და ძველი აღმოსავლეთის მაგიურ-რელიგიური პარადიგმების — ანალიზისას აუცილებელია ამოვიდეთ იმ დიქოტომიიდან, რომელსაც სემუელ ხანტინგტონი განსაზღვრავს როგორც „დასავლეთი და დანარჩენები/სხვები“ (ხანტინგტონი, 2003:25). ამ კონტექსტში, მედეა ელინური სამყაროსთვის არის სწორედ ის რადიკალური „სხვა“, რომელიც თავისი ეზოთერული არსით საფრთხეს უქმნის ბერძნული პოლისის რაციონალურ, ლოგოცენტრულ სტრუქტურას.

აღმოსავლური მსოფლმხედველობა, ბერძნული პოლისის ანთროპოცენტრული მოდელისგან განსხვავებით, აგებულია ადამიანის თვითიზოლაციაზე გარე სამყაროსგან; ის ფოკუსირებულია შინაგან, სულიერ ცხოვრებაზე და ტრანსცენდენტურ ძალებთან უშუალო კონტაქტზე. მსოფლმხედველობის ამ ტიპს ახასიათებს ადამიანის პასიური დაქვემდებარება ბუნებრივი საწყისისადმი, რომელიც აქტიურად საკრალიზებულია. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მედეას მიერ ფლობილ pharmaka-ს ძალაში. ანტიკური საბერძნეთისთვის მედეას ცოდნა არის „უცხო“ და „ბნელი“, თუმცა ძველი აღმოსავლეთის (ხეთური, მესოპოტამიური) პარადიგმით, ეს არის უმაღლესი რანგის სამედიცინო-საკულტო ხელოვნება. აქ ვხვდებით ფუნდამენტურ გაუგებრობას: ის, რაც კოლხური (აღმოსავლური) კულტურისთვის წმინდარიტუალი და კურნების ძალაა, ბერძნული რაციონალიზმისთვის „ბარბაროსულ ჯადოქრობად“ ტრანსფორმირდება. აღნიშნული პროცესი წარმოადგენს ედუარდ საიდის მიერ აღწერილ

ტიპურ ორიენტალისტურ მიდგომას, სადაც დასავლეთი ახდენს აღმოსავლური ცოდნის დემონიზაციას, რათა შეინარჩუნოს საკუთარი კულტურული ჰეგემონია. როგორც საიდი აღნიშნავს: „აღმოსავლეთი დასავლეთისთვის ყოველთვის იყო მისტიკური, ირაციონალური და საშიში 'სხვა', რომელიც ცივილიზებულ ჩარჩოებში არ ჯდება“ (საიდი, 2003:12).

მედეას მიერ ფლობილი ცოდნა არ იყო მხოლოდ იზოლირებული მოვლენა; ის ემთხვევა ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ, ხეთური მცირე აზიის 'რიტუალურ ლანდშაფტს'. როგორც მკვლევარი ვალტერ ბურკერტი აღნიშნავს, აღმოსავლური მაგიური პრაქტიკა ხშირად ეყრდნობოდა განწყენდისა და ტრანსფორმაციის რთულ მექანიზმებს, რომლებიც ბერძნულ სამყაროში მოგვიანებით დამკვიდრდა (Burkert, 1992:41). მედეას მიერ იასონის მამის, ესონის, გაახალგაზრდავების რიტუალი — სისხლის გამოცვლა და ბალახეული ნაყენის გამოყენება — პირდაპირ კავშირშია შუამდინარულ და ანატოლიურ 'სიცოცხლის აღდგენის' მითოლოგიებთან. აქ კოლხი მედეა გვევლინება არა როგორც შარლატანი, არამედ როგორც 'ღვთაებრივი ხელოსანი' (Demourgos), რომელიც მატერიას საკრალური ცოდნის მეშვეობით გარდაქმნის. ესაა პარადიგმა, სადაც ბუნება არაა დასაპყრობი ობიექტი (როგორც ეს დასავლურ რაციონალიზმშია), არამედ ცოცხალი ორგანიზმი, რომელთანაც დიალოგი მხოლოდ მაგიური ენითაა შესაძლებელი.

მედეას მიერ პელიასის მკვლევლობის ეპიზოდი წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს იმისა, თუ როგორ გარდაიქმნება აღმოსავლური საკრალური რიტუალი დასავლურ კრიმინალურ აქტად. აღმოსავლურ პარადიგმაში, სხეულის დანაწევრება და მისი შემდგომი 'განახლება' (რაც მედეამ ვერძის მაგალითზე აჩვენა პელიასის ასულებს) უკავშირდება ოსირისის მითოსსა და შუმერულ-აქადურ ინიციაციურ პრაქტიკებს, სადაც სიკვდილი

აღქმულია როგორც აუცილებელი ეტაპი ახალი სიცოცხლისთვის. თუმცა, ბერძნული პოლისის კონტექსტში, მედეამ ეს ცოდნა გამოიყენა არა მკურნალობისთვის, არამედ პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის. როგორც მკვლევარი კარლ კერენი აღნიშნავს, მედეას მაგია აქ კარგავს თავის თავდაპირველ 'თეთრ' (სამკურნალო) ბუნებას და ხდება იარაღი იმ საზოგადოების წინააღმდეგ, რომელმაც ის არ მიიღო (Kerényi, 1974:263). აქ ვხედავთ კულტურათა შეჯახების ტრაგიკულ შედეგს: მედეა იყენებს თავის უმაღლეს ეზოთერულ ცოდნას (რეგენერაციის საიდუმლოს) იმისთვის, რომ დასაჯოს დასავლური სამყაროს უსამართლობა. ეს აღარ არის მხოლოდ მკვლევლობა; ეს არის აღმოსავლური 'სასწაულის' პროფანაცია, რამაც საბოლოოდ მედეას სრული დემონიზაცია გამოიწვია ანტიკურ მწერლობაში.

ამავდროულად, მედეას ფენომენის ანალიზისას გვერდს ვერ ავუვლით იმ სიმბოლურ გეოგრაფიას, რომელიც კოლხეთს ანტიკურ ცნობიერებაში მიეწერებოდა. კოლხეთი არ იყო მხოლოდ ტერიტორიული ერთეული; ის წარმოადგენდა „მზის სამფლობელოს“, სადაც ინახებოდა „ოქროს საწმისი“ — აღმოსავლური ეზოთერული ცოდნისა და სამეფო ხელისუფლების უმაღლესი სიმბოლო. შესაბამისად, მედეას მიერ იასონის დახმარება და საწმისის გატაცებაში მონაწილეობა, ჰერმენევტიკული თვალსაზრისით, შეიძლება განვიხილოთ როგორც აღმოსავლური საკრალური ენერჯის გადადინება დასავლეთში, რასაც ბერძნული სამყარო მოუმზადებელი შეხვდა. დასავლური მსოფლმხედველობა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს პრაგმატიზმსა და უტილიტარიზმს, ცდილობდა მედეას „აღმოსავლური მისტიკა“ მხოლოდ საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებინა, თუმცა, როგორც კი პოლიტიკური საჭიროება გაქრა, ელიზურმა პოლისმა მედეას მაგიური პარადიგმა საფრთხედ აღიქვა. ეს არის კულტურული ეგოიზმის ის გამოვლინება, რომელიც „სხვას“ მხო-

ლოდ ფუნქციურ ინსტრუმენტად განიხილავს და უარყოფს მის სულიერ ავთენტურობას.

სიმბოლური გეოგრაფიის ჭრილში, ოქროს საწმისის ფენომენი კიდევ უფრო ღრმავდება, თუ მას განვიხილავთ ხეთურ 'ყურშასთან' (საკრალური ტყავი) მიმართებაში, რომელიც კეთილდღეობისა და ღვთაებრივი მფარველობის სიმბოლო იყო. რისმაც გორდეზიანის მოსაზრებით, კოლხური და მცირეაზიური კულტურული ურთიერთობების კონტექსტში, საწმისი წარმოადგენდა არა მხოლოდ მატერიალურ სიმდიდრეს, არამედ სამეფო ქარიზმის (Hvarena) მატარებელ ობიექტს (გორდეზიანი, 1999:78). შესაბამისად, მედეას მიერ საწმისის გადაცემა იასონისთვის არ იყო უბრალო დალატი; ეს იყო საკრალური ენერჯის ნებაყოფლობითი ტრანსფერი ერთი კულტურული სივრციდან მეორეში. ბერძნული მხარისთვის ეს იყო 'ნადავლი', ხოლო აღმოსავლური პარადიგმისთვის — სამყაროს წესრიგის (Cosmos) დარღვევა, რასაც შემდგომში გარდაუვალი ტრაგედია მოჰყვა.

კოლხი მედეას მაგიურ-რელიგიური ბუნება ყველაზე ვრცლად აპოლონიოს როდოსელთანაა წარმოჩენილი. „არგონავტიკაში“ მედეა გვევლინება არა უბრალოდ შეყვარებულ ქალად, არამედ ჰეკატეს ქურუმად, რომელიც ფლობს „პრომეთეს წამალს“ და მართავს ქთონურ ძალებს. პოემის მესამე წიგნში ავტორი აღწერს მედეას მისტიკურ რიტუალს, სადაც იგი ღამის წყვილადში მოუხმობს ქვესკნელის ქალღმერთს, რაც ხაზს უსვამს მის კავშირს ძველი აღმოსავლეთის ეზოთერულ ტრადიციებთან (აპოლონიოს როდოსელი, 1970:158). ეს ადასტურებს, რომ მისი ძალაუფლება სათავეს იღებს იმ საიდუმლო რიტუალებიდან, რომლებიც ელინური სამყაროსთვის მიუწვდომელი და საშიში იყო.

მედეას კავშირი ჰეკატესთან და მის მიერ ჩატარებული ღამისეული რიტუალები შეიძლება განიმარტოს, როგორც ინიციაციური პროცესი. მირჩა ელიადეს თეორიის მიხედვით, აღმო-

სავლური მისტიციზმი ხშირად გულისხმობს 'დაბრუნებას საწყისებთან', ქაოსში ჩაძირვას ახალი წესრიგის დასამყარებლად (Eliade, 1958:112). როდესაც მედეა იყენებს 'პრომეთეს წამალს' (რომელიც ტიტანის სისხლიდანაა აღმოცენებული), იგი აერთიანებს მიწისქვეშა (ხთონურ) და ზეციურ (პრომეთეულ) საწყისებს. ეს სინთეზი ელინური რელიგიისთვის გაუგებარი იყო, რადგან ბერძნული ოლიმპიური რელიგია მკაცრად მიჯნავდა ზეციურ ღვთაებებსა და ქვესკნელის ძალებს. მედეა კი ამ საზღვრების დამრღვევია, რაც მას 'საზღვრისპირა' (Liminal) ფიგურად აქცევს, რომელიც ერთდროულად ეკუთვნის ორ სამყაროს და არცერთს სრულად.

საინტერესოა, რომ მედეას ფიგურა განასახიერებს იმ „შინაგანი მზერის“ პრინციპს, რომელიც დამახასიათებელია აღმოსავლური მისტიკისთვის. მისი კავშირი ქალღმერთ ჰეკატესთან — ქთონურ, ღამისეულ და საზღვრისპირა ღვთაებასთან — მიუთითებს მედეას როლზე, როგორც მედიატორზე ხილულ და უხილავ სამყაროებს შორის. თუკი დასავლური მსოფლმხედველობა მიზნად ისახავს ადამიანის მიერ გარესამყაროს გაცნობიერებას და მასზე აქტიურ პრაგმატულ ზეგავლენას, მედეასეული აღმოსავლური პარადიგმა აფასებს დუმილს, თვითჩაღრმავებასა და რიტუალურ კონსერვატიულობას. მედეას ტრაგედია სწორედ ამ ორი ეპისტემოლოგიური სისტემის შეჯახებაა: იასონის პრაგმატული გათვლები უპირისპირდება მედეას მეტაფიზიკურ ერთგულებას არქაული ფიცისა და მაგიური კანონებისადმი. ამ ჭრილში, მედეას მიერ შვილების მსხვერპლშეწირვა შეიძლება განხილულ იქნას არა როგორც ემოციური აფექტი, არამედ როგორც საშინელი, რელიგიური აქტი — საბოლოო დაბრუნება თავის აღმოსავლურ, ქთონურ ფესვებთან და დასავლური სოციალური კონსტრუქტების სრული უარყოფა.

გარდა ამისა, ხაზგასასმელია მედეას, როგორც აღმოსავლელი ქალის, სოციალური სტატუსის ტრანსფორმაცია. ძველი აღმოსავლეთის მაგიურ-რელიგიურ სისტემებში ქალის ავტორიტეტი ხშირად საკრალიზებული იყო და ის ფლობდა „წმინდა ძალაუფლებას“, რომელიც ბერძნული პატრიარქალური პოლისისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. ელინურ დისკურსში მედეას ინტელექტი და მაგიური უნარები აღიქმებოდა არა როგორც სიბრძნე, არამედ როგორც „მზაკვრობა“ და „საშიში ძალა“, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მის დემონიზაციას. მედეას გაუცხოება კორინთოში არ ყოფილა მხოლოდ ეთნიკური; ეს იყო იმ მაგიურ-რელიგიური იერარქიის ნგრევა, რომელშიც ის კოლხეთში არსებობდა. როდესაც ევრიპიდესთან მედეა აცხადებს თავის უპირატესობას წამალთმცოდნეობაში, ის რეალურად იცავს საკუთარ აღმოსავლურ იდენტობას დასავლური „გაშინაურების“ მცდელობისგან.

მედეას მიერ საკუთარი შვილების მსხვერპლშეწირვა ევრიპიდეს ტრაგედიაში ყველაზე რადიკალური წერტილია. თუკი დასავლური, ფსიქოლოგიური ჭრილით ეს აღიქმება როგორც დედობრივი ინსტინქტის კოლაფსი და შურისძიება იასონზე, რელიგიურ-ანთროპოლოგიური კუთხით მას სხვა დატვირთვა აქვს. ძველი აღმოსავლეთის მაგიურ-რელიგიურ სისტემებში (მაგალითად, ფინიკიურ ან ადრეულ სემიტურ კულტებში) საკუთარი პირმშოს მსხვერპლად შეწირვა უმაღლესი რელიგიური ერთეულების აქტი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა კოსმიური წონასწორობის აღდგენას. მედეა, რომელიც მზის ღმერთის, ჰელიოსის შთამომავალია, შვილების მკვლელობით წყვეტს თავის უკანასკნელ ბიოლოგიურ და სოციალურ კავშირს ელინურ სამყაროსთან. ეს არის მისი 'დაბრუნება' არქაულ, ხთონურ საწყისებთან. მირჩა ელიადეს ტერმინოლოგიით, ესაა 'ისტორიული დროიდან გასვლა' და მითოლოგიურ მარადიულობაში დაბრ-

უნება (Eliade, 1963:145). მედეა არ კლავს შვილებს მხოლოდ იასონის დასასჯელად; ის კლავს მათ, რათა არ დაუშვას მათი 'გამინაურება' და ასიმილაცია იმ კულტურაში, რომელიც მისთვის სულიერად მკვდარია. ფინალი, სადაც მედეა მზის ეტილით ზეცაში მალდება, ადასტურებს მის მეტაფიზიკურ გამარჯვებას: ის აღარ ექვემდებარება ადამიანურ სამართალს, ის უბრუნდება ღვთაებრივ-მაგიურ იერარქიას, რომლის წევრიც კოლხეთში ყოფნისას იყო.

მსგავსი კულტურული გაორება და გაუცხოების სევდა, რომელიც მედეას თან სდევს, უცხო არ არის ქართული აკადემიური დისკურსისთვისაც. მედეას, როგორც „სხვის“ მდგომარეობა პოლისში, პარალელს პოულობს კონსტანტინე გამსახურდიასეულ ხედვასთან, სადაც დასავლეთი „სხვისგან“ ითხოვს საკუთარი იდენტობის სრულ გარდასახვას: „თქვენ, ევროპელები, ეგოისტები ხართ, ჩვენგან მოითხოვთ გარდავიქმნეთ... ე.ი. თქვენ დაგემსგავსოთ“ (გამსახურდია, 1973:143). მედეას შემთხვევაშიც, ელინური საზოგადოება მისგან ითხოვდა „ბარბაროსული“ მაგიის დათმობას და ბერძნულ ნორმებში მოქცევას, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მისი შინაგანი კოლაფსი და რადიკალური პროტესტი.

ამრიგად, მედეას ფენომენი გვახსენებს, რომ განსხვავება კულტურათა შორის არსად ქრება; ის მხოლოდ მძაფრდება, როდესაც დასავლური რაციონალიზმი და აღმოსავლური მისტიციზმი ერთმანეთს ხვდება. „სხვის უნიჭო ასლად ყოფნა“ მედეასთვის მიუღებელია, ამიტომაც მისი სახე რჩება მუდმივ გაფრთხილებად იმ კულტურული კრიზისების შესახებ, რომლებიც თან სდევს ცივილიზაციათა დიალოგს. კოლხი მედეა რჩება ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მდგარ ყველაზე ტრაგიკულ ფიგურად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დავინახოთ ძველი

აღმოსავლეთის მაგიურ-რელიგიური პარადიგმების რეცეფციისა და შემდგომი ტრანსფორმაციის რთული გზა.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობოდა შედარებითი ანალიზისა და ჰერმენევტიკის მეთოდებს, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე ფუნდამენტური დასკვნა კოლხი მედეას ფენომენისა და ძველი აღმოსავლეთის მაგიურ-რელიგიური პარადიგმების ურთიერთმიმართების შესახებ:

კულტურული დიქოტომია და „სხვის“ არქექტიპი: დადასტურდა, რომ მედეას სახე ანტიკურ დისკურსში არ არის მხოლოდ ლიტერატურული პერსონაჟი; ის არის „აღმოსავლური სხვის“ (The Other) ტიპური რეპრეზენტაცია. ელინური რაციონალიზმი მედეას აღიქვამდა არა როგორც კოლხური კულტურის ავთენტურ მატარებელს, არამედ როგორც საფრთხეს პოლისის სოციალური და ეთიკური წესრიგისთვის.

მაგიურ-რელიგიური პარადიგმების რეცეფცია: მედეას მიერ ფლობილი pharmaka და მისი კავშირი ჰეკატესთან წარმოადგენს ძველი აღმოსავლური (ხეთური, მესოპოტამიური) ეზოთერული ცოდნის ტრანსფორმაციას ბერძნულ სივრცეში. ის, რაც აღმოსავლეთში საკრალური, რიტუალური მეცნიერება იყო, დასავლეთში დემონიზებულ „ჯადოქრობად“ იქცა, რაც ორიენტალისტური ხედვის პირდაპირი შედეგია.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა საინტერესო პარალელი მედეას სახელსა და მის ფუნქციურ დატვირთვას შორის. სახელი 'მედეა' (Medeia), რომელიც ბერძნულად 'ზრუნვას', 'გეგმას' ან 'მოფიქრებას' (medomai) უკავშირდება, აღმოსავლურ კონტექსტში იძენს 'მკურნალის' და 'მცოდნის' მნიშვნელობას (აქედან მომდინარეობს თანამედროვე ტერმინი 'მედიცინაც'). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მედეა არ იყო მხოლოდ მითოლოგიური პერსონაჟი, არამედ განასახიერებდა კოლხურ ინტე-

ლექტურ-მაგიურ ტრადიციას. მისი ფენომენი გვიჩვენებს, რომ ძველ აღმოსავლეთში ცოდნა (მაგიური თუ სამედიცინო) იყო ძალაუფლების წყარო, რომლის 'მოპარვასაც' (საწმისის სახით) და შემდგომ 'მოშინაურებასაც' ცდილობდა დასავლური სამყარო. მედეას ტრაგედია სწორედ ამ 'ცოდნის' გაუცხოების პროცესია — როდესაც მეცნიერება და მაგია, რომელიც აღმოსავლეთში ჰარმონიულად თანაარსებობდა, ბერძნულ რაციონალიზმში ერთმანეთს დაუპირისპირდა.

იდენტობის კრიზისი და გაორება: მედეას ტრაგედია არის ორი განსხვავებული ეპისტემოლოგიური სისტემის შეჯახების შედეგი. კვლევამ აჩვენა, რომ მედეას შინაგანი გაორება გამოწვეული იყო დასავლური სამყაროს მხრიდან ასიმილაციის აგრესიული მოთხოვნით. მედეას უარი „სხვის უნიჭო ასლად ყოფნაზე“ და მისი დაბრუნება არქაულ, მაგიურ ფესვებთან, არის კულტურული იდენტობის შენარჩუნების რადიკალური აქტი.

ანალიზმა აჩვენა, რომ მედეა წარმოადგენს ე.წ. ლიმინალურ (Liminal) ფიგურას — არსებას, რომელიც მუდმივად იმყოფება საზღვარზე: აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქთონურ (მიწისქვეშა) და ოლიმპიურ (ზეციურ), ბარბაროსულსა და ცივილიზებულ სამყაროებს შორის. ეს 'შუამავლობა' (Mediation) მას ანიჭებს უნიკალურ ძალაუფლებას, მაგრამ ამავე დროს ხდის მას დაუცველს ორივე სისტემისთვის. კოლხეთისთვის ის 'მოღალატეა', საბერძნეთისთვის კი — 'უცხო'. ამრიგად, მედეას ხაზგასმული მარტოობა კორინთოში არ არის მხოლოდ სოციალური იზოლაცია; ეს არის იმ ადამიანის მეტაფიზიკური ხვედრი, რომელმაც სცადა ორი რადიკალურად განსხვავებული რელიგიური პარადიგმის სინთეზი, რაც ცივილიზაციათა იმდროინდელი განვითარების ეტაპზე შეუძლებელი აღმოჩნდა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მედეას ფიგურის ტრანსცენდენტურ ბუნებას, რომელიც სცილდება ჩვეუ-

ლებრივ ადამიანურ ეთიკას და პირდაპირ უკავშირდება ძველი აღმოსავლეთის საკრალურ-რიტუალურ ლოგიკას. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მედეას მიერ ჩადენილი ქმედებები, რომლებიც ბერძნული პოლისის რაციონალური სამართლისთვის კრიმინალური აქტია, აღმოსავლური მაგიური პარადიგმის ჭრილში აღიქმება როგორც კოსმიური წონასწორობის აღდგენის საშინელი, თუმცა აუცილებელი რიტუალი. მედეა არ არის მხოლოდ შურისძიებით შეპყრობილი ქალი; იგი არის აღმოსავლური „წმინდა ცოდნის“ მცველი, რომლისთვისაც არქაული ფიცი და ღვთაებრივი კანონები უფრო მაღლა დგას, ვიდრე დასავლური სოციალური კონსტრუქტები. მისი მეტამორფოზა ტრაგედიის ფინალში — მზის ეტლით ზეცად აღმაფრენა — სიმბოლურად განასახიერებს აღმოსავლური სულის საბოლოო გამარჯვებას დასავლურ მიწისმიერ პრაგმატიზმზე და მის დაუბრუნებლობას იმ სამყაროში, რომელმაც ის ვერ შეიწყნარა.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ მედეას სახის კვლევა გვეხმარება გადავაფასოთ თავად 'ცივილიზაციის' ცნება. თუკი დასავლური ტრადიცია ცივილიზაციას რაციონალიზმსა და კანონმორჩილებაში ხედავს, მედეასეული აღმოსავლური პარადიგმა გვახსენებს ცივილიზაციის სხვა, უფრო სიდრმისეულ შრეს — ბუნებასთან რიტუალურ კავშირსა და მეტაფიზიკურ პასუხისმგებლობას. მედეას მზის ეტლით გაფრენა არის არა გაქცევა, არამედ ტრანსცენდენცია — დასტური იმისა, რომ აღმოსავლური სულიერი ენერგია ვერ იქნება დამწყვდეული ვიწრო პოლიტიკურ თუ სოციალურ ჩარჩოებში.

ამრიგად, მედეას ფენომენის რეინტერპრეტაცია თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობისა და კულტუროლოგიის ჭრილში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. მედეა რჩება სიმბოლოდ იმისა, რომ კულტურული იდენტობა და ძველი აღმოსავლეთის მაგიურ-რელიგიური პარადიგმები არ არის სტატიკური

მოცემულობა, არამედ ცოცხალი, დინამიკური პროცესია, რომელიც დღესაც აქტუალურ კითხვებს სვამს ცივილიზაციათა დიალოგის შესახებ. ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ მედეას სახეში დაშიფრულია ისტორიული მეხსიერება კოლხეთის, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული მძლავრი კულტურული ხიდის შესახებ. ეს სახე გვახსენებს, რომ „სხვის“ გაგება და მიღება მოითხოვს არა მის გარდაქმნას საკუთარ ასლად, არამედ მისი ავთენტური, თუნდაც „უცხო“ და მისტიკური ბუნების აღიარებას, რაც დღევანდელ მულტიკულტურულ სამყაროში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აპოლონიოს როდოსელი.** (1970). არგონავტიკა. თბილისი: ნაკადული.
- ბრეგაძე, ლ.** (2012). მითოლოგიური არქეტიპები ქართულ მწერლობაში. თბილისი.
- გამსახურდია, კ.** (1973). რჩეული თხზულებები. თბილისი: ნაკადული.
- გორდეზიანი, რ.** (1999). ბერძნული ცივილიზაცია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ევრიპიდე.** (2000). მედეა. თბილისი: ლოგოსი.
- საიდი, ე.** (2003). ორიენტალიზმი. თბილისი: დიოგენე.
- ურუშაძე, ა.** (1964). ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- Burkert, W.** (1992). The orientalizing revolution: Near Eastern influence on Greek culture in the early archaic age. Harvard University Press.

Eliade, M. (1958). Rites and symbols of initiation: The mysteries of birth and rebirth. Harper & Row.

Eliade, M. (1963). Myth and reality. Harper & Row.

Kerényi, K. (1974). The gods of the Greeks. Thames & Hudson.

Хантингтон, С. (2003). Столкновение цивилизаций и переустройство мирового порядка. Москва: АСТ.



LINGUISTICS, LITERARY CRITICISM
ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა

Discourse: Nature/Man According to a Novel by E. Shafak

Tamar Gogoladze

Professor, Faculty of Humanities,
Doctor of Philology Gori State University
№62 Ketskhoveli St, Gori, 1400
+995 577251272. tamilagogoladze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0005-0450-2924>

Ketevan Barbakadze

Dean, Faculty of Humanities,
Academician Doctor of Pedagogical
Sciences Gori State University
№62 Ketskhoveli St, Gori, 1400
+995 577151211. qbarbakadze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

Abstract

For centuries, the intellectual world of humanity has been interested in the cardinal issues of the relationship or influence of nature and man. This has continued and has been shaped by different, opposing views in the last three centuries. Since the 80s of the XIX century, the Georgian writer Vazha-Pshavela (1861-1915) has given this topic an amazing development. Although his thoughts could not be translated into European or Asian languages at that time. However, independently of him, in the XXI century, the excellent Turkish wr-

iter (Turkish and English-speaking) Elif Shafak (1971) begins to explore the issue of Adam's relationship with nature in a new way in her new novel "The Island of Missing Trees", which will be presented in this article. Using the existing literature on solid scientific research and using imagination, Elif Shafak tries to solve the current world problem using the example of one sacred tree, a fig tree, and the relationship between people - the conflict of inhabitants of one island of forced migration, the issues of death, love, father-son, friendship or alienation. The main characters of the work, which is included in the genre of the novel, are people, plants, insects, animals and, perhaps, all natural phenomena.

However, in the process of research, it turned out to be unknown to us how close the world of Elif Shafak's novel is to the ideas of the Georgian writer Vazha-Pshavela. We believe that the comparison of them and the common features that emerged (against the backdrop of animism, anthropomorphism, ancient polytheism, and fundamental religions prevalent in modern times) as they revealed the only truth about the necessity of the harmonious existence of the world and man, nature and man, would be important for the scientific society. This is also an expression of Elif Shafak's versatile writing talent and mastery.

Keywords: Shafak, Vazha-Pshavela, fig tree, withered beech, nature.

Introduction

Even during his lifetime, the Georgian poet, thinker, and son of the Caucasus Mountains, Vazha-Pshavela (1861-1915), dreamed of making his works known to Europe and the intellectual community through translations. However, until the restoration of Georgia's ind-

ependence, the dream remained a dream. Today, he has been translated into both European and Eastern languages (for example, we should mention the translations of his poems (most recently into Japanese). Through the translations, his thoughts on the relationship between the world and man, nature and man, and the attempt to disrupt harmony have appeared. There has been a long discussion among literary critics and philosophers about whether Vazha was a “pagan, pantheist, animist, etc. (K. Abashidze, S. Danelia, G. Kikodze, etc.)” (Chumburidze, 1974:199).

Critic Ipolite Vartagava wrote: “...every object and natural phenomenon that Vazha describes to us, he humanizes, or rather, humanizes, with human flesh, nerves, and soul. And the poet has taken this humanization of nature to such a degree that you are deluded and think that the image of a man of ancient times deifying and reviving nature, and not a child of the twentieth century is being unfolded in front of your eyes!” (Vartagava, 1958:35).

We would not be mistaken to repeat this about the novel “The Island of Missing Trees” by Turkish writer Elif Shafak (1971). Although she aims to use the story to illustrate the main problems (the pain of the island being divided into two, emigration, etc.), she actually turns a tree (whose biblical roots are also revealed) into the main character, a fig tree, which is itself a living being, with its own memory and the ability to communicate with people and other creatures of nature.

Many people write about Elif Shafak, her artistic style is unique. Here is one reviewer's opinion about the novel: This is a novel full of wisdom about love and separation, roots and branches, emigration and life in another country, hope and faith (David Mitchell).

Vazha-Pshavela also became famous in the XIX-XXI centuries. The English professor and Georgian scholar Donald Rayfield con-

sidered him to be outstanding among other Georgian writers and he himself translated his works into English (D. Rayfield, "Georgian Literature: A History" – 1981, 2000).

Naturally, this is not the only complete coincidence, similarity or mutual influence, especially since the fig tree reminds us of Vazha Pshavela's withered breech, but the warmth and love radiate from Elif Shafak's novel, involuntarily reminds a Georgian man of what he has heard, analyzed, and studied a thousand times. Shafak looks at nature with a strange magnifying glass, although her thoughts are saturated with the latest scientific research (publications or Internet resources) and her own assessments, she uses all means for this: through monologues and dialogues, to reveal their pain or blood, estrangement or rediscovery of a loved one.

That is why we focus our research on Shafak's extraordinary artistic mastery, and not on reviews published abroad or the opinions and assessments of literary critics. The goal is the same: to open up the in-depth world of Elif Shafak, based on comparisons with related topics and general conclusions.

Methods

Comparatively - typological, as E. Shafak's novel corresponds to the theme of the relationship between nature and man. In literary texts, the same issues were presented in a typical way in the work of the Georgian writer Vazha-Pshavela a century ago.

Main part/Discussion

Elif Shafak is a famous writer in Turkish and English-language literature, as evidenced by the awards that have been awarded to her since 2004, highlighting the uniqueness of her artistic style. Deep knowledge of philology and philosophy helps the writer analyze the painful issues of the Eastern and Western countries of her modern era, be the violation of women's rights, local wars with their consequen-

ces, relations between nations, or love and friendship. Her novel "The Island of Missing Tress", created in the 20s of the XXI century, concerns representatives of the divided world of the island (Cyprus), who are forced to emigrate to England during this difficult time.

The world has been oscillating between sin and grace since the time of Adam and Eve. That is why, instead of the biblical apple, which has become a symbol of sin, Elif Shafak chooses the fig tree, with the leaves of which men and women tried to escape from shame. Thus, the life of the fig tree in its native land (Cyprus) is distinguished from the joy of its young sapling in a foreign land (England), whose roots have retained the memory of the past.

The fig tree lived and flourished, delighting people with its fruit, but it dies, stained by the results of battles, although the only sign of life that will continue its existence is the sapling planted by a man, the Greek Kostas.

"...a strange apathy seized me, this condition was getting worse day by day, I was not feeling well, like all living things, the fig tree is also suffering from numerous diseases and infections, but this time I had no more courage to fight..." (Shafaqi, 2022:366-367), "Just as hope can sometimes suddenly spit out of the whirlpool of despair, and peace can sprout shoots on the ruins of war, a tree also has the ability to emerge from the depths of illness and decay and rejoice. In short, if a Cyprus willow were to take root in England, they would not get exactly the same tree, but they would certainly get a genetically identical one" (Shafaqi, 2022:378).

In one of Vazha's short stories, "The Withered Beech" (1888–1889), the condition of a withered beech is described as follows:

"The withered beech stands unperturbed, motionless, uttering nothing in praise or censure; it knows neither pity nor hatred; its heart boils neither with hostile nor with friendly feelings. The

withered beech thinks only of itself, the past, the present and future. It is as though sorrow has been hammered deep into its heart. Occasionally it glances at one small, hoped-for shoot that has sprung up at the far end of a root and which is waiting for the sun and rain in order to grow. This alone is its consolation...” (Pshavela, 2012:92).

And if the fig tree of Shafak often personifies itself, reasoning and sharing its thoughts with insects, animals, and birds, the hero of Vazha, the withered beech, though it does not speak, thinks, ponders and keeps memories in its heart, because it is the son of the “mother of the place”, a vibrant part of the universe.

Chiko the parrot, due to its separation from its fellow tribesmen, quenches its thirst in the human environment:

The mouse and the bee bring news from the human world to the plant world. Vazha’s, violet and Sasutela talk to each other, the wolf is worried, the little fawn trembles in fear of the hunter... And if the world of Elif is ruled by mythological gods, in Vazha, the owner of everything is the “mother of the place”, the Earth, and finally God, the creator and guide. In both writers, people still cannot separate themselves from other inhabitants of the planet, because, entrusted with love, they continue to live in the memory of that same love. As the writer herself notes at the end of the novel: “I wanted to pay tribute to local folklore and oral tradition, but here everything is still invented - a mixture of interest, dream, love, sadness and imagination.” (Shafaqi, 2022:434). Even with Vazha, even a single story can contain everything, but thanks to scientific research originating from the ancient world, it was only established in the XX-XXI centuries.

Elif Shafak received the Stanford Prize twice - in 2022 and 2025 - for her mastery of perceiving the environment while traveling. Vazha-Pshavela became famous in the XX-XXI centuries. Whether

his ideas are controversial or profound - the path to restoring harmony in the world remains a warning or a plea for people.

E. Shafak's novel was created before 2021. Part of the works of the Georgian Vazha, stories and poems, were translated into English by the Georgian scholar Donald Rayfield before 2018, and later (in 2022, 2025) by the publishing house "Artanuji".

It seems that the concurrence of thoughts of the two great writers was reflected in their works.

Conclusion/Results

And although the plant world (especially sakura flowers) occupies a large place in the cognition of the Japanese (poets, philosophers, or other ordinary people) and no one will be surprised by the manifestation of their relationship with nature, the style of Shafak's novel itself indicates the harmony with nature encoded at different stages of human development, in the twenty-first century, even during the pandemic, it presents itself as a new manifestation of the intellectual writer's mastery. Nature and man have again become the theme of artistic creation through the novel "The Island of Missing Trees" by the Turkish writer Elif Shafak. Based on scientific research, with her intuition, E. Shafaq has deeply understood the issue, which echoes the idea expressed in the XIX century by the well-known Georgian writer Vazha-Pshavela that the world is one, nature and man, harmoniously existing in ancient times, must be restored in the same way, which humanity itself needs through the manifestations of wars, alienation in all its forms, and the pursuit of truth.

And, if Vazha's amazing poem "What Made Me a Man" (1913) expresses the poet's regret as a human being to come as rain to water the world, Elif Shafaq expresses the same in one sentence: "7." "With a few gentle words, welcome the tree that has returned to this world" (Shafaq, 2022:425).

References:

- Vartagava, I.** (1858). Song of the Mountain Son - Vazha-Pshavela. 1913-1914. In the collection: Critical Letters. Vol. I. Tbilisi.
- Pshavela, V.** (2012). In the collection: My Favorites. Vol. 1. Tbilisi: Palitra L. Publishing House.
- Shapaqi, E.** (2022). Island of Vanished Trees. Tbilisi: Palitra L. Publishing House.
- Chumburidze, J.** (1974). Writers and Critics. Tbilisi: Publishing House "Soviet Georgia".



ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

**დისკურსი: ბუნება/ადამიანი ე. შაფაქის
ერთი რომანის მიხედვით**

თამარ გოგოლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პროფესორი,
1400, გორი, კეცხოველის ქ. #62
+995 77251272. tamilagogoladze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0005-0450-2924>

ქეთევან ბარბაქაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
+995 577151211, qbarbakadze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

აბსტრაქტი

საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობის ინტელექტუალური სამყარო ინტერესდებოდა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირისა თუ ზემოქმედების კარდინალური საკითხებით. ეს

გრძელდებოდა და განსხვავებულ, ურთიერთ-საპირისპირო შეხედულებებით ყალიბდებოდა ბოლო სამი საუკუნის არეალში. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული აღნიშნულ თემას საოცარი განვითარება მისცა ქართველმა მწერალმა ვაჟა-ფშაველამ (1861-1915) (თავის დროზე ვერ ითარგმნა მისი ნააზრევი ევროპულ თუ აზიურ ენებზე), თუმცა მისგან დამოუკიდებლად XXI საუკუნეში შესანიშნავი თურქი მწერალი ქალი (თურქულ და ინგლისურენოვანი) ელიფ შაფაქი (1971) ახლებურად იწყებს ბუნებასთან ადამიანის მიმართულების საკითხის კვლევას ახალ რომანში „გამქრალი ხეების კუნძული“ („The Island of missing Tress“, რაც წარმოდგენილი იქნება წინამდებარე სტატიაში), სოლიდური სამეცნიერო კვლევების შესახებ არსებული ლიტერატურის გამოყენებითა და ფანტაზიით ელიფ შაფაქი ცდილობს ერთი საკრალური ხის, ლედვის ხისა, და ადამიანების ურთიერთობის მაგალითზე გაშალოს მსოფლიოს სადღესო პრობლემა - იძულებითი მიგრაციის ერთი კუნძულის ტერიტორიაზე მცხოვრებთა დაპირისპირების, სიკვდილის, სიყვარულის, მამა-შვილის მეგობრობისა თუ გაუცხოების საკითხები. რომანის ჟანრში ჩატეული ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირები არიან ადამიანები, მცენარეები, მწერები, ცხოველები და, იქნება მთელი ბუნებრივი მოვლენები.

თუმცა კვლევის პროცესში ჩვენთვის უცნობი აღმოჩნდა, რამდენად ახლოს დგას ელიფ შაფაქის რომანის სამყარო ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას ნააზრევთან. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იქნებოდა სამეცნიერო საზოგადოებისათვის მათი შედარებანი და ის საერთო ნიშნები, რაც (ანიმიზმის, ანთროპომორფიზმის, ანტიკური მრავალმერთიანობის, თანამედროვეობაში გავრცელებული ფუნდამენტური რელიგიების) ფონზე გამოიკვეთა და ცხადყო ერთადერთი ჭეშმარიტება სამყაროსა და ადამიანის, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული არსებობის

აუცილებლობაზე, ეს კი ელიფ შაფაქის მრავალმხრივი მწერლური ალღოსა და ოსტატობის გამოხატულებაა.

საკვანძო სიტყვები: შაფაქი, ვაჟა-ფშაველა, ლედვის ხე, ხმელი წიფელი, ბუნება.

შესავალი

ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში ოცნებობდა ქართველი პოეტი, მოაზროვნე, კავკასიის მთების შვილი ვაჟა-ფშაველა (1861-1915) ევროპისათვის, ინტელექტუალური საზოგადოებისათვის ცნობილი გამხდარიყო მისი ნაწარმოებები თარგმანების მეშვეობით. თუმცა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დადგომამდე ოცნება ოცნებად დარჩა. დღეს იგი თარგმნილია როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ ენებზეც (მაგალითისთვის უნდა დავასახელოთ მისი პოემების თარგმანები (სულ ახლახანს იაპონურ ენაზეც). თარგმანების მეშვეობით გამოჩნდა მისი ნააზრევო სამყაროსა და ადამიანის, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირის, თუ ჰარმონიულობის დარღვევის მცდელობის შესახებ. დიდხანს მიმდინარეობდა დისკუსია ლიტერატურათმცოდნეთა თუ ფილოსოფოსთა შორის, იყო თუ არა ვაჟა „წარმართი, პანთეისტი, ანიმისტი და ა.შ. (ვ. აბაშიძე, ს. დანელია, გ. ქიქოძე და სხვ.)“ (ჭუმბურიძე, 1974:199).

Haldun Tanner, a distinguished Turkish writer, was born on March 16, 1915, into the aristocratic Tavdgiridze family in Istanbul. He received his education at Galatasaray High School, graduating in 1935. Subsequently, he pursued further studies at the University of Heidelberg, focusing on politics and economics. He was forced to leave his studies due to illness and returned to Turkey, where he completed his degree in German Language and Linguistics in 1950. Between 1955 and 1957, he studied at the University of Vienna. Tanner is the author of numerous short stories, essays, plays, and journalistic articles. He is considered a humorist writer. Beyond his literary pursuits, Tanner was also a journalist, screenwriter, and literary researcher. He received prestigious awards such as the New York Herald Tribune Award (1954), the Sait Faik Award (1954), and the World Humor Festival Award (1969). In 1967, along with Matin Akpınar, Zeki Alasya, and Ahmet Gülhan, Tanner founded the "Devekuşu Kabare" theater, which gained immense popularity. His works have been translated into German, French, English, Russian, Greek, Slovenian, Swedish, and Hebrew.

Haldun Taner passed away on May 7, 1986, in Istanbul, at the age of 71.

Keywords: colonel, muedzin, friend, sea.

Translated from Turkish by Nato Kharshiladze



თარგმანი
TRANSLATION

ჰალდუნ თანერი (1915-1986) – „ჩუმი
ბედნიერებები“

ნატო ხარშილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, 0179, თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1,
+995551424252, nkharshiladze@cu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0001-8366-8820>

აბსტრაქტი

გამოჩენილი თურქი მწერალი ჰალდუნ თანერი თავდგირიძეების არისტოკრატულ ოჯახში 1915 წლის 16 მარტს დაიბადა ქ.სტამბოლში. განათლება გალათასარაის უმაღლეს სკოლაში მიიღო, რომელიც 1935 წელს დაამთავრა. შემდეგ სწავლა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში გააგრძელა, სადაც პოლიტიკას და ეკონომიკას ეუფლებოდა. ავადმყოფობის გამო სწავლა მიატოვა და კვლავ თურქეთში დაბრუნდა, სადაც 1950 წელს გერმანული ლიტერატურისა და ლინგვისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა. 1955-1957 წლებში ვენის უნივერსიტეტში სწავლობდა. ჰალდუნ თანერი არის სხვადასხვა მოთხრობების, ესეების,

პიესების და ჟურნალისტური სტატიების ავტორი. ის იუმორისტული ჟანრის მწერლად ითვლება. გარდა მწერლობისა, თანერი მოღვაწეობდა როგორც ჟურნალისტი, სცენარისტი და ლიტერატურის მკვლევარი. მიღებული აქვს პრესტიჟული პრემიები: ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის პრემია (1954), საით ფაიკის პრემია (1954), მსოფლიო იუმორისტული ფესტივალის პრემია (1969) და ა.შ. ჰალდუნ თანერმა 1967 წელს მათინ აქფინართან, ზეჟი ალასიასთან და აჰმეთ გიულჰანთან ერთად დააარსა თეატრი „Devekusu Kabare“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მისი ნაწარმოებები თარგმნილია გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ, ბერძნულ, სლოვენურ, შვედურ და ებრაულ ენებზე.

ჰალდუნ თანერი 1986 წლის 7 მაისს სტამბოლში 71 წლის ასაკში გარდაიცვალა.

საკვანძო სიტყვები: პოლკოვნიკი, მუეძინი, მეგობარი, ზღვა.

თურქულიდან თარგმნა ნატო ხარშილაძემ

„ჩუმი ბედნიერებები“

ლოდოსი მთელი ღამე მძვინვარებდა, დილისკენ მობეზრდა, ერთი ამოიღმუვლა და გაჩერდა, მალევე გამოიდარა. ჰაერი ამგვარი ღამეების შემდეგ გამჭვირვალე და კამკამა ხდება, მანძილი ისე ახლოვდება, თითქოს კარგად გაწმენდილი სათვალის მინებში იყურები ადამიანი; სახლები, ქუჩები და ხეები გულდაგულ გარეცხილი გეჩვენება. ნიჟამეთთინ ბოლაირი ტანში გამჯდარი ბიოლოგიური საათის წყალობით ზამთარ-ზაფხულ გამთენიისას იღვიძებს. ზამთარში ეს დრო კვლავ ღამის ნაწილია, გაზაფხულზე კი - ბინდი. გაღვიძებისთანავე ზღვაში ჩაყვინთვას ჯერ კიდევ ჰაჯიოღლლუმი წასვლამდე მიეჩვია. უკვე სამოცდათორმეტი წლისაა, პენსიაზეც გავიდა, მაგრამ ამ სპარტანულ თვისებას მაინც არ ღალატობს. მეგობრებთან და მეზობლებთან ცხოვრების წესთან დაკავშირებით თავის ქება და ტრაბახი ხომ მისი საქმეა. ისინი უსმენენ, მერე ხეზე აკაკუნებენ და ყურის ბიბილოებს იქაჩავენ, თვალი არ ეცესო. ახალგაზრდებისთვის ჩვენი პოლკოვნიკი მძიმე არტილერიააო, ამბობენ ნაცნობები. ვერ გაიგებ ამით ბოლაირს აქებენ თუ მომავალ თაობას აკრიტიკებენ.

ნიჟამეთთინმა ზღვაში ჩაყვინთა. აუჩქარებლად და თანაბარი მოძრაობებით დელფინით მიცურავდა. ხშირი, გაშლილი თეთრი თმა წყალმა დაუსველა და ნაცრისფერი გაუხდა. ნაპირზე დაბრუნებულს თავზე დაათენდა. გზის გასწვრივ ლამპიონები ჯერ კიდევ ანათებდნენ. ნიჟამეთთინმა სველი საცურაო კოსტუმი გაიხადა, ონკანს შეუშვირა, გაწურა და თოკზე გადაკიდა. უმკლავ- ვო მასიური და მოკლე შარვალი ჩაიცვა. საწოლ ოთახში შევიდა, სიგრილე ესიამოვნა, მაგრამ ფანჯარა მაინც დახურა. ზამთარ-ზაფხულს ასე ჩაცმულს თხელი საბანი ეხურა და ისე

ემინა ბოლაირს. მეუღლე უფთადე ვერ უძლებდა ქმრის ცხოვრების ასეთ წესს და ზამთრის დადგომასთან ერთად სხვა ოთახში გადაბარგდებოდა ხოლმე. დათბებოდა თუ არა, ნიზამეთთინი ბუზღუნს მოჰყვებოდა და ცოლს უკან, თავის ოთახში დაბრუნებას აიძულებდა. რომელი მამაკაცი არ ისურვებდა გაღვიძებისას ქალის გვერდით ყოფნის სითბოს?!

ნიზამეთთინმა ეზოს ირგვლივ ბეტონს გაყოლებულ თოჯნე ხტუნვა დაიწყო. მიუხედავად თავისი ასაკისა, მუცლის ნასახი არ ჰქონდა. ზურგიდან რომ შეგეხედა, ორმოცდათხუთმეტზე მეტს არ მისცემდი. აღნაგობას ცხოვრების სტილს უმადლოდა, თუმცა გენიც თავისას შვრებოდა

ბოლაირი ერზრუმში დაიბადა, სადაც ზაფხული მოკლე, ზამთარი კი მკაცრი იცის. იქაურ პლატოებზე არაფერი ასწრებს ბოლომდე დამწიფებას. იმამი მამა 98 წლის ასაკში გარდაეცვალა. ბოლაირი ცხოვრებაში ორ რამეს ნანობდა: გენერლობის გარეშე პენსიაზე გასვლას და მამამისმა საუკუნეს რომ ვერ მიაღწია. სამზარეულოსკენ მიმავალმა ღრიჭოდ დარჩენილ საძინებლის კარში უფთადეს მოჰკრა თვალი. ღამის პერანგი ქალს ნახევარ სხეულს უფარავდა, მსუქანი ბარძაყი შიშველი მოუჩანდა და პირდაღებული გულიანად ხვრინავდა. პოლკოვნიკი ოთახში შევიდა. უფთადე თბილი, ერთობ მოლაპარაკე, ქოთქოთა ქალი იყო. პოლკოვნიკმა ჩამოცურებული საბანი მხარზე დააფარა, ბალიში შეუსწორა. ღრმა ძილს მიცემული უფთადე რაღაცას ბუტბუტებდა. პირველი ქმარი, ლოთი კაპიტანი, ღამე ოთხჯერ მაინც დგებოდა მოსაშარდად. ქალი ამას შეჩვეული იყო, მაგრამ ნიზამეთთინის ხუთ საათზე გაღვიძება და მისი შილიფი ჩამულობა, არანაკლებ ცოდვად მიაჩნდა. ეს ქორწინება ბოლაირისთვისაც მეორე იყო. როცა დაქორწინდნენ, მას პოლკოვნიკის

ჩინი ჯერ მიღებული არ ჰქონდა. ამიტომ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ქორწილში უფთადემ ვერც თეთრი კაბა ჩაიცვა და ვერც გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ გაიარა. რომც გაველო, რა მოხდებოდა ვითომ?!

ნიზამეთთინმა ადუღებული ჩაიდანი გამორთო. კურდღლის სისხლისფერი მუქი ჩაი შუშის თხელ, წელშიგაწყვეტილ ჭიქაში დაისხა და ვარდის მოტივებით მოხატულ მაგიდის გადასაფარებელზე გაწყობილ საუზმეს მიუჯდა. უზმოზე ჯერ ერთი კოვზი ზეთუნის ზეთი დალია, შემდეგ პურს თაფლი წაუსვა. კარაქს არ მიირთმევდა, ფეტა ყველით და ზეთისხილით საუზმობდა. საუზმეს სეზონის მიხედვით საკუთარ ბაღჩაში მოწეული კიტრი, პომიდორი, სტაფილო და ბოლოკი ემატებოდა.

ბოლაირმა ისაუზმა, წვერი გაიპარსა, ჩაიცვა და სახლიდან გავიდა. ქუჩის კატა ნაგვის ურნაში იქექებოდა. პოლკოვნიკის დანახვისას გადახტა და გაიქცა, მაგრამ არც ისე შორს, იქვე კედელს ამოეფარა. ქუჩა ცარიელი იყო. უყვარდა დილის ეს დრო ბოლაირს. დილა ხომ ორად ჰყოფს ადამიანებს. პირველი - ვინც მუემინს ასწრებს განთიადთან შეგებებას, მეორენი კი, როგორც დედამისი იტყოდა, კუდი მაგრად უნდა მოქაჩო ასეთებს, ვინც ღამით სანთლებს ფუჭად ადნობს და დღისით ბალიშებს ალპობს ბილითო.

ნიზამეთთინის თქმით მსოფლიოში ცნობილი და წარმატებული ადამიანები: ათათურქი, ჩერჩილი, კენედი, ედისონი, როკფელერი, ალექსანდრე მაკედონელი, ეიზენჰაუერი დილის ტოროლები იყვნენ.

ბოლაირის დედა წარმოშობით მთის თურქმენული ტომიდან იყო. საკმაოდ ძლიერ ქალად იცნობდნენ. იმამ ქმართან ერთად უთენია იღვიძებდა და მთელი დღე ჯარასავით ტრიალებდა. ოჯახის ამ ურყევ ტრადიციას შვილიც არ ღალატობდა. უფთადე კი ხელის მოახლე გოგო იყო. ადათ-წესებს თუ არ ემორჩილებ-

ოდა, ეპატიებოდა კიდეც. ადრე თუ ადგებოდა, რაც არ უნდა მოკლე დღე ყოფილიყო, მაინც მთვარეულივით დაიარებოდა. აი, აინურის, პოლკოვნიკის პირველი ქორწინებიდან ვაჟის ცოლი, გვიან ადგომის ოსტატია. ნიზამეთთის აწუხებს რძლის დი- ლ- იდან საღამომდე პირში სიგარაგაჩრილი ყოფნა და მთელი ღამე პოკერის მაგიდასთან ჯდომა-თამაში. ბიჭს ნურც იკითხავთ, ის ცოლზე უარესია. ბებია-ბაბუა პატარა აიდანურზე ჯავრობს. უფროსების ფეხებს შორის მომწყვდეულ საწყალ ბავშვს შუა- ღამემდე არ სძინავს. კიდეც კარგი, რომ ოჯახიდან შორს არიან ქარაბუქში, ამ ყველაფერს მოხუცები ვერ ხედავენ და გულიც არ უსკდებათ.

- გამარჯობა,

- პოლკოვნიკო.

ნეტავ რა საქმე აქვს ასე ადრიანად მემდუპ თერლიქის - გაიფიქრა ბოლაირმა, - რა იყო მემდუპ ბეი, რატომ არ გძინავს? თერლიქი მემდუპს პიჟამოზე ჟილეტი ეცვა და ფანჯრიდან იყურებოდა. ხელში ძეწკვიანი საათი ეჭირა.

- იმედია, ავად არა ხარ.

- მადლობა ღმერთს, თავს მშვენვირად ვგრძნობ.

-

ასე ადრე არ იცი შენ ადგომა და..

მემდუპ ბეის ის იყო პასუხი უნდა გაეცა, რომ სადღაც შორს მამალმა იყივლა. თერლიქი ნიზამეთთის მიუბრუნდა, საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიტანა და ჩუმად იყავიო, ანიშნა. მერე ძეწკვიანი საათისკენ დაიხარა და ყურადღებით დააკვირდა. შორიდან, იუმნუ ბეის ბალიდან, დენიზლის მამლის გაბმ-

ული ყივილი ისმოდა. ხმა რომ შეწყდა თერლიქი მემდუჰმა ერთი წუთი და ოცი წამიო, დაიძახა. ფანჯარასთან იუმნუ ბეიც გამოჩნდა. რადგან მისი ჯიბის საათს წამზომი არ ჰქონდა, ხელში მალვიძარა საათი დაეჭირა.

- ოცდაორი წამი და არა ოცი,

- შეუსწორა მან. შემდეგ პოლკოვნიკს გაუღიმა და უთხრა:

- დღეს დილიდან დაიწყო სილივრის თასის შესარჩევი მატჩები.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ისევ რეკორდია? - ღიმილით ჰკითხა ბოლაირმა.

იუმნუ ბეის მამალს რეკორდი რომ შეენარჩუნებინა, მეორე მცდელობა მნიშვნელოვანი იყო. ერთობ იმედის მომცემად დაიწყო, მაგრამ შუა ყივილში რატომღაც ხმა ჩაუწყდა.

ისევე, როგორც შებინდებისას, ამ ადრეულ შეჯიბრსაც არ ჩაუვლია მაყურებლის გარეშე. პენსიაზე გასული ლიტერატურის მასწავლებელი ჰამზა ზიგანა და მისი მეუღლე მელაჰათ ზიგანა ფანჯარაში ხალათებით გამოჭიმულიყვნენ.

-რას იზამ, პოლკოვნიკო, - ღიმილით უთხრა ჰამზამ, - როცა საკუთარი მამალი არ გყავს, შეგიძლია ნაყიდი მამლის ხმით იამაყო. თერლიქი მემდუჰს მის გასაგონად განსაკუთრებით ხმამაღლა ნათქვამი მინიშნება არც კი გაუგია. საათით ხელში გაყურსული უსმენდა საკუთარი მამალი როდის დასდებდა პატივს. ბოლოს და ბოლოს იყვილა იმ დალოცვილმა. თავიდან, როგორც პროფესიონალმა ჰაფიზმა*, რომელიც უხეშ ხმას ისუფთავებს, ცოტა უხალისო და დაბალი იყო, მაგრამ თანდათან დაიწმინდა და ყურისათვის სასიამოვნო გახდა. ბოლოს სოპრანოსავით მთლად დაწვრილდა, ჰამიეთ იუჯესესის ღაზალების დასრულებისას რომ

აქვს ისე. დიდმა და პატარა ისრებმა დროის ათვლა დაიწყეს.

- შენ არ ჩაგიწყდეს ეგ ხმა, ბიჭო! ერთი წუთი და ორმოც-დათორმეტი წამი, - თქვა თერლიქი მემდუჰმა.

შუა დღე მოახლოვდა. გაზეთების დასარიგებლად წასული ყავის გამყიდველის შეგირდი

რეფეთიც მოსულიყო და შეჯიბრის მღელვარებით ტკბებოდა.

- რეკორდი კვლავ რიფქი ბეისი არ არის განა? - იკითხა მან.

- რიფქი ბეის რეკორდის დამყარებიდან ლამის ერთი თვე გავ-იდა. მისმა რეკორდმა ძალა მას შემდეგ დაკარგა, რაც ნადირალა დალაქი ქაზიმი დენიზლიში წავიდა და იქიდან ყველაზე ძლიერი მამალი ჩამოიყვანა. შენ რა, მთვარეზე ცხოვრობ და არაფერი გაგიგია?

- ახალი რეკორდი რამდენია? - თავის გასამართლებლად იკითხა რეფეკმა.

- ორი წუთი და ორი წამი, - უპასუხა თერლიქი მემდუჰმა ისე, რომ ბოლო მარცვალი ერთობ უხალისოდ გამოუვიდა.

- იოლად არ გატყდება მემდუჰ ძია!

-ამას წინასწარ ვერასდროს იტყვი. ნახავ, ჩემი მამალი ეშხში შევა და ერთ დღესაც თავის თავს

აჯობებს, - თქვა თერლიქი მემდუჰმა.

- ფუჰად ჩაივლის, მაინც არ ჩაითვლება. მხოლოდ კონტრაქტორ ქაშიფ ბეის სიძეს აქვს წამზომიანი საათი, ამერიკიდან ჩამოიტანა. ახლა პრემიერმინისტრთან ერთადაა წასული ლიბიაში. სხვა საათით დათვლილი დრო კი, არ ჩაითვლება.

- ვფიქრობ, ქულებით თუ გააკეთებთ შეფასებას, უკეთესი იქნება,

- ლაპარაკში ჩაერთო ჰამზა ზიგანა.

- ეგ როგორ?

- აიღეთ თითოეული მამლის ქულები, შაბათ-კვირას დააჯამეთ, გაყავით შვიდზე და ვინც ყველაზე მეტ ქულას მიიღებს...

- ეს ვარიანტი შეთავაზებული იყო, მაგრამ ნოქარმა რიზამ გააპროტესტა.

-მართალიცაა. რეკორდი სხვა რამეა, ქულა კი - სხვა.

რეკორდი რეკორდია.

- დიდი ცოდვა აწევს კისერზე, დოპინგს უკეთებდა ნაძირალა.

- ადექით და თქვენც გაუკეთეთ, - თქვა ალბაიმ.

- მამალს რას აჭმევს ეგ რომ ვიცოდე...

ნიზამეთთინ ბოლაირს წესიერება სისხლში ჰქონდა გამჯდარი. უხერხულობისთვის თავი რომ აერიდებინა, ყველას გაუღიმა, კარგად იყავითო, დაემშვიდობა და წავიდა. ჩვეული სწრაფი ნაბიჯით გაუდგა გზას. ყოყმანის სირბილით კომპენსირება რომ მოეხდინა, ფეხს კიდევ უფრო აუჩქარა. მეორე გაჩერებაზე ავტობუსში უნდა ჩამჯდარიყო. წვიმაში, ტალახსა თუ ქარიშხალში ორ გაჩერებას შორის სამი კილომეტრის გავლა ჩვევად ექცა. გარბოდა და ფიქრობდა: „ადამიანი როცა უსაქმოდ დახეტილობს, დღესაც უსარგებლოდ ატარებს“. ავტობუსი ჯერ არ ჩანდა. მამლების შეჯიბრის გამო გაჩერება ცარიელი იყო...

კარი იხურებოდა, როცა ნიზამეთთინი ბოლაირი სწრაფად შეახტა ავტობუსს. ზურგჩანთით და ხელში ჩემოდნით ჯუნეთით მორბოდა და მოუსწრო. ავტობუსი უკვე ექვსი მგზავრით სანაპიროზე მხიარულად მიქიქინებდა. აქედან ოთხი ბავშვი იყო. ერთმანეთს ჰგავდნენ გამხდრები, მოკაუჭებული ცხვირებით. ნიზამეთთინს მიესალმნენ. ადრიანი ავტობუსის მგზავრები ყველა ერთმანეთს იცნობდა. ბავშვები მერთერი სითეში მშენებლობაზე

მუშაობდნენ და იმ გაჩერებაზე ჩავიდნენ. ჯუნეთი პოლკოვნიკის გვერდით დაჯდა.

მისალმების შემდეგ არ დალაპარაკებია. ეძინებოდა, მაგრამ ვერ იძინებდა. სიგარეტს მოუკიდა, ბოლაირისთვის არ შეუთავაზებია, იცოდა არ ეწეოდა. მერთერში ოთხი მუშის დატოვების შემდეგ მძღოლმა გამხდარი ქალი და მოხუცი კაცი აიყვანა. ახლა თავისი ოთხი მგზავრით ასფალტზე მსუბუქად მისრიალებდა და შიგადაშიგ მხიარულად ხტოდა. ჯუნეთი სიგარეტის კვამლს ქუჩისა და ტავერნებისაკენ აბოლებდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანზე ფიქრობდა

ვარჯიშზე მიდიხარ? - ჰკითხა ნიზამეთთან ბოლაირმა.

ქიზილჯა ჰამამის ბანაკში - მიუგო ჯუნეთმა.

- ყოველ დღე მიდის ქიშპი და კამათი, ეს დისკოტეკა ჩემია, ის დისკოტეკა შენია, შუალამემდე ირჩევა საქმეები, - ფიქრობდა ბოლაირი, დანარჩენი კი ხმამაღლა თქვა:

- ბანაკიც და ვარჯიშიც უსარგებლოა. აფსუსია თქვენზე დახარჯული ფული...

- რას გულისხმობ? - ჰკითხა ჯუნეთმა და ცხვირის ნესტოები ნერვიულად დაებერა. ფეთქებადი ხასიათი ჰქონდა. მომღიმარი სახიდან შეჭმუხნულ წარბებამდე, სიმშვიდიდან კამათამდე გარდასახვაც ამაზე მიუთითებდა.

- უეფას თასის მატჩების მაინც შეგრცხვეთ, შე კაცო! ხალხმა იცის რა არის ფეხბურთი. თქვენი უბნის ფეხბურთი სამარცხვინოა.

- მოგვეცით შესაბამისი პირობები, კომფორტი და მერე განახებთ თამაშს. დღევანდელი ფეხბურთი ის არ არის თქვენ რომ ჰარბიეში თამაშობდით. თქვენი აზრით რა არის ამის მიზეზი, ჩემო პოლკოვნიკო?

- აი, ახლა რა კარგად სთქვი!

-უპასუხა ბოლაირმა.

ვინც ორმოცს იყო გადაცილებული, - წლებმა ვერაფერი დააკლო

- ასე მოიხსენიებდა ჯუნებითი. თვლიდა, რომ მეგობრულად ხუმრობდა ყვითელი პრესისაგან განსხვავებით, რომელიც ხანდაზმულ ადამიანებს ურცხვი ზედმეტსახელებით „ამკობდა“.

- კომფორტს რომ ამბობ, ჩვენ რა, ხელფასს ვიღებდით? - თქვა ნიზამეთთინ ბოლაირმა, - სამხედრო სკოლაზე მეტი კომფორტი გვექონდა განა? მე და ჰაქქიც ამ პირობებში არ გავიზარდეთ? ჰაქქი მისი თანაგუნდელი იყო ჰაჯილიოღლუში. ახალი ეროვნული ფეხბურთელების დაბადებამდე ჰაქქის შემდეგ ნიზამს, როგორც გუნდის ყველაზე მამაც ფორვარდს, ისე იცნობდნენ. ორ- მოც- დათი წლის წინ ბოლაირს ბულგარეთთან მატჩში სათადარი- გოთა შორის ნაკრების მაისურიც ეცვა. ახლა ის ზეპირად კი არ რომავედა, არამედ როგორც ექსპერტი, ისე ლაპარაკობდა.

-

ჩემო უბერებელო პოლკოვნიკო, ძველი ამბების გახსენება არ დაიწყო ახლა. ჯუნებითი

„გახსენება“ სიტყვას როცა ამბობდა, ბოლოში „ა“ ხმოვანს განსაკ- უთრებით გრძლად წარმოსთქვამდა. ეგონა, რომ პოლკოვნიკი ისევ გაიხსენებდა ჰაქქის, ჰაიათს, შუქრუს, მის საოცარ პენ- ალტებსა და სულეიმანიეს წინააღმდეგ კუთხურიდან გატანილ გოლს. ნიზამეთთინმა მოგონებების სხვა გვე- რდი ისე გადაშალა, არც ერთი მათგანი უხსენებია.

-

გადახედეთ ყველა დროის ფეხბურთელს, - თქვა მან - ერო- ვნული სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი. იცნობთ თუ

არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. სამხედრო სკოლები ყველაზე საუკეთესო და ნიჭიერ ფეხბურთელებს ამზადებდნენ. ჰაქტი ქეთენ ჰალიჯიოღლუ, სოლაჩიქ ნუსრეთ ჰავაგუჯუ, საღბექ რიდვან მუჰაფიზგუჯუ, ფრენბურთელი საბაჰათინ ჰარფოქულუ... საკუთარი თავი არ უხსენებია. თავმდაბლობის გამო არა, უბრალოდ მისი საფეხბურთო კარიერა ძალზე ხანმოკლე იყო. ბოლაირის გვარი არავის სმენია თანაგუნდელების, მენეჯერების და მაყურებლის გარდა. იცოდა, რომ მათაც კარგა ხნის დავიწყებული ჰყავდათ.

- რატომ? ერთი იმიტომ, რომ დისციპლინა ჰქონდათ. ადრე წვებოდნენ, ადრე დგებოდნენ, თავს უვლიდნენ და მეორე - ტამისთვის არ თამაშობდნენ.

- ილჰამ ბეი ბევრს ეცადა, რომ სილივრისპორის მწვრთნელი გამხდარიყავი, რატომ არ დათანხმდი?

შენიშნეთ, არა? ჯუნეთი პოლკოვნიკს ხან თქვენობით, ხან შენობით მიმართავდა. ასეთ

თანამიდეურულობასაც ნუ გამოეკიდებით. თქვენობით მიმართვა ოჯახის კარგი აღზრდის შედეგია. შენობით კი უფრო თანატოლ და მეგობარ ადამიანს მიმართავენ. ნიზამეთინ ბოლაირს შეიძლება ეს ახალგაზრდად დარჩენის კომპლიმენტად მიელო, მაგრამ გულის კუნჭულში ბიჭის თავხედობა აღიზიანებდა, რადგან სამხედრო დისციპლინას და იერარქიის დაცვას იყო მიჩვეული.

- ასეთ უსაქმურებთან ლაპარაკის არც დრო მაქვს და არც სურვილი, - გაიფიქრა პოლკოვნიკმა. - ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს გასაკეთებელი, - მოკლედ მოუჭრა პასუხი. ჯუნეთიმა ციფრებიან საათს დახედა. ეს საათი მაშინ აჩუქეს, როცა ახალგაზრდული ნაკრები ჩემპიონი გახდა. უკვე ეჭვი

ეპარებოდა, რომ ქადიქოიში მიმავალი პირველი გემისთვის მიე-
სწრო. ლამის საათზე გაბრაზდა. კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდა.
ასანთის ღერი ცერა და საჩვენებელი თითების რკალური მოძრ-
აობით გარეთ მოისროლა, თავი ასწია და სიგარეტის კვამლი
ავტობუსის ჭერისაკენ გააბოლა.
ნიზამეთთინ ბოლაირი სირქეჯიში ჩავიდა.

აბა, ჯანმრთელად იყავი!

- ნახვამდის, - თითქოს გაბრაზებული ხმით უთხრა ჯუნეთმა.
ავტობუსი დაიძრა.

ნიზამეთთინი ფეხით გაემართა უსქუდარის ნავსადგურისკენ.
როგორც წესი, ბოსფორისკენ მიმავალ პირველ ბორანს ცოტა
მგზავრი ჰყავს. იენიქოის ავტობუსითაც შეიძლება გაღმა გადასვ-
ლა. მეტ დროს ანდომებს, მაგრამ ბოლაირი უპირატესობას მაინც
გემს ანიჭებს... როგორც ყოველთვის, ზედა გემბანის წინა სკამზე
დაჯდა. ნავსადგურს გახედა. ზღვა დელავდა. სახეზე გრილი სიო
ეფერებოდა. ბედნიერი იყო, რაღაც უხაროდა, მაგრამ მიზეზს
ვერ ხვდებოდა.

ნიზამეთთინს არ უყვარს ზედმეტი ფიქრი, მითუმეტეს თავის
თავზე. არც ღამით ოცნებობს, მაშინვე ღრმა ძილს მიეცემა ხო-
ლმე. ერთი შეხედვით მისი კლდესავით უდრეკი და ქანდაკების
მსგავსი მედიდური გამომეტყველებაც ამას მოწმობს. ბოლაირი
ფიქრობს იმაზე, რაც ფიქრად ღირს; ფიქრობს მაშინ, როცა
კონკრეტული და პრაქტიკული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.
მისი მოქმედების ტაქტიკა ასეთია: სიტუაციის განსჯა, ზუსტი
დიაგნოზი, მყისიერი გადაწყვეტილების მიღება და შესრულება.
ემინსულარის უმეტესობა გალოთდა და დაავადმყოფდა, რაზეც
ნიზამეთთინი ძალიან წუხდა. ემინსულარს ირონიულად ლატ-
არიას უწოდებდა და თვლიდა, რომ საჭირო დროს საჭირო

ადგილას აღმოჩნდა, მაგრამ მეგობრებით თავი არ გაუნ-
ადგურებია. კარგა ხანია სასმელსაც არ გაჰკარებია...

ბოლაირს ოდნავი უთანხმოებაც არ ჰქონია 27 მაისის მხარდამ-
ჭერებთან. პოლიტიკაში არ ერეოდა. სამხედრო სამსახურში ყოფ-
ნისას უფროსებისგან მხოლოდ დადებით შეფასებებს იღებდა.
არასდროს გაუკეთებია ისეთი რამ, რაც ეროვნული ერთიანობის
კომიტეტის წევრების უკმაყოფილებას გამოიწვევდა. მან, ისევე
როგორც ათასობით ემინსუმ, არ იცოდა რატომ, რა მიზეზით
გახდა ცილისწამების მსხვერპლი. არ ესმოდა ყველაზე ნაყოფიერ
პერიოდში, ორმოცდაათი წლის ასაკში, რატომ აღმოჩნდა ჯარი-
დან გამევეებული.

ნიზამეთინ ბოლაირმა სამხედროების პოლიტიკაში ჩარევა,
აზარტულ თამაშად შერაცხა და 27 მაისის მხარდამჭერებზე
შური არ იძია. ორ სესიას თუ არ ჩავთვლით, ემინსუს ასოციაც-
იის შეხვედრებსაც აღარ ესწრებოდა, უარყოფით ემოციებს თავს
არიდებდა.

- სოლიდარობა კი ბატონო, მაგრამ შურისძიება, არა! - ამბობდა
თავისთვის...

პენსიაზე გასვლის შემდეგ მიღებული კომპენსაციით სილ-
ივრიში ის ერთსართულიანი სახლი იყიდა, სადაც ახლა ცხოვ-
რობს. შემდეგ კი ქათმების ფერმის გაკეთება მოიფიქრა. ვიდრე
ამ საქმისთვის წინასწარ ანგარიშებს ეწეოდა, ნუსეიბინელი
ისქენდერ ბორასგან შეთავაზება მიიღო. იყო თუ არა თავსებადი
პოლკოვნიკის ღირსებასთან ფაშაბაჰჩეს შუშის ქარხანაში სამო-
ქალაქო თავდაცვის უფროსის თანამდებობა? რატომაც არა?! ერ-
თადერთი, რაც შეუთავსებელია ადამიანის და კერძოდ პოლ-
კოვნიკის ღირსებასთან, არის სიზარმაცე, ლეთარგია და თვი-
თკმყოფილება. თუ კაცი ჭკუას მოუხმობს, საწოლში არ იგო-
რავებს, ადრე ადგება და საქმეს მიხედავს, ნახავს, როგორ კარგად
წავა ყველაფერი.

- დილა მშვიდობის, პოლკოვნიკო.
 - დილა მშვიდობის, ქალბატონო სევიმ.
- ქალბატონი სევიმი შიშეს მინის ქარხნის ელექტრიკოს-გადამრთველად მუშაობდა. მოწესრიგებული, ნათელი სახის, ცოტა დაბალი, მაგრამ მაინც მშვენიერი ახალგაზრდა ქალი იყო. ბოლაირს უკვირდა, ასეთ მომხიბვლელ ქალს აქამდე რატომ ვერ ეპოვა ერთი „მუტრუკი“ ქმარი. ნაზი, მელოდიური სიმღერის მსგავსი საუბრის ტემბრი ჰქონდა. ქალბატონი სევიმის სამსახურებრივი საქმიანობა ყველას გაცეხას იწვევდა.
- იმედია, არ გაწუხებთ.
- არა, როგორ გეკადრებათ.
- სევიმ ჰანიმი სულთან აჰმედზე ცხოვრობს, მასაც ზღვით ურჩევნია გაღმა მხარეს გადასვლა. ისინი ერთი და იმავე ბორნით მგზავრობენ და ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. დღეს ქალბატონმა სევიმმა რატომღაც გემბანზე გადაწყვიტა დაჯდომა.
- წლებს არ ეპუებით, პოლკოვნიკო, მშვენივრად გამოიყურებით, - უხერხული სიჩუმის გასაფან-ტად წამოიწყო ქალმა.
 - გმადლობ, ჩემო ქალბატონო, - თქვა ნიზამეთთინმა და ხეზე ფრთხილად დააკაკუნა.
 - მთავარია წლებმა აქეთ არ დაგვჩაგროს...
- ბოლაირმა გადაწყვიტა ნუსაიბინელი ისქენდერ ბორას შეთავაზებას დასთანხმებოდა. ანაზლაურება იმაზე მეტი ექნებოდა, რასაც იღებდა. სიბერეში ბალიშზე თავს მშვიდად დადებს. სამხედრო პენსიონერს სახლში ჯდომა არ უხდება, არც ყავახანაში დროის მოკვლა და მთელი დღე დომინოს ჭახუნი.
- ისქენდერ ბორას პენსიაზე გასვლამდე ნაღვლის ბუშტის შეტევები დაეწყო, საწოლიდან ვერ დგებოდა. ნეჯთი ოზმერიჩ ფაშა

ორი თვე გახდა რაც ჩიყვის პრობლემის გამო სამსახურში არ მოსულა...

- აქ ძალიან უბერავს, არ გაცივდეთ, ქალბატონო სევიმ.

ქალი მაინც გვერდით მიუჯდა. გათხოვების ასაკს გადაცილებული ქალები რატომღაც თავს დაცულად გრძნობენ კარგად გამართული, თმაჭალარა, სანდო, ხანდაზმული მამაკაცების გვერდით თითქოს ბებერი ჩინარის ხის ჩრდილქვეშ პოულობენ თავშესაფარს. ბეილერბეის შემდეგ ქარი უფრო გაძლიერდა.

- მოსაცმელი მაქვს - ის იყო თქმა დააპირა ქალბატონმა სევიმმა, რომ - ნამდვილად უნდა შევიდე, ქარხანაში შევხვდებით, - დაასწრო ბოლაირმა. ქალი ცალი ხელით კაბის კალთას იჭერდა, მეორეთი კი, ქარისაგან გაწეწილ თმას. ბოლაირი შიგნით

შევიდა. რას აკეთებს მარტო დარჩენილი ადამიანი? ფიქრებში იძირება, რაღაცას კითხულობს ან ოცნებობს. ნიზამეთინის ერთ-ერთი ღირსება, რომელიც შეიძლება თავადაც არ იცოდა ან არ ამახ-ვილებდა ამაზე ყურადღებას, წარმოსახვის ნაკლებობა იყო. რა საოცარია, არა? უფრო სწორად, ფანტაზია არ აკლია, მაგრამ არც სხვების მსგავსად ოცნებობს ტყუილად. წარმოსახვა არის წარსულსა თუ მომავალში მოგონებებით ან ვარაუდებით ცხოვრება. ნიზამეთინს ბოლაირი აწმყოში ცხოვრებას ამჯობინებს. არა ოცნება, არა მოგონებები, არამედ ხელშესახები რეალობა... ბაბუა, ბაბუას ძახილით პატარა ბავშვი მოუახლოვდა. ოთხი წლისა იქნებოდა. მშობლები იქვე, მარცხნივ ისხდნენ. პატარას უხაროდა მარტო და დაუბრკოლებლად რომ დაბაჩუნობდა. ბოლაირს ხელი მოჰკიდა, თავი ასწია და სახეში შეხედა. ნიზამეთინს უცებ აიდანური გაახსენდა. ისიც ამ პაწია გოგოს ასაკისაა, შარვლის ტოტი მუხლს ზემოთ რომ აუწევია. ბავშვის ასაკი გამოხედვაში იკითხება. გოგონა უეჭველი ოთხი წლის იქნებაო, გაიფიქრა. აიდანური კი ნამდვილი გამოცანაა. აბა, თუ კარგი ბიჭი ხარ, მისი გამოხედვით გაარკვიე ასაკი,

განსაკუთრებით, როცა რამეს გეკითხება. მაგრამ რა ელით ყოველ დღე უფროსების ფეხებს შორის მომწყვდეულ ბავშვებს? აინური წერილში აიდანურის მორიგ ცელქობებზე წერდა: „ამასწინებზე შენმა თვალისჩინმა შვილიშვილმა მეზობლის ბავშვს ქეჩოში ისე ჩაავლო, საბრალო მთელი ხმით ყვიროდა. რას ერჩოდით, რომ ჰკითხეს, როგორც კინოებშია, ისე მინდოდა კოცნაო. ეს ეშმაკის ფეხი როგორც იზრდება, ისე ვირდება“.

შვილიშვილის გახსენებაზე სისხლი აუდუღდა. რვა თვე გავიდა, ერთმანეთი არ უნახავთ. ივნისის ბოლოს, ზღვის სეზონისათვის ჩამოვლენ. თხუთმეტი დღე დარჩებიან და წავლენ.

- რაც არ მინახავს, გაიზრდებოდა, - გაიფიქრა ბოლაირმა. ბავშვი საზამთროსავით უცებ იზრდება. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შუა ღამემდე რომ არ იძინებენ და

უფროსებს ფეხებში ებლანდებიან, ბავშვისთვის კარგია განა?!.. დილით სკოლაში მიმავალ მოსწავლეებს ჰგვანან ფაშაბაჭყეს ქარხანის თანამშრომლები. მათსავით ხალისიანები არიან, კარში ჯგუფურად შედიან, იცინიან, საუბრობენ... ქალბატონ სევიმს გემბანზე შესცივდა და შიგნით შევიდა. სასადილოს შეფ ფუათ ბეის იმ იმედით დაუწყო ძებნა, რომ მის ჩვეულ ხუმრობებზე კვლავ გულიანად ეხარხარათ. ამ კაცმა თავისი თავი და შესაფერისი ატმოსფერო იპოვა, სადაც ხუმრობის ნიჟის გასაქანი მისცა. მოცინარი ადამიანების მოხატუნავე დიაფრაგმის ყურება ახარებდა მას. მდივანი სელმა დარბაზში შევიდა, ქერა თმა ბლუზიდან მხრებზე გადმოიყარა, ლაქიანი თითები თმაში შეიციურა და შეარხია, თითქოს გაინიავა... ნიზამეთთინ ბოლაირის კარზე სამოქალაქო თავდაცვის უფროსი აწერია, მაგრამ ქარხანაში მისი ვალდებულებები მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება. ნუსაიბინელი ისქენდერ ბორას სიძემ ამ თანამდებობაზე დანიშნა თუ არა, მთელი სერიოზულობით შეუდგა საქმიანობას. სამიოთხი კვირის შემდეგ თავშესაფრად გამოყოფილ სარდაფში

ადგილი იპოვა და კედელი გაახსნე- ვინა, ამით ფართი გააორმაგა. პლაკატები ჰქონდა, რომლებზეც პუნქტებად და მოკლედ იყო ახსნილი სიფრთხილის ზომები საჰაერო თავდასხმის დროს. ისინი ჩამოახსნევინა და უფრო აზრი- ანი ტექსტით შეცვალა, ამით ყოველი პუნქტი აბსტრაქტული სიმშრალისაგან გაათავისუფლა. ბულალტერიაში ხატვის ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდა კაცი მუშობდა, სახელად ფერი- დუნი. მას ნახატებიანი ახალი პოსტერები შეაქმნევინა, რაზეც თანამშრომლები ორი დღე ლაპარაკობდნენ. დირექტორთან სტუმრად მისული ბიზნესმენები და თანამდებობის პირები პოსტერის წინ იდგნენ და ფიქრობდნენ, საკუთარ ობიექტებში მსგავსი რამ როგორ დაენერგათ. ამის შემდეგ ნიზამეთინ ბოლაირმა სამოქალაქო თავდაცვის შესახებ კითხვა-პასუხის რეჟიმში კვირაში ერთხელ თანამშრომლებისთვის ოთხი შეხვედრა გამართა. ჩათვალა რა, რომ ამ საკითხის ირგვლივ საკმაო განათლება მისცა, კმაყოფილმა ორი სერიოზული განგაში მოაწყო საცდელად, რის შესახებაც მხოლოდ დირექტორი ჩააყენა საქმის კურსში. პირველმა მოულოდნელმა გამოცდამ ქარხანაში შიში, დაბნეულობა და ქაოსი გამოიწვია. ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა. სიჩქარეში თანამშრომლებს დაავიწყდათ და ვერ გამოიყენეს ოთხკვირიან კურსებზე შეძენილი ცოდნა, თუმცა ჩათვალეს, რომ მაინც კარგი იყო გამოცდილების მისაღებად. ნიზამეთინმა თანამშრომლები შეკრიბა და შეხვედრა გამართა. ნათლად გამოიკვეთა, რამ გამოიწვია დაბნეულობა, პასუხისმგებელი განყოფილების უფროსებმა სად დაუშვეს შეცდომა და პერსონალი სად დაიხარჯა ტყუილად. აღმოჩნდა, რომ ნიზამეთინს არასწორად თითქმის არაფერი გაუკეთებია. მეორე მცდელობას ყველა მოუთმენლად ელოდა. პერსონალი საქმეს საჰაერო ბაზის ჯარისკაცის სისწრაფით სრულყოფილად ასრულებდა. ეს ერთგვარად ბოლაირის გამოცდაც იყო და თვლიდა, რომ დაკისრებულ მოვალეობას

თავი კარგად გართავა... მას შემდეგ, რაც სამოქალაქო თავდაცვის პერსონალი ქარხანაში ზედმეტი გახდა, ნიზამეთთინ ბოლაირს უსაქმოდ ყოფნა მოსწყინდა. სამხედრო სამსახურში შეძენილი თვისებით - იერარქიის დაცვის მორჩილებით, დირექტორის წინაშე სრულ მაზდყოფნაში იმყოფებოდა. - მე შევასრულე სამოქალაქო თავდაცვის სარდლობის მოთხოვნა. სხვადასხვა ინტერვალებით გაზის და ცეცხლსაწინააღმდეგო ნიღბების გამოყენებით გავაგრძელებ საჰაერო თავდასხმისას განგაშის გამოცხადებას. მაგრამ, როცა ეს დასრულდება რა იქნება, მეთაურ... უკაცრავად, პატივცემულო დირექტორო? დანარჩენ დღეებში უსაქმოდ უნდა ვიჯდე? თვის ბოლოს ფულის აღებისას სინდისი შემაწუხებს. მინდა სხვა დამატებითი დატვირთვა შევასრულო, რომელიც ჩემს პიროვნებასთან და კანონებთან იქნება თავსებადი, - თქვა მან, ჯარისკაცის საღმით ქუსლები დააბაკუნა, თავი დაუქნია და წავიდა.

დირექტორი იმ დღის შემდეგ ნიზამეთთინ ბოლაირისთვის რეგულარულ სამუშაოს ეძებდა. თუ კურსები თხუთმეტი დღის მაგივრად კვირაში ერთხელ ჩატარდებოდა, დიდი შანსი იყო, რომ პერსონალს მალე მობეზრდებოდა; ის ხომ საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა თანამშრომლებს. ყოფილი საფეხბურთო კარიერის გათვალისწინებით დირექტორს სურდა ბოლაირისთვის ქარხნის სპორტული გუნდის ფიზიკური მომზადება ან მწვრთნელობა შეეთავაზებინა. ამის შესახებ აზრი თანაშემწეს ჰკითხა. მან კი მიუხედავად ძლიან თბილი შესავლისა, რომ დიდი პატივი იქნებოდა მათ შორის ჰყავდეთ ისეთი ცნობილი სპორტსმენი, როგორც ბოლაირია, რომელიც ახალგაზრდებს უფროს ძმობას და ხელმძღვანელობას გაუწევს, რატომღაც კატეგორიულად უარყო ნიზამეთთინის ამ შეთავაზებაზე დათანხმების შესაძლებლობა. გონივრული დასაბუთებაც მოაყოლა. ბოლაირი მისი პიროვნული თვისებისა და სამსახურის სერი-

ოზულობიდან გამომდინარე თანამშრომლებთან ფამილარულ ურთიერთობას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. მაშინაც კი, თუ შუა დღის შესვენებაზე ფრენბურთის ან ფეხბურთის თამაშის დროს ახალგაზრდები ბურთს მისკენ გააგორებენ, ნაცვლად იმისა, რომ ოსტატური დარტყმა აჩვენოს, ბურთს ხელში იღებს და მოთამაშეებს უკან უგდებს. რატომღაც ასე იქცევა ერთ დროს პენალტებზე პასუხისმგებელი და დაუმარცხებელი ბომბარდირი. სამსახურსა თუ ქარხანაში საკუთარ სპორტულ უნარებზე ან მოგონებებზე ლაპარაკი, მითუმეტეს, თავის ქება, ბოლაირის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. განა არ ჰქონდა უფლება რაც სურდა ის გაეცხადებინა და რაც არა, არა?!

ნიზამეთის წარსულით ტრაბახი არ უყვარდა. მაგალითად, უცნობ უბანში გავლისას მის წინ შემთხვევით მიგორებულ ბურთს გულდაგულ გაასწორებდა და ფეხს დაარტყამდა. ზოგჯერ თამაშიც მოუწოდებოდა; თუ ბავშვებს შეეწყობოდა, ბურთს საჯარიმოსთან მიიტანდა, ორი ქვითა და ხის ჯოხებით ან მაისურით სახელდახელოდ მოწყობილ კარში ერთ-ერთ საუკეთესო საჯარიმო დარტყმას შეასრულებდა. უბნის ბავშვებს ულვაშებში ეცინებოდათ და „ჭადრა ბებრუცუნად“ მოიხსენიებნენ, მაგრამ ბოლაირის ოსტატურად შესრულებული გოლის შემდეგ დიდ აღფრთოვანებას გამოხატავდნენ, „ძიას“ კატეგორიაში გადაჰყავდათ და მაგარი ხარო, ეუბნებოდნენ. ნიზამეთის ბოლაირს საჯარიმო დარტყმის სამი ტაქტიკა ჰქონდა შემუშავებული: მრუდი, ფეხის თითით მარცხენა კუთხისკენ მიმართული და მარჯვენა მხრიდან ცერად დარტყმული. თანაც, არავინ იცოდა, გოლს როდის დათმობდა. იტყვი, რომ მრუდი დარტყმა ერთგვარი ღალატი და ტყუილია? შეიძლება სპორტსმენმა დაიმშვენოს, მაგრამ ჯარისკაცს არ უხდება? პასუხი ასეთებისთვისაც მზადაა. ჯარში მტრის მოსატყუებლად ხაფანგის დადება დასაშვებია და

მოწინააღმდეგე გუნდის კარზე მოულოდნელი თავდასხმა ცოდვად რატომ ითვლება? პენალტის დარტყმაც თუ მას მოუწევს, მიღებული გამოცდილების შემდეგ ზამზარასავით დაჭიმული მეკარე ბოლაირის ფეხის მიმართულების საპირისპირო კუთხისკენ გადასახტომად მოემზადება. რაკი პირდაპირი დარტყმა კაცურად მიაჩნიათ, ამჯერად მისი აღმატებულება პირდაპირ დარტყმული ულამაზესი გოლით გაანიავენ მოწინააღმდეგის კარს. ნიზამეთთინმა ცხოვრების წესით აჩვენა, რომ შაბათ-კვირის დადგომამდე ძველ ჰობს სპორტს საერთო არაფერი ჰქონდა მის საქმიან ცხოვრებასთან. ადამიანმა დრო და დრო თავი უნდა გაინებვიროს, მაგრამ არა სამსახურის ხარჯზე.

დავუბრუნდეთ ნიზამეთთინის დამატებით საქმიანობებს: შაბათ-კვირის გარდა ეროვნული ჰიმნის შესრულებისას დროშის აღმართვის ცერემონია, სახალხო დღესასწაულზე დირექტორის დაჟინებული მოთხოვნით სიტყვით გამოსვლა, სადაც ხაზი უნდა გაესვა დღის ისტორიული მნიშვნელობისთვის. ასეთ დღეებში ბოლაირი მუქი ფერის სამოსს იცვამს, სიტყვა წერტილიდან მძიმედ გონებაში ზეპირად აქვს ჩაბეჭდილი, მაგრამ ფურეცელზე აკრეფილი ტექსტი ჯიბეში მაინც უდევს სიფრთხილისთვის. სცენაზე გამოდის, ჯარისკაცის სალმით და თავის დახრით აუდიტორიას ესალმება და ანატოლიის რუკისაკენ მიემართება, რომელსაც ცხენის თავს ამსგავსებს. მოზომილ სიტყვაში ხაზს უსვამს დღის მნიშვნელობას, თითო წინადადებით აკეთებს ზოგად შეჯამებას, ისტორიაში ადგილს მიუჩენს ამ დღეს, კვლავ ჯარისკაცული სალმით მიემართება თავისი ადგილისკენ და ჯდება.

ზოგჯერ მეზობლებსაც სურთ მნიშვნელოვანი დღეებზე საუბრებით თავის შექცევა, მაგრამ ბოლაირი თვლის, რომ ისტორიულმა მოგონებებმა და საგმირო ამბებმა არ უნდა გადაინაც-

ვლოს მათი შეხვედრების უდიდამო ატმოსფეროში. ბოლაირს არასდროს ხიბლავდა ასეთი შეხვედრები. უფთადეს ხათრი რომ არა, არცერთთან წავიდოდა. ყელში ჰქონდა ამოსული ცარიელი ლაქლაქი, სადაც ერთმანეთს არც კი უსმენენ. მაგრამ,რა ქნას უფთადემ? სად უნდა დაიცალოს ქალი, რომელიც მთელი დღე სახლში ჯარასავით ტრიალებს?! მისი ერთადერთი ნუგეში მეზობლების მონახულებაა. თუმცა, სამეზობლოში არის ერთი ქალბატონი, სახელად ზუბეიდე. ის იმდენს და ისე სწრაფად ლაპარაკობს, სხვას ძალიანაც რომ უნდოდეს, სიტყვას ვერ ჩააკვებებს. წყვილი, გვარად ზიგანა, ამპარტავნების ჩემპიონია. ისინი შიდა ტურისტული კომპანიებით ხშირად მოგზაურობენ კვიპროსში, ანტალიაში, ბულგარეთსა და რუმინეთში. შემდეგ შეხვედრებზე მოდიან და ათმაგად გაბუქებულად ჰყვებიან:

- კირინეს საბაჟოზე ჩვენი გასასვლელი გვაქვს; ერთხელ თუ წამოგვეყვებით, თქვენი თვალით ნახავთ. განი ბეი ბუქარესტში ექიმ ასლანთან იყო კონსულტაციაზე. წყვილს საბაქიბუქოდ მთელი წელი ჰყოფნის ერთი მოგზაურობა. მეზობლები აღშფოთებას ვერ მალავენ. შემდეგ ვინმე სლაიდებით დაინტერესდება და ახლა ამით შეიქცევენ ცოტა ხანი თავს.

- ადამიანმა ჯერ საკუთარი ქვეყანა უნდა გაიცნოს. ულამაზესი ტურისტული ადგილების პატრონები ვართ, - ამბობს ქალბატონი შევქიე, რომლის პირველ ქმარს შევქი ბეი ერქვა. მისი გარდაცვალებიდან რვა წლის შემდეგ გაიცნო ახლანდელი ქმარი და როგორი დამთხვევაა, რომ მას შევქეთი ჰქვია. მესამედ რომ გათხოვდე, ქმარს აუცილებლად შაქირი ერქმევა, - ეხუმრებოდა თაფუჯუ ჰაქქი ბეი, რაზეც მეზობლები გულიანად იცინოდნენ... ის იყო კორიდორიდან უნდა გასულიყო ბოლაირი, რომ დირექტორის კარი გაიღო, ის გამხდარ, ტანდაბალ კაცს აცილებდა. პატივსაცემი ადამიანი უნდა ყოფილიყო. ნიზამეთთინმა და სტუმარმა ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს. კაცს სახეზე მედ-

იდური გამომეტყველება წამში გაუქრა, თვალეები სიხარულისაგან გაუბრწყინდა და ბოლაირისკენ გაიქცა:

- როგორ ხართ, პოლკოვნიკო?!

ნიზამეთთინმა კაცი თვალეებით იცნო, მაგრამ სახელი ვერ გაიხსენა. ის იყო ებრაელი ბიზნესმენი, რომელიც ოდესღაც ბოლაირის სამხედრო ნაწილში მსახურობდა.

- მოიზ - თქვა კაცმა, - მოიზ ესქინაზი. მეოთხე პოლკი, მეორე ასეული.

მხოლოდ ახლა იცნო ნიზამეთთინმა და გაუცინა.

- გახსოვთ? მეგობრები მეუბნებოდნენ, თავს ებრაელად ასაღებ და შენც ყოფილი ნაცისტი ხარო.

- მახსოვს, - თქვა ბოლაირმა და წამში პოლკოვნიკად გარდაისახა. დირექტორის უყურადღებოდ დატოვების უხერხულობა რომ გაეფანტა, მოიზი მისკენ შებრუნდა და მკლავი მკლავში გაუყარა. ისინი ახლო მეგობრები იყვნენ ერთი და იმავე მასონური ლოჟიდან.

- ჯარში როცა ვმსახურობდი, ნიზამეთთინ ბეი ჩემი პოლკოვნიკი იყო, - მოიზმა სიყვარულითა და პატივისცემით შეხედა ბოლაირს.

- გახსოვთ, პოლკოვნიკო, ერთხელ მისალმება დამავიწყდა და კაპიტანმა თევფიკმა ლამის სამხედრო ტრიბუნალს რომ გადაამცა?

გულიანად იცინოდნენ, თითქოს ისევ ახალგაზრდები იყვნენ.

- განტევების ვაცად უნდოდა გადავექციე. ჩვენ, იუდეველები, ცოტა მშიშრები ვართ და ამით სარგებლობენ.

- რადგან სალამი დაგავიწყდა, ახლა ასჯერ უნდა მომესალმოო. მეც რა უნდა მექნა? დავიწყე ბრძანების შესრულება. ლეიტენანტი ნეჯათი ხმამაღლა ითვლის: ერთი, ორი, სამი, ოთხი...

ყველა მოგროვდა, ჩუმად იცინიან. დირექტორმაც, თითქოს იქ ყოფილიყო, სიცილი დაიწყო.

- სწორედ ამ დროს ჩემმა პოლკოვნიკმა გამოიარა. რა ხდებაო, იკითხა. ყველა გაჩუმდა.

- სალამი დაავიწყდა, დავსაჯე და ასჯერ უნდა ვათქმევინო, მწარე მაგალითი იქნება მისთვის, არასდროს დაავიწყდება, - უთხრა კაპიტანმა თევფიკმა. აჯლან ბეი, იცით რა უპასუხა მაშინ ჩემმა პოლკოვნიკმა?

- გასაგებია, კაპიტანო, სასჯელი დაიმსახურა. ჯარისკაცი ვალდებულია უფროსს მიესალმოს, მაგრამ თქვენ რატომ არ პასუხობთ სალამზე? დაიმახსოვრეთ, ყველა ოფიცერმა უნდა უპასუხოს ჯარისკაცის სალამს, მხოლოდ მისი ასი მისალმება არ კმარა, თქვენც უნდა მიესალმოთ. უპასუხო სალამი არ შეშვენიის სამხედრო სამსახურს...

აჯლან ბეი ახლა პოლკოვნიკის პასუხზე ახარხარდა. ბოლაირს ეს ამბავი დავიწყებული ჰქონდა, გაახსენდა და მასაც გაეცინა, თუმცა ნათქვამი თავის დროზეც ხუმრობად არ ჩაუთვლია. სამხედრო დისციპლინა მოითხოვდა, რომ ნაკლი გამოსწორებულიყო.

- ასეთი ადამიანია პოლკოვნიკი ნიზამეთთინ ბოლაირი, - თქვა მოიზმა და მორიდება რომ არა, ხელზე აკოცებდა.

- აქ მუშაობთ? - ჰკითხა ესქინაზმა, რომელიც სამხედრო სამსახურის შემდეგ დიდი ბიზნესმენი გამხდარიყო. ახლა ორი დიდი ადამიანი მოწიწებით და პატივისცემით ესაუბრებოდა ერთ პატარა მოხელეს.

- ნიზამეთთინ ბოლაირი ჩვენთან სამოქალაქო თავდაცვის უფროსია, ჩვენი პოლკოვნიკი, რომელსაც ყველა პატივს ვცემთ

და გვიყვარს, - თქვა აჯღან ბეიმ, მაგრამ მისი მოვალეობები არ უხსენებია. იმდენი ტაქტი კი ჰქონდა, რომ არ გაეფუჭებინა ახლახან განცდილი სამხედრო მოგონებების სასიამოვნო ატმოსფერო...

ზარი რომ დაირეკა, ბოლარის სასადილოში ავიდა. იმ დღეს ხორცი იყო ბარდით, ყველის ღვე- ზელი და კომპოტი. ისადილა. შეხვედრების დარბაზში ჩავიდა და ყავა დალია. ექიმიც იქ იყო.

- გილოცავ, პოლკოვნიკო! მადლობა ღმერთს, ოცი წლის ბიჭის სისხლმარღვევი გაქვს. ისქენდერ ბეის სიძე პერსონალის ჯანმრთელობას ექიმს ყოველ ექვს თვეში ერთხელ ამოწმებინებდა. ამერიკაშიც ასე იყო.

- გმადლობ, ექიმო.

- გამოკვლევის პასუხებს თქვენ აიღებთ თუ მე გამოგიზავნოთ?

- მე ავიღებ, ექიმო. სისხლის ანალიზის დასკვნა საკმაოდ კარგი იყო: ერითროციტი 5 მილიონი; ლეიკოციტი 5900; ჰემოგლობინი 90 პროცენტი; სისხლში უზმოზე შაქარი 114მგ; ტრიგლიცერიდი 75; დალექვა ორი, ხუთი, ცხრა; შარდოვანა სისხლში 28მგ; ღვიძლის ფუნქციის ტესტი, თიმოლი 3 ერთეული; თუთიის სულფატი 7 ერთეული; საერთო ქოლესტერინი 270მგ / ტოტალური ლიპიდი 821მგ; კუნკელ ფენოლი 31 ერთეული; მჟავიანობა 3; წინა პასუხებიც მეტნაკლებად ასეთი იყო.

- ბეტონის კედელივით ხარ, მადლობა ღმერთს! ასტრონავტი უნდა იყო, ასტრონავტი! -

ეუბნებოდა ბულალტერი ნაფი ბეი.

ზარი დაირეკა, შესვენება დამთავრდა. ნიზამეთინი კიბეებზე თითქოს უფრო მხნედ ავიდა. ჯანმრთელობა ღვთის საჩუქარია, შემოქმედება კი - მემკვიდრეობის. დანარჩენი იმაზეა დამოკიდებული, ადამიანი როგორ იზრუნებს საკუთარ თავზე. ჰოდა, ღვთის წყალობას არ ვღალატობ, სულ ესაა, - ფიქრობდა ბოლ-

აირი. ტელეფონმა დარეკა. ქალბატონმა სევიმმა დაუძახა: -
ქარაბუქი რეკავს, პოლკოვნიკო.

ეს ნომერი მხოლოდ ბიჭმა იცოდა. ამ ბოლო დროს ხშირად რეკავდა. სახლში ტელეფონი არ ჰქონდათ. მხოლოდ სასწრაფო შემთხვევის დროს შეეძლოთ დარეკვა. ბოლაირს არ უყვარდა, როცა ურეკავდნენ. არაა ლამაზი სამუშაო საათებში პირადი პრობლემების გამო სამსახურის ტელეფონის დაკავებაო, ამბობდა. უცებ გული აუჩქარდა. ბევრს აკრიტიკებდა რძლისა და შვილის საქციელს, მაგრამ შეეშინდა, აიდანურს რამე ხომ არ დაემართათ.

- მამა, შენ ხარ? - მოესმა შვილის ხმა

- დიახ, მე ვარ. დროზე მითხარი რა ხდება, როგორ ხარ? აიდანური როგორაა?

- ყველანი კარგად ვართ. სხვა რამისთვის გირეკავ.

ბოლაირმა შვებით ამოისუნთქა. სატელეფონო საუბარი წესით აქუნდა დასრულებულიყო, მაგ- რამ ჩანდა აინურს ლაპარაკი სურდა.

- სწრაფად მითხარი, ტელეფონი არ დააკავო, - უთხრა ნიზამეთინმა.

- დელირმენდერეში ჩვენი სახლისთვის აქედან მუშტარი ვიპოვე. სამას ორმოცდაათ ათას ლირას იხდის. ჩვენ აქჩაქოჯაში კოოპერატივში გვინდა გავწევრიანდეთ.

ბოლაირმა სახლი დელირმენდერეში ყოფილი გარდაცვლილი მეუღლისგან მემკვიდრეობით მიიღო. თვეში ათას ხუთასი ლირა მოჰქონდა შემოსავალი. უფთადეს წინააღმდეგობის მიუხედავად ამ ფულს იმთავითვე შვილი იღებდა.

- გაყიდი და რა? გაქრება და დაიკარგება. ვისაც რამე ესმის იცის, რომ უძრავ ქონებას ფასი მუდამ ემატება. ლაპარაკისას ბოლა-

ირს ტელეფონს იქეთ ჩურჩული ესმოდა, მიხვდა შვილს სათქმელს ვიღაც კარნახობდა, ისიც იმეორებდა.

- წელიწადში ამდენ გადასახადს იხდით, არ გენანება? - როგორც ჩანს ეს აზრი გვერდით მყოფმა მეუღლემ მიაწოდა. მაინც რა ჭკვიანი ქალია?!

ნიზამეთთან ბოლაირს თავიდან რძალი უყვარდა. ეს დაბალი, ნამგლისფეხება, ჩუმი გოგონა თუ მოინდომებდა, უცებ გარდაისახებოდა საოცრად მეგობრულ, თბილ და ყურადღებიან ადამიანად. აწეული ცხვირითა და სახეზე ჭორფლებით თავისებური ხიბლიც ჰქონდა, მაგრამ როცა მისი უმადურობა და სიხარბე გამოაშკარავდა, ნერვებმა უმტყუნა, თავს ველარ თოკავდა. ერთი ხანობა პოლავჯის პასაჟში მალაზიის გახსნას გეგმავდა. ვინ იცის, რა მელიები ტრიალებენ ახლა მის გონებაში. ბიჭი ჩერჩეტია, ცოლი- გიყის ერთი. აინური ბევრს თამაშობს და ვალებში ჩავარდაო, ამბობდნენ. რძალს ზოგჯერ ძვირფასეულობით გატაცება შეიპყრობდა. აბა, მეზობლის ქალებს ხომ არ ჩამორჩებოდა?! ქმარს ტვინს წასჭამდა.

- მამა, აიდანურსაც უნდა ლაპარაკი.

- ბაბუა, შენ ხარ? მალე გნახავ, - შვილიშვილის დაბალი ხმა მოესმა ბოლაირს, ბედნიერებისაგან მზემ ამოანათა ნიზამეთთინის გულში.

- როგორ ხარ, ბაბუ. ძალიან მიყვარხარ, შენც გიყვარვარ? საჭმელს კარგად ჭამ? ადრე იძინებ? - ყველაფერს ვჭამ, ბაბუ და ადრე ვიძინებ, - ბავშვი აშკარად ცრუობდა.

- თუ ასე მოიქცევი, უფრო ძალიან შემიყვარდები, ჩემო საყვარელო გოგო, - უთხრა ბოლაირმა, ვითომ ძალიან არ ჰყვარებოდა შვილიშვილი. თითქოს ახლახან არ შეახსენა შვილს, რომ სამსახურის ტელეფონზე პირადი და ოჯახური საუბრები მიზან-

შეწონილი არ იყო. მართალია, შვილიშვილთან საუბარს არავინ ესწრებოდა, მაგრამ თავი მაინც უხერხულად იგრძნო. ტელეფონი ისევ შვილმა აიღო. აინურს მამის დაყოლიება უნდოდა, თუმცა გრძნობდა, რომ გადაჭარბებული ენთუზიაზმით მას უფრო გააღიზიანებდა.

- მამიკო, სახლის საქმეების გადასაწყვეტად შენს ბრძანებას ველოდები. თუ დაგვთანხმდები, ჩვენც ამოვისუნთქავთ.

- ვიფიქრებთ ამაზე, - უთხრა ბოლარიმა.

- დრო არ ითმენს, მყიდველები მზად არიან.

მოვიფიქრებთ, - გაიმეორა ნიზამეთთინმა.

- ახლა უნდა გავთიშო, სამუშაო საათებში სამსახურის ტელეფონი არ უნდა დავაკავოთ, ნახვამდის. ბოლოს ისევ აიდანური გამოჩნდა.

- ნახვამდის ბაბუა. გკოცნი ლოყებზე და ყელში.

მეც გკოცნი ყელში და მაგ ტკბილ ენაზეც. საოცარი გოგო ხარ, შენ!

- უთხრა ბაბუამ და ტელეფონი გათიშა. სწრაფად მიუბრუნდა თავის საქმეს, რათა ლაქლაქში დაკარგული დრო აენაზღაურებინა. ხუთის ნახევარზე სამსახურიდან გასვლის წინ თმის დასავარცხნად და მაკიაჟის გასაახლებლად ქალები საპირფარეშოს კართან რიგში დგებოდნენ. კაცები საბუთებს უჯრაში ალაგებდნენ და ჩაისთან ერთად ბოლო სიგარეტს ეწეოდნენ. ნიზამეთთინ ბოლარი მუშაობას ექვსის ნახევრიდან ექვსამდე ამთავრებს. შემდეგ წინასწარ გამზადებულ მუყაოს ფურცლებიდან ერთ-ერთზე ხვალინდელი დღის გეგმებს პუნქტებად წერს იმის მიხედვით, რომელი უფრო მნიშვნელოვანია. დაბლაგვებულ ფანქრებს სათითაოდ უთლის წვერს, გულმოდგინედ უჩენს ადგ-

ილს სამუშაო მაგიდაზე, დინჯად დგება, ქვევით ნელა ჩადის, ცდილობს წინ არავის გაუსწროს და სამსახურის სერვისში ჯდება. ყველას თავისი ადგილი აქვს, მათ შორის ბოლაირსაც. ის ყოველთვის უკანა რიგის მარცხენა ბოლოში ჯდება.

როცა ბემიქთაშიში ჩასვლა დააპირა, მგზავრებს გაუკვირდათ.

- დღეს ჩვენი ილისან ფრილექინის შვილიშვილი ქორწინდება ბემიქთაშის ქორწინების სახლში. მოწვევის შესახებ უფთადეს-თვის არ უთქვამს. რომ ეთქვა, სამი დღით ადრე დაიწყებდა სამ-ზადისს, გარდერობში რაც აქვს, ყველა კაბას დაიწუნებდა და საზეიმო ვარცხნილობის გაკეთებაზე იზრუნებდა. განა ღირდა ეს ძალისხმევა სამწუთიანი ხელის მოწერის ცერემონიისთვის?

იჰსან ფაშა მუდამ მომდიმარი, მხიარული კაცი იყო. სქელი წარბების ბოლოები ზევით ჰქონდა აწკეპილი და ყველას უღიმოდა. ნიზამეთთინ ბოლაირის დანახვა ერთობ გაუხარდა. ორივე ლოყაზე აკოცა. პატარძალი პაწაწინა, შავგვრემანი, ლამაზი, ძალიან თბილი და მოსიყვარულე გოგონაა. გრძელი, თეთრი ხელთათმანების ზემოთ შიშველი მკლავები კომშის ბუსუსებივით ოდნავ მუქი ფერის ღინღლით აქვს დაფარული. სიძე ძალიან ღარიბი, მაგრამ საკმაოდ ჭკვიანი ბიჭი ამერიკაში ელექტრონულ მეცნიერებათა სპეციალობაზე სწავლობს. შემდეგ, ქორწინების რეგისტრატორის ცნობილი კითხვები და სიძე-პატარძლის მეგობრების მხიარული შემახილები: „ფეხზე დააბიჯე, ფეხზე დააჭირე!..“ ფეხებით მოკლე ბრძოლაში გოგო უფრო მებრძოლი და მამაცი გამოდგა. ქორწინების დასტურის ნიშნად მოწმეების ხელმოწერა, ფაშას ცოლ-შვილის თვალების ცრემლებით ამოშრობა, იჰსან ფაშას სევდიანი მზერა. შემდეგ კი მილოცვები. რიგში ნიზამეთთინ ბოლაირიც ჩადგა, ახალდაქორწინებულებს ბედნიერება უსურვა და კუთვნილი ტკბილეულიც მიიღო. აიდანურის ბედნიერებას თუ მოვესწრება ნეტა?

- ფიქრობდა ბოლაირი..

სირქეჯიში სამარშრუტო ტაქსით ჩავიდა. ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ. ბურთი მოულოდნელად ქუჩაში გადაუვარდათ. იქვე მიმავალმა ბოლაირმა ფეხით გააჩერა, გახარებულმა ბავშვებმა ტაში შემოჰკურეს. ორმა მათგანმა ყვირილი ატეხა: - ძია ნიზამ, პენალტი, ძია ნიზამ, პენალტი! ბოლაირს გაეცინა, ბურთი აიღო, დასარტყმელ ხაზთან

მივიდა და იქ დადო. დაინახა, რომ ბომების უკან ბადე არ იყო.

- ბადე თუ არ აფრიალდა, ისე პენალტს რა ხიბლი აქვს?!

- ღამე თუ არ ჩამოვხსენით, იპარავენ, - თქვა გუნდის კაპიტანმა.

- თქვენც ადექით და ჩამოხსენით, - უთხრა ნიზამეთთინმა.

დღეს კარში ბოლაირისთვის უცნობი ბიჭი იდგა. ასე, ცამეტი წლის იქნებოდა.

- ახალი ტრანსფერია, ძია ნიზამ, მერთერიდან გადმოვიდა, აფთარივით მეკარეა, - თქვა ერთ-ერთმა. ჩანდა ნამდვილი აფთარი იყო, გადატყავებულ მუხლებზე სისხლი ჰქონდა შემხმარი. ყველა გაიტრუნა. საოცარი გოლების შემსრულებელ პოლკოვნიკზე ქება-დიდება აფთარ მეკარეს ადრეც ჰქონდა გაგონილი. ნახევრადმოხრილი მუხლებით და აფთარის გამოხედვით მშვილდით იყო მოჭიმული.

ნიზამეთთინ ბოლაირმა სიჩქარე აკრიფა და კარს ნელ-ნელა მიუახლოვდა. მარცხენა მხარეს ბურთით ფანდი გააკეთა, რითაც მეკარე მოატყუა, შემდეგ კი მარჯვნივ დაარტყა. ბიჭი მარცხნივ გადახტომას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად კატასავით ჰაერში მიმართულება შეიცვალა, მარჯვნივ გაფრინდა და ბურთი კუთხურისკენ გაგზავნა.

ატყდა ტაში. როგორც ყველა, ბოლაირიც გაკვირვებული იყო.

- ყოჩაღ! ახალი ჯიჰადი* გვეზრდება, - თქვა მან, თუმცა გული დაწყდა. მიუხედავად იმისა, რომ პენალტს იშვიათად აფუჭებდა, წინასწარ მაინც ყოველთვის ნერვიულობდა.

უფთადე არ გამიბრაზდესო, ბოლაირმა შარვლის ტოტზე ფეხ-საცმელები გაიწმინდა და სახლის გზას დაადგა. სოფელში მოსალამოვდა. სახლს რომ მიუახლოვდა, ცხვირში ხახვით და ნივრით შეკმაზული ხორცის სუნი ეცა. ხასიათზე მოვიდა. უფთადეს გაუმარჯოსო - გულში დალოცა ცოლი. პირდაპირ სამ-ზარეულოში შევიდა, ქალს უკნიდან მოეხვია და კისერზე აკოცა. უფთადე შეკრთა და გაუკვირდა.

- ღმერთო ჩემო, ნიზამ! - ამ სიტყვების ამოთქმისას ქალის ხმაში სიხარული მეტი იყო, ვიდრე საყვედური. ნიზამეთთინ ბოლაირმა ტანზე გაიხადა. ზღვაში ჩაყვინთა, მალე ამოვიდა. პიჟამო ჩაიცვა. სუფრა აივანზე იყო გაშლილი და ზღვას გადაჰყურებდა. ნიზამეთთინმა მაგიდაზე რაქი და თევზები დაალაგა. უფთადემ გერანიუმების და რეჰანის მორწყვა დაიწყო, მცენარეების სუნმა არემარე გააბრუა. ბოლაირს უფთადესთვის ხასიათის გაფუჭება არ უნდოდა, ამიტომ სადილზე არც შვილთან სატელეფონო საუბარი უხსენებია და არც ბეშიქთაშიში ხელმოწერის ცერემონიალი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბევრი რამ რჩებოდა მათ შორის უთქმელი.

რაქის წრუპვისას თვალი თვალში გაუყარა უფთადეს. ქმრის ასეთი მზერა ქალს ზოგჯერ აღიზიანებდა, მაგრამ შენიშნა, რომ ამჯერად უცნაური სიკაშკაშე გამოჰკრთოდა მასში. დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა, ამაღამ კიდევ ერთხელ აბესტს აიღებდნენ (რიტუალურ განზანვას შეასრულებდნენ). უფთადემ გაუღიმა. ნიზამეთთინმა ქალის ხელი აიღო, ტუჩებთან მიიტანა და აკოცა. გარდა სიყვარულისა, ამ მოფერებაში დანაშაულის გრძნობის გამოსყიდვაც იყო შვილის სატელე ფონო ზარისა და ფშას ქორწილის დამალვის გამო. ბედნიერების შეგრძნებამ მთლიანად მოიცვა კაცი. უმიზეზო ბედნიერება არის ნამდვილი ბედნიერება. არასდროს ეძებოთ ბედნიერების მიზეზი, ის შინა-

განად მოვა, მწველ, ძლიერ ძალად მოვა... ზღვა ზღვის, გერანიუმები გერანიუმის, რეჰანი რეჰანის სუნს აფრქვევდა. გემის გუგუნი ზღვიდან აღწევდა, ტალღები ნაპირს ელამუნებოდნენ, შორიდან ძაღლის მსუყე ყეფის ხმა ისმოდა. მალარიის საწინააღმდეგო მჟავის და საპირფარეშოს სუნი ერთმანეთს ერეოდა. ესაა ცხოვრების მაჯისცემა და ამ ყველაფრის ბუნებრივად, თავისთავად, გაუცნობიერებლად შეგრძნება.

ცხოვრება პატარ-პატარა ბედნიერების მიძვეებისგან აკინძულ კრიალოსანს ჰგავს. ზედმეტი ძიებების გარეშე სწორად ცხოვრება ბედნიერება. ჯანმრთელობაა ბედნიერება. დღეში ორჯერ გარეთ გასვლა, სხვას რომ რამეში არგისარ, ზამთარ-ზაფხულ ზღვაში ბანაობა, თბილი კერა და უფთადეს მსგავსი ცოლი არის ბედნიერება. ამ ასაკში თვეში ოთხჯერ აბესტის აღება, ირგვლივ მყოფი ადამიანების სიყვარული, კვლავ პოლკოვნიკს რომ გიწოდებენ, ესეც ბედნიერებაა. მაგრამ ნიზამეთთინ ბოლაირში მანც იყო სევდის პაწაწინა მარცვალი. ადრე პენალტს გააფუჭებდა განა? ბერდები, ყოჩო ნიზამ, ბერდები!.. შვილიშვილის ხმა ტელეფონში. აფუჭებენ აიდანურს. ბავშვმა ადრე უნდა დაიძინოს. სიგარეტის კვამლში გახვეულ ოთახში უფროსებს ფეხებში არ უნდა ებლანდებოდეს. ყველაზე მთავარი - მომღიმარი სახით მლიქვნელობას არ უნდა მიეჩვიოს.

- რა მოხდა, რატომ ჩაფიქრდი ნიზამეთ? - ჰკითხა უფთადემ.
- შეხედე, პიჟამოზე ზეთიუნის ზეთი დაგიწვეთებია.
- შეეშვი, საყვარელო, ყურადღებას ნუ აქცევ, - უთხრა ბოლაირმა.
- დღეს სამსახურში ძველ მეგობარ მოიხს გადავეყარე. კაპიტნის მისალმების ამბავი გამახსენა და გამახალისა. უფთადეს გაეცინა, თუმცა ქმრის წელანდელი და ახლანდელი გამოხედვა ერთმანეთს ვერ დაუკავშირა და: - ნეტა ერთი შენო, - გაიფიქრა. ბედნიერი იყო, რადგან ბოლაირს თვალები ისევ უცნიმციმებდა, ეს კი ნიშნავდა, რომ ნიზამეთთინს ფლირტი სურდა კვლავ... აიდა-

ნურს არასდროს უფიქრია უფთადეზე. ან რატომ უნდა ეფიქრა? ქმრის შვილიშვილია, რაც არ უნდა იყოს... რაც შეეხება პენალტის გამგებას, თუნდაც აეხსნა, როგორც ყველა სხვა ქალი, ვერ გაუგებდა. ცოლი ქმრის საყვარელი სიმღერის ჩუმი ღიღინით რაქით ჭიქას უვსებდა მას.

ფენერიოლუ 1983 წ.

- ჰაფიზი -მუსლიმანი, რომელმაც ყურანი იცის ზეპირად.
- 27 მაისის მხარდამჭერი ოფიცრების მიერ დაარსებული ასოციაცია, რომელიც დაარსდა 27 მაისის მონაწილე ჯარიდან გამევეებულ სამხედრო პირთა მხარდასაჭერად.
- ჯიჰადი (ჯიჰადა) არაბული წარმოშობის სიტყვაა, სწრაფვასა და ძალისხმევას ნიშნავს.
- ჰამიეთ იუჯესესი - ცნობილი თურქი მომღერალი.
- ქიზილჯაჰამამი - დაბა ქალაქი ანკარის პროვინციაში.

წყარო: Haldun Taner, Bütün Hikayeleri-4. Yalıda sabah.

Bilgi yayınları-296. ISBN 975-494-459-8.

94 06 Y. 0105 0692

06420 Yenişehir-Ankara

s: 33-73



TRANSLATION

տარգման

Pir Sultan Abdal - Poems

Asmat Japaridze

Tbilisi Ivane Javakhishvili

State University. Georgia, Tbilisi

+995599503356.japaridzeasmat@yahoo.com

Orcid ID : 0000-0001-6594-6049

Abstract

Pir Sultan Abdal (1480-1550) is one of the greatest representatives of Turkish Alevi-Ashugh poetry. He lived in the 16th century. His poetry is distinguished by its special lyricism. He wrote in a simple, understandable language for the people.

Keywords: thorny rose, friend, pain of the soul, God, desert, world

Translated from Turkish by Asmat Japaridze



თარგმანი TRANSLATION

ფირ სულთან აბდალი - ლექსები

ასმათ ჯაფარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
+995599503356. japaridzeasmat@yahoo.com
Orcid ID : 0000-0001-6594-6049

აბსტრაქტი

ფირ სულთან აბდალი (1480-1550) თურქული ალევიტურ-აშულური პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. ცხოვრობდა მე-16 საუკუნეში. მისი პოეზია გამოირჩევა განსაკუთრებული ლირიზმით. წერდა სადა, ხალხისთვის გასაგები ენით.

საკვანძო სიტყვები: ეკლიანი ვარდი, მეგობარი, იარა, ღმერთი, უდაბნო, წუთისოფელი

თურქულიდან თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ

მეგობრის მიერ ნასროლი ეკლიანი ვარდი

რეჟიმი სისხლიანი,
წაქეზებული ბრბო და
ქვების წვიმა თავს დატეხილი,
ჩემს თვალზე ცრემლი,
უფრო იმიტომ, რომ ხალხის მასაში ვხედავ მეგობარს
და მის მცდელობას მომაყენოს დარტყმა მათზე მსუბუქი,
მაგრამ მჭრელი და ისეთი, უფრო ღრმა რომ იცის იარა,
ვიდრე ბრბოსაგან თავსდატეხილი ქვების წვიმის ტკივილი
მშვიდი.

ჩემი სიცოცხლე იყო ხანმოკლე,
მაგრამ შევძელი მტრისა და მოყვრის უმაღლესი შეცნობა,
სიცოცხლე ჩემი დასრულდება,
ცაში გასცეს უკვე ბრძანება ამის,
ან ეშაფოტზე ავაბიჯებ, ან ტყვია მომკლავს,
შემოვუძახებ ჩემს თავს მყისიერ:
ფირ სულთან აბდალ, ღვთის იმედი გქონდეს,
რადგანაც წყალობის წვიმა მის გარეშე არ დაგვპკურდება.
არცერთი ქვა, ბრბო რომ მესვრის პირგამეხებით, მე არა მხვდება,
მაგრამ იმ ვარდმა ეკლიანმა, ჩემი მეგობრის მოქნეული ხელით
ნასროლმა,
ისე გამკაწრა, მოშუშებას რომ ვეღარ შეძლებს ჩემი სხეული.

უდაბნოში ხეტიალი ჩვენ მისიად განგვისაზღვრა უცნაურმა,
სიკვდილისთვის გაგვწირა თუ უთვალავი ფერის ხილვით
გაგვაბრუა,
უცხო მხარეს ასე ეუღს წუთისოფლის ტრიალმა და თან ხმაურმა

მოგვცა ძალა, დიდ სიბრძნესთან ზიარებით თვით უფალთან გვესაუბრა.

ის ისარი განშორების, მან რომ გვტყორცნა, რა მწარეა, წუთისოფლის ჩარხის ტრიალს ზეცამ ზურგი შეაქცია, ამ ჩემს გულზე ის ტალღანი წუთისოფლის ოკეანის, დიდ ზვირთებად წარღვნასავით გადადიან.

ეგოს მონა თუ იქნები მუხანათის და ვერაგის არ აგცდება დალი, ღმერთს მიბაძე, მშიერთა და უპოვართა დამპურებელს მოაქვს დიდი მადლი, განვეშორეთ ჩვენს სატრფოს და წუთისოფლის ავიკიდეთ ვალი, ნეტავ რაა ეს უდაბნო, ღმერთო, მომეც ყოველივეს მე შეცნობის ძალი.

ფირ სულთანნი ამას ამბობს, დაიჯერეთ გამოცდილი კაცის, უდაბნოში სალოცავის პოვნა არის ჩვენი, ყველას, ვალი, იქ კი სიბრძნის მადანია, ვერ დაითვლი, იმდენია განძი, ღმერთო, ყველას გვაპოვნინე ჩვენი გზა და კვალი.

